

114  
1950

საქართველოს  
საბავშვო  
საბიბლიოთეკო

# მნათობი

8

საბავშვო



1950



# ენათმეცნიერება

საქართველოს ლიტერატურულ-მეცნიერული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუახელის

საბავშვო საზოგადოებრივ-მეცნიერული კავშირის ორგანო

მეცნიერული სტატიები

## 8

\*

ს ა გ ვ ი ს ტ ო



19 საზოგადოებრივი  
თბილისი

50

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მეცნიერული  
კავშირის ორგანო

136812  
~~136812~~  
4815



## რ თ ვ ე ლ ი \*

★

### თავი მეორე

როცა დილით ავდექი, ანდრია და ალექსანდრე შინ აღარ დამხდნენ.

— მეტად წუხდნენ, მაგრამ სხვა რა გაეწყობოდა, ხალხი ელოდებოდა და უნდა წასულიყვნენ, — მოიბოდიშა პატარა დედა.

შემოდგომის გრძელ დამეში ღრუბელი გაფანტულიყო და გარემოს ახლა მზე დაჰყურებდა.

ხართუთის ძირში ნათელა დავინახე, მარტო იჯდა და ისევ კალთაში ჩაყრილი ფოთლებით ირთობდა თავს.

გაეხარა ჩემი მისვლა. ალერსიანად მომესალმა.

ძალიან მიჭირდა ლაპარაკი — მრავალი რამ გაუგებარი იყო მისთვის და ამიტომ ვცდილობდი ისეთ რამეზე ჩამომეგდო სიტყვა, რომლის შორეული წარმოდგენა მაინც ჰქონოდა. თავს ძალას ვატანდი, მაგრამ სასაუბრო მაინც მალე დამელია. ბოლოს ნათელასაც შევატყე, რომ მოიწყინა.

აბესალომთან მხოლოდ ნაშუადღევს უნდა მივსულიყავ. მანამდე დიდი დრო იყო და გადაეწყვიტე სოფელში გამეგლო. არ მინდოდა გული დაწყვეტოდა ნათელას რომ მარტო რჩებოდა და შევთავაზე წამყოლოდა.

ჯერ გოცდა ამის გაგონებაზე და, როცა გაეუმეორე, უცბად დათანხმდა,

თითქოს შეშინებული, რომ აღარ გადამეტყვა.

არ მეგონა თუ ასე გაეხარებოდა. მაშინვე გამოცოცხლდა, დედას თხოვა შეჰყოლოდა ოთახში და ის ახალი კაბა მიეცა, რომელიც ალექსანდრეს მიეტანა საჩუქრად.

დიდხანს ლოდინი არ დამჭირებია. როცა სახლიდან გამოვიდა, დავინახე საგარეოდ მორთულიყო, ნაწნავი გაეკეთებინა და კისერზე ჭრელი ხილაბანდი შემოეხვია. აბრეშუმის ალისფერი კაბა სრული ქონდა, არ უხდებოდა, ამახინჯებდა კიდევაც, მაგრამ თვითონ გახარებული იყო, რო ახალი ეცვა, უბრაწყინავდა სახე და ბავშვით ბედნიერი ჩანდა.

— მივიღივართ? — შეეძახე როგორც კი გამოჩნდა. — რა ლამაზად მორთულხარ!

ასეთმა მიგებებამ უფრო შემატა ხალისი. ეზო თამამად გაიარა, ხოლო როცა გზაში ჩავდექით, აღარ ენდო თავისთავს და ხელი ჩამკიდა.

— აი, ახლა ჩვენ მთელ სოფელს დაევიღით! — ვუთხარი ჩემი თავით კმაყოფილმა, რომ არ დავიხარე მისი წაყვანა და გაეხარე საბრალო.

იმ წუთში მართლაც მზად ვიყავი დიდხანს მეგლო მასთან ერთად.

— დადიხარ სოფელში?

— იშვიათად. ჩემთვის, აბა, ვის სცალია...

— აი, დღეს შორს წაგიყვან.

— ჰო, შორს! — ხალისიანად გაიმეორა.

ველარ მოვითმინე და ვკითხე:

— ხომ გახსოვს, როგორია სოფელი?

— ზოგიერთი ადგილი—კარგად. აი, მაგალითად, ძელქვები... ამ პატარა აღმართს ავივლით და იქვეა.

მართალს ამბობდა. ახლა მეც მომაგონდა და მალე კიდევაც დავინახე ნაცრისფერი მალალი ძელქვები. აქ სოფლის საყვარელი ადგილი იყო დიდხინიდან, — მოცილილი საათებში აქ თავს იყრდნენ მეზობლები და ერთმანეთს უზიარებდნენ სოფლისა და ქვეყნის ამბავს.

ნათელა შეჩერდა ძელქვების ქვეშ და მიმოტრიალდა. მის მესხიერებაში, ალბათ, არ გამჭარალიყო ის სურათი, რომ ხეები წრედ იდგა. ერთმანეთში ტოტებჩახლართული ვეებერთელა ძელქვები სქელ ჩრდილს აფენდნენ. ნათლად წარმომიდგა ამ ადგილის ზშირი სტუმარი მამობილი დიმიტრი. ოდნავ თავდახრილი ზის ენაზე, პირში მოუშორებლად შეჩრილი აქვს გრძელტარიაანი ყალიონი და საუბარს უსმენს. თვითონ მდუმარედაა უმეტესად და იშვიათად თუ ჩაურთავს ერთ-ორ სიტყვას. არაფერში არ გაცვლის იმ სიამოვნებას, რომ საღამო ხანი და უქმე დღე აქ გაატაროს. ყველაზე სანატრელია მისთვის ეს საათები და მზადაა მთელი დღე ამ განცხრომაში იყოს. პირველი მოვა და უკანასკნელი დატოვებს აქაურობას... ცოტა სიზარმაცეც ვაპკრავდა ჩემს კეთილ მამობილს, — ის რომ წარსულში მალალი წრის კაცი ყოფილიყო და არა მიწის მონა გლეხი. მთელ თავის სიცოცხლეს, ალბათ, უსაქმურობაში და მეგობრებთან ტყბილ მსალაათში გაატარებდა.

წყაროს ჩაუვარეთ და გზაში ვეღაც

ჯველ მეურმეს დავეწვევით. იქვეა მეზღვაურული ზოლებიანი პერანგი ეცვა და ჩიბუხს აბოლებდა. გვერდულად დახურული კეპის წინაფრიდან ქერა ქოჩორი მოუჩანდა. გამომწვევი და ამასთანავე ხალისიანი გამოხედვა პქონდა. ჩვეულებრივი გამარჯვება ვუსურვეთ ერთმანეთს და დავაპირე გვერდი ამეველო, როცა გავიგონე:

— სად მიხვალ, ნათელა?

ნათელამ სახე იბრუნა იქითკენ, საიდანაც თავისი სახელი მოესმა. ხმით ვერ იცნო და იკითხა:

— რომელი ხარ?

— დაგავიწყდა, გოგო, ჩემი ხმა?

— რომელი ხარ შენ? — უკვე ცნობისმოყვარეობით შეეკითხა ნათელა.

— დაიცა, ქალო, ხარებს წინ ნუ დაუდგები. ისეთი კაბა ჩაგიცვამს, გეგონება ცეცხლი გიკიდიოა. დაფრთხება პირუტყვი, ურემს გადამიტრიალებს.

— უი, გაქრა შენი თავი! — იცნო და გაიცინა ნათელამ. — გერასიმე ხარ? შეეხალისა და გაუღიმა იმგვარად, როგორც უღიმიან ყველა იმას, ვისგანაც ყოველთვის მოელიან, რომ სახუმარო რალაცას იტყვის.

— რა მიგაქვს, ბიჭო, ამ ურმით?

— ზის საწნახელს აღარ კადრულობს ჩვენი ბრიგადირი, მექანიკურს დგამს. ნაწილები მიმაქვს. ამათ გატეხას კი არ ვდარდობ, შენი ძმის ჯაჯლანს ველარ გადავურჩები.

— ჰოდა, მამ, შენც ნუ გააბრაზებ. ხომ იცი მისი ამბავი?

— ვიცი და იმიტომ ვფრთხილობ. მერე კიდევ წელს დიდი მოსავლის მოლოდინშია და საქორწილოდ ღვინოს მიმზადებს.

— როგორ არა, ამის მეტი დარდი არა აქვს ჩემს ანდრეას... ან რომელმა გოგამ გაიმეტა შენთვის თავი? ვინაა ასეთი თავმოძულეებული?

— აგრე კითხე ჩვენს ქალიშვილებს.

დაქორჩეს ერთმანეთი ჩემი გულისათვის. ხი-ხი-ხი!

— ამ ტრაბახის მეტი ვერაფერი ისწავლე იმ შენს გემზე? — იცინოდა ნათელა.

— რომ ვისწავლე, იმიტომაა აღარა-ვინ მასვენებს! — იცინოდა გერასიმე.

ნათელას ეხალისებოდა მასთან საუბარი და არც ცდილა ნაბიჯის აჩქარებას. მიფეხვებოდიტ ნელა მიმავალ ურემს.

— მეზღვაური იყავით? — გამოველაპარაკე გერასიმეს.

— დიახ, — მორიდებულად მიპასუხა.

— ნეტავი თუ სიმართლეა, რაც იქაურობაზე ნაამბობი გაქვს. ასე მგონია, ყველაფერი მოგონილია. — ზემრობით თქვა ნათელამ. — შენსას ხომ ვერაფერს გაიგებ, როდის ამბობ მართალს და როდის არა.

გერასიმეს არ წყენია. პირიქით, კეთილი ღიმილით გადახედდა.

— რა ვქნა ახლა, მოწმედ ვერავის მოვიყვან. თუმცა ერთხელ მოწმენიც გამოჩნდნენ აქ. ხომ გახსოვს ორი რუსი მეზღვაური რომ ჩამოვიდა? ისინი თქვენთანაც იყვნენ.

— ჰო, იყვნენ, — თქვა ნათელამ. — ანდრიამ გადმოიპატიეთა.

— ერთმა, მგონი, რაღაც გისახსოვრა კიდევაც.

— აი, ეს, — თითი უჩვენა, რომელზედაც ქარვისთვლიანი ვერცხლის ბეჭედი ჰქონდა ჩამოცმული. — შენ დაო და მე ძმაო, ასე მითხრა...

— იმათ შენი სიმღერა მოწონდათ, — მოაგონა გერასიმემ.

ამის გახსენებაზე რატომღაც წამოჭარხლდა ნათელა და ოცნებით ჩაილაპარაკა:

— კრგი ყმაწვილები იყვნენ...

გზა ვენახის პირად მიიმართებოდა. ვაზის შეყვითლებულ ფოთლებში მწი-

ფე მტევნები მოჩანდა. გარემო სიჩუმეს ოდნავ არღვევდა ურემის ქრიალი.

— მეზღვაურები, აღმათ, თქვენცესა ტუმრნენ, — მიემართე გერასიმეს.

— დიახ, მინახულეს.

გერასიმე არც ისეთი ლაპარაკის მოყვარული აღმოჩნდა, როგორც თავდაპირველად მეჩვენა. ძლივს ჩავეთრეი საუბარში.

— ერთად მსახურობდით?

— ჯერ გემზე, მერე სევასტოპოლში ვიბრძოდით.

— წარმოდგენილი მაქვს, როგორ გაგიზარდათ ფრონტელმა მეგობრებმა რომ გაგიხსენეს!

— რა დაგვაფიწყებს ერთმანეთს... სამნილა დაერჩით გემის შემადგენლობიდან. დანარჩენები ქალაქის დაცვის დროს დაიღუპნენ. ჰოდა, ამ ზაფხულზე პირველად მესტუმრნენ. ძალიან გამახარეს.

წუთით გაჩუმდა და მერე ყრულ ჩაილაპარაკა:

— სამივე ერთად დაგვექრეს, როცა უკანასკნელად ფუგასის გამოსაშიგნავად ველზე მივდიოდით; თვითმფრინავიდან დაგვიჩახეს.

— როგორ თუ გამოსაშიგნავად?

— როგორ და, სწორედ ისე, როგორც, მაგალითად, თევზს გამოშიგნავენ... ყველაფერს ამოაცლიან მუცლიდან და გაასუფთავენ.

ჯერ მეჩვენა, რომ ზემრობდა.

— საქმე ისაა, რომ ბოლო დროს ჩვენ ფუგასებზედაც ვნადირობდით. გაწაფული ვიყავით ამაში. დღე-ისე არ გაივილიდა, ბომბი არ ჩამოეყარა მტრის თვითმფრინავებს. მაგრამ ყველა კი არ აფეთქდებოდა მაშინვე. ზოგიერთი მხოლოდ ჩაეფლობოდა მიწაში და დრომდე ფარავდა თავის სამინელ ძალას. ჰოდა, ჩვენ უნებელს ვხდიდით მათ. თუ სადმე უღაბურ აღვილზე დაგდებულს ვიპოვიდით იქვე ავაფეთქებდით, მაგრამ თუ ქალაქის

ფარგლებში იყო, ჩაფლული, ამოვ-  
თხრილით და მოვამორებლით იქაურო-  
ბას.

— ხელით მიგქონდათ? — იკითხა ნა-  
თელამ.

— ხელით ვინ წაიღებდა, გოგო, —  
ჩაიციხა გერასიმემ. — ზოგიერთი ტო-  
ნას იწონიდა. იცი რა მძიმეა ტონა?

ნათელამ არ უპასუხა. გერასიმემ  
ისევ ჩემსკენ იბრუნა სახე:

— საბარგო მანქანას ძალიან გრძელ  
ფოლადის გვარსს გამოვებაშლით, ეს  
გვარლი კი ოთხთვალას მიათრევდა;  
ამაზე იღვა ფუგასის ბოშბი. მთელი ის  
რაიონი, სადაც უნდა გაგვევლო, გაფ-  
რთხილებული იყო და იხიზნებოდა იმ  
საათებში. ვინ იცის სად და რა დროს  
იჩნდა ძალას! მილოდავდა მანქანა და  
რამდენიმე კაცი ხმაგაკმენდილი მიე-  
ყვებოდით უკან. გარშემო სიჩუმე იყო,  
ზღმეტი ადამიანის ლანდიც კი არ ჩან-  
და. სასულე ორკესტრი გვაკლდა, თო-  
რემ ჩვენთვის რომ შორიდან ვინმეს  
შეეხედნა, ასე იფიქრებდა, დამწყურე-  
ბული ჭირისუფალი მიაცილებს თავის  
მიცვალებულსო. მივიტანდით სადმე  
შორეულ ადგილას, იქ პირს გავესხნი-  
დით და მერე შიგნულსაც ამოვაცილი-  
დით. ამის შემდეგ ლეში იყო ის, მეტი  
არაფერი.

— განა არ ჯობდა აგეფეთქებინათ?

— რატომ? ჯერ-ერთი, საჭირო  
ფეთქებადი ნივთიერება სპეცკომბი-  
ნატს რჩებოდა, მერე კიდევ ლითონი  
ჩვენს საზღვაო ქარხნებს სჭირდებო-  
და... ჰიტლერელებს უკანვე ეუფაზენი-  
დით თავის ხაჭაპურს: ქერქსაც და  
გულსაც, ოღონდ სხვა სახით...

— ჰო, მაგრამ, ასეთი გამოშიგნვა  
განა უფრო სახიფათო არ იყო თქვენ-  
თვის?

— რა დაფიციო, თვითოეული ასე-  
თი ნადირობის წინ ამხანაგებს ვეთხო-  
ვებოდით, ერთი პატარა შეცდომა და...

შეცდომებზე კი აქ ვერაფერს ისწავ-  
ლიდი, — პირველი მარცხი, უუკანასკნე-  
ლიც იქნებოდა... როგორც ჩემდამდე  
გავვიმეტა ბედმა, შინ დაბრუნება გვე-  
წერა თურმე...

თითქოს ჩვეულებრივი შემთხვევები  
ყოფილიყო, ისე მოიგონა, ზოგი რამ იმ  
დღეებიდან. ეს იყო დიდებით მოსილი  
ცხოვრების ამბავი ერთი იმათგანისა,  
უბრალო კაცთაგანისა, ვინც უამრავ  
თანამედროვესთან ერთად ჩვენი ქვეყ-  
ნის ადამიანის მთელი კეთილშობილება  
და სიმაღლე გამოაჩინა.

— ახლა აგერ მექანიკურ საწინაზღვრს  
მადგმევიწინებს ჩვენი ბრიგადირი... შე-  
ნაო, მარწმუნებს, ტექნიკა გემარჯვე-  
ბა, მანქანის დაშლა და აწყობა არ გა-  
გიჭირდებაო...

— მეც ასე მგონია, — ღიმილით გა-  
დაუხედე. — თქვენთვის ეგ ძნელი საქ-  
მე არ იქნება.

— სავანედან მანქანის ნახაზები  
წამოვიღე და, თუ გამოჭირდა, ამასაც  
მოვიშველებ. ისე როგორ წავხდები,  
ეს დავალება ვერ შევასრულო! სხვა  
რომ არა იყოს რა, სირცხვილია ერთი  
მექანიკური საწინაზღვრი არ ჰქონდეს  
ჩვენს კოლმეურნეობას. თვალუწვდენ  
ფართობზეა ვენახი გაშენებული, მე-  
რე რა ვენახი, თითო ვაზზე კალათი  
ყურძენი მოიკრიფება... — ბოლოს ღი-  
მილით დაუმატა: — ცოდვა არ იყო,  
ყუმბარას გავეგლიჯე და შინდოვანში  
დაბრუნება არ მლირსებოდა?

სადაც გზა იყოფოდა, იქ გერასიმე  
შეჩერდა.

— ჩემი ნავსადგურიც აქვეა, — მარ-  
ჯენივ მანიშნა აღმართისაკენ, სადაც  
შენობა ჩანდა. — ეგერ, ჩვენი მარანიც  
ვენახში შევიდა, მტევანი მოწყვიტა  
და ნათელას მოუტანა.

— პირი ჩაიგემრიელე, ქალო. შენი  
ძმის ამბავი რომ ვიცი, არ გაღირსებს  
კოლექტივის ყურძნის გემოს. არა  
უშავს რა, წონაში არაფერი დააკლ-  
დება!

დაგვეშვიდობა, შოლტი გადაკრა პირუტყვს და გაჰყვა ურემს.

ჩვენ ისევ ვენახის პირს ვაყევით.

— მხიარული კაცი უნდა იყოს გერასიმე, — ეუთხარი ნათელას.

ყურანის მარცვალი მოწუწა და სახე ღიმილით გაეხსნა:

— გაქრა მისი თავი, სიცილით მოგვლავს, თუ გუნებაზე!

ისევ მოწუწა და მერე გულნაკლულად თქვა:

— ერთი ცული ზნე სჭირს, ღვინოს რომ დაღვეს, ჰკუას კარგავს. შიშით ახლოს ვერაფერს ეკარება. ხანდახან ისევ გაგივდება ხოლმე, ვერაფრით ვერ აწყუნარებენ. მე თუ არ მივედი, მთელი დღე ასე იქნება.

— შენ არ გეშინია?

— არა, მე არ მერჩის. ეგ კი არა, ამ დროს საგანგებოდ წამიყვანენ ხოლმე მისიანები. როგორც კი მივალ, გვერდით დამიჯენს, ილაპარაკებს, ილაპარაკებს, გულს მოიოხებს, მერე დამშვიდდება და მიიძინებს.

— რაზე გელაპარაკება?

— რა ვიცი, რაც ენაზე მოადგება... ომის ამბები აგონდება, თავის მეგობარ მუზღვაურებს ნატრულობს... ერთხანს აქედან წასვლას აპირებდა, სულ ზღვაზე ბოდავდა, ვერაფრით ვერ აჩერებდნენ სახლში. მერე ანდრია ამბობს, სასახელო ადამიანი დადგებაო. ნეტავი მართლა ასე იქნებოდეს...

გულწრფელად ინატრა და მერე დაუმატა:

ხანდახან რომ არევა არ იცოდეს, სხვაფრივ აუგს ვერ იტყვი მასზე, ჰკვიანი და კეთილი კაცია. სოფელსაც უყვარს. ქალიშვილებში ზომ მართლაც მოწონება აქვს. ტყუილი კი არ უთქ-

ვამს მოსვენებას არ მაძლევინო. ყველა სიამოვნებით გაჰყვებოდა, მაგრამ ჩემი ანდრიათ არ იყოს, სულ ნმას ამბობს: ჯერჯერობით საქარწილოდ არ მცალიაო... ასე იცით მამაკაცებმა, გაურბით ოჯახს... თუმცა არა, ანდრია ასეთი არაა. მოთავდება რთველი და ქალს მოიყვანს.

— აქი დედაშენი საყვედურობდა, ვერ გადაწყვიტაო?!

— დედა შიშობს, ისევ საგაისოდ არ გადადვასო. მაგრამ მე სიტყვა მომცა ანდრიათ. ამორჩეულიც ჰყავს. კარგი ქალიაო, მითხრა.

— აქაურია?

— თუ გაგიგონია იგორეთი, იქიდანაა.

ერთხანს გაჩუმებული მიდიოდა, მერე ამოიოხრა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— იმ დღიდან ანდრიას მე აღარ ვეყვარები...

გამიკვირდა ისე სევდიანად თქვა.

— რატომ გგონია?

— რა ვიცი, ასე მეუბნება გული...

— ეგ არასოდეს არ მოხდება! — შევეცადე გამეფანტა მისი ეჭვი. — ანდრია ყოველთვის მოყვარული მამა იქნება. ის რომ ცოლს მოიყვანს, დედას ხელშემწყობი ეყოლება და შენ კიდევ მეგობარი.

— რა ვიცი, რა ვიცი, — ისევ ამოიოხრა. — ნეტავი მართლაც აგრე იქნებოდეს...

— მამ არ გინდა, ქალი შეირთოს?

— უი, რას ბრძანებ! — მაშინვე შემომძახა. — ძმის გაბედნიერება როგორ არ მინდა! ღმერთმა ერთ დღეს ნუ მაცოცხლოს თუ ანდრიას და ალექსანდრეს ბედნიერება ჩემთვის საწყენი შეიქნება!

\*  
\*  
\*

ამ ლაპარაკში გავიარეთ გზა და მივედი ერთ სახლთან, რომელიც კოლმეურნეობის კანტორა აღმოჩნდა.

კანტორის წინ, საჩიხში, ოცამდე მაკაცი იყო; ვინ მერხზე იჯდა, ვინ სკამზე, ვინ ხორა-ხორა დაწყობილ ფიცრებზე. კუთხეში დადგმულ პატარა მაგიდასთან ანდრია იდგა და შეკრებილთ ესაუბრებოდა. სიჩუმე მოწმობდა, რომ ყურადღებით უსმენდნენ.

ჩვენი დანახვა მოულოდნელი იყო ანდრიასთვის. მან შეწყვიტა ლაპარაკი და გვიანში ახლო მივსულიყავით.

შეკრებილთა შორის ალექსანდრეც დავინახე და ნათელასთან ერთად მის გვერდით ჩამოვჯექი.

— აქ საიდან გაჩნდი, გოგო? — გაკვირვებით და თან ალერსიანად გადაულაპარაკა ალექსანდრემ.

ნათელას ეოცა მისი ხმა და გახარებულია უნებურად შესძახა:

— ალექსანდრე, ძამიკო!

ხმამალა შეძახილმა საერთო ყურადღება მიიქცია. ყველამ მისკენ იბრუნა სახე. ალექსანდრემ უხერხულობა იგრძნო, დას ხელი მოხვია და რაღაც წასწორდა.

ნათელა შეერთა, დაირცხვინა და გაიხსურა.

ჩვენმა მისვლამ წუთით არცა წესრიგი, მაგრამ ყოველივე ისევ ძველ კალაპოტში ჩადგა, როცა ანდრიამ შეწყვეტილი სიტყვა განაგრძო:

— როგორც აქ ითქვა, ამხანაგებო, კოლმეურნეობა წელსაც კარგი მოსავლის მოლოდინშია...

— ნამდვილია! — გაისმა ჩემს ახლო. დასტურის მიმცემი ალექსანდრეს გვერდით იჯდა. უმაღლეს მიიქცია მან ჩემი ყურადღება. როგორც კი თვალი მოვკარი. შეუახანს მიღწეული კაფანდარა კაცი იყო. მოწითალო უღვაში ისე თხელი ჰქონდა, რომ მისი ღერღერად დათვლა შეუძლებოდა. გაუგებარი იყო, რისთვის დაეტოვებინა ის, მით უმეტეს, რომ სახეს არა თუ აღამაზებდა, პირიქით, შნოს აკლებდა. მიუხედავად ამისა, პატრონი ღიად ზრუნავდა მას-

ზე. წამდა უწყუმ უსვამდა ენის წვერით დასველებულ თითს და მსწორებდა ურჩ ბუსუსებს, რომლებიც თითქოს ერთმანეთს გაურბიანო, უწყსრივად გაშვერილიყვნენ სხვადასხვა მხარეს.

— მაგრამ, მე მგონია, — განაგრძობდა ანდრია, — უკეთესი მაჩვენებლები გექნებოდა, მეტი თაოსნობა რომ გამოგვეჩინა და ყველა ნაკეთზე თანაბარი შრომა გაწეულიყო. ზოგიერთი ჩვენგანი დაკმაყოფილდა იმით, რომ გეგმას შევასრულებო და მეტისათვის თავი აღარ შეიწუხა...

— ნამდვილია! — დამოწმა კაფანდარა და კიდევაც წამოღვა. — ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ გვერდს ვერ ავუქცევთ იმ ამბავს, რომ...

— ახლა ამის დრო არაა, ამხანაგო იროდიონ, — სიტყვა შეაწყვეტინა ანდრიამ. — ამაზე ჩვენ მაშინ ვილაპარაკოთ, როცა რთველს მოვრჩებთ ახლა ჩვენ სხვა უფრო საჭირო საქმე გვაქვს...

იროდიონმა შეკამათება დააპირა, მაგრამ ანდრიამ ხელით ანიშნა დამჯდარიყო.

— რამდენიმე დღე კიდევ, და რთველიც დაგვეწყება. ჰოდა, იმაზე ვილაპარაკოთ, მზად ვართ თუ არა საამისოდ? მე თავის დროზე გაგაფრთხილეთ ყველანი. გამოცდილება არ გაკლიათ. კარგად იცით, რა და როგორ გაკეთდეს. მაგრამ, მოდი, ერთხელ კიდევ შევამოწმოთ რამდენად მზად ვართ... აი, მაგალითად... — ანდრიამ შეკრებილთ გადახედა და ბოლოს თვალი შეაჩერა მერხზე ჩამოქდარი კოლმეურნეზე, რომელიც ჯიბის დანით ჯოხს თლიდა. — მაგალითად, ავიღოთ ურმების საკითხი...

ამის გაგონებაზე კოლმეურნემ, რომელიც ჯოხს თლიდა, დანა დაკეცა და სმენად იქცა.

— რას გვეტყვი, პლატონ? როგორაა შენთან საქმე?

პლატონმა გულის უცბებში ჩაიდგა დანა და ჯოხით მიწა მოჩიჩქნა.

— ასე რომ, კაცმა რომ თქვას...

— შენ პირდაპირ გვითხარი, შორიდან ნუ უვლი, — გააფრთხილა ანდრიამ. მის ხმაში უკმაყოფილება ისმოდა, რადგან გრძობდა, რომ პლატონი საეკვოდ ავიანურებდა სიტყვას.

— კაცმა რომ თქვას, დავალება შესრულებულია, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ამ კვირაში დანარჩენსაც მოვასწრებთ.

— რას ნიშნავს დანარჩენს? რამდენია შეუქცებელი?

— ასე, ათი-თხუთმეტი თუ იქნება... ანდრიამ წარბები შეიყრა.

— შე ოჯახამენებულო, ისიც არ იცი, რამდენია? რაღაც ისე ამბობ, თხუთმეტიც იქნება. ასეა საქმე? რთველი რომ დაიწყება, მაშინ მოიფხან თავს? ან იქნება იმის იმედი გაქვს, რომ ურმის მაგეირობას მანქანა გასწევს? ერთი გეყავს მანქანა, მეტი არა!

— ნამდვილია! — მოისმა იგივე ხმა.

— რომ გაწყრეს ღმერთი და რაიმე დაუზიანდეს მანქანას, ვენახში დავტოვოთ მოკრეფილი ყურძენი, ანდა რთველი გადავლოთ? ვერა, ამხანაგებო, — ანდრიამ ხელით გასერა პაერი, — ამ მიზეზით ჩვენ რთველის დაწყებას ვერ დავაგვიანებთ. რაც ჩასაბარებელი გვაქვს სახელმწიფოსათვის, ზუსტად და დროზე უნდა ჩავაბაროთ. ქარხანას ვერ ვაცდევინებთ იმის გამო რომ პლატონ ბიბილაშვილმა ხელი არ გაანძრია, ქარხანას თავის ვარაუდი აქვს და ხელს ვერ შეეუშლით მის მუშაობას.

— კაცო, ახლა, რატომ იცი ასე თქმა, — შედაგება სცადა პლატონმა, — რომ გითხარი მზად იქნება მეთქი, მზად იქნება. სან დღეს არ გადავაცილებ.

ანდრიამ ხელი ჩააქნია:

— არა, არ ვარგა ეგ. აქამდე უნდა გქონოდა გამზადებული. იქნებ შენ ვაკეთო, მაგრამ ეს არ კმარა ჩემთვის. შე ახლა უნდა გამეგონა, რომ დავალება შესრულებული გაქვს. მე ახლა უნდა მქონდეს გული საგულეში. აბა რა გამოვა ისე? ცოტას შენ მოიტოვებ მოსათავებელს, ცოტას პეტრე, ცოტას ივანე და საბოლოოდ იმას დაემსგავსება საქმე, ქე რომ ვინმე გაზაფხულზე სახლის ამენებას დაიწყებს და თავისი უთავბოლოობით ზამთრის პირზე ცოტა კედლის მოთავება აკლია, ცოტა სახურავის, ცოტა ჭერის, ცოტა ბუხრის და ცოტა კიდევ რა ვიცი რისი. როგორ ფიქრობ, შეისვლება ასეთ სახლში?

— ეგ არაკი, მგონი, თვითონ მაგაზეა თქმული, — ჩაილაპარაკა ვილაძამ. ჩუმად თქვა, მაგრამ ყველამ გაიგონა და აქა-იქ თავშეკავებული სიცოლი გაისმა.

— სასაცილო აქ არაფერია, — ჩააჩუმა ისინი ანდრიამ. — არც პლატონს დაუმსახურებია, რომ დავცინოთ რაიმე. თქვენ თუ თანახმა იქნებით, მივეცეთ სამი დღის ვადა. მე ვიცი ის სიტყვის კაცია და არ დავგაღალატებს.

პლატონმა რომ შექება გაიგონა, კმაყოფილებით შეხედა ბრიგადირს, კეთილი ღმილით თვალი მოავლო მეზობლებს და ჩაიბუბუნა:

— რომ თქვას კაცმა, ტყუილი არ იყო ის არაკი. ეგ კი არა, ჩემ სახლს ცოტა კარფანჯარაც აკლია... მაგრამ ამასაც მოვათავებ დროზე.

ისეთი გულწრფელი მიაშიტობით თქვა, რომ თითონაც გულდიად ხითხითებდა.

— მივეცეთ სამი დღის ვადა? — მამართა შეკრებილთ ანდრიამ.

— მივეცეთ, მივეცეთ! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— მამ, ასე, ამხანაგო პლატონ, სამი დღის შემდეგ ყველა შეკეთებული გექნება. დამჩნაო, ეს სიტყვა არ გავიგონო.

— ურემი ურემია, მაგრამ ხარე-ბი? — იკითხა ვილაძამ.

— მაგაზე აგერ რაყდენი გვეტყვის. — განაპირას ჩამომჯღარ ქალარა კაცს გადახედა ბრიგადირმა.

რაყდენმა რატომღაც ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ძალა მოიკრიფათ.

— ჩვენი დავალება, ჩემო კეთილო, შესრულებულად მიგვაჩნია. — თვითეულ სიტყვაზე რაყდენი მთელი ტანით ქანაობდა, თითქოს ამით ეხმარებოდა, უბიძგებდა სიტყვას, რომ ღროით ამოსულიყო.

— სულ მოთავდა, თუ დაგრჩა ნაწილი?

— მოთავებულია, — აქანავდა რაყდენი. — დღეს დილით უქანასკნელი შვიდი უღელი იყო დარჩენილი და ისინიც მივიყვანეთ მჭედელთან. აგერ თვითონ შენი ძმა გვეხმარებოდა, — გადახედა ალექსანდრეს.

— რაყდენის ამბავი რომ ვიცი, ხარებს კი არა, თავის მერგოლურსაც არ დასტოვებდა დაუტყდელს, — ჩაილაპარაკა ვილაძამ.

შენიშვნამ საერთო სიცილი გამოიწვია. ბრიგადირმა ჯერ სცადა წესრიგი დაემყარებინა, მაგრამ, როცა თვითონაც ველარ დამალა დიმილი, კიდევ უფრო ახშიანდა ხალხი.

— მის მერგოლურს მართლაც არ აწყყენს დაქედა, — სთქვა ბოლოს ანდრია.

იქვე მაგიდასთან მჯდარი ახალგაზრდა წამოხტა ამის გაგონებაზე.

— რატომ, ამხანაგო ანდრია? რა მჭირს დასაქედი?

მწყრალად გადახედა ყველას და უფრო ხანგრძლივად შეაჩერა თვალი რაყდენზე, თითქოს მას ადანაშაულებდა, რომ ხალხი იცინოდა.

მერგოლური შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და უფრო იმით იყო ნაწყენი, რომ არავინ გამოესარჩლა. იღვა და გარშემო აცეცებდა თვალებს.

თითქოს ყველას ეკითხებოდა, განა მართალია რაც თქვეს ჩემზე?

— გული რაზე მოგდამს? ჩემზე კვასილ, — დაუყვავა ანდრია. — როცა ამხანაგი მეგობრულად გაკრიტიკებს, კი არ უნდა შეფუფცუნდე ამაზე.

— თუ კრიტიკის ღირსი არა ვარ? — ცხარობდა ვასილი. — მე თავი დამანებონ, თავის თავს მიხედონ, ის აჯობებს.

— ვითომ ასე უცოდველი ხარ?

— დიახ, უცოდველი ვახლავარ! — თავმომწონედ წამოისროლა მან. — მე ჩემი საქმე მოთავებული მაქვს. ჩემს რგოლში დიდხანია ყველა მზად ვართ და, თუ გინდა. დღესვე შევუდგებით რთველს.

ანდრიას არ ესიამოვნა ამის გაგონება. მის ენერგიულ სახეს ჩრდილმა გადაკრა.

— უცოდველი არავინ არა ვართ, ამხანაგო ვასილ — ცივად უთხრა ანდრია. — დაჯექი, ნუ ქაჩავ თვალებს, ამით ვერავის შეაშინებ.

მერგოლურმა იგრძნო, ვერაფერს გახდებოდა, ჩაჯდა და გულის მოსაოხებლად წაიბურტყუნა:

— მე არავის არ ვაშინებ. თუ ვცხარობ, იმიტომ, რომ მართალი ვარ და ტყუილად ცდილობენ რაღაც დანაშაული მომახვიონ თავს...

— არა ხარ მართალი! — შეუტია ანდრია. — შენი უბედურებაც ისაა, რომ არ გესმის რაში ხარ დანაშავე! საქმე მოვათავე ჩემს რგოლში, ამით მოგწონს თავი? ის რატომ დავაგვიწყდა, რომ აგერ იოსების რგოლს მედიდურად სტყიციე უარი, როცა მან დახმარება გთხოვა? თქვენს თავსა თვენვე მოუარეთო, რომ უთხარი, განა ასეთი პასუხი უნდა მიგცე? მოასწარი სხვას და მხართეძოზე წამოწექი ძველი აზნაურიშვილივით, არა? შენ ეზოს გადაღმა არ გინდა გადაიხედო? აი, ამაში ხარ დასაქედი... შენ რომ ადრევე





ყოფილიყავ დაქედილი, ახლა უკეთესი მდგომარეობა გვექნებოდა შენცა და ჩვენც. თუ გულმამიწიყი არა ხარ, გაიხსენებ, ალბათ, რომ სხვა ცოდვაც გავწევს კისერზე...

— ასეთი რა ექენი? — გოაცებით თვალი მიაშტერა ვასილმა.

— თუ არ გახსოვს, მოგაგონებ... რას გაფრთხილებდა გაზაფხულზე მთავარი აგრონომი? შენ კი მაინც შენებურად ჩაატარე ვაზის მწვანე ოპერაციები. არ ივარგებდა ის ნაკვეთი, რომ ისევ გამრიელი არ მოგშველებოდა...

— მე ჩემი გეგმა შესრულებული მექნება; — ჩაიბუბუნა ვასილმა.

— აჰა, კიდევ თავისას იძახის! გეგმა რომ შეასრულე, ამისათვის ქებას ვერ მიიღებ ჩვენგან. შენ რომ ზუსტად დაგეგვა აგროწესები, უკეთესი მოსავალი გექნებოდა. გეგმის შესრულებით და აღარ იყოყოჩებდი მაშინ. მართალი ვარ, თუ არა?

ვასილმა თავი დახარა, არაფერი არ თქვა.

— ჰოდა, მითხარი ახლა, ხანდახან საკირო ყოფილა თუ არა შენი დაქედა? თურმე ყოფილა და ნუღარ ცხარობ, როცა სიმართლეს გეუბნებიან. უცოდველი ვარო, ამნაირ მამლაციწობას, ძმურად გირჩევ, თავი დაანებო. ნუ იხამ ისე, რომ ერთ დღეში დაჰკარგო ის პატივისცემა, რომელიც წლობის განმავლობაში შრომითა და თავმდაბლობით მოგაპოვებია.

— ნამდვილია! — ისევ დაემოწმა იროდიონი.

— დავანებოთ ამას თავი, — ხელი ჩააქნია ანდრიამ. — აგერ რთველს მოვრჩებით და მაშინ უფრო გულდასმით მოვილაპარაკებთ ყველაფერზე. ვინც არ უნდა იყოს, არავის ცოდვას არ დაეფარავთ მაშინ...

ამ შელაპარაკების ვამო თავის პირდაპირ დანიშნულებას აცდენილი თათ-

ბირი მალე ისევ კალაპორტში ჩადგა. ბრიგადირს გათვალისწინებულნი ჰქონდა ყოველივე წვრილმანი და იმედინად იყო, თუმცა თავი მაინც ისე ეჭირა, თითქოს დაქვეებული და უკმაყოფილო.

შეკრებილობას მეტი გამოცოცხლება დაეტყო, როცა ერთმა კოლმეურნემ სურვილი გამოთქვა, რომ რთველი ვადაზე ადრე დაემთავრებინათ, კამათში ბევრმა მიიღო მონაწილეობა. იროდიონმაც, რომელიც აქამდე სადასტურო შემახილებით კმაყოფილდებოდა, არაერთხელ ითხოვა მალაპარაკეთო, მაგრამ კრების ხელმძღვანელი რატომღაც გვერდს უვლიდა და ცდილობდა არ შეემჩნია. ბოლოს მან თავისას მიადწია და წამოდგა.

დიდხანს ლაპარაკობდა. თითქმის არავე უსმენდა, უმრავლესობა ურთიერთ საუბარში ჩაება, ერთმანეთით იყო გართული. მაგრამ ის, თავისი მკვერმეტყველებით გატაცებული, ყურადღებას არ აქცევდა რა ხდებოდა გარშემო.

— მაგას ეინ გააჩერებს ახლა! — ამოიოხრა ვილაცამ.

— ყოველთვის და ყველაფერზე რომ მოლესილი აქვს ენა! — ჩაილაპარაკა მეორემ. — თუგინდ ამ ჯოხის გარშემო მთელ დღეს შეუსვენებლივ იქაქანებს, ოღონდ კი კამათში ჩარევის უფლება მიეცი!

— შტატინი მოკამათე! — თვალი ჩაუკრა მესამემ.

იროდიონმა შორიდან დაიწყო. რატომღაც გაიხსენა დიდიხნის წარსული, როცა სავანეს ერთ სავაპროში ნოქრად მუშაობდა, მერე ძველი სოფლები მოიგონა. ბოლოს, აგერ როდისღაც, სადღესო შეკრების ამბავს შეეხო და ფიცხელი იერიში მოიტანა კრების მონაწილეებსა და განსაკუთრებით კი ვასილზე. მისი აზრით, მერგოლურს შეგნებული არ ჰქონდა თავისი მოვა-

ლეობა და არაფრის გამკეთებელი არ იყო.

— იერი ჰე! — წამოიძახა ვილაცამ.

— ამას სიცილი მოჰყვა.

იროდიონმა ყურადღება არ მიაქცია და ბოლოს ისიც თქვა, რომ მერგოლურის მიზეზით კოლმეურნეობას ჩამორჩენა ემჩნევა.

— ახლა ნამეტანს ნუ გვიზამ! — უკმაყოფილოდ შენიშნა ანდრიამ. — საიდან გაიგე, რომ თავისი მოვალეობა არ ესმის? რათ სწამებ ცილს? ყველაფერი კი არ უნდა წამოაყრანტალო, რაც ენაზე მოგადგება!

იროდიონი აქამდე დარწმუნებულ იყო, რომ ბრიგადირს სასიამოვნოდ დაურჩებოდა მისი ნათქვამი და ეოცა, როცა, ნაცვლად ამისა, საყვედური და გაკიცხვა გაიგონა. დაიბნა, იგრძნო, რომ საზღვარს გადასცდა, თანდათან შეარბილა სიტყვა და ბოლოს ქებაც შეასხა ყველას, ვისაც რამდენიმე წუთის წინ დაუნდობლად აბიპრუებდა.

— დაჯექი, დაჯექი! — ხელი ჩააქნია ანდრიამ. — ჯერ ტალახში ამოსვარე ხალხი და ახლა შენივე ხელით გინდა პირი მოწმინდო? უნაკლო არავინ არა ვართ, მაგრამ არც ისეა საქმე, როგორც შენ გგონია. ჩვენ თუ რაიმე ვუსაყვედურეთ ვასილს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მეტს მოველით მისგან და გვინდა უფრო უკეთესად ჰქონდეს საქმე. ვინ მოგახსენა, რომ ჩამორჩენა გვემჩნევა? ჩამოვრჩით კი არა, წელსაც მოწინავეთა შორის ვიქნებით. რა იყო, რას ეცი ამ ხალხს? არ უნდა ჩაუკვირდეს კაცი, რას ამბობ?

იროდიონმა თავის გამართლება სცადა, მაგრამ არავინ აცალა; გარშემო გუგუნი იდგა და გულმოსული შეძახილები ისმოდა:

— ენას ძვალი არა აქვს! ეგ ოღონდ ალაქლაქე და მეტი არაფერი უნდა! ზომ მოკვდებოდა ჯავრით, რომ არ ექა-

ქანა! თავის საწყობს მიხედოს. ის აჯობებს!

შეკრებილნი, ალბათ, ვერც ისე მალე დამშვიდდებოდნენ, მაგრამ მოულოდნელად მათკენ მომავალი გერასიმე დაინახეს და გუგუნიც მაშინვე შეწყდა.

— რა ჰქენი, ამოიტანე საწნახელი? — ხალისიანად შეეგება ანდრია და, სანამ პასუხს მიიღებდა, ჰკითხა: — როგორ ფიქრობ, არ დაგვიანდება აწყობა?

— ვეცდები, — ჩიბუხი გაბოლა და ყრუდ ჩაილაპარაკა გერასიმემ.

— აგერ ამხანაგი მალაროელი მოიხმარიე, — თავის ძმაზე ანიშნა ანდრიამ და შემდეგ თვითონ ალექსანდრეს მიმართა: — რალას გადავდოთ. დღესვე შევეუდგეთ ამ საქმეს!

ალექსანდრე დიდხანს აღარ დარჩენილა. მასთან ერთად ადგა ნათელაც, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში სმენაღქცეული იჯდა და მისი ხელი თავის ხელში ეჭირა.

თათბირი კიდევ გრძელდებოდა, როცა ჩვენ სამნი ვტოვებდით იქაურობას.

პატარა მანძილი გავიარეთ და ალექსანდრემ დამანახა ის ადგილი, სადაც უნდა მივსულიყავი. დაღმართის ბოლოს გაშლილ ვაკეზე ალვის ხეები და რამდენიმე სახლი ჩანდა.

— აი იქაა, — მანიშნა თრი დიდი შენობის შუა ჩადგმულ პატარა სახლზე.

დააპირა გამყოლოდა, მაგრამ შორს აღარ იყო, გზა პირდაპირ მიიმართებოდა, უარი ვუთხარი გაცილებაზე.

ნათელამ ძმასთან მარანში წასვლა არჩია, დავშორდი მათ და ჩემს გზას გავუდემქი.

ხის ძირში, სამკითხველოს წინ, აბესალომი დავინახე. პატარა მრგვალ მაგიდასთან იჯდა და წიგნს კითხულობდა.

მივესალმე, მაგრამ გულგრილად შე-  
მავლო თვალი და ისევე კითხვა განაგრ-  
ძო.

— მეტი ძალა არ იყო, თავი შევახ-  
სენე.

— ფრიად მოხარული ვარ, ფრი-  
ად! — მაშინვე წამოვარდა აღტაცებუ-  
ლი, ხელგაშლილი მომვარდა, მომხვია  
და თავის გვერდით დამსვა. — მაპატი-  
ეთ, თქვენი ჭირიშე, მაპატიეთ, რომ  
უეცრივ ვერ გიცანით. ეს იმიტომ მოხ-  
და რომ ნიადაგ ფიქრში ვარ გარ-  
თული.

მოვუბოდიშე, რომ შევაწუხე და მარ-  
ტობა დავერღვიე.

— აბა, ეგ რა სათქმელია! — უმალ-  
ვე შემომძახა. — დილიდან თქვენს მო-  
ლოდინში ვარ. შეგაგვიანდათ, მაგრამ  
მოხვიდოდით რა დროც იქნებოდა. მიკ-  
ვირს, აქამდე როგორ გაგიძლოთ გულ-  
მა... მაშინვე შეგატყუეთ გუშინ, რომ  
ძალიან დაინტერესდით ჩემი „ნაბუქო-  
დონოსორის მახვილით“. თქვენ გამბე-  
დაობა არ გეყოთ გეთქვათ, თორემ  
მზად იყავით გუშინვე მოგესმინათ თუნ-  
დაც რამდენიმე სტრიქონი. თქვენ გგო-  
ნიათ ვერ შეგატყუეთ?

მხოლოდ ახლა მომაგონდა, რომ გზა-  
ში შეხვედრისას რაღაც მიაბზო თავის  
რომანზე. არ ვიცოდი რა მეპასუხნა.  
შევიშმუნე და უნებურად მხრები ავი-  
ჩეჩე.

აბესალომმა რატომღაც ესევე თავისი  
სიტყვების დადასტურებად მიიღო.

— საჭირო არაა, არაფერი თქვათ.  
ისედაც მეგერა, რომ ასეა. არც შეიძლე-  
ბოდა სხვაგვარად ყოფილიყო...

რაღაც წაველულულდე. აბესალომმა  
გაშალა თავისი გრძელი მკლავები და  
ისევე მომხვია.

— რა საუცხოო ახალგაზრდა ხართ!  
მომწონს თქვენი ამგვარი მოკრძალებ-  
ბა... ვხედავ, ლოდინის თავი აღარ  
გაქვთ, მაგრამ თავს იკავებთ. თქვენს  
სახეზე, ყველა თქვენს მოძრაობაში

ვკითხულობ და ვგრძნობ ამ მოკეთიშენ-  
ლობას. მერწმუნეთ, არც ერთ უფრო  
ფსიქოლოგი ვარ და აღმამაწმინს! სხვების  
იღუმალი მოძრაობაც არ გამოიმეა-  
რება.

ხელი შემიშვა და რატომღაც ამოიხე-  
რით თქვა:

— საერთოდ ჩემგან დაფარული არა-  
ფერია. თუ დამეთანხმებით, ასეც უნდა  
იყოს. როცა ბუნება ჩემგვარ აღამაწმინს  
გააჩენს, უწინარეს ყოვლისა ამ ნიჭს  
გამოაყოლებს. ეს გარემოება ჩემი და  
ჩემისთანების ბედნიერებაა და ამავე  
დროს უბედურებაც. განა სიძარტლეს  
არ ვამბობ?

იმულებული გავხდი დასტურა მი-  
მეცა.

— მე თქვენ დაგბირდით და, რაც არ  
უნდა მოხდეს, სიტყვას შევასრულებ.  
მერწმუნეთ, ამით მინდა დავამტყიცო  
თქვენდამი ჩემი განსაკუთრებით კეთი-  
ლი განწყობილება.

მეტი ძალა არ იყო, მადლობა მოვახ-  
სენე.

აბესალომს, ცხადია, აღარ ახსოვდა,  
თუ რატომ მოვედი. ჯერჯერობით არ  
ჩანდა თასის წამლები და ამიტომ მოთ-  
მინებით ვიჯექი და ვუსმენდი. ერთგვა-  
რად კიდევაც მართობდა ეს ახირებუ-  
ლი კაცი.

— ვიცი, ეს დღე მარად მოსაგონარი  
იქნება თქვენთვის, ასეთ ბედნიერ შემ-  
თხვევას ვერაფერს დაივიწყებ. თქვენ  
ჯერ ახალგაზრდა ხართ და მხოლოდ  
მომავალში, მრავალი წლის შემდეგ,  
როცა სიბრძნეს შეიძენთ, მიხვდებით  
და დაფასებთ იმ ყურადღებას, რომე-  
ლიც თქვენდამი გამოვიჩინე...

ისევე მადლობა მათქმევინა.

— არა, ამისათვის მადლობას ნუ  
მეტყვით! — ხელი გააქნია აბესალომ-  
მა. — მე თავმდაბალი კაცი ვარ, არც  
მინდა ვაგრძნობიშო ვინმეს, რომ დავა-  
ლებულია ჩემგან. გამოვიტყუდებით,  
რომ ხანდახან განზრახ ვუზიარებ სხვა

ჩემს ფარულ აზრებს. ეს საჭიროცაა ხოლმე ჩემთვის, ამით ნაწილობრივ მაინც ვიძულებები იმ ტვირთს, რომელიც მაწვეს. რომ იცოდეთ, რა, მძიმეა ეს ტვირთი! მაგრამ არ იფიქროთ, რომ ამის გამო ბედის მომჩივანი ვიყო. ო, არა! მე მზად ვარ უფრო მეტიც ვიტვირთო, ოღონდ ამით ვემსახურო ქვეყანას და იმ საქმეს, რომელიც განგებამ დაძაბა. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. სჯობს მოვესმინოთ პირდაპირ იმ დიდებულ მეფეს, ვისაც ჩემმა კალამმა უკვდავება მიანიჭა...

ვგრძნობდი ახლოვდებოდა წუთი, როცა თავისი ნაწარმოების კითხვას დაიწყებდა. ერთადერთი ის მიხსნიდა ამ განსაცდელისაგან, თუ მასწავლებელი დროით გამოჩნდებოდა. მაგრამ ის არსად იყო.

— გადაწყდა! — თითქმის მღელვარებით წამოიძახა ბოლოს. — შეგიბრალე და მეტს აღარ გალოდინებთ. ახლავ, ახლავ ჩემო მეგობარო!

ამ სიტყვებით წამოდგა და სამკითხველოს მიაშურა.

ბავშვების უკანასკნელი ჯგუფი გამოვიდა სკოლიდან. ყუბინით გამოფინენ ეზოში, ხმაურით ააესეს იჭაურობა და თამაშით გაუდგნენ გზას.

რამდენიმე წუთის შემდეგ მასწავლებლებიც გამოჩნდნენ. ერთი მათგანი, შუახნის ჩასხმული კაცი, რომელიც ოდნავ კოჭლობდა, ჩემსკენ წამოვიდა. ჩამიარა გვერდით, შევიდა სამკითხველოში, მალე ისეე გამობრუნდა გაზეთებით ხელში, ჩამოჯდა ზის ძირას მაგიდასთან და კითხვა დაიწყო.

გულმა მიგრძნო, — ის კაცი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ვაშლოვანიდან თასი წამოეღო.

ის იყო დავაპირე ჩამომეგდო მასთან საუბარი, როცა სამკითხველოდან აბესალომი გამობრუნდა. თან მოჰქონდა ქაღალდის დასტა და სკამი. საზეიმოდ განწყობილი ჩანდა. ფურცლების კონა

მაგიდაზე დადვა, ღრმად შეისუნთქა და საკითხავად მოემზადა.

— „ნაბუქოდონოსორის მახვილით“, ეპოპეა ოთხ ნაწილად, თხზულება აბესალომ თერგისპირელისა... — ამღერებული ხმით დაიწყო და ხელნაწერი გადაშალა.

— მოულოდნელად შეწყვიტა კითხვა, თვალი შეგვაჯლო ორივეს და მასწავლებელს მიმართა:

— ბოდიშს ვითხოვ, თქვენ ხომ იცნობთ ამ მოქალაქეს? — ანიშნა ჩემზე. მასწავლებელმა სათვალეს ზემოდან გადმოიმხედა და უარის ნიშნით თავი გააქნია.

— ეს ახალგაზრდაც ჩემი ნაწარმოების თაყვანისმცემელი გახლავს!

ასეთი რეკომენდაციის შემდეგ მასწავლებელმა ისევ შემომხედა, თითქოს რაღაც შებრალებით და გულგრილად ჩამომართვა ხელი.

— მაშ, შევეუდგეთ! — საკითხავად მოიმარჯვა ფურცელი აბესალომმა. — დარწმუნებული ვარ, პატივცემული ქრისტეფორეც უარს არ იტყვის და ერთხელ კიდევ მოისმენს...

— აჰ, არა, შენი ჰირიმე! — მოურიდებლად მიახალა მასწავლებელმა. — მე რაღა საჭირო ვარ, აგერ გყავს მსმენელიცა და თაყვანისმცემელიც.

თითქოს შეიცოდაო, ისე მიაჩერა თვალი აბესალომმა და გულისტკივილით ჩაილაპარაკა:

— არ დაგიფარავ, ჩემო კეთილო, დაგსაჯა ბუნებამ, სილაშხის ათვისების უნარი არ მოგცა...

— გული რაზე მოგდის? — გაეღიმა ქრისტეფორეს. — საწყენი არაფერი მითქვამს. ხომ მოვისმინე ერთხელ და მოგახსენე ჩემი აზრი?

— ჰო, მაგრამ, ის მხოლოდ პირველი ნაწილი იყო...

— რა ვქნა, ჰირიმე მეტს ვედარ ვაუძღელი, ნამეტანი ბრაბაბრუხის კაცია ის შენი ნაბუქოდონოსორი.

აბესალომს ეოცა ამის გაგონება.

— მხოლოდ უსულგულო ადამიანი ვერ იგრძნობს და ბრმა ვერ დაინახავს იმ დიად სურათს, რომელიც აქ დაეხატა, — მუშტი დაახალა ქალაღდის დასტას. — სჯობს გულახდილად თქვა, რომ ვერ ჩაწვდი ნაწარმოების ღრმა აზრს. შენ და შენისთანები, რასაკვირველია, მომიწონებდით მდაბიურად რომ დამეწერა. თქვენ მიჩვეული ხართ ისეთ წიგნებს, სადაც კაცუნებზე მოგვეთხრობენ... ვწერო ცხოვრების წერილმანებზე? ვიღაც ნიკალზე და მარიამაზე? ნურას უკაცრავად, მდაბიურად ტიტყონი მე არ შემიძლია და არც პატარა მოვლენები მაინტერესებს!

ქრისტეფორე ყურადღებას არ აქცევდა აბესალომის გაბრაზებას და ყოველთვის, როცა მიმართავდა, ისეთ პასუხს აძლევდა, თანაც ისე მშვიდად და ღიმილით, რომ კიდევ უფრო აღიზიანებდა უამისოდაც აბიღბილებულს.

— იცი თუ არა შენ, ვინაა ნაბუქოდონოსორი?

— რომელი? შენ რომ ოჩოფეხაზე შემდგარი დაგყავს?

— კმ... ოჩოფეხაზე! შენ ვერც კი ამჩნევ იმ ბრწყინვალე გარემოს, რომელშიაც ის მოვათავსე.

— ვამჩნევ, ჩემო აბესალომ, და ამიტომაც, რომ მეცოდება კიდევაც. აბა დაუკვირდი, რა ხალხი ახვევია იმ კაცს შენი წყალობით? ათასი ჯურის მახინჯები — მკვლელები, გამხრწნელები, სქესობრივად ავადმყოფნი, ჯაშუშები, გაცემლები. ამათი მეფე იყო ის ოჯახდაქვეული? მე რომ შენი ნაბუქოდონოსორის ადგილზე ვიყო, ხელში მახვილს არ ავიღებდი მათ დასაცავად. არ ღირდა ამისათვის მისი ღანღის შემფოთება და შენც ტყუილად იწუხებ თავს. დიდებული საქმე ჩაგაბარეს აგერ და, თუ შეგძლია, მოუტარე ამას, ძმურად გირჩევ. ამაზე უკეთესს ვერაფერს ვააყეთებ.

— მე მხოლოდ მომავალი საუკუნეები დამათვსებენ... — ღრმად ამოიფარა აბესალომმა, ადგა, გაბრაზდა და დაბრუნდა მაგიდასთან და შემდეგ მომართა: — ახლა თქვენც ხედავთ, რა მძიმეა ჩემი ხვედრი. ასეთ განათლებულ პიროვნებასაც ვერ გაუგია ის აზრები, რომელნიც ჩემს ნაწარმოებშია გაბნეული და სხვას რა მოეთხოვო... რომ იცოდეთ, რაოდენი სიღრმეა შიგ! რად ღირს მარტო ამ დიდებული მეფის მონოლოგი თავის მახვილზე! აი, მოისმინეთ და მერე თქვენ თვითონ განსაჯეთ, მართალი ვარ თუ არა.

გადაფურცლა. კარგა ხანს ეძია, მაგრამ ვერსად იპოვა.

— სადაა, სად დაიკარგა? — ეკითხებოდა თავის თავს და ისევ ეძებდა. უეცრად შემფოთება გამოეხატა სახეზე და წამოდგა. — ალბათ შინ თუ დამივარდა სადმე... ერთი წუთის მოთმინება, ახლავე მოვიტანი!

სწრაფად გაგვმორდა და სახლისკენ გზას დაადგა.

ვისარგებლე აბესალომის წასვლით და მასწავლებელს გამოველაპარაკე.

— მე სწორედ თქვენი ნახვა მინდოდა, ბატონო ქრისტეფორე...

— ჩემი ნახვა? — გაზეთი დაკეცა და სათვალე ჩამოიხსნა. — უკაცრავად, ვინ ბრძანდებით თქვენ?

გამოვეცნაურე და ვუთხარი რა საქმეზე ვიყავი ჩამოსული რაიონში.

— მერე და, მე რაში დაგპირდით?

— ამ რამდენიმე ხნის წინათ ვაშლოვანში იყავით, არა?

— ჰო, ვიყავი.

— როგორც მიიხრეს, თქვენ იქ ძველებური თასი გიპოვნიათ.

ჩაფიქრდა. თავი გააქნია.

— არაფერი მაგის მსგავსი.

— აბა, გაიხსენეთ... ბავშვებს ჰქონდათ წყაროზე. თქვენ ყურადღება მიაქციეთ იმ ნივთს და გამოართვით კიდევაც.

— აჰ, ფიალას მსგავსი რაღაც სასმისი, არა? — მოაგონდა ქრისტეფორეს. — როგორ არა, მახსოვს.

ვიგრძენი როგორ შემთხვევითი აღდა გული.

— მაშ, თასი თქვენ გაქვთ?

სიხარულისაგან აღვილიდან წამოვიპერ მზად ვიყავ მოვხვევოდი.

— თქვენთან ინახება? — უკვე მოუთმენლად კვითხე, რადგან ის პასუხს მიგვიანებდა და მხოლოდ გაკვირვებით მიცქერდა.

— არა, მე არა მაქვს...

ამის გაგონებაზე ძლივს შევიკავე თავი, რომ არ მეყვირნა.

— როგორ თუ არა გაქვთ? მაშ რა ექნა? მიეცით ვინმეს?

— არც წამომილია...

— აბა ბავშვებმა ტყუილი მითხრეს?

— ისინი ჩემზე აღრე წავიდნენ და აღბათ არ იცოდნენ, რომ შემდეგ გადავიფიქრე მისი თრევა. იქვე დადევნი წყაროსთან.

ისე დაიკარგა კვალი. ისე აიბურღა ყველაფერი.

— რა ქენით ეს, რა ქენით! ამოვიოხრე და სკამზე დავეგდე.

ქრისტეფორე გაოცებული მომჩერებოდა.

— ბოლოსდაბოლოს რა მოხდა ასეთი, რაღაც უბრალო ფიალა იყო და მეტი არაფერი...

— საქმეც ისაა, რომ უბრალო არ იყო. — ნაღვლიანად ჩავილაპარაკე. — თქვენ ძალიან ძვირფასი ძველებური ნივთი იბოვეთ და მერე ასე დაუდევრად მიავლეთ საღდაც... იმასაც კი ამბობენ, რომ ზედ გორგასალის სახელი იყო ამოჭრილი.

— დარწმუნებული ხართ, რომ სწორედ ის იყო? — უკვე შეფიქრინდა მასწავლებელი. — მე ვიბოვე და მე დაეკარგე?

ახლა ისიც სწუხდა თავის შეცდომას.

— ჰო, მაგრამ, განა შემიძლო მეფიქ-

რნა მსგავსი რამ? მართალია, პირველად რომ ვნახე, მეუცნურაე და გეგონებოდა ბავშვებს, მაგრამ შემდეგ ჩემთვის რაღაც მეჩვენა, რომ... რა ვქნათ ახლა, რაღა ეშველება ამ საქმეს? ნუთუ დაიკარგებოდა?

— რა ვიცი, — უიმედოდ ჩავაქნიე ხელი.

— შეუძლებელია! — თუ ახლაც იქვე არ გდია, სოფელში ექნება ვინმეს და მოიძებნება.

რომ არ დამენახა, თუ რა გულწრფელად სწუხდა, მართო საყვედურს არ ვაკმარებდი, მაგრამ რა მეთქვა კაცისთვის, რომელიც ახლა ჩემსავით დარდიანობდა.

როგორღაც თავიდანვე უიღბლოდ დაიწყო იმ ნივთის ძებნა და ახლა თითქმის აღარ მქონდა იმედი, რომ ოდესმე ვიპოვიდი. ჯერ კიდევ გულში დარწმუნებული ვიყავ, რომ უკვე ხელთ მქონდა, გამარჯვებული ვაპირებდი შინდღვანიდან დაბრუნებას და ასე მოულოდნელად კი შეიცვალა ყოველივე.

„რა ვქნა ახლა? — ამასლა ვფიქრობდი — მაინც ვცადო და განვაგროძო ძებნა?“

რაღაცას მიამბობდა მასწავლებელი, მგონი რჩევას მაძლევდა, მაგრამ აღარ ვუსმენდი. ან რა უნდა ეთქვა? ვითომ გამამხნევებელი სიტყვები, ვითომ ნუგეში, რომელიც სამძიმარს უფრო ემსგავსებოდა?

შორიდან აბესალომს მოვკარი თვალი.

ის უკვე ბრუნდებოდა შინიდან. თითქოს რაღაც ქაღალდი ეჭირა ხელში.

წარმოვიდგინე რა წამება მომელოდა და მაშინვე გადავწყვიტე მეშველა ჩემი თავისათვის.

აბესალომი ჩქარი ნაბიჯით გვიახლოვდებოდა. დახანების დრო აღარ მქონდა. სასწრაფოდ გამოვემშვიდობე ჩემს მეზობელს და გავშორდი.

— რა იყო, რა მოხდა, ყმაწვილო? — შეშფოთებული მომძახოდა ქრისტეფო-

რე. — დაიცადეთ, მოვიზროთ, მოვი-  
ფიქროთ!

ერთხანს კიდევ მესმოდა მისი ხმა,  
მაგრამ ისე მოკვუსლე, უკანაც არ მო-  
მიხედავს.

\* \*

მეორე დღით დავტოვე შინდოვანი.  
ჩემი მასპინძლები გულწრფელად  
სწუხდნენ, რომ ასე მალე მივდიოდი.

პატარა დედამ, ნათელამ და ალექ-  
სანდრემ სოფლის ბოლომდე ჩამაცი-  
ლეს.

ნათელას ისევ წითელი კაბა ეცვა.  
მთელი გზა არ მოშორებია და ხელჩა-  
კიდებული მომყვებოდა.

— რავა სიზმარივით გაქრა ერთი

დღის ბედნიერება. რა იქნებოდა ცოტა  
ხანს კიდევ მეცქირა შენთვის! — წუ-  
ხუნებდა დედობილი. — როდისღა მო-  
ვესწრები შენს ნახვას!

გავედით თუ არა დიდ გზაზე, ვაშ-  
ლოვანისკენ მიმავალი მანქანა შემხვდა.

ისე დამეშველიბა პატარა დედა,  
თითქოს მართლაც სამუდამოდ ვშორ-  
დებოდით ერთმანეთს. ჩამიკრა გულში  
და აქვითინდა. ნათელა ჯერ თავს იკა-  
ვებდა, მაგრამ ბოლოს იმასაც ცრემლე-  
ბი გადმოდინდა.

— შენ იცი, თუ არ დაგვივიწყებ. —  
ხელი ჩამომართვა ალექსანდრემ. —  
შენი მოსვლა ყოველთვის გაგვახარებს.

მიქროდა მანქანა და კიდევ დიდხანს  
ვხედავდი მათ, — უძრავად იდგნენ და  
ჩემსკენ იცქირებოდნენ

(პირველი ნაწილის დასასრული)

5181  
 5181  
 5181



ილი მოსაზრებელი

## რა დახრის ქვეყნად მშვილდობის დროება \*

★

ჩვენს საბჭოს, ხალხის უმადლეს საბჭოს,  
 ხელთა აქვს ქვეყნის საჭე მბრუნავი,  
 მისი მშვიდობა, ღვინო და ჭირი  
 ჩვენი საქმეა და საზრუნავი.  
 მიტომ ვთვლით ქვეყნის თვითეულ აგურს,  
 ვსინჯავთ თვითეულ ქვას და ხარაჩოს,  
 ხალხის დოვლათის ყველა მარცვალმა  
 ხალხის სიკეთეს რომ უდარაჯოს.  
 აი ეს წელი, ბელადის ხელმა  
 გზა რომ გაუხსნა ხეთწლედის ბჭედან,  
 ერთი წიგნია, ჩახედეთ ამ წიგნს,  
 თითქოს უენო ციფრები სხედან,  
 მაგრამ წამიერ დაუგდეთ ყური,  
 რას ამბობს მათი უღერა მგზნებარი,—  
 ყოველ სტრიქონში მღერის ცხოვრება,  
 ხალხის ფიქრი და ნაოცნებარი.  
 გულში ჩახედეთ, დაუგდეთ ყური  
 ასოების და რიცხვების ენას,—  
 სამგორის ველზე მოსჩქეფს იორი  
 და ვერ ასწრებენ ტალღები დენას,  
 რუსთავეის ცაში აღის ქალაქი,  
 ქართველი ხალხის შრომის დიდება;  
 გადამლით ამ წიგნს, და როგორც ლითონს  
 ყველა პწკარს ცეცხლი მოეკიდება.  
 სხვა ფურცელს გახსნით,— წამოვა მტკვარი,  
 თრთოლვას დაიწყებს ცხელი მავთული,  
 ელნათურები ცვლიან ასოებს  
 და შუქში ჯდება მიწა ქართული.  
 მტკვარი მცხეთასთან, კრწანისთან მტკვარი,  
 ხრამზე, რიონზე — ცეცხლი ფერადი,  
 რომ საქართველოს ედგეს ნათელი  
 მზის დასავლიდან მყინვარწვერამდი.  
 მისდევთ სტრიქონებს, სავსე ბაღია

\* სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე 14 ივლისს.





სამშობლოს ყველა გადასახედი, —  
 აი ზერებში და მწიფე ყანებში  
 კიდით-კიდემდე ცურავს კახეთი!  
 აი ხეხილის ტყეში შეხვედით,  
 თქვენს წინ გაიღო ქართლის ჭიშკარი,  
 ირგვლივ ბაღები ნაყოფდასხმული  
 და შიგის ქოხი დაუვიწყარი,  
 სადაც ქართველმა დედამ არწია  
 ქვეყნიერების მხსნელი ცისკარი!  
 წიგნი კი არა, ნატერის თვალია  
 მშობელი ქვეყნის ყველა კიდური,  
 ქართლსა და კახეთს მარად უქკნობი  
 ამკობს ბალნარი ლიხსიჭითური;  
 ჩვენი კოლხიდა აყვავებული  
 და მისი ხალხი, როგორც ფუტკარი  
 თავს რომ ველებს თვითთულ ნაყოფს,  
 რადგანაც კერა აქვს საკუთარი!  
 მაგრამ ამ ბაღში, ტურფად რომ ჰყვავის,  
 განა აღარსად დაგვრჩა ეკალი?  
 რამდენი უნდა გავაღოთ კიდევ  
 გზა ჩაკეტილი მთების კლდე-კარი?  
 ქართული ბური არ გვეოფნის ჯერაც  
 და გვალვა რამდენ ჭინჩხულს გვიწვავს!  
 ზოგან ქაობი გვიღობავს ხნულებს,  
 ზოგან ლანქერი გვიოხრებს მიწას.  
 ზოგჯერ ადგება მშვიერი ქარი,  
 გაშლილ ველებზე გიყიფით როკავს,  
 ამოთხრის ჯეჯილს და ცხელი ენით  
 წყალმოწყურებულ ნახნავებს ლოკავს,  
 უნდა შევუკრათ გზეთი ლანქერებს,  
 ქარსაცავებით ჩაეღობოთ ქარი,  
 საქვეყნო საქმის კეთილ უღელში  
 უნდა მესამედ შევაბათ მტკვარი.  
 უნდა არხებით დავქსელოთ მიწა  
 და ყველა ქართველ მეზერეს, მეხილეს  
 გულუხვად მივცეთ, რაც კი წყარო სდის  
 მშობელ მთებსა და უღელტეხილებს!  
 ქარხნებს — ლითონი, მიწას — ხორბალი  
 უღვევლ ხევად უნდა ედინოს,  
 რომ კაცის ხელმა ჯიუტ ბუნებას  
 ყოველგზით კარი გააღებინოს!..  
 მიტომ ვთვლით ქვეყნის თვითთულ აგურს,  
 ვსინჯავთ თვითთულ ქვას და ხარაჩოს,  
 ხალხის დოვლათის ყველა მანეთმა  
 ხალხის სიკეთეს რომ უდარაჯოს.



აი ეს წელი, ბელადის ხელმა  
 გზა რომ გაუხსნა ხუთწლედის ბჭედან,  
 დიდი წიგნია, ჩახედეთ ამ წიგნს,  
 თითქოს უენო ციფრები სხედან,  
 მაგრამ იღუმალ დაუგდეთ ყური,  
 რას ამბობს მათი ჟღერა მგზნებარი, —  
 ყოველ სტრიქონში მღერის ცხოვრება,  
 ხალხის ფიქრი და ნაოცნებარი.  
 და აი უკვე მოჩანს ნაპირი,  
 კომუნისმის დღე ახლოს ელვარებს,  
 ყოველ მზის სხივში, ცას რომ გააღებს  
 ვხედავთ მის ნათელს და მის მწვერვალებს.  
 ეს დღე დიადი ჩვენთან მოვიდა,  
 ეს დღე დიადი ყველასთვის მოვა,  
 ამიტომ უფოთავს შავი მგელკაცი  
 და უოლ-სტრიტელ მკვლელების ხროვა.  
 ამიტომ მისი ქვემძრომი ხელი,  
 სიტყვით რომ ვაჭრობს — საქმით ყაჩაღობს  
 და თოფის წამალს ჰყიდის კარიკარ,  
 ახალი ომი რომ გააჩაღოს.  
 აბა, გახედეთ უსაზღვრო ხმელეთს, —  
 აქა-იქ ცეცხლი ანთია დღესაც,  
 ზვერაგს ტრუმენი ევროპის ხნულებს  
 და შავჭირიან ზოგოებს თესავს.  
 გახედეთ სისხლით მორწყულ ვიეტნამს,  
 ლერწმის ქოხებზე კვამლი ტრიალებს,  
 იქაც ტრუმენი გზავნის ყვავე-ყორნებს,  
 ლეშის მაძებრებს და შავფერთიანებს.  
 და აი უკვე კორეის მიწას  
 შეუწოთ ომის შავი ხანძარი,  
 რომ აქაც დოლარს დაუდგას ტაბტი —  
 სისხლიანი და გაუმადლარი.  
 მისი დროშა და მისი მეგზური  
 ატომურ ბომბის შავი ლანდია,  
 ამ ლანდს დაჰყვება იგი კარდაკარ,  
 სადაც კი მცირე ცეცხლი ანთია.  
 უნდა ეს ცეცხლი მოედოს ხმელეთს,  
 რომ ქვეყნად თვითონ დარჩეს შეფობა,  
 რადგანაც მალე, ხალხებს რომ სძარცვავეს, —  
 ამ ხალხის სისხლიც აღარ ეყოფა.  
 მაგრამ სად არის ამ ქვეყნად ძალა,  
 რაც კი ძალაა კაცისმიერი, —  
 საბჭოთა ხალხზე, ჩინეთის ხალხზე  
 და ყველა ხალხზე უფრო ძლიერი.

სად გაგონილა მზე დააბნელოს  
 და მის სინათლეს სძლიოს უკუნმა! —  
 გესმით? — არ გვინდა ომი და ცეცხლი! —  
 მსოფლიოს ხალხმა დაიგუგუნა!  
 — ომი ომს — რეკენ კრემლის ზარები,  
 — ომი ომს! — ხალხთა პასუხი ხედება  
 და სამშვიდობო მოწოდების ხმა  
 მთელი ხმელეთის ძახილი ხდება.  
 რეკენ ზარები და ღამით, ცაზე  
 კრემლის ვარსკვლავი როცა იელვებს,  
 უხმობს ვიეტნამს, უხმობს ინდოეთს  
 და ხმალამოწვილ მალაიელებს...  
 და თუმც მძარცველთა ვერაგი ხროვა  
 ქსელავს საომრად ახალ ფაცერებს,  
 ხალხთა მშვიდობის უძლეველ ძალას  
 ამ ქვეყანაზე რა შეაჩერებს!  
 რა დახრის ქვეყნად მშვიდობის დროსას,  
 სტალინის ნაცად ხელს რომ უპყრია,  
 ყრმობის წლებიდან ცეცხლში იარა  
 და იგი წამით არ დაუხრია!  
 მიტომ მტკიცედ დგას მსოფლიოს ხალხი,  
 რადგან ბრძენი და მუდამ მართალი,—  
 დღესაც მედროშედ უძღვის სტალინი,  
 მშვიდობის დიდი მთავარსარდალი.  
 მას გამარჯვება პირველ დღიდანვე  
 ჩვენთვის ჰქონია დაბედებული,  
 იყოს დღეგრძელი დიდი სტალინი —  
 ხალხის იმედად დაბადებული!

სიმონ მთავარიძე

## ჩაშლილი ქორწილი

მოთხრობა

★

გასაკვირველი და მოულოდნელი არაფერი გახლდათ! იმათ ჯერ თვალით არ ენახათ ერთმანეთი, მაგრამ გაგონებით კი ბევრი რამ გაეგონათ ერთმანეთზე. ამის მიზეზი ერთის მზეთუნახაობა იყო, მეორისა კი — ქებული ვაჟაკობა. ისინი დაფარული ოცნებით ნატრობდნენ გაცნობას; ლხინსა თუ გლოვაში, სახალხო დღესასწაულებსა, თუ კერძო ნადიმებში, იღუმლად კითხულობდნენ ერთმანეთზე: „ვინ არის? რომელია?“ მაგრამ ყოველთვის იმედგაცრუებული რჩებოდნენ. და, აი, სწორედ მაშინ ნახეს ერთმანეთი, როდესაც ყველაზე ნაკლებ ელოდნენ, ნახეს ისეთ ვითარებაში, რამაც მათი ბედი უცებ გადაწყვიტა.

მოგესხენებათ, რომ კახეთის მეტი ნაწილი მთა-გორაკთა კალთებზეა განფენილი. თვითვე სოფელსა თუ დაბას ძალიან ხშირად უკან ტევრავრული ტყენი, თვალწუღენი მთები და შიშველ კლდეთა ბუმბერაზი აღნაგობა აქვთ საფარად, ხოლო წინ ხალიჩასავით გადაშლილი ტრიალი მინდვრები და მდინარე ალაზნის, ან იორის ჩაქარდნილი ხეობები.

მთელი კახეთი დასერილია ხევ-ხუვეებით, რომელნიც ერთმანეთისაგან ჰყოფენ დასახლებულ ადგილებს. გაივლით ხევს და უთუოდ ახალ სოფელს, დაბას, ან ქალაქს მიადგებით. მათ სათავეები სადღაც მთებისა და კლდეების ძირებში აქვთ, იქიდან მოემართებიან დაქლაკ-

ნილ-დაგრეხილნი მდინარეთა კალაპოტებამდე. უხსოვარ დროიდანვე ბუნებას ისინი მთებში მოხეტყილ ნიაღვართა გზის მისაცემად და დასაწრეტად დაუწყესებია. თვითვე ასეთ ხევში ზაფხულის პაპანაქება სიცხეში ქველორდი თეთრად ქათქათებს, წვეთ წყალსაც კი ვერსად ნახავთ; ასევეა ზამთრის მკაცრ ყინვებში — თოვლის საფარ ქვეშ, მაგრამ რაოდენ საშიშარნი ხდებიან ისინი გაზაფხულისა და შემოდგომის დაკინებული წვიმების დროს. ამის წარმოდგენა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც თავისი თვალთ უნახავს. ხევი ყველაზე თავზარდამცემი მაშინ ხდება, თუ მთებში ანაზღად მოსკდა დელგმა და ღვარცოფი. თეთრად მოქათქათე რიყეზე უცებ გამოვარდება მოშავ-ყვითლო ნიაღვარი და ყველაფერი თან მიაქვს. შემზარავი ხმაურითა და გრიალით ჩამოუტრბენს სოფლებს, მიანგრ-მოანგრევს ყველაფერს, წალეკავს ბაღ-ბოსტან-ვენახებს და ყოფილა შემთხვევაც, რომ ქვიტირის უმტიციესი შენობებიც კი დაუღია და ადამიანთა სიცოცხლაც უშსხვერპლნი! ამის ნათელსაყოფად მოვიგონოთ თავიანთი სიამრით ქებულნი: ღურუჯი — ყვარელთან, ბარჯისხევი — ბაკურციხესთან, მღვრიე — ჩაილურთან, თვალთხევი — შიგ შუაგულ საგარეჯოში, ლაფიანხევი — ხაშმთან და კიდეც ვინ მოსთვლის?

ყველაფრის მძლევ ადამიანის გონებას თავიდანვე ამ დამთხვეული ნიაღვრები-საგან თავის დასაცავად ბევრი რამ გაუკეთებია, მაგრამ გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, ხშირად, ეს გაკეთებულიც დაუშვია და გაუნადგურებია. თავდაცვის მიზნით ზოგიერთ სოფელსა და დაბაში მაინც საუკუნიდან-საუკუნემდე იმდენი გოდორ-ყურეები და ჯებირები გაუკეთებიათ, რომ ამნაირი სოფლისა, თუ დაბის მსგავსი სამი და ოთხი კიდეც აშენდებოდა.

კახეთში ხშირია ყოვლისმსახერელი ნიაღვრები, ხევ-ხუეებზე რომ მოედინება და ხშირად საბედისწეროც რომ ხდება მოსახლეობისათვის. ასეთი ნიაღვრებით გამოწვეული შიმშის თავზარი და უბედურება სხვაგან შესაძლებელია შემთხვევითი იყოს, კახეთისათვის კი დამახასიათებელია! ამიტომ ეს მოთხრობა აქედან მინდა დავიწყო, ხოლო ასეთი შესავალი მკითხველის თანაგრძნობისათვის დამპირდა: ყველამ თავიდანვე მინდა იცოდეს, რომ ამბავს, საფუძვლად აუცილებლობა უქვეს და არა შემთხვევითობა..

— : —

მისი მშობლების სახლი, თუთისა და ბლის ლამაზ ხეხილარში ჩაფლული ზედ ხევის ნაპირას იდგა. ამ რამდენიმე წლის წინათ, ჯერ ისევ გოგო ეთქმოდა, რომ დიდი საშინელების მოწმე გახდა: ნიაღვარმა შორი ახლოს აყვავებული ბაღნარი წალეკა და კინაღამ ამ სახლის ეზო-ყურესაც უწია! მაშინ, როგორც იყო, გადარჩნენ, თუმცა ირგვლივ ყველაფერი ხრიოკ რიყედ იქცა; ამ რიყეზე, ნიაღვრის შემდეგ, უზარმაზარი ხეების ჯირკებილა მოჩანდა, პატრონს დაეკაფა, ძირები არ ამოეყარა და უცხოც და შინაურიც ამითლა მიხედებოდა, რომ აქ ერთ ღროს სიცოცხლე ჰყვავოდა!

იმ საშინელი წყალდიდობის შემდეგ სხვა რამეც მოხდა: თავზარდაცემულმა სოფელმა ხელი გამოიღო და მათი სახ-

ლიდან ორასიოდე ნაბიჯზე, ისეთი გოდორ-ყურეები და ჯებირებმა დაშინა შიმში ალარაფრისა ჰქონდათ, მაგრამ, არ, კვლავ განმეორდა ის, რამაც ბავშვობაში კინაღამ ხელიდან არ გამოაცალა მოხუც მშობლებს ბალის კუნწულასავით მოხდენილი გოგონა!

გუშინ ნაირფერად აჭრელებული მაისი ზღაპრული ოცნებებით ანებიერებდა, ამ დილით თავზარს სცემდა და აღსასრულის საშინელებას თვალწინ უყენებდა! მოხუც მშობლებს შუაღამის შემდეგ არც სძინებიათ, თურამ საშინელი ჭექა-ქუხილი და მეხთა გრიალი ისმოდა ცივგომბორის მთებში და ძილი დაფრთხობოდათ. სისხამ დილით მთელი სოფელი ფეხზე დაეყენებინა ხევს, რომელიც აზვირთებულ მდინარედ ქცეულიყო და ხმაურზე ისიც წამოხტა, აივანზე გამოვარდა; წყალი სწორედ იმ ჯებირს მოსწყდომოდა, რომლის იმედიც ხალხს ჰქონდა; სხვებთან ერთად ისიც გაოგნებული და გონდაფანტული დაპყურებდა საოცარ ცვლილებას: მის წინ თეთრად მოქათქათე ქვა-ლოდებით მოფენილი ხევი კი აღარ იყო, არამედ ცოფმორეული ზღვა, მთელ სოფელს წალეკვას რომ უქადა.

— მთვარისა! — შემოსძახა ეზოდან მოხუცმა მამამ. — დიდი უბედურება გველის, ჩაიცივი, მზად იყავი! თუ დღეს გადავრჩით, ერთ კვირას ქეიფს არ მოვშლი! ჰო-და... შენ ნუ გამოხვალ, ჯებირის გამაგრება ქალის საქმე არ არის! — თქვა მან და ხუსხუსით ჯებირისაკენ გაქანდა, აუარებელი ხალხი თავს რომ ეხვეოდა.

— არ შეგეშინდეს! — შემოსძახა წელში მოხრილმა დედამაც. — პირველი ხომ არ არის, ჩემო სიცოცხლე! რაკი ხალხი გამოვიდა, ხევი კი არა, წარღვნაც ვერაფერს დაგვაკლებს! მე დაეხედავ და ახლავე მოვალ! ჰო, ფხიზლად იყავ, შვილო! თუ წყალმა გადმოხეთქა, მე ნუ მიყურებ, ზემო უბნისაკენ გაიქეცი! — და არიგა დედამ და ეზოდან გავიდა.

მოხუცი თავიანთ ქალს ავ ნიავს არ აყარებდათ ყველაგან და ყველაფერში იმას ცდილობდნენ, რომ მისთვის ესიამოვნებინათ და წუთისათვის სიძვე ახლოს არ მიეყარებიათ. ამ ერთი ქალის მეტი არავინ ჰყავდათ და თავს დაჰკანკალვდნენ. იგი მშობლებისათვის არა იყო სიცოცხლე და ბედნიერება იყო, არამედ სიამაყე! ამ სიამაყეს ქალის დახატული გარეგნობა და ზნეობრივი სიფაქიზე იწვევდა. ჯერ ცხრამეტი წლისა არ იქნებოდა და მთელ მხარეში უკვე სახელი ჰქონდა განთქმული თავისი მზეთუნახაობით და ამაზე უფრო მეტად პატიოსნებით! ვინც კი მთვარისას ნახავდა უმაღლე დაასკვნიდა რომ მშობლების სიამაყე საფუძველს მოკლებული არ იყო.

ტანად მთვარისა ერთსა და იმავე დროს მაღალიც იყო ტანსაცმელსა და წელში იმდენად წვრილი, რომ ღვედვით მოქნილს ჰგავდა; წაბლისფერნაწინავება, პირბადრი და წვრილ-წარბა ნეტარების ბურუსში და ოცნების სამყაროში მიაქანებდა ყველა მხილველს! ზორბლისფერი სახის კანი ნაზი და სარკესავით კრიალა ჰქონდა. შუბლი ფართო და გადატყეცილი. განსაკუთრებით კი უნდა გენახათ მისი სხივოსანი და თანაც ქლიავივით მოყვანილი თვალები, ერთთავად რომ უკრიალებდნენ. არა! შეუძლებელი იყო გენახათ ეს მომგადობელი მშვენიერება, რომ გუნებაში აღტაცებით არ წამოგეძახათ: „ჰოი, უბადლოება! იყავ და ინარჩარე ამ ქვეყნად მხოლოდმხოლოდ იმიტომ, რომ შენ ერთი ხარ მშობელი ერთსა და იმავე დროს: წარმტაცი სიხარულისაც და ტყბილი სევდისაც!“

ასეთი იყო იგი და სწორედ იმიტომ ძალზე სწუხდნენ მშობლები მისი ბედით. საუნჯეს რკინის საღაროში ჩავეტით იცავენ, ლამაზ ქალს კი მალე გათხოვებით! მთვარისამ სოფლის ათწლედი დაამთავრა და მოხუცთ ველარ გაბედეს თბილისის უმაღლეს სასწავლებელში

სხვის ანაბარად ჰყოლოდათ. მათი აზრით: ქალს მხოლოდ პეტროპოლისში უნდა ავშვენებს და არა სიბჭოთაში, სადა ხელობის ცოდნა. გათხოვება და ქმრის ხელში დედობრივი მოვალეობის მოხდა, — აი, ქალის ნამდვილი დანიშნულება! მოხუცი დედ-მამის მთელი ცდა იქით იყო მიმართული, რომ ვიდრე ქალს ასაკი გადაუცდებოდა და პატიოსანი სახელი შეებღალებოდა, მისთვის ღირსეული პატრონი ემოვათ და ჩაებარებინათ. ეს აჩქარება, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, უფრო იმით იყო გამოწვეული, რომ ცისმარე ღღეს მეზობელ-ნათესავ-ნაცნობებისაგან ესმოდათ, რომ შორეულსა თუ მახლობელს მათი ქალის თილისმა ჰქონოდა მოდებული; ზოგი თუ მთვარისას გულის მოგებას ეაყვაცობით, პატიოსანი ქცევითა და თავის გამოჩენით ცდილობდა, ზოგი კიდევ ურცხვი ძალადობით იკვებნიდა! მოხუცთ ყველაზე მეტად სწორედ ამ უკანასკნელთა თავგებობა აშფოთებდათ და იმიტომ საოცარი რამ ხდებოდა: ძალზე უყვარდათ, უიმისოდ სიცოცხლე ერთ წუთსაც კი არ უნდოდათ, მაგრამ მაინც ცდილობდნენ—მალე „მოეშორებინათ“ თავიდან! ისინი ხშირად ჩასიჩინებდნენ მას — კლემამოსილსა და ამ საკითხში უტყვის: „აირჩიე ვინმე, შვილო! გინდ ჯოჯო იყოს, ოღონდ ქმარი ერქვას, ჩრდილსაფარად გექცეს!“

მაგრამ მშობლებმა ვერ იქნა და ვერ გასტეხეს შვილის სიჯიუტე, პირიქით—თავის გათხოვებაზე მსჯელობა ქალს საშინლად სძულდა. იგი სწორედ ამ საკითხში იყო მკაცრი და უკმეხი საყვარელი მშობლების მიმართ. ეს სიმკაცრე ცოლ-ქმარს გულზე ელდად ხდებოდათ: „გარეგნულად დახატულს ქალური ბუნება სადმე ხომ არ ღალატობსო?“—“შინით ეკითხებოდნენ ერთმანეთს და აღარ იცოდნენ რა ექნათ.

საბრალო მოხუცთ ერთი რამ ვერ ეთვალისწინებინათ: თუ მათ ქალს სხვები არ ასვენებდნენ, თვითონაც უნდა

გამხდარიყო მოუსვენარი, სულ სხე-  
ნაირი გულის ძვერა უნდა დამართოდა  
და შემდეგ ყველაფერი თვისით მოხ-  
დებოდა. ფამმა დაჰკრა და ეს მოუსვენ-  
რობა მართლაც შეეყარა მთვარისას და  
მერე რა დროს? სწორედ მაშინ, როდეს-  
აც შიშით თავზარდაცემულნი დიდ  
უბედურებას ელოდნენ, როდესაც წყალ-  
დიდობამ სოფელი ფეხზე დააყენა და  
ხალხის გნიასმა და გუგუნმა მათი ეზო-  
ურე გააყრუა! მაგრამ, როგორც კი  
კარგად გათენდა, ხალხის ყიფინას სხვა  
ხმაურიც მიემატა.

ორი კვირაზე მეტია, რაც ქიზიყელ-  
თა ცხვარი ყოველდღე საზაფხულო ია-  
ლალებისაკენ მიისწრაფოდა და მათი  
სახლის მახლობლად დაგრეხილი შარა-  
გზა, დილითსადამომდე სავესე იყო  
ცხვრის ფარებით. ეს შარაგზა შორე-  
ული მინდორ-ჰალეებიდან მოიკლავ-  
ნებოდა, ხეეს ჰყვებოდა და შემდეგ  
უსასრულოდ გრძელდებოდა გორაკთა  
ნაკლებში.. გუშინვე გავრცელდა ხმე-  
ბი, რომ დილით მათი რაიონის ცხე-  
არიც აივლიდა, და გამართლდა კიდევ!  
მზის ამოსვლისთანავე, ადიდებულ  
ხევის ნაპირს უამრავი ცხვარი მოაწყ-  
და და ერთ ადგილზე შეგუბდა. აზვირ-  
თებულმა ნიადვრებმა გზა შეუქრა  
ცხვარს და მათ გულსაკლავ ბლავილში  
ყურთა სმენა აღარ იყო. მწყემსები  
ზოგნი კიდევ ხევისაკენ გარბოდნენ.  
ჯებირთან თანდათან იზრდებოდა ტყა-  
ვის თეთრქუდოსანთა და შვენაბლო-  
სანთა რიცხვი; ამასთან ერთად, იზრ-  
დებოდა ყიფინა და შემფოთებული  
ხმაურიც.

მთიდან წამოსულ ნიადვრებს, სად-  
ღაც შეშის ზვიენებიც დაეშალნათ და  
მოეტაცნათ, ბუჩქები და ჯაგებიც მო-  
ეთხარნათ, ქვა-ლორღიც მოეყარნათ  
და ყველაფერი ეს ხორახორად დაეგ-  
როვებოდათ ყოფილ ნასახლარებთან და  
ნახერხილწარის ძირებთან. გზა ასიო-  
დე საყენის სიგრძეზე მაინც შეეკრა

წყალს, ქვიტყირის კედელს მისწვდო-  
მოდა და მტკიცედ ნახტომსაა  
ზედ ასტებოდა. მაგრამ მწყურსსეჰი  
გასაკირი ის იყო, რომ ჯებირის მახლო-  
ბლად ვეებერთელა ადგილი წყალს და-  
ებრამნა და ამ დახრამელის ორ ფლა-  
ტეს შუა უზარამზარი წიფლის ხე  
ჩაეკიდნა, თავისი უამრავი ტოტე-  
ხით შტოებითა და ჯერ კიდევ შერ-  
ჩენილი მწვანე ფოთლებით; ეტყო-  
ბოდა, ნიაღვარს ეს ხე სადღაც ტყეში  
ძირ-ფესვიანად მოეგლიჯა და აქამდე  
მოეთრია. ეს ხე რომ აეყენებინათ, ან  
სრულად ამოეღოთ, თუნდაც თოკების  
ჩაბმით, — წყალი იხუვლებდა და ყვე-  
ლა იმ შეშას, ჯაგებს, ბუჩქებსა და  
ქვა-ლორღს, მას რომ გზას უყრავდნენ,  
მძღავრი ნაკადით გაიტაცებდა, წყლის  
სიმალღე ერთბაშად დაეცემოდა,  
აღარც მორევი იმძღავრებდა, ცხვარ-  
საც გზა გაეხსნებოდა და სოფელსაც  
აღარაფრის შიში ექნებოდა. ერთი  
სიტყვით, ისე იქნებოდა, როგორც ეს  
სხვევია პაკიქს, ან წინდას, ერთ თვალს  
რომ ამოაგდებ, მერე მთლიანად დაირ-  
ღვევა! ამქამად, ასეთი თვალი, სწო-  
რედ ეს დიდი ხე გახლდათ, მაგრამ  
მისი ამომგდები, ან ადგილიდან დამძე-  
რელი არაეინ ჩანდა! კიდევ კარგი, ამ  
ნაშუაულწმალის ლობურებში წყალს  
აქა-იქ გზა ეპოვა და ვეებერთელა ნა-  
კადებდალ გადმოსუოდა, თორემ აქამდე  
ჯებირსაც დაანგრევდა და ბაღ-ბოს-  
ტან-ვენახებით, ქვიტყირის სახლები-  
თა და ტანმაღალ ალვის ხეებით დამ-  
შვებენებულ სოფლის ერთ უბანსაც  
წაღეკავდა! მიუხედავად ამისა, სწიშ-  
როება მაინც ყოველწუთს იზრდებო-  
და, რადგან წყალი თანდათან მატუ-  
ლობდა, და ეს ყველასათვის თვალსა-  
ჩინო იყო.

ცხვრის პირველი ფარა ხევის ნა-  
პირს მისწყევტოდა, მწყემსები თავს  
უვლიდნენ და ერთ ადგილზე დიდის  
ვაჭირებით ამორიალებდნენ. ხალხს

ვერაფერი მოეხერხებია, ყველა თავისას გაიძახოდა, ყვიროდა; ადგილობრივი მკვიდრი რომ შინარევი ხმით გაჰკიოდა — სახლ-კარი დამელუპებო, მეცხვარე კიდევ თავის ცხვარს სჩიოდა! ერთი აზრი, ერთი ჰკუა, ან უკეთ, მედგარი გული და ფოლადის მკლავი არსად იყო, თორემ თოკი რომ ჩაებათ, წყალში ყველა საგანი ძალზე მსუბუქია, ხეს ადგილიდან დასძრავდნენ და საშინოროებასაც ბოლო მოეღებოდა.

ამ დღეჭირ ყოფას, მთვარისა თავისი თვლით ხედავდა და გული ძალზე უცემდა შიშით აჟანკალებულს. შიგა და შიგ გოგო-ბიჭებისა და ქალების წიოკიც ესმოდა და ეს ხომ ერთიანად გონს უფანტავდა. გაქვავებული იდგა თავის აივანზე და აღარ იცოდა რა ემოქმედნა, რა ეწამებინა? აშკარა იყო, სტიქიონთან ბრძოლაში ხალხი ვერაფერს გამხდარიყო და სასოწარკვეთის შეძახილები თანდათან უფრო მატულობდა. მან აშკარად გაარჩია, ვილაცამ რომ შეჰყვირა:

— ჯებირს უწია, ხალხო, საცაა თავს გადაუვლის!

— თოკი და ჩანგლები! ტოტებს მოვდოთ და გამოვწიოთ!

მსხვილი თოკები უკვე მოეტანათ მაგრამ ჩანგალი არსად იყო და ხალხი საერთო ძრწოლამ მოიცვა. ვილაცამ ისიც კი შეჰკივლა:

— უბნიდან ბაეშეები გაიყვანეთ! — და მას ბანი მისცეს:

— ქალებიც! ქალებიც!

ისე აირ-ღაირია მთელი უბანი, თითქოს მტრის ლაშქარი გამოჩნდა და გაქცევაში-ლა ხედავენ ხსანსო. ვინ იცის რა არ მოხდებოდა, რომ ერთ გარემოებას ყველას ყურადღებას არ მიეპყრო...

ანაზღად, შარა გზაზე მხედარი გამოჩნდა. ცხენი გრივალეით მოჰქროდა და ახოვანი ვაჟკაცი მოჰყავდა. თქვის ქუდქვეშ ქოჩორი გადაეტყინა

და ფართო შექმუხნილი შუბლი უჩანდა. ნაბადი გვერდზე მოჰქცეოდა და ცალი კალთა ისე უფრთხალებდა, როგორც თალხი მანდილი ქარიშხალში; ყველაზე მთავარი კი ის იყო, მარჯვენდ უქცევდა მხარს ცხვრის ფარებს და მწყემსები, რომელნიც შარაზე დარჩენილიყვნენ, გზას უტევდნენ. ხალხმა უკვე იცოდა, რომ ეს უამრავი ცხვარი მათი რაიონის ყველაზე შეძლებულ კოლმეურნეობას ეკუთვნოდა. ზოგმა მხედარიც იცნო, იცოდნენ, რომ ფერმის გამგე იყო და მას დააშტერდნენ, რადგან ყველამ რალაც ძალა და ბუნდოვანი იმედი იგრძნო. ვერც მთვარისამ მოსწყვიტა თვალი მის მოხდენილ ჯირიოთა, აფრიალებულ ნაბდის კალთასა და გაბადრულ სახეს. აგერ ის უკვე მიიჭრა ჯებირთან და ისე ძლიერად მოსწია სადავეს, რომ მერანი ყალყზე შედგა და ერთ ადგილზე დაერქო.

— რა მოხდა, ცხვარი რად არიდარიეთ? — დასტუქა მან მწყემსებს.

— აი, ხევი კი არა, ზღვა არის ეს ტიალი! — უპასუხეს, მაგრამ აღარც იყო საჭირო. ყალყზე შემდგარი ცხენი ძირს დაეშვა თუ არა, კაბუტიც უკვე მიწაზე იდგა, ერთი გადახედა ხალხს, ჯებირს, მორევს და უმაღლე მიხედა, რა დაბრკოლებამაც შეაჩერა.

— დაიკი! — ცხენის სადავე ერთ-ერთ მწყემსს მიუგდო და ჯებირზე შედგა. — სოფელსაც საფრთხე ელის! ეს ხე რომ აგეშვათ, დანარჩენი თავისთავად მოიარღვეოდა, მორევი დაიწრტებოდა, — თქვა მან.

— სცადე! ვაჟკაცობას გიქებენ, ფირან ფილაურო, მაგრამ წყალთან თამაში არ გაგივა! — გამომწვევად შესძახა ვილაცამ.

— განსაცდელში ხიფათს ანგარიშს არ უწივენი! — მიუგო დინჯად კაბუტმა და მთის მწვერვალებს გახე-





და, ავსა და პირქუშ ღრუბლებში რომ გახეულიყვნენ და ათასში ერთხელ ელვის წვნიკი შოლტი რომ დაჰკრავდა ხოლმე! — ტიალი, მთაში ღვარცოფია, წყალი შეიძლება ერთ კვირასაც არ შესწყდეს, — ცხვარმა კი ამაღამ ნავთლულში უნდა გაათიოს. თოკი! — უცებ შეჰყვირა მან.

— თოკები წელანვე მოვიტანეთ, მაგრამ ვერ ვუღებებით მაგ მუღრგეს!

— უნდა მივეუდგეთ! — მან სასწრაფოდ მოიხსნა ნაბადი და უნაგირზე შეაგდო. კრიალა ტყაეის ჩანთა, ქალღებთით რომ ჰქონდა გამოტენილი, უნაგერის კეზზე დაჰკიდა. შავი ხალათი სწრაფად გაიხიდა და ახლა მაღალყელიან ფეხსაცმელს დაეჯავღურა. ირგვლივ შემოხვეული ხალხი ერთხანს გამტკნარებული შეჰყურებდა. მერე კი, როდესაც მიხვდნენ, თუ რას აპირებდა, ყველა ერთხმად აყაყანდა.

— არ იქნება, ფირან, ეს სიგიჟეა!

— არ გაუშვათ, წყალი კიდევ იწევს მაღლა! აი, უკვე ჯებირს გადმოივლო!

— ველარ გადმოივლის! — სთქვა მან და წამოიღვა. ფეხსაცმელი უკვე გაეხადნა. ქუდიც იქვე მიეგდო. — თოკი მომაწოდეთ! — თოკის ერთი წვერი ქამარზე გამოიბა, მეორე წვერი კი მწყემსს მიუგდო. — ყოჩაღად მოიქეცით, პირდაპირ გასწით, ჯერ მოუშვი, წყალში არ დამბა! — სთქვა და სწრაფად ავარდა ჯებირის თავზე, ფიჩხის კონებსა და უხარმანარი ლოდების გროვანზე. ყველა მიუხვდა განზრახვას: მას სურდა მორეცს თავში მოქცეოდა, რომ ირიბად გადაეჭრა წყალი და გაბარჯლულ ტოტებამდე და ჯირკამდე მისულიყო. ერთბაშად ისეუბა და წყალში ჩაიკარგა. ბავშვებმა და ქალებმა შეჰკივლეს. ხალხი მორეცის ნაპირს მიაწყდა და ყველამ ისე გატყრინა სული, თითქოს ვიღაც ჯადოქარმა შეულოცა და ერთ ადგილზე გააქცევია.

როდესაც ფირანმა წყლიდან თავი ამოკყო, პირისახე და ქოჩორი რეგავყვითლებოდა, თითქოს შემურულ წმინდა სანთელში ამოუვლიათო, მაგრამ ამას არაფრად აგდებდა და გაბარჯლული ტოტებისაკენ მიიწევდა. ერთერთ მწყემსს თოკის მეორე წვერი მაგრად ჩაებღუჯა ხელში და მორეცს თვალეზით ჩაჰკვლომოდა. აგერ ფირანი მიცურდა იმ ადგილამდე, სადაც ხის დაფლეთილი ფოთლები წყალში ქანაობდა, თითქოს შიგ ნედლი ფიჩხის კონა ჩაუგდიათო. კარგა ხანს ტრიალებდა იმ ადგილას: ხან ჩაყურყუმელავდებოდა, ხან ისევ ამოყოფდა თავს და ბოლოს გაქვავებულ ხალხს ელექტროდენივით დაჰკრა მისმა მკეჭარე ხმამ:

— ყველაზე მსხვილ ტოტს მოვაბი, გასწით თოკს, ყველამ ერთად უნდა დასძრათ!

ხალხი თოკს ეცა; კინაღამ ერთმანეთი მორეცში გადაყარეს და თოკი ისე დაჰიმეს, რომ ლამის გაწყდა. ხის შტოები თანდათან მაღლა იწევდა, ხე ფეხზე დგებოდა. ერთბაშად წყალში რაღაცამ მოილო ჰახანი, ალბათ ხეს ლოდებსა და შლამში ჩამარხული ტოტი მოსტყდა. იმავე წუთს წყალს გზამიეცა, მაგრამ რამდენადაც ხე მაღლა იწევდა, იმდენად უფრო მატულობდა დახრამულის ძირზე აქაფებული წყლის ნაკადი და ბოლოს ერთიანად იგრილა ნიღვარმა და მისმა მდინარებამ თან წამოიღო მთელი ის დავიღარაბა, რაც წყალს გზას უკრავდა! თითქოს ნემსნახვლეტი ბუმტი დიფუჟაო, ისე მოუვიდა მორეცსაც: წყალი უცებ დაეცა, ჯებირის ძირსლა სწვდებოდა, ხოლო ზემოთ, კარგა მანძილზე, მსხვილი ლოდებიც კი გამოჩნდა და აქამდე გლუვი ზედაპირი დაიქმუქნა, დანოფურდა როგორც ეს ქვალორლზე მიმდინარე თხელ წყალს სჩვევია. სიხარულის ყიყინა და ვამას ძახილი გაისმა, მეტადრე მაშინ, რო-

დესაც მთელი ამ უბედურების მიზეზი, თოკის წევით ძალდატანებული და ფეხზე დამდგარი, გვერდზე გადაწვა, ჯებირის ძირზე გაიშოტა, თავისი უამრავი ტოტებით, შტოებითა და ფესვებით. შარავნაზე კი მწყემსებმა ერთმანეთს გასძახეს და ცხერის ფარები აამოძრავეს.

მთვარისა გახევებული იდგა და ყველაფერ ამას, რაც თვალის გარინდებას იწვევს, შინაგანად ანთებული ოცნებით, გაჰყურებდა იმ უჩვეულო და უცხო ვაჟკაცის საქციელს. როგორც კი წყალმა გრიალი გაიღო, ის მყისვე გაჰქრა, ვეებერთელა ზვირთებმა ისიც თავიანთ ნაოქებში ჩაიხვია და ერთხანს აღარა ჩანდა. ბოლოს, კარგად დამორბებით, თხელში ამოჰყო თავი და ხევი გამოტოპა... და, აი... აქ მოხდა, რაც მოხდა! ვინც კი ნაპირზე იყო, ყველა მის შესახვედრად გაიქცა და როდესაც მან მიწას ფეხი დაადგა, ისეთი გნისითა და აღფრთოვანებით შეხედნენ, როგორც მხსნელსა და ხიფათის დამორგუნველს შეჰფეროდა. უკვე კარგად დამორბეულ მანძილზე ხდებოდა ამბავი. მაგრამ მთვარისას ხალხის მოძრაობის არცერთი წვრილმანი არ ეპარებოდა მან ისიც კი გაარჩია, რომ აღფრთოვანებულ ყოიენას ვაჟკაცმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია და რაღასაც მოითხოვდა. უმაღლეს ქალებმა კოკებით წყაროს წყალი მიღობენინეს პირსახოციცა და საპონი ზედვე მიაცილეს და მან ჯერ თავზე გადაივლო, ყვითელი თიხა ჩამოირეცხა, შემდეგ კი მთელი ზედა ტანი ჩამოიბანა. ვაჟკაცებს წრე შეეკრათ და შუაში მოქციულს ყველა მზრუნველობით დასტრიალებდა თავს.

მცირე ხნის შემდეგ სხვა ტანსაცმელში გამოწყობილი ხალხისაყენ წამოვიდა, მას წინ ხელბეგაშლილი მოხუცი შეეგება.

— შეილო — უთხრა მან. — ჩემი სახლი აქ ყველაზე ასწორად ჩვენი სირცხვილი იქნება, რომ სრფლის გადაბრჩენი უმადურად გაგიშვათ! მე ამ დღით დავიფიცე, თუ გადავრჩი, მთელ კვირას ქეიფს არ მოვშლი მეტყი. ერთ დღეს მაინც შემასრულებინე სიტყვა,— ამ ტანსაცმელს დაგირეცხავთ, დაგიუთოებთ, მთაში მიდიხარ და ვინ იცის როგორ დაგვირდეს! ცხარი გაუშვი, წავიდეს, ცხენი ისეთი გიჩანს — ფრინველს გაასწრებს, დაწვევი თუნდ დამინდებისას წახვიდე აქედან!

— ეგრე აჯობებს, ეგრე! — მოხუცს ბანი მისცა ყველამ.

— მართლაც რომ აჯობებს, თუ კი...

— არავითარი თუ კი, სახლში ბებრუხანაც მყავს და ახალგაზრდაც! ერთი რომ დარეცხს, მეორე სუფრას გავეშლის, შენისთანა ვაჟკაცს დამალოცვინებს!

— ეგრე იყოს! მხოლოდ ვიდრე ცხვარს ამ შფოთიან წყალზე არ გავიყვან, არაფერზე ფიქრი არ შემიძლია!

მოხუცმა ყველას ამაყად გადახედა, რაკი ასეთი სტუმრის ღირსი გახდა. ვილაკამ ყურში ალაღმართალი გულით უთხრა:

— აბრი, ჩვენც გავვიამხანაგე ამ ვაჟკაცის გამასპინძლებაში!

მოხუცმა შორს დაიჭირა.

— ცოცხალს დამხმარე არ სჭირდება. არც მე გამიძინელებია! — სიტყვა და შინისაკენ ისე ფიცხად გასწია, მის ხნოვანებას რომ არ შეეფერებოდა.

ეს მოხუცი მთვარისას მამა გახლდათ! რას იფიქრებდა ან ის, ან მასავეთ ბებერი მეუღლე, რომ ეს ნაუცბადევი მოპატიეება ნეტარებად უმცევდა შემოღამებულ წუთისოფელს.

მხედარმა ნაბადი და ზურჯინი მოხდენილად დააკრა ცხენს უნაგირზე და ზედ მოახტა. მან ყველა ცხერის ფარა ცალცალკე გააცილა მღვრიე წყალში,

რამდენჯერმე ცხენდაცხენ ვატოპ-გა-  
მოტოპა და როდესაც თავისი ანაბარი  
სამშეიდობოს დაიგულეა, თამამად შეა-  
ქნა ცხენი მწვანედ ახასხასებულ ეზო-  
ში; იქვე მანლობლად თუთის ხე დაინა-  
ხა და მის ჩრდილში გადმოხტა. სადავე  
ხის კაბისათვის უნდა გამოედო, მაგრამ  
ფეხის ხმა მოესმა და საბლისაყენ შეტ-  
რიალდა. თვალი მოჰკრა ახალგაზრდა  
ტანწერწეტა ქალს. მას ორივე ხელით  
ჰკერღზე მიეკრა მწვანე ფოთლე-  
ბით დახუნძლული თუთის ყლორ-  
ტები. „ჰია ჰყოლიათ!“ — გაიფიქრა  
ფირანმა და გაკვირვებით დააშტერ-  
და ქალს: „ჰია თუ ძირსა ჰყავთ,  
ფურცელი მაღლა, აივანზე, რაღად და-  
ურჩევიათო“, მაგრამ უმალვე მიხვდა  
თავის შეცდომას: „ძირს, ეზოში, მიწა  
აყვება, ან სხვა რამ ჰუჰყვი. მაღლა კი  
სუფთა საფენზე, სუფთად დაირჩევა  
ფურცელი და ალბათ ამიტომათი“ ძალ-  
ზე ეამა, რომ წესიერ, საქმისადმი ერთ-  
გულ ხალხთან უნდა დაემყარებინა თა-  
ვისი ახლანდელი ნაცნობობა და ცხე-  
ნის სადავეს დახედა, უცებ ხის კაბს  
გამოსდო და ისევ ქალისაკენ შებრუნ-  
და... შებრუნდა და ერთ აღგილზე გაქ-  
ვავდა. ქალს კიბე ჩამოველო და მიწა-  
ზე კელაბტარივით ამოლტაროიყო.  
მწვანე ფოთლებში მისი სახე ისე მოს-  
ჩანდა, ვით კანდაპეწილი, ვარდისფე-  
რი ვეებერთელა ვაშლი—ხასხასა მღე-  
ლზე აგორებელი. თითქოს სინათლე  
თუ შუქი მოლიველივებდა ალტაცება-  
გაოცებით გაფართოებულ მის კუნა-  
პეტ თვალთაგან. ვაჟს გულმა ველარ  
გაუძლო, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა  
წინ და შორიახლოს შეჩერდა.

— ჰია გყავთ? — ანგარიშშიუცემ-  
ლად წამოიძახა ფირანმა და ეს მხო-  
ლოდ იმიტომ, რომ როგორმე გაემარ-  
თლებინა თავისი თავებდური საქციე-  
ლი, უცხო ქალის წინაშე ასე თამამად  
რომ დადგა.

— დიახ, გყავს! კოლმეურნეობამ მე

დამავალა, პირადად მე ვუვლი! — მიუ-  
გო წყნარი ხმით ქალმა დაეცინა მის  
ვედილობ ამ საფხულს! — შერქმევის  
პარკის ორი მოსავალი მოვიყვანო, რომ  
ქვეყანას მეც გამოვადგე, ადამიანებში  
ვისსენებოდე.

„ჰმ! ეს სადაური თავდაბლობა?“ —  
გაივლო გუნებაში ფირანმა. — „ციურ  
ვარსკვლავსა ჰგავს და რომელი ადა-  
მიანი დაიწუნებს, ვინ არ მოიხსე-  
ნიებს!?

იგი უმწეო ღიმილით შეჰყურებდა  
ქალს და ენა ველარ დაეძრა. იგივე სე-  
ნი შეჰყროდა ქალსაც, ისიც სდუმდა.  
ბოლოს მას, ალბათ, საქმე მოაგონდა,  
ან მასპინძლურმა თავაზიანობამ დასძ-  
ლია, თვალები დახარა და ლოყებს,  
ალმური მოედო.

— მობრძანდით, მამა გელით! —  
მეღერი ხმა ჰქონდა. ნაზი, მომჯადოე-  
ბელი. ვაჟკაცს ხმა შეესმა, მაგრამ ში-  
ნარსი ვერ გაიგო, იდგა დამუნჯებუ-  
ლი, თვალის დახამხამებაც კი შიშსა  
ჰგვრიდა, ვაი, თუ ეს მზე უცებ გაქრე-  
სო. შეჰყურებდა მას, ერთადერთს.  
საიდანღაც ანაზღად მოფრენილს,  
ცოცხალი არსება, ასეთი მშვენიერი,  
როგორიც ეს იყო, თუ ოდესმე დაიბა-  
ლებოდა, — ვერ წარმოიდგენდა. ვერ  
წარმოიდგენდა, თვალთ კი ხედავდა  
და გული უცნაური სევდით ეკუმშებო-  
და; ენა ლოდევით დაუძმძმდა და გა-  
უქრა ის შეუპოვარი გაბედულებაც,  
მთელს რაიონს რომ ანცვიფრებდა.

— ნუ გერიდებათ! მე ვიცი, მამამ  
მოგიწვიათ! თქვენს ტანსაცმელს რეც-  
ხავენ! — ქალს თვალები დაეხარა, ლო-  
ყები ალანძოდა, მაგრამ სათქმელს მა-  
ინც ამბობდა.

ვაჟკაცი ერთბაშად შეტოკდა, თით-  
ქოს ღრმად ჩარქობილი ფეხები მიწას  
მოჰგლიჯა, თავი გაინთავისუფლა და  
ფრთა გაშალაო. სწრაფად, გაბედუ-

ლად მიიჭრა მასთან უფრო ახლოს და სულშეგუბებული შესდგა.

— მაპატიე! — უთხრა მან. — თავხედობად არ ჩამომართვა. მე სწორედ იმ სოფელში ვარ, საიდანაც ხშირად მსმენია ერთი ულამაზესი ქალის ქებადიდება!.. ჰო-და... სულ იმის ნახვას ვნატრობ, ყველგან იმას დავეძებ, იმას ვკითხულობ და... მთვარისა შენ ზომ არა ხარ?

— დიახ, მთვარისა ჩემი სახელია!.. მობრძანდით, აი კიბე! — ქალმა გზა უტია, მაგრამ, რაკი აღვილიდან არ იძროდა, თითქმის ჩურჩულით წამოსცდა: — მეც... მეც მსმენია თქვენზე! წედან ხალხი რომ ყოყინებდა, მაშინ მივხედი, თუ ვინ ყოფილა ფირან ფილაური!

— ჩემზე გსმენია, ჩემი სახელი გაგიგონია? — ცეცხლივით იფეთქა ვაეკაცმა და მისკენ წაიწია. ქალი შეაკრთო ვაეის ამ უცნაურმა საქციელმა და ფეხი ინაცვლა.

— მე საქმე მაქვს! ამ ხევმა ჰია დამაიწყა, დაიმშეოდა! — წამოიძახა მან და მოქნილი, სხარტი მოძრაობით აივანს ქვეშ მარანში შეიკრიალდა.

— ფირანი მძიმედ აპყვა კიბის საფეხურებს და ამ დილის ათასნაირი შთაბეჭდილებებით ტენამღვრეული რაღაც შეუცნობელ სიხარულსა და იმავე დროს სევდასაც გრძნობდა. კიბეზე თავჩალუნული აღიოდა, თითქოს თავის გულში ანაზღად ჩახატულ ქალის სახეს დაჰყურებდა. როგორ შევიდა ოთახში, როგორ აღმოჩნდა გამწვანებულ სუფრასთან გულდია მოხუცის გვერდზე, როგორ დაიწყო სადღეგრძელობით მისი ვაეკაცობის ქებადიდება, — ეს აღარ იცოდა, ვერ გარკვეულიყო, ისედაც სიტყვაძვირი, ახლა მთლად დამუნჯებულიყო და მხოლოდ თავის ქნევითა და ჰიქის მიწვარუნებითა უპასუხებდა მოლხენილ მასპინძელს.

— შენ გაგიმარჯოს, სოფლის მსხნელო და ცხვრის გადამრჩენელი უკვე მესამედ სვამდა მოხუც ფეხრანის სადღეგრძელოს, მაგრამ იგი გაბრუნებული იყო და ერთხელაც ვერ შეიცნო მისი სიტყვის შინაარსი. სუფრას თავს დასტრიალებდა გრძელნაწინაგება, თვალწარმტაცი გოგონა და მთელი გულისყური მისკენ ჰქონდა. თავი სიზმარში ეგონა, ან იმ ზღაპრის გმირად წარმოედგინა, ბავშვობაში ბებია რომ უყვებოდა; მზეთუნახავი ქალი დევებს ციხე-კოშკში ჩაუეცტნიათ და იმის დასახსნელად მოვიდა. მის გაუარეარებულ გრძნობებს მხოლოდ ისლა აფხიზლებდა, რომ თამადა და დედაბერი არ ასვენებდნენ ათასნაირ შეკითხვებითა მასპინძელი ბოდიშების მოხლით, რომ ასე უცებ შესაფერისად ვერ დახვდნენ.

სუფრაზე მშვენივრად დაბრაწული ვარიების ტაბაკაც იდო, ქორფა ტარხუნებში თეთრად ელავდა მრგვალად მოხარშული კვერცხები, მაგრამ თითო არაფერს დააკარა. გულისყური ერთთავად მთვარისასკენ ჰქონდა. ის რომ სკამზე დაჯდებოდა, ეგონა მის წინ ელნათურა აანთეს და უკუნეთს უნათებდა. ის რომ რაიმესათვის ოთახში გაეკრიალდებოდა, ეგონა შუქურა დაიძრა, წინ მიუძღვის და ბედნიერ თავდავიწყებისაკენ გზას უჩვენებდა: აღეჭ და გამომყო! გაბედულად მისთვის ვერ შეეხედნა, ეშინოდა, ანაზღად კი რამდენჯერმე გადაჰკრა თვალი და კინაღამ დამბლა დასცა სიხარულმა და უზომო ნეტარებამ. ქალის თვალბეჭდში აშკარად ამოიკითხა ერთსა და იმავე დროს: განციფრებაც, ალტაცებაც, თითქოს ვედრებაც და თავყვანისცემაც.

— ეტყობოდა გულზე მანპინძელს მობეზრდა მისი სიმუნჯე და მარტო ღვინის სმა. უკვე ორი ხელადა გამოსცალეს. მოხუცს ლოყები დაუკვერდა.

თვალეები უჩვეულოდ აუციმციმდა; მან სტუმარს თამამად დაუტყაპუნა ხელი და ასეთი რამ უთხრა:

— მკლავი რკინისა გიჩანს, გული გმირისა, ბიჭო, მხოლოდ ის კი, რითაც აღამიანი სხვა სულდგმულისაგან განიარჩევა, ბალბაწოსი გქონია! ენა არ გივარგა! ასე მუნჯად ქამა-სმა და მოლხენა გავგონილა?

შორიასლოს მკდრომი დედაბერი ამირიზა. ამ უკმეხმა ხუმრობამ შეატოკა. მაგრამ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა და ქოქოლა მიიყარა. მთვარისა გარეთ გასულიყო, პატარა მაგიდა აივანზე გაეტანა, ფანჯრის რაფასთან მიედგა და აუთოებდა. მისი ხელების მოძრაობა ოთახიდან ხან ჩანდა, ხან არა.

— მოლხენა? რა მოლხენა? — დაფანტულად იკითხა ფირანმა. მოხუცს გაეცინა და კვლავ მხარზე ხელი დაქრა.

— შე კაი კაცო! მეგონა სიმღერას იტყოდი, სიტყვასაც არ ამბობ?

ერთბაშად გარეთ ცხენმა დაიქიხვინა. ფირანი, თითქოს სადგისი უჩხვლიტესო, ელვის სისწრაფით ფეხზე წამოიჭრა.

— ჩემი ცხენია! — წამოიძახა და ცალი ხელით სკამი უკან მისწია.

— მოიცა, კაცო! იყოს, ვინ გართმევს? მთვარისამ ბაღჩაში ქორთვა ბაღაბი დაუგლიჯა...

— მთვარისამ დაუგლიჯა? — ლოყები კვლავ წამოენთო და ერთ წუთს დაეინებით დაამტერდა მოხუცს, შემდეგ კი ფიცხად მიბრუნდა, კარი გამოაღო და დასავლეთით ცას გახედა. იქ ლურჯ-კამკამა გუმბათის თავქვეზე მზე დაინახა ჰორიზონტს მიახლოებული, თითქოს ეს-ესაა მოსწყდება და მთის მწვერვალებს დაეცემო. ელდა ეცა. თვალეები გაუფართოვდა.

— რა დრო გასულა?! — სთქვა და მასპინძელს გადახედა.

— ქეიფში დრო ელვის სისწრაფით გარბის, მამ რა გეგონა, ეტყუენდლა? შუადღე გადავიდა, შენ ბრძანა გქონია დევ ცხვარს აცილებდი წყალზე! — მიუგო მოხუცმა და განაგრძო: — დაჯექ, ნუ ჩქარობ, მთა არსად გაგექცევა. შენისთანა ვაჟკაცს უკუნეთშიც არ გაუჭირდება სიარული!

ფირანს ბრაზი მოერია.

— ჰე! უკუნეთი! მაგას ვინ ჩივის, საქმე საოხროდ მიმიგდია! ფუი! — მის ტურჩებზე მწარე, დამცინავმა ღიმილმა იფეთქა, კედელს მიეყრდნო ზურგი და ქამარში თითებჩარქობილი გამტერდა. ამ ანაზღეულმა სახეცვლილებამ დედაბერიცა და მოხუცი თამადაც ერთ ადგილზე გააქვევა და გაოგნებული შეჰყურებდნენ მას. ის კი კვლავ გაბევებული იდგა და დამცინავი ღიმილი არ შორდებოდა თხელ, ვარდისფერ ბაგეებსა და ახლადაკოვრებულ უღვაშებზე. იგი საგონებელში იყო ჩავარდნილი და ელვის სისწრაფით წარმოუდგა ის აღთქმა, თავისთავთან რომ ჰქონდა დადებული. დიდ სამამულო ომში ასაკმა ნება არ მისცა, რომ მონაწილეობა მიეღო და სასახლო ბრძოლაში ჩაბმულიყო. ომის დასასრულს, როგორც კი სამშალა სასწავლებელი დაამთავრა, ჯარში გაიწვიეს, სამ წელიწადს დაყო იქ, მაგრამ თოფი ვარჯიშის დროს თუ უსერია ნიშანში, თორემ მტერი სადღა იყო? ჯარიდან დაბრუნდა. ერთხანს ვერაფერი ეწამებინა და თავის ქარბ ენერგიას წიგნებისა და გაზეთების კითხვაში ჰკლავდა. მოხდა ის, რასაც არ ელოდა. ამ წიგნებმა და გაზეთებმა თვალი აუხილა, გზა გაუცვლია და გარდუვალი ჰუმმარტებმა შეაგრძნობინა: ვაჟკაცობა მარტო სისხლით კი არა, ოფლითაც დადგინდება, მით უმეტეს — ომგადახდილ ქვეყანაში, სადაც ძალზე ბევრი რამ არის გასაკეთებელი. გზის გაკვლევა იყო ძნელი, თორემ ხალისით ანთებულ ქაბუქს,

ენი დაუხშობდა შრომის გზას? მას მაინც ხიფათიანი ცხოვრება იზიდავდა და მწყემსობაზე უკეთესს რაღას იპოვიდა?

მალე იგი მეცხვარეობის ფერმაში ბრიგადირად გაგზავნეს. ეს საქმე მას ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული ჰქონდა. მამა მეცხვარე ჰყავდა და ერთი თითის სივრცე იყო, რომ სკოლიდან თავისუფალ დროს თავისთან დაჰყავდა, ცხვრის მოვლის ხელოვნებასა და სტიქიასთან ბრძოლაში წრთვნიდა. ბრიგადირად სრული რვა თვე იყო. იმდენი ზალისი, იმდენი მუყაითობა, თავდადება და გამპრიახობა გამოიჩინა საქმეში, რომ ფერმის გამგელ დააწინაურეს და, აი, წელიწადნახევარია ეს ნდობა ჯერ არ შეუბღალავს, პირიქით: მადლობისა და აღფრთოვანების მეტი თავის საქმიანობაზე მას არაფერი სმენია.

რაკი ასეთი დიდი საქმე ჩააბარეს, მან თავიდანვე გადასწყვიტა, რომ, ვიდრე საქმეს-საქმეზე არ მოიყვანდა, ვიდრე ფერმა სანიმუშო არ გახდებოდა, ქალზე სულაც არ იფიქრებდა! იგი არავითარ ანგარიშს არ უწყევდა ხანშიშესული დედის ვედრებას, რომ გულის ტოლი მოენახა და ოჯახი გაეხდინებინა გვარის ერთადერთ გამგრძელებელს!..

... და, აი, დღეს მოხდა ის, რასაც ვერ წარმოიდგენდა. ნახა ის ქალი, რომელზედაც ბევრი სმენია, და ყველაფერი დააეწიყდა, მთელი დღე აქ დაღალა! უცებ კვლავ თვალი მოჰკრა ფანჯრის გარეთ მოხდენილ მკლავებს, გადატყვილ შუბლს, ამოვსებულ მკერდს, წერწერტ ტანს და უმაღლეს მოემშვა. სინდისის ქეჯნამ და კიდევ რაღაც სხვა იდუმალმა, მაგრამ ძალზე საამო და ტკბილმა გრძობამ დასწვა, თვალთ დაუხუნელა. რა დაუშავეს? სუფრა გაუშალეს, ქება-დიდებათ შე-

ამკეს, მის ცხენს მოუარეს, ტანსაცმელი დაუსუფთავეს, დაუქუთუქეს, მადლობის მეტი რა ეთქმინ? ფიქრობდა იგი და ვერ გადაეწყვიტა რა მოიმოქმედოს ახლა. რა გააკეთოს?!

მოხუცები კვლავ გაოგნებული შეჰყურებდნენ. ვაჟკაცს ათასწორად ეცვალა ფერი და ეს მათ გამოცდილ თვალს არ გამოჰპარვია.

— დაე, აგრე იყოს, ცოცხალ ადამიანს ყველაფერი სჭირდება! — მტკიცე გადაწყვეტილებით ჩაიქნია ხელი ფირანმა და მაგიდას მიუახლოვდა. მოზრდილი ჭიქა გაავსო და მოხუცთ გადახედა. იმავე წუთს კარი გაიღო და მთვარისაც შემოვიდა დაუთოებელი შარვალ-ხალათით.

— ეს პირდაპირ ნატვრასავით არის! — აღმოხდა ვაჟკაცს და სახე ალანძულმა აღერსით სავესე თვალები ქალს მიაპყრო. ქალი კარებშივე შესდგა. ფირანი კი აღფრთოვანებითა და თან უზომო მადლობის გრძობით ამბობდა სადღეგრძელოს:

— ჩვენს გაცნობას, ჩვენს პურმარილს გაუმარჯოს! არაფერი მინატრია და ახლა კი ენატრობ: ეს ერთი პურმარილი ათასებელ გექცეოდეს, საუკუნოდ განუყოფელი გექნოდეს! — სიტყვა გაუწყდა, რაღაც უფრო მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა, მაგრამ ენა დაემა. დიდი გაპირვებით კვლავ განაგრძო: — შემთხვევას არ დააბრალოთ... სულ ერთია, დღეს იქნებოდა, თუ ხვალ, ერთმანეთს გაეცნობდით! მე მინდოდა... მე მირჩევდნენ, მაგრამ ბრძივი ვიყავ... დიახ, ერთი სიტყვით, დღევანდელ დღეს გაუმარჯოს! გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგან ნათქვამია: „რაც სიძულელია ანგრია, სიყვარულს უშენებიაო!“ ჩვენც ვაშენოთ! ჯანდაბამდის გზა ჰქონია, ვისაც ნგრევა უყვარს! — სიტყვა და ერთბაშად გამოსცალა სავესე ჭიქა.

— იცოცხლე, იბედნიერე, შვილო! შენი სტუმრობა მე საამაყოდა მაქვს! — მოხუც აბრისს ღვინო მორეოდა და საკოცნელად მიიწია, ვაჟაკმა ის ჰაერში აიტაცა და გულიანად დაჰკოცნა.

— ახლა კი დროა! ჯერ ამდენი ხნით ცხვარს უკან არ ჩამოვრჩენივარ! — სთქვა მან, ქუდი აიღო და წასასვლელად მოემზადა.

— აი, ინებეთ, ყველაფერი რიგზეა! — დაკეცილი შარვალ-ხალათი გაუწოდა ქალმა და თან დასძინა: — ჩქარობდით, უკეთესად ვერ შევძელით! — გაიღმა და მორცხვობის აღბურმა სახეზე აკრა.

— გამადლობ! ჩემს ტანსაცმელს ჯერ ამნაირი ბედნიერი ხელი არ მიჰკარებია! — მიუგო და მდელვარებისაგან აყენალეულმა ჩამოართვა. — შვეიდობით! — წამოიძახა და კბეზე დაემგვა.

ცხენი ხეივანიტ. შეეგება. ფირანმა ხურჯინის ცალ თვალში შარვალ-ხალათი ჩააწყო, პირი მოუკრა. უნაგირზე გადაჰკიდა და თასმებით დააკრა. როდესაც გაფიცებულ მერანს მოახტა, მოხუცის მზრუნველი ხმა შეესმა:

— მზე საცაა ჩაეა, გზაში დაგიღამდება, ფრთხილად იარე, შვილო!

ფირანმა ქუდი მოიხადა და აივანს ახედა. მთვარისა ხელით მოაჯირს დაურდნობოდა და მომჯადოებელი თვლებით მას უმზერდა. როდისა და როდის ძლივს შესძლო პასუხის გაცემა:

— სულაც არ მაფიქრებს მზის ჩასვლა, მოხუცო, რადგან ჩემთვის დღეს ახალი მზე ამოვიდა აქ მიწაზე! იგი ამას იქით სულ წინ გამიძღვება დღისითაც და ღამითაც, ლხინშიაც და ჭირშიაც! შვეიდობით! — თითქოს შეეშინდა და ნათქვამის ფარულ აზრს არ მიმიხედნენო, ქუდი გაისწორა და ცხენს მათრახი გადაჰკრა. მერანი ადგილს მოსწყდა და ღობეზე გადაფრინდა. მა-

ლე ხევი ქენებით განვლეს, დღე ცხვარეობა ნაოქებში გაჰკრა.

გ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.

— — — — —  
ასე გაიცნეს ერთმანეთი. გაიცნეს და ეს საკმარისი იყო, რომ ერთმანეთი აღარ დაეიწყებოდათ. ზაფხული ყველასათვის მოუხვეწნად მიდიოდა. მთვარისას მშობლები ხშირად ჩურჩულებდნენ, რაღაც საიმედო, სასიხარულო ამბავზე და მოუთმენლად მოელოდნენ შემოდგომას და მთიდან ცხერის დაბრუნებას.

მთვარისა ერთიანად გამოიცვალა. ტოლ-სწორებს ხშირად გაურბოდა და განმარტობით ყოფნას არჩევდა. როგორც კი საქმეს მორჩებოდა და ჩრდილიც გადმოდგებოდა, გასტერებული ივდა თავის აივანზე და ოცნებით ანთებული გაჰყურებდა თეთრად მოქათქათე ხეცსა და გორაკთა ნაოქებში შებრილ შარავზას.

ერთი რამ კი უნდა აღინიშნოს: აბრეშუმის ქიას მონღოლებით უვლიდა. შრომაში ივიწყებდა იმ არეულ და გაურკვეველ ფიქრებს, უკანასკნელ ხანს რომ დასჩემდა! რაკი საქმეში შეღავათს გრძნობდა, მთელ ზაფხულს ერთი წუთიც არ მოუხვეწია და აბრეშუმის პარკის ორი უხვი მოსავალი მოიყვანა. ამის შედეგად, სახელთან ერთად, კარგი ჯილდოც დაიმსახურა, მაგრამ არამარტო აბრეშუმის მოსავლით ისახელა თავი, არამედ იმ დახმარებითაც, რომელსაც უწყვედა იგი, თავისი კოლმეურნეობის ბუნხალტერს საადრეცხოვ, თუ საანგარიშო ბარათების შედგენით, საწყობისა და ფერმების საბუთების გადათეთრებით. ბრიგადების ნუსხებისა და სამუშაო გეგმების დახატვით, ყველაფერს ამას შინ ატანდნენ და იქ აკეთებდა, რადგან მარტოხელა ოჯახი ჰქონდათ, მშობლები ყოველდღე სამუშაოდ გადიოდნენ და ყურისმგდები სჭირდებოდა. ბუნხალ-



ტერი იმდენად მოხიბლული იყო მისი გამჭრიახობითა და ხალისიანი მუშაობით, რომ ანგარიშწარმოებაში დიდ მომავალს უქაღდა, თუ არ გათხოვდებოდა და ამით მთლიანად არ წაართმევდა თავისთავს კოლმეურნეობას!

აბრეშუმის პარკის მეორე მოსავლის ჩაბარების შემდეგ მთვარისა ზაფხულის მიწურულს სრულიად თავისუფალი იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კვირაში ხან ერთ, ხან ორ დღეს, ბუხალტერიას რომ ახმარდა ხელს! გულწრფელად უნდა ითქვას რომ კოლმეურნეობის გამგეობა ასეთ დახმარებას დიდათ უფასებდა და მძიმე ფიზიკურ სამუშაოზე არ გაჰყავდათ. შესაძლებელია სხვა რამ მოსაზრებითაც ხელმძღვანელობდნენ: გასათხოვარი ქალი იყო. მთელი სოფლის თვალი და მშვენება, და ალბათ უფროსი ხილდებოდნენ!

— ყველა ამის გამო, მთვარისა მეტწილად სახლში ტრიალებდა, ოჯახს უვლიდა, მუშაობით დაღლილ-დაქანცულ მოხუც მშობლებს საჭმელს ახვედრებდა და კოლმეურნეობის საქმეებსაც, რასაც კი დაავალდებდნენ, ხალისით აკეთებდა. იმ ჯგუფის ახალგაზრდა ქალები, რომლებიც აბრეშუმის მოყვანაში დაუკავშირდნენ, ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე და მარტოობის მოწყენილობა, მეტადრე სალამოფამს, სრულიად არ აწუხებდა, ხოლო თუ აწუხებდა, რაც თავის დღეში არ განეცადა, მაგრამ ამაზე ლამბარაკი არამც თუ სხვებთან, თავისთავთანაც ვერ გაეზებდა. მუშაობაში ეს „რადაც“ ხანდახან გულისყურს სტაცებდა, სადღაც მიაფრენდა სევდისა და ოცნების უნაპირო საზღვრებისაკენ, მაგრამ მალე მოდიოდა გონს და საქმეს უფრო მეტი ხალისით განაგრძობდა...

ფირანს კი მთვარისას სახე საკეთარი გულითა და გონებით მთელ ზაფხულს დაჰქონდა თრიალეთის იალაღებ-

ზე. საქმეში ჩვეულებრივ მუყაითი იყო, მაგრამ დასჩემდა უძილო რამეებში და, რაც მთავარია, თავისი ფუნქციონირებით ბინიდან გარდახვეწა დილიდან საღამომდე. მწყემსებს უკვირდათ, მაგრამ ვერასწავით ვერ აეხსნათ მისი საქციელი. ზაფხულმა ისე გაიარა, რომ თავისი საიდუმლო არავის გაუმხილა. მხოლოდ მთიდან აყრის წინა დღეს ცალკე გაიხზო მოხუცი მწყემსი იასონი და მოკრძალებით გადაუშალა თავისი ზეამიადი:

— იასონ! შენი წელთა სიმრავლე შენივე გამოცდილების თავდებია! მირჩიე, როგორ მოვიქცე? იმ ქალზე გულისი ძალიან შემივარდა. დედაჩემიც ძალას მატანს, მაგრამ ათასნიერ შეჯიბრებებში ვარ ჩამბული და მეშინია, ჩემი სიყვარულის და ქორწილის საქმეს რომ ავყუე, ერთხანს მაინც დამაბრკოლებს და უკან დავრჩები! ვაი თუ შევრტყე! — სოქვა მან და დადუმდა.

იასონი ბავშვობიდანვე ცხვარს დასდევდა. ვიდრე ფერმის გამგეობა დაწესდებოდა, ხშირად ყოფილა სარქულად. მრავალი ქირ-ვარამი განეცადა და ამიტომ ძალზე ჰქვიან კაცად იყო ენობილი. ბინაზე იასონის სიტყვა გადამწყვეტი იყო. საქმეში თვითონ ფირანიც კი ხშირად ხელმძღვანელობდა მისი რჩევით და ახლა საკუთარი გულის კენესაც იმიტომ გაიანდა. მოხუცი ძალზე დააფიქრა ფირანის საიდუმლო. როგორც ჰქვიანი კაცი, უმაღლე მიხვდა, რომ ხმელ თივას ცეცხლი საკმაოდ მოსდებოდა, მისი განელება არავითარ ძალას აღარ შეეძლო, მაგრამ ამავე დროს, ისიც იცოდა, რომ ფირანის ასაკში მყოფი სიცოცხლეზე მეტად სახელს აფასებს და ამიტომ გაშტერებულია, თითქოს თავისთავს ელაპარაკებო, იგავის მსგავსი რამ უთხრა:

— ძალზე მწყურვალმა იცოდა, რომ შორიახლოს წყაროს წყალი ამოჩუხჩუხებდა, მაგრამ არ წავიდა, არ დალია



ამის შიშით, რომ საქმეს მოვცდებო, და იცი რა მოხდა? საქმე უგულოდ გაკეთდა, წყურვილმა დამალი ჩამოუყვანა, ავად გახადა წყალი რომ დაელია, ხალისის ფრთებს შეასხამდა, საქმეს უკეთ გააკეთებდა, არც დასწულდებოდა, ჰა? შენ რას იტყვი? განა არა სჯობდა ჯერ წყურვილი მოეკლა? ჰოდა... დანარჩენს შენ თვითონ მიხვდი გონიერი ბიჭი ხარ, არ გაგიჭირდება! მე რომ მკითხო, ქვეყანას მართო საქმე კი არა სჭირდება! ასეთია ჩემი მამამეილური რჩევა!.. იგი გაბრუნდა, დინჯად წავიდა გულხელი დაიკრიფა და მიწას დაამტერდა. რა ურჩია მოხუცმა? რომელ ხალისზე ლაპარაკობდა, რა წყურვილს უხსენებდა? იგი ერთბაშად მიხვდა, რომ წყურვილი მისი სიყვარულია, სატრფოსთან შეუღლება კი სიხარული დაამიტომ უდიდესი ხალისიც, ფრთების შესხმაც!.. იგი მოხუცს დაეწია, ხელი ჩამოართვა, გადაკოცნა და უთხრა:

— გამაღობ, მართლაც ჰკვიანური რჩევაა! ავია თუ კარგი, სჯობს ერთხელ გამოირკვეს, რომ მოვისვენო! მეორე დღეს ფირანის ბინამ ცხვარი აყარა და ყველანი მშობლიურ მინდორ-ველებსავე დაიძრნენ. ათასწლოვანი ჩვეულებრივი მგზავრობა ჰქონდათ: ცხვრის ფარებს წვერდამეხებული და რქადაგრებილი ვაცები მიუძღოდნენ, გარშემო ძაღლები ასდევნებოდნენ, ხოლო სულ უკან ბარგიბარხანა მიჰქონდათ ცხენებითა და სახედრებით. ყველაფერი ჩვეულებრივი იყო, გარდა ერთისა: გზაში ფირანი და მოხუცი იასონი ერთმანეთს აღარ შორდებოდნენ, ერთთავად რაღაცას ჩურჩულებდნენ და ყველა გუმანით მიხვდა, რომ რაღაც საიდუმლო საქმეს აწყობდნენ. თბილისი რომ გადასჭრეს და ნავთლუღის სერებზე შეფინეს ცხვარი, ფირანმა თავისი საკეთარი სამი ჰედილა წინ წაიჩქრა და იასონთან ერთად

ქალაქისაკენ შეუხვია. ცხვრის გაძლოლა ბრიგადირებს დაეცალათ: ის იყო ვაზიანის აღმართებს ლევენენ და წინა ცხვარმა სამგორის ველსაც გადახედა კიდევ, რომ დატვირთული და გაქაფული ცხენებით იასონი და ფირანი წინ წასული ცხვარს წამოეწივნენ. იმ ღამეს სამგორის ტრამალებში აბორიალეს ცხვარი, ხოლო მეორე დღეს, როდესაც თავისი რაიონის ტერიტორიაზე შესდგეს ფეხი, ფირანი განსაკუთრებულ მღელვარებასა და მოუსვენრობას იჩენდა. შუადღის ხანს მან ცალკე გაიხმო იასონთან ერთად სრულიად ახალგაზრდა მწყემსიც, რაღაც ფიცხელი განკარგულება მისცა მათ და მორთულ-მოკაშმული თავის მერანს მოახტა. ცხვრის ფარებს წინ გაუსწრო და გაქქრა. წასვლის წინ მწყემსებმა მხოლოდ ორიოდ სიტყვას მოჰკრეს ყური, უნაგირზე ამართულმა ფირანმა. იასონს რომ გადასძახა:

— კარგად დაიხსომეთ: თუ უნაგირი მოხდილია, შემოხვალთ, თუ არა და — პირდაპირ ივლით! აბა, თქვენც მალე დაწინაურდით!..

ცხვარიც იმ გზით გაემართა, საითაც ფირანის ცხენი მიჰქროდა.

—:—:—

ორ კვირაზე მეტი გავიდა, რაც ცხვარი დაიძრა მთიდან. ხევი, თუ შარაგზა დღისითაც და ღამითაც სავსეა გუნდ-გუნდად მომავალი ცხვრის ფარებით. მთვარისა დილა-ადრინ რომ აღგება ბინდამდე აღარ შორდება აივანს, ერთთავად ხეცსა და შარაგზას გაჰყურებს, იქიდან რაღაცას ელის;— სასიხარულოს, საბედნიეროს, მაგრამ რას? გარკვევით თვითონაც არ ესმის! ამ ორ კვირას, ორი წუთის მოსვენებაც არ ახსოვს. ტოლ-სწორებს გვერდიდან აღარ იშორებს, რომ აფორიაქებულმა ფიქრებმა არ შთანთქას! და, აი დღესაც ლეღვისა და ატმის ჩირების ასასმე-ლად მასთან თავი მოიყარეს მეგობარ-

მა ქალებმა და მათს ხუმრობაში, ყივი-  
ნასა და წივილ-კივილში დღე ხალისია-  
ნად იწურება, იღევა. ერთხანს ვილა-  
ცამ ლაპარაკი წამოიწყო იმ ვაჟკაცზე,  
ამ გაზაფხულს სოფელი ამობოქრებულ-  
ი ზევის საშინელებას რომ გადაარჩი-  
ნა. წამოიწყო და მას სხვებიც აჰყვნენ:  
ზოგმა საკუთარი დაკვირვება დაიმოწ-  
მა, ზოგმა კი ნაცნობ-მეგობრების ვად-  
მონაცემი, და ფირან ვილაური, მამაცი  
და შეუდარებელი ვაჟკაცი, ისე დახა-  
ტეს, ვით მხატვარმა სურათი. მთვარი-  
სას ფერ-ფერი მისდიოდა, მკერდი  
ზღვასავით უღელავდა, მაგრამ მაინც  
ყურდაცქვერით უსმენდა მეგობრებს,  
თუმცა გული ერთსა და იმავე დროს  
სიხარულითაც, შიშითაც და რაღაც შე-  
უცნობელი სევდითაც ეგვებოდა. ხო-  
ლო მაშინ, როდესაც ერთერთ მეგობარს  
წამოსცდა ბედნიერია, ვისი ქმარიც ის  
გახდებია, — ლოყებს აღმური წაეკიდა.  
აღლევებისაგან სუნთქვა შეეკრა, მაგ-  
რამ ერთბაშად თვალი მოჰკრა მხე-  
დარს, რომელიც თავქვეზე გამეტებით  
მოაქენებდა ცხენს და ხევს უახლოვ-  
დებოდა. შორს იყო, იმდენად არ უც-  
ნია, რამდენადაც იგრძნო. იგრძნო,  
და ჩირის ასხმულა თაბახზე მიაგდო,  
ფეხზე წამოიჭრა და შეკვივლა:

— ის არის, მოდის! — ქალები შეწ-  
რიალდნენ.

— ვინ ის, რას ამბობ, გოგო?

— აგერ! აგერ! განა არ გეცნო-  
ბათ? — სიხარულისაგან აღმურადე-  
ნილს ენა ებმოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად  
ისროდა სიტყვებს და თან თითს გზის-  
კენ იშვერდა. ქალებმა მხედარი დაინა-  
ხეს, იცნეს და უმაღლე მიხედნენ, რომ  
მთვარისა, მათი მეგობარი, ყველაზე  
უფრო წმინდა, მიუყარებელი და ამ  
საკითხში გაუტეხელი რკინა, აწ უკვე  
უცეცხლოდ იწვოდა! მიხედნენ და მე-  
გობრული რჩევა მისცეს:

— თავის შეკავება უნდა იცოდე-  
სირცხვილს აიცილებ, გოგო!

მთვარისა გონს მოჭრდა. მიხვდა, რომ  
საიდუმლო გაუგეს. მიხვდა და კინაღამ  
ზეზეურად გაჰქრა. ახლა უკვე ნატრობ-  
და: ნეტავ მიწა გასკდეს და შიგ ჩამიტა-  
ნოსო. ცდილობდა როგორმე გამოესწო-  
რებინა ეს ანაზღეული შეტდომა და  
მართლაც გამოასწორა:

— აბა, რას სულელობთ? მაგაზე  
ლაპარაკობდით და იმიტომ შევეყვირე!  
ჰო, დედა არ მომიცდეს! რაღაც განგე-  
ბისად მომიჩვენა: ახსენეთ და გამოჩნ-  
და კიდე!

— მთვარისას პასუხზე ქალებს გაე-  
ცინათ, ზოგმა რაღაც გესლიანი სიტყვა  
წამოსიროლა, ზოგმა კი მისი დამშვი-  
დება სცადა, ვითომ ვერ მიგინვდით ვე-  
რაფერსო, მაგრამ ასე იყო თუ ისე,  
კამათი კინკლაობამდე აღარ მისულა,  
რადგან სწორედ ის, ვისზედაც დავობ-  
დნენ, შესამჩნევად მოახლოვდა, უკვე  
ისმოდა ცხენის ფეხის ხმა, და, რაც  
მთვარია, პირდაპირ ამათქენ მოჰქრო-  
და. მთვარისას მეგობრებს ქოთქოთი  
შეუღდათ:

— თქვენ გენაცვალეთ! რა საკადრი-  
სია ასე შინაურული კაბით მნახოს? —  
სთქვა ერთმა.

— მე დღეს პირიც არ დამიბანია! —  
წამოიძახა მეორემ.

— მე კიდეც ისე მაქვს ხელები შე-  
ღებილი წინგოთი, გეგონებთ მენახში-  
რეაო! — სთქვა მესამემ.

— არიქა! მართლა ამ ეზოს მოადგა!  
ეს საკმარისი იყო, რომ ზოგი უკან  
და ზოგი გვერდის კარით გაპარულიყო.  
ერთ წუთში ისე დაცარიელდა აივანი,  
თითქოს ალაღმა დაჰქროლა ბელურა-  
ჩიტებს და გაფანტაო.

მთვარისა მარტო დარჩა გაოგნებულ-  
ი და გაშტერებული. მთელი სხეუ-



ლი უცახცახებდა, გული უცნაურად უჭკვრდა. აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა. ერთ ადგილზე გაქვავებული ჭიშკარის კარს დაჰკვდომოდა თვალებით და ელდანაკრავს თავისთავისათვის ანგარიში ვეღარ მიეცა: აღსასრულის წუთს ელოდა, თუ ნეტარებისას! აივნის ქვეშ, მარნის კარების წინ, მისი მოხუცი მშობლები სიმინდს არჩევდნენ. ერთბაშად მოესმა მამის ჩვეულებრივი მზიარული შეძახილი: „მობრძანდით! მობრძანდით!“ და იმავე წუთს ჭიშკართან ცხენის ფაფარიც დინახა და იქითვე გაქვეული მოხუციც. მალე ჭიშკარი გაიღო და ეზოში ახალგაზრდა ვაჟაკმა შემოანათა.

— ძალიან კარგად მოქცეულხარ, რომ მოგვიგონე! მეგონა დაგაფიქვდებოდით! — მზიარულად ეუბნებოდა მოხუცი და თან ცხენის ადვირს ეპოტინებოდა.

— პურმარილი წუთისაა, ხოლო შისი მადლი საუკუნეებს გასდევს! — ფირანი ცხენიდან მოხდენილად გადმოხტა და მოხუცის ხელს თავისი ხელი მაგრად დაჰკრა.

— აი, ეს მომწონს! პურმარილი შენ ამაღამ ნახე! ცხენი აი აქ დავებათ, ისეთი მწვანე ფუჩეჩი დაეუყარო, ჭორფა ბალახშიც ვერ გამოაჩინოს! სიმინდს ჭარჩვეთ, ნედლი ტაროებიც არ აწყენს.

— არ. უნდა, ფუჩეჩიც ეყოფა — ჰოვო ფირანმა და მისკენ ხუსხუსით წამოსულ დედაბერს შეეგება. — საღამო, დედი! ხომ კარგად ბრძანდებით?

— იცოცხლე და იბედნიერე შეილო! — დედაბერმა ხელი გაუწოდა, სიხარულისაგან აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა: ხან კალთას იბერტყდა, რომ სიმინდის ნარჩვევი ჩამოეწმინდა, ხან მოსასხამს ისწორებდა. — ძალიან მესიამოვნა, რომ ჯანმრთელად გხედავთ.

თავის მეუღლეს აბრიაამ აღარ აცალა:

— გეტყობა, მთიდან მრდინხარ! დანატრებული იქნები ბარის ხილსა და სანოვაგეს! — უთხრა ალერსიანი ღიმილით.

— დიახ, მთიდან მოვდივარ! საცაა ჩვენი ფერმის ცხვარიც აქეთ ჩამოივლის!

— კარგი მთა გქონიათ! ცხენი კანში აღარ ეტევა, ხეითქმი სცურავს! შენისთანა ვაჟაკი ამას, აგრერიგად არ შეაწყუხებდა, ეს სიმსუქნის ბრალია! ჰაი-გიდი-ჰა! მეც კი მომიბრუნია თრიალეთის მადლიანი მთები ჩემს ჯეელობაში! ჰო, რაღასა ვდგევართ? დაფაცურდა მოხუცი, თითქოს ყველაზე გადაუდებელი საქმე ახლა მოაგონდაო. — დედაკაცო დატრიალდი, შე ოჯახქორო! ნამთვე ვაჟაკს ყველაზე მეტად მწვანელი, ბადრიჯანი და ხილი ეამება.

— ჯერ ნუ! ჯერ ვნახოთ! — შეესიტყვა ფირანი და თან ქურდულად თვალი გადაჰკრა ეზო-ყურეს, ეტყობა, ვერ დინახა ის, ვისაც ეძებდა და გული გადაუქანდა, ფერ-ფერი ეცვალა. „ნუ თუ სახლში არ არის? ნათესაებებში ხომ არსად გაიწვიეს სართვლოდ?“ — გაივლო გუნებაში და ყურები ჩამოჰყარა. მოხუც აბრიაამს გამოცდილ თვალს ეს წამიერი მოწყენა არ გამოჰპარვია. დედაბერი უკვე მარნისაკენ მიდიოდა, თორემ თვალს ჩაუკრავდა და ანიშნებდა: ხედავ რა ხდებო? ეშმაკი კაცი იყო, იმას არაფერი გამოეპარებოდა, მათ სახლში ფირანის პირველი სტუმრობა და ის მწველი განცდები, ახალგაზრდა ვაჟაკი რომ დაამუნჯა, სრულიადაც შემუჩნეველი და, მით უმეტეს, აუხსნელი არ დარჩენილა ბებრებისათვის. იმ წუთს აქეთ, რაც ფირანი დაემშვიდობათ და მთისკენ გააქენა თავისი ცხენი, ცოლსა და ქმარს სულ ამაზე ჰქონდათ

ლაპარაკი. ძალიან კარგად იცოდნენ, რომ ვაჟაკს ცეცხლი მოედო, იმასაც კარგად გრძნობდნენ, რომ მათი ქალიც მოღბვა, სულ მთლად შეიცვალა, განმარტოვება და ღრმა ფიქრებში წასვლა — შეუყვარდა, საქმეში გულისყური დაჰკარგა და მშობლებთან კანკალობაც კი დასჩემდა, მოხუცების ერთადერთი ნატვრაც ხომ ის იყო, რომ მთვარისა გაბედნიერებულიყო? ამიტომ მისი ქცევა სამწუხაროდ კი არა, სასიხარულოდ მიაჩნდათ. მაგრამ სპაძალდობროდ ვერ გაიმეტებდნენ ერთადერთ სიხარულს და ვერც თავზე ხელადებულ ყაჩაღს, უსაქმურსა და ავარას მიუგდებდნენ სატანჯველად! მართალია, ქებული ვაჟაკი იყო ფირანი, უტეხი ხასიათი და გმირობაც ხომ მათს სოფელში, მათ თვალწინ გამოიჩინა, მაგრამ ქალის პატრონებისათვის მარტო ეს არ კმაროდა ერთ წუთს შეიძლება შხამიანი გველიც კი ლამაზად მოეჩვენოს კაცს! საქმე ის არის, რას წარმოადგენს ოჯახური პირობებით, ან ქცევით, ან ნაცნობ-მეგობრებთან დამოკიდებულებით, ან ადამიანობით? ყველა ამის ვაგებებს კი შესწავლა და დაკვირვება სჭირდებოდა. ამიტომაც იყო, მოხუც აბრისს მთელ ზაფხულს აღარ მოუსვენია: სწორედ ახლა გაიხსენა შორეული ნათესაეები, ფირანის სოფელში რომ ცხოვრობდნენ. სტუმრად ეწვია მათ და თავისი თავი მოაგონა. ძალზე შეუყვარდა მგზავრებიც — იმავე სოფელიდან. თუ კი ვინმეს გადაეყრებოდა, მაშინვე ან სახლში მოიწვევდა, ან სადმე კოლმეურნეობის წერტში მიიპატიებდა და ორიოდ ჩარეკას გამოსცლიდა მათთან ერთად. წისქვილებში ზეტიალი ხომ პირდაპირ საქმედ გაიხადა! ამ ზაფხულს კოლმეურნეობას ერთი ტომარა ხორბალიც არ დაუფქვავს უიმისოდ! წისქვილებში სხვადასხვა მხრის, სხვადასხვა სოფ-

ლის ხალხი ხვდებოდა ერთმანეთს და აბრისაც სწორედ ეს დროს მოელოდა მან ისე შეისწავლა ფირანის ავკარგი, რომ თვითონ ახალგაზრდა ვაჟაკსაც კი არ ეცოდინებოდა თავისთავზე ამდენი რამ! ამ შესწავლის შედეგი ის გახლდათ, რომ მოხუცმა ცოლ-ქმარმა საიდუმლოდ გადასწყვიტა: თუ კი მათი ეჭვი გამართლდებოდა, თუ კი ფირანი მართლაც მოხიბლული იყო მთვარისას ეშხით, მაშინ ხელი აღარ შეეშალათ. პირიქით, თვითონვე უნდა ცდილიყვნენ, რომ მათი შეუღლება რაც შეიძლება მალე მომხდარიყო და ამით ერთადერთი ქალის ბედნიერება გაეფურჩქნათ!..

ამიტომ იყო, რომ ისინი ასეთი ყოფით შეხვდნენ ფირანის გამოჩენას. მათი ეჭვები რომ მართლდებოდა — ეს უხაროდათ! ვინ არ ჰყოლიათ სტუმრად, რომ ასე თავ-პირის მტკრევით უკან აღარ მობრუნებულა? გამოცდილ მოხუცს, ცხადია, არც ის გამოეპარა, თუ ანაზად რაზე მოიწყინა ფირანმა. იგი გულში ქება-დიდებას უთვლიდა თავის ქალს, რომ სულწასულობა არ გამოიჩინა და უცებ არ გამოვარდა ვარეთ. ჩაფიქრებულსა და დაღვრემილ ფირანს ხელი მაჯაში დასატყა მოხუცმა, შეანჯღრია და გულკეთილად უთხრა:

— ბიჭო! რას მოიწყინე? განა მართლა ბადრიჯანსა და ხილზე გადაგატარებ! ისეთი დედალი დაგიკლა, იმის ნახარში წვენი ერბო გეგონოს!

— მოვიწყინე? აბა, როდის? — დაუანტულად მიუგო ფირანმა და მერე დაუმატა: — მოწყენა რომ მდომოდა, აქ მოვიდოდი? — სთქვა უფრო მტკიცე ხმით და აივანს კვლავ ჭურღულად გახედა. ეშმაკმა წაიღოს, ბოძები თუ რიკულები პირდაპირ აყვავებულსა ჰგავდა: ყურძნის აკიდობებში, ბროწეულის, ვაშლის, მსხლისა და კომშის კუნწულებში, ჩირისა და კერკის ლა-

ტებში და ჩურჩხლის უამრავ ჭიკო-  
ებში ოთახის შესასვლელი კარიც  
კი აღარ ჩანდა. კახური შემოდგომის  
მაღლი და ბარაქა ამ აივანზე იყო გა-  
მოფენილი. მზით სულჩადგმულს,  
მზითვე აშრობდნენ და ასობდნენ,  
რომ მკაცრ ზამთარშიაც არ გამო-  
ლუოდათ სიტკბო და სიაჟე. მას  
რომ უფრო მეტი დრო ჰქონოდა დაკ-  
ვირებისათვის, უთუოდ დაინახვდა  
მთვარისას, დაფეთებული შველივით  
რომ იყურებოდა ბროწეულების კუნ-  
წულებიდან, მაგრამ მოხუცი თითქოს  
მტრად გადაქცეოდა. ერთ წუთსაც არ  
ასვენებდა:

— აღი მაღლა, შეილო, დაისვენე!  
ჩვენ სიმინდს ვარჩევდით, ეზოს მივა-  
ლაგ-მოვალაგებ, ჩემი ბებერი კიდევ  
თავის საქმეს გააკეთებს და მერე ორ-  
თავენი გეახლებით! უნაგირს ახლავე  
მოვხდი...

მოხუცი ცხენს მიუახლოვდა. ფი-  
რანს ელდა ეცა. იგი მოხუცს ხელში  
მისწვდა:

— ჯერ ნუ! ჯერ არა! — როგორ-  
ღაც შეშინებულმა, თუ შეშფოთებულ-  
მა შესძახა. მოხუცი გაოცდა. იგი ეყე-  
კაცის სახეს დააშტერდა. თუმცა მან  
პირი იბრუნა, მაგრამ გამოცდილმა  
თვალმა მაშინვე შენიშნა, რომ რაღაც  
სხვა განზრახვა ჰქონდა, სახუმროდ არ  
იყო მოსული.

— რას ჰქვია, ჯერ ნუ! რაღას ელი,  
რომ არ მესმის! — შეეკითხა მოხუცი.

— არაფერს. აბა, რას უნდა ველო-  
დე?

— პო-და. რიგიანი პატრონი ჯერ  
ცხენს მოუვლის, მერე თავისთავს! —  
იგი კვლავ მისწვდა ცხენის გარსაყ-  
რავს. ფირანი საბოლოოდ გამოფხიზლ-  
და. მან სრულიად მშვიდი გამომეტყ-  
ველება მიიღო და სცადა გულწრფე-  
ლად ეთქვა:

— არა, მოხუციო! სწორედ იმიტომ  
არ მინდა მოვხადო, რომ საქონლის

ყადრი ვიცი! ხედავ, ხეითქმი სცურავს,  
ასე უცებ რომ უნაგირად მოვხადო,  
წელკავს აიკიდებს. ჯერა ტუნტანა ვაშრებსა

— მაშინ გარსაკრავები მაინც მო-  
ვეშვათ.

— ეგ მართლაც კარგი იქნება! —  
ფირანიმა გარსაკრავები მოუშვა. აღვი-  
რი პირიდან წააძრო და ყბის ქვეშ დაჰ-  
კიდა. მათრახი კი მაჯიდან არ მოიშო-  
რა, მოხუცი წინ გაუძღვა და კიბემდე  
მიაცილა:

— ეხლა კი მაღლა აღი! ჩემი ქალი  
სახლში უნდა იყოს, სკამს მოგართ-  
მევს, ჩვენც ახლავე ამოვალთ!

ფირანი შეკრთა. უცებ თითქოს მეხ-  
მა დაჰკრა. როგორც მაშინ მოუვიდა,  
პირველად რომ ეზო-ყურეს ეწვია,  
სწორედ ისეთი რამ დაემართა. გულმა  
კანკალი დაუწყო. ლალად მავალს,  
თითქოს ფეხები მიწაში ჩაეჭვდა. „ეს  
რა ოხრობა მემართება?“ — გაივლო  
გუნებაში და ფეხის აწევა სცადა, რომ  
კიბეზე შეედგა, მაგრამ ვერა, ვერ შეს-  
ძლო! მოხუცმა ოდნავ ხელი ჰკრა:

— აღი აღი! ნუ გერიდება!

მისმა გულმა შეძახილმა გამოაფ-  
ხიზლა, ძალა შემატა, გაბედულება  
შთაუნერგა. მან თავს ძალა დაატანა და  
კიბეზე ავიდა. იგი გულის შგერით მო-  
ელოდა მთავარისას დანახვას. ეშინო-  
და მაშინდელივით ენა არ დამებას და  
უმწყო ყვავის ბახალასავით არ ავიბუ-  
ზოო. სხვა დროს, სხვაგვარ საქმეში,  
რაკი მიიღებდა გადაწყვეტილებას, არა-  
სოდეს უკან დახევა არ უყვარდა; სი-  
ცოცხლის ფსადაც რომ დასჯდომო-  
და, მაინც გააკეთებდა, შეუძლებელს  
შესძლებდა. „აქაც ასევე უნდა მოვიქ-  
ცე, რაც იქნება, იქნება“ — გაივლო  
გუნებაში და აივანზე, როგორც ამ  
ოჯახის დიდიხნის ნაცნობმა და მეგო-  
ბარმა, ფეხი თამამად შესდგა. კიბიდან  
სახლის კარამდე იმდენი ადგილია  
იყო დატოვილი, რომ ერთ კაცს გაეე-  
ლო: კუთხეში ზმელი სიმინდის ტა-

როები მიეყარათ, შემდეგ კი კერკისა და ჩირების ლასტ-ხახალ-თაბახები გაეფინათ, ნოლო აივანზე ჩურჩხლით საესე ჯოხები გარდიგარდმო ჩაემწკარივებინათ და მრავალნაირი კუნწულეები კი ლურსმნებზე დაეკიდნათ. ერთბაშად ბროწეულების ალისფერ კუნწულეებში ქალის მშვენიერი სახე გამოჩნდა. იგი დაფეთებული თვლებით შეკუთრებდა ვაჟკაცს. კერკსა და ჩირებს მოხდენილად ფეხი აარიდა და ორიოდ ნაბიჯი წინ წამოდგა. სწორედ ოთახის კარებთან შეჩერდა — ოდნავ გვერდზე მიხრილი, რომ გზა მიეცა ამოსულისათვის. როგორც კი შედგა, მკერდზე გადმოკიდებული გრძელი ნაწნავის ბოლოს ორივე ხელით ძენძვა დაუწყო. ფირანა კვლავ გახვედა ერთ ადგილზე და თამამად გამზადებული სიტყვა კვლავ ყელში გაეხირა. მის წინ ქალი იდგა, იმაზე ათასწილ უფრო მშვენიერი, მომჯადოებელი და მომხიბლველი, ვიდრე მის ანთებულ გრძნობებს ჩარჩენოდა მესხერებაში!

— რად გაჩერდით შუა გზაში? მობრძანდით! — მთვარისას ხმაში აღერსის მსგავსი რამ იგრძნო და იმედმა გული გაუმავრა. არაჩვეულებრივი ხალისითა და სიხარულით აეგსო მთელი სხეული. უცებ ფეხი წინ წადგა და სცადა ისე ეთქვა სათქმელი, რომ მღელვარება არ შეემჩნიათ:

— გამარჯობა, მთვარისა! — ხელი გაუწოდა და თან გულს ბრაზი მოეკიდა. ეს ხმა რამ ჩამიხლიჩაო.

— იცოცხლეთ! გმადლობთ! — ქალმა ხელი ჩამოართვა და ისევ ნაწნავის ბოლოს დაუწყო ძენძვა.

— მგონია... მგონია მაშინ დავმეგობრდით კიდევ! ასე თამამად იმიტომ მოველ! — სთქვა ფირანმა და უმაღლე ჩაუფიქრდა, სულელური ზომ არაფერი წამოვროშეო.

— ამ სოფელში ყველა გიცნობთ, არავის ეწყინება თქვენი სტუმრობა.

— მაშ, შენც არ გეწყინება, რომ აქა ვარ? სოფელს რაშიკეგეგნდებო?

— აგონდებით! გმადლობთ! — მთვარის წყალდიდობა ყველას ახსოვს! — აქამდე თავდახრილმა მთვარისამ მხოლოდ ახლა აიხედა, პირდაპირ შეანათა კრიალა თვალები და გაოცებით დაამტერდა.

— ეგ უბრალო რამ როგორ დაახსომდათ? მწყემსი ხიფათისთვის არის გაჩენილი. — უცებ გაჩუმდა, მთვარისას შეხედა — ბაქია და მკეცხარა ზომ არა ვგონივარო. შეხედა და სიამის ქრუანტელმა თავით-ფეხამდე დაჰკრა. მთვარისა გატაცებით შეკუთრებდა.

— უშნო ბაქია ვარ. არა? — სხაასხუბით მიიძახა ფირანმა. — მაპატიე, არ ვიცი რა მეშართება!

— არა! რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებთ? სახლში შემობრძანდით, აივანზე ადგილი აღარც კია, რომ სკამი მოგართვათ! ორივე კარგ ღიაა, მზეს ვეშურებით, წვიმები რომ დაიწყოს, ყველაფერი გაგვიფუჭდება!..

ოთახში შევიდნენ თუ არა, ცხენმა ისე მძლავრად დაიფრუტუნა, რომ ფირანი უკანვე გამოვარდა.

— თქვენი ცხენი იყო! — დაამშვიდა მთვარისამ.

— ჰო, სწორედ ის იყო, მაგრამ... — რაღაც უნდა ეთქვა და ყელში სიტყვა გაეხირა. გულმა უცნაურად დაუწყობაგაბუგი, მხოლოდ გონებაში ორი სიტყვა-ლა უკიაფებდა: „ან ახლა, ან არასოდეს!“ და ესლა უნარჩუნებდა ცნობიერებას. მთვარისამ სახლის კუთხეში მდგომ მომცრო მაგიდიდან ახალი გაზეთები აიღო და მიართვა.

— მთიდან მობრძანდებით, ახალი გაზეთი წაიკითხული არ გექნებათ! — ფირანმა გაზეთები ანგარიშშიუცემლად გამოართვა, მაგრამ თვალებით მას დააკვდა. მთვარისას ეს არ გამოპარვია. მის წინ ერთ ადგილზე გაქევედა. გუ-

ლი ისე უცემდა, ლამის ბუდიდან ამოვარდნოდა.

ეზოში ხმაური ატყდა. ქათმების კრიახმა და მოხუც აბრიას ყიფინამ იჭაურობა გააყრუა. „ქათამს იჭერენ, ჯერ ვერ ამოვლენს ან ახლა, ან არასოდეს!“ — კვლავ გაუელვა თავში ფირანს და თავისდაუნებურად აღმოხდა:

— მთვარისა, თუ არ გეწყინება, შენთან საქმე მაქვს!

ქალმა კობები შეიკრა და მწყრალად შეხედა. შეხედა, მაგრამ იმავე წუთს პოლბა, რადგან თავხედური ვერაფერი შეამჩნია.

— თუ კარგი საქმეა, გაწყრომისა რად გეშინიათ?

— არ ვიცი! ჩემთვის საქმე კი არა, ავით სიცოცხლის საკითხია, შენთვის კი... მთვარისა, აი, ხომ ხედავ, მთარაბი ისევ ხელში მიპირავს! — მან მარჯვენა ხელი მალა ასწია და მაჯაზე დაკიდებული ფოჩგანიერი მთარაბი აჩვენა. — აგერ, ცხენი ისევ შეკაზმული დგას ეზოში. შენს პასუხზეა დამოკიდებული: ან ამ წუთშივე წავალ აქედან, სამუდამოდ დავიკარგები, ან სამუდამოდ დავრჩები. როგორც ამ ოჯახის ნამდვილი წევრი. მიმიხვდი თუ ვერა, რასაც გუეზნები?

ქალმა გულუბრყვილო გაცეებით შეხედა, რალაც უნდა ეთქვა, მაგრამ ბაგე ვერ დასძრა და ისევ ფირანი მიეშველა:

— რაკი ვერ მიხვდი, მაშინ ერთი შეკითხვა მაქვს, გულწრფელად მიბასუხე და... ერთი სიტყვით, არ გეწყინოს, შენს წყენას სიკვდილი მიჩრჩევნია!

ქალის თვალეზში დაფარული სიხარულის ნაპერწკალმა იფეთქა. „სიკვდილი ურჩევნია ჩემს წყენას“. მხოლოდ ეს-ღა უკიაფებდა გონებაში და ალაღებდებ წამოსცდა:

— არ მეწყინება, ბრძანეთ!

— მერე და... არ დამტანჯავ, ნამდვილს მეტყვი?

— მე ტყუილი ჯერ ზემორობითაც არავისთვის შითქვამს! *ეროვნული*

— მაშ, კიდევ ერთხელ მწახსოვნი გეწყინოს!.. — ენა დაება, თავს ძალა დაატანა და ძლივს გასაგონი ხმით იკითხა: ხომ არავინ გყავს?

— რა ბრძანეთ? — ქალმა კვლავ კობები შეიკრა.

— იქნებ... იქნებ მე ხელისშემშლელად გამოეჩნდი, მაგრამ არა, ვფიცავ ჩემს ვაეკაცობას, მტრობას არავის დავუწყებ! თუ სხვისთვის გიძგერს გუული, თუ ვინმე გყავს, მითხარ და შენთან ჩემი სახელის ხსენებასაც ველარავინ გაბედავს.

უცნაური რამ მოხდა. ქალმა იგრძნო რაზედაც ელაპარაკებოდნენ და უცებ ცუდლუტობის გუნებაზე დადგა.

— მყავს! — მიუგო მან და ლოყებ-ალანძულმა თამამად შეხედა.

— გყავს? — ფირანს ფერი წაუვიდა. წამიერად გაშრა და გამეშვდა... ათასწილ ერჩია მეხი დასცემოდა, ვიდრე ამ ერთ უბრალო სიტყვას გაიგონებდა. კარგა ხნის შემდეგ ძლივს-ღა წამოიყენავლა ხმაჩახლეჩილმა: — ვინ არის, ჩვენებურია?

— ჩვენებური ეთქმის, ჩვენივე რაიონიდან არის! — თავდახრილ მთვარისას ცბიერი ღიმილი არ შორდებოდა მოხდენილ ბაგეზე.

— მე ვიცნობ?

— მგონია, რომ... როგორ არა! იმაზე უკეთ თქვენ არავის იცნობთ!

— ვინ არის? ბარემ მითხარ!

ქალი დადუმდა. ისეთი გამომეტყველება მიიღო, ვითომ ძალიან შეეშინდა. ახალგაზრდა ვაეკაცს ლამის თვალთ დაუბნელდა, მაგრამ მაინც გულსაკლავი ხმით შეემუდარა:

— მითხარ, მითხარ, მთვარისა, ვინ არის ეს ბედნიერი და, ვფიცავ, რაც კი საფიცარი გამაჩნია, თუ ჩემი ნაცნობია, ჩემზე უკეთესი მეგობარი არავინ ეყოლება და თუ მეგობარია, ძმად გა-



უხსლები! ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შენ მყავდე მადლიერი.. მითხარ მეთქი.

მთვარისა თავდახრილი კვლავ სდუმდა. იგივე ცბიერი ღიმილი უთრთოდა ბაგეებზე და თვალებში.

— ასე არ ივარგებს! რაკი დაიწყე ნულარ მაწვალე! — ევედრებოდა ფირანი. — იმას ხომ ვერ იტყვი სახელი არა აქვსო!

— აქვს! — ქალს სახეზე უცებ გაუქრა ცბიერი ღიმილი და ისეთმა აღმურმა წამოაქრა, თითქოს გაეარვარებული საკირის ღია ხერელთან ჩამოგდაო.

— რა ჰქვია, რა გვარია? — ფირანამ ახლოს მიიწია და თვალი გაუმტერა.

— რა ჰქვია და...

— ჰო! ჰო! გისმენს! — არ ეშვებოდა იგი.

— ფირან ფილაური!..

— რაო?! გაიმეორე! — ერთბაშად მოხეტყილმა სიხარულმა და აღფრთოვანებამ ამ შეუღღრეკელ ვაჟკაცს კინაღამ დამბლა დასცა.

— ფირან ფილაური! — სთქვა ქალმა ძალზე მკაფიოდ და თავის ნაწინავის ბოლოს კვლავ ძენძვა დაუწყო.

— შენ გენაცვალე, ბედნიერებაე! — უცებ მისწვდა ფირანი და თავისი მძლავრი მკლავებით მკერდს მიიქლო. მთვარისამ, უფრო ინსტინქტით, ვიდრე შეგნებით, კისერზე ხელი მოხვია და თავისი ბაგენი ფირანისას შეაგება. იმავე წუთს ეზოდან ძლიერი ყვირია გაისმა:

— ეპეი! რას ჩადით, თქვე მამა-ძალღებო, თქვენა!

ორთავენი შეკრთნენ. ყურამდე გაღებულ ღია კარებში ისე ჩანდნენ, როგორც ხელის გულზე. მოხუცი აბრია გამტერებულ და გამწყრალი შემოპყურებდა დაბლიდან. სირცხვილით დამწვარმა და გონდაკარგულმა მთვარისამ შეაკვივლა, ფირანს ხელიდან და-

უსხლტა, ოთახის ბნელი კუთხისაკენ გაიქცა და ტირილი წასქდა. *შოშტქქქი კი კვლავ ჯავრობდა ეზოში!*

— ამ დღისით, მზისით, არა გრცხვენიათ?

— მოხუცო! — მიადახა ფირანმა, — ბედნიერებამ ფრთა გაშალა, სირცხვილი ვინ ოხრობაა?! — მათრახი ტახტზე მიავლო, — ახლავე! მანდ დამხვდი, მშვენიერ ზღაპარს გეტყვი, ახლავე! — ფირანი კიბეს ჩარბოდა და თან მიყიყინებდა.

— რა იყო, კაცო, ვის უწყრები? — ქვედა სართულის დერეფნიდან დაკლული ქათმით ხელში გამოვიდა მთვარისას დედა და იმანაც აივანს ახელა. ვიდრე რაიმეში გაერკვეოდა, ფირანმა ის ხელში აიტაცა და გაშმაგებით დაპკოცნა.

— ჩვენ ერთნი ვართ, საუკუნოდ ერთნი, დედი! — დასძახოდა იგი გაოგნებულ მოხუცს და ახლა აბრიას მისწვდა.

— როგორ, მე არც კი მეკითხებით? — ვითომ წყრებოდა მოხუცი, მაგრამ მის კილოში უშოშო ბედნიერების ხმა უფრო ეღერდა, ვიდრე წყრომსა. ამას მიუხვდა ფირანი და გაბედულად მიუგო:

— მე ვისაც ვირთავ, იმას შევეკითხე! მაგრამ მოიცა, მე საქმე მაქვს, თქვენ მაცდენთ! იგი სწრაფად მიბრუნდა, თავის ცხენს გაეაზე ხელი დაჰკრა და თან შენძახა: — დაიჭიხვინე, მუღრეგო, ქვეყანა ღზინმა მოიცვა!

ცხენი შეჩვეული იყო პატრონის ალერსს. ერთი კი მოჰხვდა ჰქვიანი თვალებით და, რაკი იცნო ვინც დაჰკრა ხელი, ისევე მწვანე ფუჩქის დასწვდა.

— აი, წელან რას მეხვეწებოდი, ახლა უნდა მოვხადო უნაგირი, ამალამ მთელი ქვეყანა უნდა შევძრა ჩვენი სიმღერით! — მან სწრაფად მოხადა უნაგირი, ცხენს თოქალთოებით ზურგი



გადუწმინდა და გავიწმინდე აბრიას წინ შესდგა.

— მითხარ, სად მივადგო? თოფ-ზარბაზანიც დამიშინო, მე აქედან წამსვლელი აღარა ვარ!

— მოიტა, აქეთ მოიტა! — მარნისა-კენ გაუძღვა მოხუცი და თან ცდილობდა მწყურალად მოჩვენებოდა. დედაბერმა ორივეს გზა გადაუჭრა.

— აღამიანები არა ხართ? მეც გამაგებინეთ, რა მოხდა, რა ყვიჩნაა, რა კონცა-პროშტია?

— მე გეტყვი, დედი! კარგი საქმე ვის დაუმალავს? მხოლოდ, იცოდე, ვინც სიყვარულს შლის, ის წყველაკრულვას იმსახურებს... ჰო-და. დღევანდელ შემთხვევით გაცნობილად მთვლიდი, დღეიდან კი სიძედ მიგულისებ; მთვარისა თანახმაა!

— შეილო! — შესძახა დედამ. — შეილო, ჩემს მთვარისას სწორედ შენისთანა პატრონი შეფერის. მეცა და ჩემი კაციც მთელ ზაფხულს მაგაზე ვვოცნებობდით! იბედნიერეთ, იხარეთ და ჩვენც ჩაგვიყენეთ თვალში სინათლე! — მან ფირანი დამუქნარ მკერდზე მიიკრა და დაჰკოცნა. ახლა კი გატყდა მოხუცი აბრიაც, ნაძალადევი წყრომის რიდე სახიდან გადიყარა და ალაღმარ-თალი კაცის გამომეტყველება მიიღო.

— არა, მე კი არ გიწყურები! მოსახდენი, რაც მალე მოხდება, მით უკეთესი! მხოლოდ ჯერ პირობებზე უნდა მოგველაპარაკნა. — მან უნაგირი გამოართვა. თახჩაში შედო და უკან გამობრუნდა.

— პირობები ჩემს გულში სწერია! აი, გადახსენ მკერდი და წაიკითხე! — ღიმილით დაუდგა წინ ფირანი.

— გადახსნაც არ უნდა! რაც გულში გიწყურია, იმას მე შენს თვალზე გიკითხოვ! მაგრამ მეც ოჯახის პატრონი ვარ, თავი მესახელება, ბოგანოს და შიშველ-ტიტველს ხომ ვერ გაგატან?

ფირანმა გულიანად გადიხარხარა.

— სიცოცხლე მიმყავდეს და ხარბურებს ვლიო?! ჩემი რაცე მტკუნს მტკუნ ვერსად დამიტყვია!

გულუბრყვილო ფირანი ვერ მიხვდა მოხუცის ეშმაკობას. მას სურდა გაეგო: ვაჟკაცად რომ კარგია, გუნება და ხასიათიც სუფთა აქვს თუ არაო! მას ეშინოდა სასიძო ხარბი და ანგარების მოყვარული არ ყოფილიყო. აღამიანს რომ მგლობა მოსდგამდა, იმაზე მეტად არაფერი სძულდა უწყინარ მოხუცს. ამიტომ იყო, რომ ფირანის პასუხზე საბოლოოდ გამხიარულდა და თავის ბებერ მეუღლეს ებგერა:

— აღამიანო, ვერა ხედავ, რა ხდება, ეგ ერთი ქათამი ხომ კბილის საჩიჩქნად არ გვეყოფა! ჩემს ბედნიერებას, როგორ გგონია, მეზობლებს დაუღმალავ?

— დამხმარე რომ არავინა მყავს?

— მთვარისა რას გიკეთებს? განა პატარაძობას რომ აპირებს, ხელის განძრევა აწყენს?

— თავი დაანებეთ, არ გინდათ! — დაფაცურდა ფირანი. — ქათამი რა სათქმელია? მხოლოდ, აი, დიდი ცეცხლი დაანთე, დედი! ახლავე ყველაფერი გაჩნდება. იგი თან გზას ვაჟყურებდა, თან ღობის ძირზე მიყრილ კუნძებს ცეცხლთან მოათრევდა.

— დიდი ცეცხლი, განა ჰიაკოკონობაა! — გაწყურა აბრია, — ქათამი სათლის ალხედაც მოიხარშება!

— ეგ მე ვიცი! — რაღაც ფარული მნიშვნელობით სთქვა ფირანმა და უფრო დიდი კუნძი ცეცხლთან მიათრია. იგი ისე თამამად და თავისუფლად იქცეოდა, თითქოს აქ გაზრდილ-დაბადებული ყოფილიყოს. მოხუცი დედაკაცი ყველაზე წინ მიხვდა, რომ სასიძო დიდ ამბავს აპირებდა და ამიტომ აივანს ახედა და შესძახა:

— მთვარისა, შეილო, გამოხედდე! მთვარისა აივანზე გამოჩნდა, თავდახრილი, თვალდანამული.

ეს კდემამოსილება ეს მორიდება და მოკრძალება მას ერთი-ათად უფრო მშვენიერს ხდიდა. ფირანი ერთ ადგილზე გაქეაუდა. მშობლები კი აღტაცებით შეჰყურებდნენ და ახლა მთელი სიმწვავეთ იგრძნეს, თუ რა დიდ სიხარულს უპირებდნენ ამ ჰერ-საფარიდან გაფრენას. როდესაც მთვარისამ კიბე დალია და მიწას ფეხი დაადგა, მამა მაჯაში წასწვდა, მკერდზე მიიკრა და უთხრა:

— აი, შვილო! ეს ეზო-ყურე სიტყბოთი და უხვი დოვლათით არის აპრელებული, ასევე ტბილად და თვალმამღრისად გამყოფოს შენს ქმარშვილში! არ გიჯავრდები. — მან დაკოცნა ქალი და დედისკენ შეაბრუნა: დალოცე, დედაკაცო!

მოხუცმა დედამ ერთი სიტყვაც ვერა სთქვა: იგი თავის ქალიშვილს აკანკალებული ხელებით მოეხვია და ცრემლი ღაბა-ღუმით წასკდა..

ვინ იცის კიდევ რა არ მომხდარიყო, მაგრამ აღარ დასცალდათ. ცხენების ფეხის თქარა-თქური მოისმა და იმავე წუთს მხედრები მოადგნენ ქიშკარს, ტყავ-ქუდდახურულნი და ნაბღებში გახვეულნი. ფირანი ელვის სისწრაფით მივარდა და ქიშკარი გამოაღო.

— მოდი, მარჯვედ გივლიათ! — შესძახა მან.

— ნიშანი შორიდანვე ვიცანით, შენს მერანს უნაგირი რომ აღარ ედგა, ხევზე ჰენებით წამოვედით! — მიუგო მოხუცმა იასონმა და მძიმე ხურჯინით დატვირთული ცხენი ეზოში შემოაქენა. მას უკან მოყვა ახალგაზრდა მწყემსი, რომელსაც უნაგირის კეხზე ვეებერთელა ჰედილა შემოედო. განცვიფრებულ-გამტვრებული მასპინძლები სასიძომ მოიყვანა გონზე.

— ნუ გიკვირთ, რაც აქ ხდება! — სთქვა მან. — იქნებ თავხედობით მო-

დის, მაგრამ ჩემის აზრით, მაინც პატრიოსურია! ჩემი ბედნიერების სხვათხი მე და ამ მოხუცმა მთავრემ გადავწყვიტეთ. თბილისზე რომ ჩამოვიარეთ, წინასწარვე ვიყიდე, რაც დამკირდებოდა. „ხო“ თუ იქნებოდა, — გამოვიყენებდი, თუ „არა“ — შინ წავიღებდი, შევინახავდი, ვიდრე დრო იქნებოდა. ამ ხურჯინში სადღეღოფლოს საჩუქრებია. — მთვარისას გადახედა და განაგრძო: — ცალ თვალში თევზეულიც არის და სხვა რამ სანოვაგეც, ამაღამ დაგეკირდება.. ჰო-და პირობა ასეთი დადეთ: თუ ეზოში ჩემი ცხენი უნაგირმოხდილი დახვდებოდათ, ეს იმას ნიშნავდა, რომ საქმე გათავებულია, ესენი ეზოში უნდა შემოსულიყვნენ და თან საკლავიც მოეყვანათ, რომ ნიშნობის მსგავსი რამ მოგვეწყო! თუ ცხენი შეკასმული იქნებოდა, ესენი ამ სახლს გვერდზე ჩაუვლიდნენ, ქვემოთ ჰალაში დამიდოდიდნენ და შემდეგ მეც იქ ჩავიდოდი, რომ მთიდან მომავალ ცხეარს სამთავენი ერთად დავხვედროდით! სულ ეს იყო და ეს!.. — დააბოლოვა მან და ცხენიდან ჩამომხტარი იასონი ადგილს მოსწყვიტა, მთვარისას წინ დააყენა.

— აბა, როგორია იასონი? მთაში რომ უძილო ღამეები და ოხვრა-ვიში დამჩემდა, იმად ღირს თუ არა?

იასონი აღფრთოვანებით შეჰყურებდა მის წინ მორცხვად თავდახრილ ქალს. როდისა და როდის ძლივს აღმოხდა:

— ეს ქალი კი არა, ზღაპარში რომ მსმენია, სწორედ ის მხეთუნახავია!..

მაღე ჰედილა დაჰკლეს, მეზობლები მოიწვიეს და იმ ღამეს მოხუც აბრისას სახლში ისეთი ღზინი გაიმართა, როგორც არასოდეს არ ღირსებია!

ალიო აღაშინა

## ხემალალის ვაზი

ნაწყვეტი მოთხრობიდან



I

როცა სოფელმა ჭირნახული დააბინა, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი გელაშვილმა და პარტორგანიზაციის მდივანმა „ხემალალის ვაზის დავთარი“ შეადგინეს.

საერთო რვეულის თავფურცელზე აღნიშნული იყო სავენახე ადგილის ფართობი, მისი საზღვრები, ჩამოთვლილი იყო გასამენებელი ვაზის ჯიშები.

„ხემალალის ვაზის დავთარში“ შეიტანეს იმ კოლმეურნეთა სახელგვარი, რომელთაც სავენახე ადგილი უნდა დაებარათ; სიის თავში „წითელი სხივის“ ახალი ბრიგადის ხელმძღვანელი ალექსანდრე კვინიკაძე ეწერა.

გიორგიმ კვირა დღეს ოცდახუთმეტი ახალი ბარი ამოიტანა ხარაგოულიდან და ორშაბათ დილით ალექსანდრე კვინიკაძემ თავისი ბრიგადა ზეგანზე გაიყვანა.

ბრიგადა ორად გაიყო, ნაწილი ტყვისა, ფესვებისა და დიდი ქვებისაგან წმენდდა ნიადაგს, მეტი ნაწილი კი ბარავდა.

ალექსანდრე და სერგო ბარბაქაძე დილაუთენიას მოვიდნენ ზეგანზე. მცირე დრომ გაიარა და გიორგი გელაშვილი გამოცხადდა მოპირული ბართ, მას თან ახლდა კოლმეურნეობის მონაგარიშე გულასპირი.

სერგომ შეუკავებელი ღიმილით გა-

დახედა მხარზე ბარგადებულ მოანგარიშეს.

— ეს კი დიდი ბედოვლათი და დევგმირი წამოგვიყვანია გიორგი...

— რაც დევგმირი ვარ ბიძია, დაგანახებ, აბა ერთი უნდა ენახო თუ მომყვები კვალში. — შეაწყვიტა გულასპირმა ბარბაქაძეს და მის წინ დონივრად ჩაარჭო მიწაში ბარი. — საღამოს გამოვიანგარიშებ ბიძია, რაც გექნება მობარული. ახლა კი ერთი შენი მაგარი თამბაქო მისახსოვრე გენაცვალე და მერე ჩემგან თავისუფალი ხარ — აგერ ბარი, აგერ საბარავი, და აგერ შენი დევგმირობა! შენ, გენაცვალე „ალუს“ იძახოდი, როცა მე ავალიშვილსა და აბაშიძეს ვეჭიდებოდი! არ გაგიკვირდეს სერგო და დედის სულს გეფიცები მართალია, ავალიშვილი მყავს გალახული: ერთი წელიწადი გემსახურე და გასამარჯელო რომ მოვთხოვე, ბრანწი მიჩვენა. მოგეცა ლხენა მე ერთი იმას მაგრა გაუშალე სახეში, მივაფურთხე და პანდურიც ამოკვარი. მარა მეც დამიჭირეს და მაგრადაც დამეყვა იმ სულძაღლმა. კაცი რომ იყო მოკვლავი, შენ კი ჭიალუა ხარ და ჭიალუას მოკვლისათვის სასამართლოში როგორ ვიარავო; — შენ გაიხარე, მე იმას მოხდენილად ვუბასუხე — ჭიალუა კი არა, კაცი ვარ მეთქი... — გულასპირს ენა აუწყლიანდა, უნდოდა ერთხელ კიდევ ეთქვა ათასჯერ მოყოლილი, მაგრამ კოლმეურნეები უკვე

შეგროვილიყვნენ და რგოლებად ნაწილდებოდნენ.

დაკარეს ბარი და მუშაობა გაჩაღდა. რგოლის გარეშე დარჩა გულასპირი, რადგან მერგოლურებმა ერთბირად განაცხადეს — მხოლოდ ნახევარკაცად მივიღებთ გულასპირს, მაგისათვის ნახევარი ნორმა მოგვიზომეთო. იუკადრისა ეს გულასპირმა, გამორდა ხალხს და შუა ზეგანზე მარტოდმარტო დაიწყო ბარვა.

გიორგიმ და სერგომ რამდენჯერმე თხოვეს—ჩვენს რგოლს შემოუერთდითო. მაგრამ გულასპირმა ვანზე დაიჭირა თავი.

მერგოლურები უხერხულ მღვთობაში ჩაადგნენ გულასპირის ასეთმა მოქმედებამ. არც ერთ მერგოლურს არ ეშინოდა იმისი, რომ გულასპირი მართლაც ნახევარ ნორმაზე მეტს ვერ დაბარავდა. არა, საქმე, ამაში როდი იყო, — უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ შიშობდა ყველა — გულასპირი „ძველქველ ამბებს“ მოკყვება და მთელ რგოლს გააცდენსო.

მუშაობაში შეხურდნენ. ახმინადა ზეგანი.

ალექსანდრე ხან ერთ რგოლს წაემველებდა, ხან მეორეს. გულასპირსაც მოაკითხა ბრიგადირმა, მაგრამ გულასპირმა ახლოსაც არ გაიკარა:

— მე ვიცი ბატონო ხელმძღვანელო ჩემი საქმე! აი, ხომ ხედავ გადაზომილი მაქვს დღევანდელი დასაბარავი; სალამოზე მობრძანდი და ჩაიბარე!

როცა ალექსანდრემ ათიოდე ნაბიჯი გადადგა, გულასპირმა ვითომ წყნარად, მაგრამ ისე რომ ალექსანდრეს ყურსაც მიწვდენოდა, ჩაილაპარაკა: რაღა მაინცდამაინც ეს ქვიანი ადგილი ამოვარჩიე თავისოხერმა! გავწეულიყავი ცოტა ვანზე ბუმბულოვით მიწა არ შემხვდებოდა? მაგრამ ბედი ბატონო ყველაფერი, ბედი! მე რომ ბედი მქონებოდა კოლმეურნეობის მოანგარიშე კი

არ უნდა ვიყო, არამედ თავმჯდომარე; სიტყვა-პასუხი მაკლია, ვინც ვამჩქრილებო არა მაქვს? მაშინ ვაჩვენებდი ამ ბლარტებს, თუ როგორ უნდა გულასპირის მასხრად ავღებო!

მიხედ-მოხედა გულასპირმა და ალექსანდრე არსად ჩანდა. დაღლილობა იგრძნო. თვალთ ვაზომა ნამუშევარი და ეცოტავა. ორ საათზე მეტია რაც მუშაობს და ჯერ დღიური ნორმის მეათედიც არ დაუბარავს.

— ის ოხერი დედაკაცი მაინც რად იგვიანებს? აკი დაუბარე, საკმელი ადრე გადმომიტანე მეთქი?

უფროდაუფრო ჩაღებოდა მუშაობა, თანდათან თოფისწამლისფერი ხდებოდა ზეგანი.

— მარდათ, მარდათ ამხანაგებო! — გასძახოდნენ მერგოლურები. — თორემ მიწურული შემოდგომის დღე მატყუარაა, შეუმჩნევლად გაგვეპარება ხელიდან!

როგორც იქნა გამოჩნდა გულასპირის მეუღლე მათა. ამ ნახევრად ღრუბლიან ამინდში თავის ჭრელი ქოლგა წამოიღო, მარცხენა ხელში კი პატარა კალათი ეჭირა.

როცა ხალხს მიუახლოვდა, მარცხენა მკლავში ამოიღლიავე ქოლგა და მარჯვენა ხელისგული სახეზე მოისევა, მერე კალათის კუთხეში ბოთლისთავი შეამალდა, რომ ბოთლი ყველას ადვილად შეემჩნია, იმიტომ ნაბიჯი და თავაზიანად მიესალმა ჯერ გიორგისა და სერგოს, მერე კი საერთო სალაში მისცა ხალხს.

— აა, ქალბატონო მათა! საღილი მოგიტანიათ ქალბატონო, მადლობელი ვართ, მაგრამ ცოტა უკაცრავად, ქმარი რომ ვერ დაგახვედრეთ.

მათამ მიმოიხედა გულასპირი მართლაც არ ჩანდა; იფიქრა—ალბად ვერ შესძლო მუშაობა და კანტორაში წაიღოდაო, მაგრამ მაინც გაკვირვებულ

სახე მიიღო, ქოლგა ძირს ჩამოუშვა და კალათი მიწაზე დადვა.

— ქალბატონო მაია, თქვენი ქმარი კოლექტივს გამოეყო, — ეშმაკური ღმილით დაიწყო გიორგიმ. — აი, ეგერ ცალკე მიიზომა მიწა და ბარავს. ბარავს მარა რა მოგახსენოთ, მე აქედან ვუთვალთვალე და მეტიწილი ზის; დაქადნებული კია, რომ ჩვენზე აღრე მორჩება მუშაობას!

— დაუჯერებელი ადამიანია ბატონო, დაუჯერებელი! ვუბნებოდით—შინ დაეტიე, სად შეუძლია ბატონო? ყველას თავისი საქმე აქვს ამ ქვეყანაზე. — კალათას დაავლო ხელი მაიამ და ქმრისაკენ გასწია.

ვითომ არც კი შეამჩნია გულასპირმა მაია, ზურგი შეაქცია განგებ და გამალებით იწყო მუშაობა.

— არა, ახლა კი ნამდვილად დავრწმუნდი, რომ სიკვდილი გადავიწყვეტია, რას შერები ადამიანო?! — შეუცაცხანა ქმარს მაიამ და ზედ ცხვირთან მიუტანა ქოლგა.

— აა, მოხვედით კენინავ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — გულასპირმა ბარის ტარს ხელი შეუშვა. ხალათის სახელოთი ოფლი მოიწმინდა და კალათაში თავამოყოფილ ბოთლს თვალი რომ შეაფლო, ხმა გამოიცვალა:

— გემრიელი რაჲ მოიტანე დედაკაცო?

— რისი ღირსი ბრძანდები, ის მოგართვი ჩემო ბატონო, — ცოტა არ იყოს დაცინვით უპასუხა ცოლმა და კალათი ხელში შეაჩეჩა... — არ გუბნებოდი ადამიანო, შინ დაეტიე მეთქი? მერე და სხვებს რომ გამოყოფიხარ, რისი იმედით. ვის ატყუებ? სხვა-სხვა იყოს, მარა, მე არ ვიცი შენი მკლავის ძალა?

— კარგია! გაატანტალე ახლა ენა და იქაქანე! მაგას ჯობია ცოტა წამებ-მარო, თორემ მართლა შევრცხვები! რა გაშფოთებს ადამიანო, დამშვიდდი და

ყველაფერი თავის რიგზე იქნება. ამოალაგე რაც შენი კონტაქტები გაგიკეთებია.

ცოტა რომ წაილუკმა და ერთი პატარა ჭიქა არაყი გადაკრა, გული გაუხალისდა. გაეღიმა, თითქოს რაღაც ახალი აზრი დაებადაო, ცოლისკენ მიიხიზდა:

— იცი მაია, რაშია საქმე? მე გუშინ ყური მოვკარი სერგოსა და ჩვენი რაიკომის მდივნის საუბარს—ასეა გადაწყვეტილი—ვინც თავს გამოიჩენს ამ საქმეში და ბეჯითად იმუშავებს, ყველას გაზეთში გაწერენ. თუ ქალებმა მიიღეს მონაწილეობა, საჩუქრებს მიართმევენ. მისვდი ახლა რაშია ცაა საქმე? ის ივანია კვინიკაძე ხუთჯერ იყო გამოკომული ჩვენს რაიონულ გაზეთში, ახლახან „კომუნისტში“ იყო დაბეჭდილი მისი ქება-დიდება და ყველაფერი ეს იმისათვის, რომ რაღაც ხელისგულისოდენა ეზოში ნამყენი ვაზი გააშენა. რაჲ, მე ნაკლები ღვაწლი მიმიძღვის კოლმეურნეობისა და ხალხის წინაშე? რაც კოლმეურნეობა დაარსდა კანტორაში არა ვარ გამოკეტილი? ამათ ნამუშევარს მე არ ვანგარიშობ და აბა თუ იტყვის ვინმე, რომ მე ერთი მანეთი დავაკელი, ან მოუმატე? — კიდევ უფრო ახლო მიუჩიზდა ცოლს და ხმადაბლა განაგრძო: — ჰოოდა, მეც მინდა ჩემო საყვარელო მაია, ერთხელ მაინც მომიხსენიონ გაზეთში! თქვან, რომ მეც ვემსახურები ხალხს, რომ კოლმეურნეობის ანგარიშსაც ვაწარმოებ და ფიზიკურადაც ვმრომობ თავისუფალ დროს! ცუდი საქმეა, თუ?

— ასე თუ იყო საქმე, თავიდანვე ვერ მითხარი ადამიანო? რას მიქვია ამ ათიოდე მეტრი მიწის სავენახედ გადაბრუნება? რაჲ, ჩემი ბოსტანი სხვამ დაბარა? თუ სახელზეა საქმე, აბა ვნახოთ ვინ გვაჯობებს! — მაია ზეზე წამოიჭრა, ქოლგა ხელიდან გაავლო და ბარს წაეტანა.

გაეხარდა გულასპირს. თითონაც წამოდგა, ბოთლი შეუქმნევლად ჯიბეში ჩაიღო, ცოლს გაუღიმა:

— ერთი დაბლა ჩაეკითხავ, ეგებ თავისუფალი ბარი ჰქონდეს ვინმეს. — ჩქარი ნაბიჯით დაეშვა თავქვე.

მამაკაცები სადილათ ისხდნენ. მესაღილე ქალები და გოგო-ბიჭები-კი ზოგიც ჩალამ-კალამს აქუჩებდა და ცეცხლს უკიდებდა.

გულასპირი დიღინით წაადგა თავზე მოსაღილეებს. ჯიბიდან ბოთლი ამოაცოცა, პარცხენა ხელში დამალული პატარა ჭიქა ხელისგულზე შეაყენა, დაასხა არაყი და გიორგის გაუწოდა.

— დამილოცე თავმჯდომარე ჩემი შრომა!

— ჯერ შენ მიირთვი გულასპირ და მერე გადმოდი ჩემთან, — შეესიტყვა გიორგი და ქათმის ბარკალი გაუწოდა.

— აჰ, აჰა-აჰა, მეტი რომ დაელით, მომკლავს! ხომ ხედავ ნახევარია ბოთლში!

ახლა კი ამჯერად იცრუა გულასპირმა, თავიდანვე ნახევრად ესხა ბოთლში არაყი.

— არა, ბატონო, მე ამდენი საღ შემიძლია? — განგებ აირია ნაბიჯი და სავსე ჭიქაც და ბოთლიც გიორგის გადაუღოცა. თითონაც ახლოს დაჯდა და საქმელს წაეტანა.

სერგო და ალექსანდრე არ ეკითხებოდნენ მუშაობის ამბავს გულასპირს. დარწმუნებული იყვნენ, რომ საქმე ცუდათ ჰქონდა და ახლაც უსათუოდ იმისათვის მოვიდა, რომ რაიმე მიზეზი მოიგონოს და თავი იმართლოსო.

გულასპირი კი არხეინად იჯდა და ცალი თვალთ გადასცქეროდა ამთ ნამუშევარს. როცა აქა-იქ წამოიშალნენ, გულასპირიც წამოდგა: ახლა კი ჩემი წახვლის დროც არისო.

— ეგებ ვინმეს ზედმეტი ბარი გაქვთ? — ჰკითხა კოლმეურნეებს.

სერგომ თავისი ბარი შესთავაზა.

— როგორ? უკვე მორჩი მუშაობას?

— არა, საქმე მაქვს დასრულებული. — ბარი კი შენთვის დამითმია, აბა შენ იცი, მარტო არ შეატოვო მაიას სამუშაო! რა იყო ამ დილით რომ გაცხარდი, მეც ნახევარ კაცად ვეწერები რგოლს და ამის გამო უნდა გავვულისდე და ცალკე გავდგე?

— აა, მოკაცე ბიძია თითი, მოკაცე! არ გამოგადგება გულასპირთან შეჯიბრება! ხომ ხედავ ჯერ შუა დღეა და უკვე მიიპარები! დევგმირიო, რომ დამცინე, ახლა ხომ შენი თვალთ დაინახე, რა დევგმირიც ყოფილხარ. — ჰქირდავდა სერგოს გულასპირი, თუმცა იცოდა, რომ სერგო აუცილებელი საქმის გამო ტოვებდა სამუშაოს, მაგრამ ეთამამებოდა, თან გამარჯვებას ულოცავდა თავისთვის. — ხომ გითხარი ბიძიკო, საღამოს გამოვიანგარიშებ, რაც ნამუშევარი გექნება მეთქი! წალი გენაცვალე, ოღონდ ერთი შენი მაგარი თამბაქო მისახსოვრე, ამ წასაღილეზე გულს ესიამოვნება მაგარი თამბაქო...

მცირე ხნით შესვენებულნი კვლავ შეუდგნენ მუშაობას. გულასპირმაც მიუღღეს მიაშურა, მოუბოდიშა:

— ცოტა დამავიანდა, მარა ხომ იცი ხალხის ამბავი, როგორც კი ჩამიგდებენ ხელში ათას რამეს შემეკითხებიან — აბა ეს როგორ უნდა გულასპირ, აბა ეს საქმე როგორ უნდა გადაეწყვიტოთ... ვილაც რაიონიდან ამოსულა და ცნობები მომთხოვა... მარა, ბარი-კი, მოგეცეს ლხენა ჩემო მარა, კარგი ვიშოვნე. ჩვენი პარტკომის მდივნის ბარია, — გაუსინჯო პირი, აბა, ერთი როგორი მჭრელია?

ცოლს ამოუღდა მხარში და ხალისიანად დაჰკრა ბარი მიწას.

## II

საღამომ მოატანა. ალექსანდრემ გადაბარული მიწის აზომვა დაიწყო.

ყველა რგოლის ნამუშევარი, რო-

გორც წესი, ცალ-ცალკე ჩანინა ბრი-  
გადირის წიგნაკში.

უხაროდა: ხუთსავე რგოლს მნიშვნე-  
ლოანი გადაშეტებით ჰქონდა დღიუ-  
რი დავალება შესრულებული. ყველა-  
ზე წინ ივანე კვინიკაძის რგოლი იყო,  
ხემაღალის პირველი მევენახე ვერ ფა-  
რავდა სიხარულს. ამ სავენახედ გადაბ-  
რუნებულ მიწაში სოფლის სიმდიდრეს  
ხედავდა გამოცდილი გლეხკაცი. ოო,  
რა თვალწარმტაცი სანახავი იქნება  
ჩვენი ზეგანი, როცა ვაზის ნერგები  
დაიზრდებიან, როცა ნაყოფს გამოის-  
ხამს ვაზი...

სწორედ ასე ოცნებობდა ივანე კვი-  
ნიკაძე. როცა საკუთარ ეზოში ამკვიდ-  
რებდა ვაზს, და აკი კიდევაც გაუ-  
მართლდა ოცნება! ასე, უსიკვდილოდ  
ასე იქნება ახლაც. მაშინ ხომ მარტო  
იყო ივანე კვინიკაძე. არავინ ჰყავდა  
ხელშემწყობი და წამხალისებელი. ზო-  
გი მეზობელი სასაცილოდაც იგდებდა,  
მაგრამ შრომა გაუმართლდა გლეხკაცს  
და ახლა უხარია, რომ კოლმეურნეო-  
ბამ ასე ერთობიად გადასწყვიტა ხემა-  
ღალში ნამყენი ვაზის გაშენება.

ალექსანდრეს არც კი უნდოდა გუ-  
ლასპირთან და მაიასთან მისვლა. დარ-  
წუნებული იყო, რომ მათ სანახევრო-  
დაც არ ექნებოდათ სამუშაო შესრუ-  
ლებული და ჩემი მისვლით უხერხულ  
მდგომარეობაში ჩაეყენებო, მაგრამ  
გულასპირმა მკექარე ხმით გადმოსა-  
ხა — ერთი აქ ამობრძანდი ყმაწვილო,  
შენი საზომიანათო.

რა გზა ჰქონდა. ნელი ნაბიჯით შეჰ-  
ყვა აღმართს ალექსანდრე, როცა ცოლ-  
ქმარის ნამუშევარს წაადგა თავზე,  
გულასპირი ქამრით ზომავდა გადაბა-  
რულ ნაკვეთს.

— ამოიღეთ ყმაწვილო თქვენი  
უბის წიგნაკი და ჩანინეთ: კოლმეურ-  
ნობა „წითელი სხივის“ მონაგარიშემ  
სავენახეზე მიწის გადაბრუნების დღი-

ური დავალება პირველსავე დღეს ას-  
თოთხმეტი მთელი და შევიდა. მეთექვსმეტი  
პროცენტით შეასრულა. ჩასწერე, თა-  
მამად ჩასწერე გენაცვალე, ნუ გეში-  
ნია, მონაგარიშემ გულასპირი ანგარიშ-  
ში არ მოტყუვდება და არც სხვას მოა-  
ტყუებს! ჩემი ქამრის სიგრძე ზუსტად  
ერთი მეტრი და თერთმეტი სანტი-  
მეტრია...

ზუსტი გამოდგა გულასპირის ანგა-  
რიში. ახლა უფრო შეისხა ფრთები  
გულასპირმა.

— დედაკაცო, ორასი კოლმეურნის  
ნამუშევარს ვანგარიშობ ყოველდღე,  
ერთხელაც არ მომსვლია შეცდომა და  
ჩემსა და შენს ნამუშევარს ვერ გამო-  
ვიანგარიშებდი? წავიღეთ გენაცვალე,  
წავიღეთ. ხომ ხედავ ხალხი გველო-  
დება.

იღივებოდა გულასპირი. მხარზე  
შედებულ ბარს ათამაშებდა და ისეთი  
თამამი ნაბიჯით წაუძღვა შინამომა-  
ვალთ, ასე გვეგონებოდათ, არა თუ მარ-  
ტო მისთვის მიზომილი ნაკვეთი, არა-  
მედ მთელი ზეგანი გადაებრუნებინოს  
სავენახედ.

გიორგი, ალექსანდრე და გულასპი-  
რი შეღამებულზე მოვიდნენ კანტორა-  
ში. სერგო აქ დახვდათ.

ალზენდათ დღევანდელი შრომის შე-  
დეგი. გიორგიმ კარადა გახსნა და  
ალექსანდრეს „ხემაღალის ვაზის დავ-  
თარი“ გაუწოდა.

— უმჯობესია დღესვე ჩავწეროთ  
დღევანდელი ამბავი, შემდეგშიაც ასე  
მოვიქცეთ.

გულასპირს ეუცხოვა ეს საერთო  
რვეული; კოლმეურნეობის ყველა წიგ-  
ნი და დავთარი იცის გულასპირმა და  
ეს რვეული კი არ უნახავს! არა, ნამდ-  
ვილად არ უნახავს, ხელში არ სჭერია  
და არ გადაუფურცლავს.

— მომეცი ცოტახანს ეს რვეული  
ბიძიკო, მიბოძე, გენაცვალე, ვიცი, გი-

ორგი და სერგო მე არ ჩამწერდნენ ამ რეველში.

გულასპირმა ჩაიკითხა კოლმეურნეთა სია და ბოლოში დიდი ასოებით აუჩქარებლად დასწერა თავისი სახელი და გვარი. იქვე ტირე გააყოლა და წვრილი ასოებით მიაწერა: „კოლმეურნეობის უცვლელი მონაგარიმე. სავენახე მიწის გადაბრუნების დღიური ნორმა პირველ დღეს შეასრულა ას თორმეტი მთელი და შვიდი მეათედი პროცენტით“.

— აი, თქვე მართლა დევგმირებო! თქვენ, გენაცვალეთ, ნუ გეწყინებათ და მართალია როცა თქვენ „აღუ-აღუს“ იმახლოთ, მე მაშინ ავალიშვილსა და აბაშიძეს ვებრძოდი.—გულიანად ჩიიცინა გულასპირმა, მერე შინ წასასვლელად გაემზადა.

— აბა თქვენ იცით, ხვალ არ დაიგვიანოთ სამუშაოზე გამოსვლა! საქმე კარგათ დავიწყეთ და ასევე უნდა მივყეთ ბოლომდე.

გამარჯვებული გულასპირი ამაყად ჩაივლიდა კიბეზე და როგორც კი ეზოს გაცდა, აღიღინდა.

### III.

დეკემბრის მიწურულში ჩამოვიდა ნანა საქარაში. მას შემოდგომაზე უნდა დაეწყო მუშაობა საქარის მევენახეობის საცდელ სადგურში, მაგრამ ბებია ელენე ლოვინად ჩავარდა. მთელი ორი თვე ებრძოდა სიკვდილს. ერთსა ნაღვლობდა ყველაზე უფრო: — აწი ცხოვრებაში არაფერი გაგიჭირდება ნანა. მარა მინდოდა ჩემს სიცოცხლეში გათხოვილიყავი. ახლა მთელი ოჯახი მარტო შენ დაგაწყება და როგორ უნდა შეიძლო ნანა, სამსახური და ოჯახის მოვლა! ეეს, უდროოდროს არ მომდგომია სიკვდილი კარზე, მარა კიდევ ცოტა ხანს მინდოდა შეცოცხლა,—ჩემი თვალით მენახა შენი ბედნიერება.

ალექსანდრე თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდა ბებია ელენეს ხანახანვად. პირველ დღეებშივე რომელიმე ამხანაგს მოიყოლიებდა, თავთან ახლოს დაუჯდებოდა ავადმყოფს და ართობდა: ხმამაღლა უყვებოდა სოფლის ახალ ამბებს და საუბარში უსათუოდ ხემაღლის ვაზს ახსენებდა.

— კი, ჩინებულად გაიზარდა. წელს ხომ პირველი მოსავალი მოგკრიფეთ და გლეხები ამბობენ, რომ უბისაში ათი წლის ვაზიც არ ისხამსო ამდენს. თუმცა ნანა გვიწუნებს, მარცვალი წვრილიაო და მტვენებიც მეჩხერი ეჩვენება.

ვანშობამდე რჩებოდა ალექსანდრე, ხოლო როგორც კი ნანა სუფრის გამლას შეუდგებოდა, რაღაც აუცილებელ საქმეს მოიმიზეზებდა და წავიდოდა. არ ჭრიდა ავადმყოფის, ზურაბისა და ნანას თხოვნა.

ალექსანდრე კოლმეურნეობის კანტორაში გამოივლიდა, აქ მას ვულასპირი დახვდებოდა, რომელიც ხშირად შუაღამემდე მარტომმარტო იჯდა კანტორაში და საანგარიშო ჩოთქს აჩხუკუნებდა.

— გართულდა ბიძიკო საქმე გართულდა. — ჩიოდა გულასპირი. — წინათ ბიძიკო კოლმეურნეობის წლიურ შემოსავალს ერთს კვირაში ჩავაპოკიკებდი; აწონილი იყო სიმინდი და შრომა-დღეები. აგერ მქონდა ბიძიკო, ამ ერთ რეველში ჩაწერილი, მორჩა და გათავდა! ახლა სიმინდის შემოსავალი ცალკე იანგარიშე, ცალკე შესაქონლეობის ფერმის შემოსავალი, ახლა ვენახის სამუშაოები და ყურძნის მოსავალი ცალკე; რაღაც საეშმაკოდ ქვისსატეხ კარიერებზე მომუშავე ბრიგადა ჩამოაყალიბა გიორგიმ. კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი უნდა გავზარდოთო. იჯექი მთელი დამეები კანტორაში გულასპირ. იანგარიშე და იანგარიშე! შე შენ ვეტყვი დამიფასებენ



ასეთ შრომას? კრება არ იქნება, რომ სერგომ და გიორგიმ ვანო კვინიკაძე არ შეაქონ! მართალია, კაი მშრომელი გლუხკაცია, მარა ჩვენი სოფელი ხომ მაგას არ აუშენებია ბიძიკო? აგიჩემებიათ ეს ვანო კვინიკაძე პარტიული მაგარაა, ბრიგადირი არაა, თამეჯღობარე არაა და მოანგარიშე ხომ არ არის და არ არის! არა, რა ჩემი საქმეა, მარა მართალი უნდა ვითხრა, ხანდახან ნამეტანი იციოთ. სულ არ დამავიწყდა? მისასოვრე ერთი შენი მაგარი თამბაქო გენაცვალე. ნამუშევარზე გულს მოუხდება მაგარი თამბაქო.

როგორც კი გააბოლებდა, ისე მოჰყვებოდა როხროხს გულსაპირი.

— ახლა კი დროა შინ წავიდეთ. — ეტყოდა ალექსანდრე და გულსაპირი ცუთის უმაღლე კარადაში შეყრიდა თავის რვეულებსა და საანგარიშო ჩოთქს, და წასასვლელად მზად იყო.

— მიხარია ახალ სახლში მისვლა ბიძიკო, რატომღაც ახალგაზრდათ წარმომიდგება თავი.

ალექსანდრე კვინიკაძეს მართლაც ჩინებული ახალი სახლი ედგა. დაბლა სართულში სამზადი იყო, ზედა სართული სამი ოთახისაგან შესდგებოდა და სამივე ოთახის კარ-ფანჯარა წინა აივნაიანი იყო, ამ აივნიდან ხემაღალის ახალი ვაზენარი ხელისგულივით მოჩანდა. სწორედ იმავე წელსვე, როცა კომუნურნობამ სივენახედ გადააბრუნა დიდი ზეგანი, ალექსანდრემ ეზოში „ციცკას“ რვაასი ძირი ჩაჰყარა. შრომა გაუმართლდა, წელს ოცდახუთ ფუთამდე ღვინო დააყენა და გულსაპირი ისე შემოეჩვია, რომ ყოველ საღამოს ალექსანდრე კანტორაში თუ არ გამოუვლიდა, თითონვე მიაკითხავდა და საყვედურსაც ეტყოდა ამდენხანს რატომ მაცდევინეო კანტორაში.

ზურაბის სახლში უფრო ზშირად იყო სიარული ალექსანდრემ; ყოველ დილით ინახულებდა ავადმყოფს, მერე

საღამოთაც ადრე მოდიოდა და დიდხანს რჩებოდა. ცდილობდა ყოველთვის ახალი და მნიშვნელოვანი ამბავი ეთქვა ავადმყოფისათვის და უხაროდა, რომ მის საუბარს ნანაც უსმენდა. იმასაც გრძნობდა ალექსანდრე, რომ ნანა ამ ბოლო დროს ეკრძალებოდა მასთან მარტო დარჩენას, იშვიათად შეხედავდა პირდაპირ და მათი თვალეზი ერთმანეთს თუ შეხვდებოდნენ — ნანას უფრო ეცვლებოდა, ფითრდებოდა.

ერთ საღამოს ალექსანდრეს ჩვეულებრივზე უფრო დააგვიანდა კანტორაში გამოვლა. ამ დღეს ნანამ ახალი წიგნი მიიღო თბილისელი ამხანაგისგან — „ქართული ვაზის ჯიშები“. ალექსანდრე დიდათ დაინტერესდა ამ წიგნით და თავიდან ბოლომდე გადაიკითხეს.

დააგვიანდა ალექსანდრეს და გულსაპირი დედაცა. მერე ვერ მოითმინა, გამოეცა კანტორა და ალექსანდრეს სახლისაკენ გასწია. სახლი დაბნელებული დახვდა. ბურღლუნით გამობრუნდა უკან. მაგრამ ზედათ ალექსანდრე შემოხვდა, გულსაპირმა საყვედური მიახალა და თითონ პირველი ავიდა კიბეზე.

— ბიძიკო, ისე იგვიანებ ამ ბოლო დროს სახლში მოსვლას რომ მგონი რაღაცას მიაგენი! არა, მე რატომ უნდა დამიმალო, ხომ იცი როგორი მესაიდუმლე ვარ! მითხარი ერთი თუ გიყვარდე, ამოიჩემე ვინმე თუ?

— ზურაბისას ვიყავი კაცო, მგონი ვერ გადარჩება საბრალო ელენე.

— ზურაბისას? — გაიკვირვა გულსაპირმა; — ავადმყოფის ნახვაც კარგი საქმეა ბიძიკო და იმ ავადმყოფს რომ უვლის, ისიც კარგია, შენი თავი ნუ მომიკვდება. ოო, მაგ საქმეს თუ მოკიდებიხარ, ხელი მოგიმართოს ღმერთმა! კაი დედ-მამის შვილია, ხუმრობაა ბიძიკო, უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრო ქალმა, თუმცა, მაგ

ნასწავლმა ქალებმა ფეხის გაღვამა იციან განზე, მარა შენ როგორ გაგიბედავს, შენ იმაზე ნაკლები ხარ თუ? ალექსანდრეს ხმა არ გაუღია, ხოლო ვულასპირმა მეორე ჭიქა გადააკრა თუ არა, ისევ ალაპარაკდა:

— ალექსანდრე, როგორც ჩემს პირველ ტომში მიწერია, შენ ახლა ოცდასამი წლისა ხარ ბიჭიო; ჰო-და მე შენხელა რომ ვიყავი, უკვე მეორე ცოლი მყავდა!

ალექსანდრე ისევ სიტყვაუთქმელად იყო. მალ-მალე ცლიდა ჭიქას, თუთუნს აბოლებდა და სახის ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს არც კი უსმენდა ვულასპირს.

როცა ერთი ბოთლი გამოცალა, ადგა და აივანზე გამოვიდა. ვულასპირიც გამოჰყვა, გაიარ-გამოიარა, მიხვდა რომ ამ დამით ალექსანდრეს, როგორღაც არ ევაშნიკებოდა მასთან საუბარი, მაღლობა მოახსენა და წამოვიდა. როცა კიბის ბოლო საფეხურიდანაც ჩამოდგა ფეხი, შემობრუნდა, ერთხელ კიდევ დაუკრა თავი ალექსანდრეს მაღლობის ნიშნად.

— ჩინებული სახლია ბიჭიო! ძალიან მომწონს და თუ ამ ზამთარს მშვიდობით გავატანე და წლიური ანგარიში კარგად მოვრიჩი, განაფხულზე უნდა დავშალო ჩემი სახლი და სწორედ ასეთნაირად უნდა დავდგა! — თვითონვე გაიკვირვა თავისი ნათქვამი ვულასპირმა. — არა, ამოდენა სახლის დამდგმელი ვარ მე? ცხონებულ მამაჩემს ის კინკილა ოდა, რომ არ დაეტოვებია ჩემთვის, ალბათ ახლაც რომელმე მეზობელთან ვიქნებოდი შესახლებული და ჩემისთანა საცოდავი კაცი მეორე არ იქნებოდა ქვეყანაზე. ჰი, ჰი, ჩემს ქალბატონს რომ უთხრა, — ეს სახლი უნდა დავშალო და ახლებურად დავდგა მეტქი, ქოლგის ტარით არ გამიხეთქავს თავს? არა, ვულასპირი გონიერი კაცია, ამას როგორ ეტყვის მაიას!

ქოლგის ტარი თავისთვის იყოს ბატონო, და ჩემი თავიც თავისთვის! ალექსანდრე ოთახში შემოიქცა. ტანთვალებელათ მიწვა ტანტზე. არ სიამოვნებდა სახლში დამკვიდრებული სინემე.

ქარმა დაჰბერა, წვრილი წვიმა წამოვიდა.

სიცოცხე იგრძნო, ადგა და კარი მიხურა. როცა საწოლ ოთახში შევიდა, გარკვევით შემოესმა კვილი. სწრაფად გამოვიდა აივანზე. დააყურადა, — ნანას ხმა შეიცნო, ჩქარი ნაბიჯით ჩამოიბრინა კიბეზე.

## IV

თოვლს შემოუთეთებია ნაპირები ყვირილსათვის.

მოთოვლილია გორები და ფერდობები. ზემოიბერეთის ტანწერწეტა მთებს თეთრი ზეწარი გადაჰფენია.

ეკალწაშლილია შარავნები და ბილიკები, გადაბარდულა ეკალნარი და ძეძვიანი, ქახჭახებს შაშვი სუროიან ხეს შეფარებულა.

აი კოლმეურნე გზას მიიკვალავს წისქვილისკენ ზურგზე საფეკავმოკიდებული. მივა წისქვილში. შემოიბერტყავს თოვლს ბერიკაცი. — კარზე დიმილით შემოხედება მეწისქვილე.

— კარგი ზამთარი დაგვიდგა ბესა. მოსავალი გაისადაც კარგი იქნებამ!

ხმიანობს დოლაბი, ღვივის კერია, ჰყვება ამბავს მეწისქვილე, ტაბაკზე გამლილია მცირე საგზალი, პატარა ჭიქაში იმერული ღვინო ეღვარებს, ილიცებიან ბერიკაცები.

დიდი თოვლია და გაკვალულშიაც წვალებით მიაბიჯებს ნანა.

გარშემო ნისლია დაფენილი და ამ ნისლიანში ისე ჩანს ვენახი, თითქოს თეთრი ვერძების ურცხვი ფარა დაბანაკებულა გზის გაღმა-გამოღმა. უძრავად დგანან ვერძები და დაგრებილი

რქები აუყრიათ ზევით. ათოვს ამ რქებს, მაგრამ თოვლის ფანტელი ფეხს ვერ იკიდებს და ეს დაგრეხილი რქები ცა და მიწის ამ შემეფრთხებელ სითეთრში ყავისფრად გამოსჰვიფიან.

მივიდა საცდელ სადგურში. საქმეთა მმართველის კაბინეტში ელექტრო-ლუმელი ენთო. მაგიდაზე ქაღალდები იყო მიმოხრეული, პალტოც მაგიდაზე იდო, იქვე მაგიდასთან ახლოს მაღალ-ყვლიანი რეზინის ჩექმები ეყარა, ჩანდა ლუმელთან მიმჯდარი საქმეთა მმართველი ახალი შემოსული იყო კაბინეტში.

შეხედა თუ არა ნანას, დაიბნა; ადგა, სწრაფად მოშორდა ლუმელს, თავაზიანად მიესალმა და სკამი გაუწოდა.

— უცნაური ზამთარია ბატონო, აგერ ოცი წელიწადია აქ ვცხოვრობ და, ასეთ სიცივეს არ შევსწრებოვარ. უაბრძანდით, აი აქეთ, ლუმელთან ახლოს.

ნანამ თავისი ბატარა ჩემოდანი კუთხეში მიდგა, პალტო გაიხადა, თმა შეისწორა და დაჯდა.

„შინაურით კი იქცევა ეს გასახარელი და რაშია საქმე რომ არ მეცნობა? — უყვირდა საქმეთა მმართველს და ვერ მიმხვდარა იყო, როგორ მოქცეულიყო — ეკითხა რაზე, თუ დაეცადა, ვიდრე თავად გაამეღვენებდა ქალიშვილი ვინ არის და რისთვის მოსულა.

— ცოტა არეულ-ღარეული ვართ ქალბატონო. — მოიბოდიშა სევასტიმ, — ამ თოვლმა არ დაგვაყენა კარგი დღე, დარაჯი და დამლაგებლებიც მუშებს ეხმარებიან, სათბურების სახურავებიდან თოვლს ხვეტენ; თქვენსკენ როგორი ზამთარია?

— ასეთივე თოვლი, ასეთივე სიცივე, ქარიც დაერთო.

— ჰო, ჰო, ჰო. ქარი! ყველაფერზე საშინელია ქარი! ე, ეგერ, იმ მთიდან წამოიღებს სიცივეს ბატონო, და აგერ ამ სახლში შემოიტანს.

ნანამ ჩემოდნიდან წიგნი ამოიღო, ფურცლავდა, თავის დენიკს უკმა-ღალდს ეძებდა.

— თქვენ უსათუოდ დაღლილი იქნებით ქალბატონო, მოსვენება გესაჭიროებათ. სასტუმრო ოთახი მზად გვაქვს.

— არა, ჯერ დირექტორი უნდა ვნახო. — თავაუღებლად ეუბნებოდა ნანამ.

— ახლავე, ბატონო, ამ წუთში! ცოტა შეუძლოთ არის. ახლავე მოვასვენებ თქვენი ჩამოსვლის ამბავს.

ორიოდე წუთის შემდეგ შემობრუნდა სევასტი თავის კაბინეტში, კუთხეში მიღგმულ ჩემოდანს დააეღო ხელი და ნანა დირექტორის ოთახის კარამდე მიაცილა.

V

რბილ საეარქელში იჯდა ლევანი. ყელი შეხვეული ჰქონდა. რამდენიმე დღის წინათ მთელი ღამე იმუშავა ნერვების სათბურში და მას შემდეგ შეუძლოთ არის.

დაწვრილებით გამოჰკითხა ნანას — რომელი პროფესორები უკითხავდნენ ლექციებს, გაშენებულა თუ არა მის სოფელში ვაზი, თავად თუ უმუშავნია ვენახში და კარგად თუ იცნობს იმერეთში გავრცელებულ ვაზის ჯიშებს.

— დიახ, აქ მეტად საინტერესო და თავისებურ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე. — დინჯად, რაღაც განსაკუთრებული დაჯერებით ესაუბრებოდა ლევანი ახალ თანამშრომელს, — ასეა, ზოგ მცენარეს ტანი უნდა დაეუშხვილოთ, ზოგსაც უფრო ღრმად გავადგმევინოთ ფესვები მიწაში, ნაყოფი შეეუცეალოთ ზოგიერთს. ცხადია, ამას შესძლებს ადამიანი, როცა მას მხარდაჭერა აქვს. ჩვენი სამშობლოა უპირველესი მაგალითი ამისა: გაუფალში გზა გაჰყავს, ხრიოკადქცეულ და გადატრუსულ ველებზე ტყეს აშენებს, ზღვებს აერთებს

არხებით, სამხრეთის მცენარეს ამკვიდრებს ჩრდილოეთში. იღწვიან ჩვენი ქვეყნის მეცნიერნი ზეხილის, ზორბლის, ბოსტნეულისა და ვაზის ახალ-ახალი ჯიშების გამოსაყვანად.

უსმენდა ნანა ახალგაცნობილ ადამიანს. უხაროდა, რომ ლევანი მას ესაუბრებოდა, როგორც თანატოლსა და ამხანაგს და არა როგორც მასწავლებელი მოწაფეს.

დიდხანს ესაუბრა ლევანი ნანას. მერე სევასტი იხმო.

— ეს ამხანაგი დღეიდან ჩარიცხეთ ჩვენი საცდელი სადგურას უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. დროებით სასტუმრო ოთახში მოათავსეთ, დანარჩენი რაც საჭიროა, თითონვე იცი. დიახ, დღეს დაისვენეთ, ამხანაგო ნანა, ხვალიდან კი შევეუდგეთ მუშაობას.

## VI

სალამოყამს ისევ წამოვიდა თოვლი. ფანჯარაში ჩანს თოვლდაფენილი სერები და ნანას ხემაღალი აგონდება, მამა ზურაბი, ლექსო, მეგობრები და ამხანაგები.

როგორი თავაზიანობით მიიღო ლევანმა, აქ მოსვლით ავი შეისრულა გულის საწადელი და მაინც მარტოობა იგრძნო გულმა. დაქანცულია და ვერ ისვენებს, ხუჭავს თვალებს და თვალებს ძილი არ ეკარება;

„ზის ახლა მამა ზურაბი გაჩაღებულ ბუნართან, ზის სიტყვაუთქმელი და ცეცხლის აღზე თვალმისტერებული შორს იმზირება და ხედავს, თუ რას აკეთებს მისი ნანა საქარაში, ხედავს შვილის მარტოობას და იცის-თავდაპირველად გაუძნელდება ქალიშვილს უცხოობაში ყოფნა, დადარდიანდება, მაგრამ მერე შეეჩვევა თანდათან, გული გაეხსნება, მუშაობა გაიტაცებს. მაგრამ მამას არ დაივიწყებს ნანა, რო-

გორც კი დროს მოიხელთებს, მოიკოთხავს, სიხარულს შიგთქანს თვალებში, მოელერსება, ფიქსი გაუფრთხვეს და ზურაბის გული ისევ გამხნვედება, მეზობლებს დაუძახებს, ახმინდება თვალები“.

„ოვს, სინამდვილე დამკვიდრებულა ირგვლივ, ბელურებმაც შეწყვიტეს ჰიუჯავი. ამ სინამდვილეში მარტოდმარტო ზის ნანა და ფიქრისათვის ბოლო ვერ მოუბამს.

— ვიცი, რომ ჩემი გულისათვის მოიმიზუნა ალექსანდრემ ხარავოულში წამოსვლა, სადაური და როდინდელი ამბავი არ მოჰყვა, როგორი მოღბენილი იყო და გული მაინც არ გამიხსნა. ვანა არ ვიცი, რისი თქმაც უნდოდა, მაგრამ რომ არ მითხრა? გაიხსენა ნანამ, როგორ გადაუცდა ფეხი ნაკვალევზე და წელამდე ჩაფლო თოვლში. როგორ დასტაცა მკლავებში ღონიერი ხელები ალექსანდრემ და ჩიტვიით აიტაცა თოვლიდან. ვაკეციის ზელისშეხებამ შეაკრთო ქალიშვილი და მთელი სხეული აუთრთოლდა, არ ციოდა და ცახცახებდა, ეკრძალებოდა, რომ ვაჟის ხელები ასე იყო ჩაფრენილი მის მკლავებში, მაგრამ არ უნდოდა ალექსანდრეს ხელი შეეშვა.

„მაინც ამ ვაჟს რომ არ მოეშვა? გაისად ყარნაბას ნაპირებზე უნდა გაეშენო ვენახი, ხომ ხედავ, პირველმაცე მოსავალმა როგორ გამართა კოლეტივი წელში! ეცადე-კარგად შეისწავლო, თუ როგორ უფლიან ვაჟს საცდელ სადგურში, მერე ხემაღალშიაც ასევე უნდა მოეუაროთ. მტყენების ნაწილი რომ მეჩხერი იყო წელს, ეს უსათუოდ ცუდი მოვლის შედეგია. მკითხა, როდის ამოვალ ხემაღალში, თუ რამე დაგქირდეს მაცნობე და ჩამოვალო. რატომ უნდა ჩამომაკითხოხ ალექსანდრემ საქარაში? მოენატრება ჩემი ნახვა? ან ეგებ ვენახის მოვლის ამბავი აინ-

ტერესებს? არა, ისიც მოთხრა-უშენობა დაეტყობა სოფელს და ეცადე, როგორც კი დრო მოიხელთო, ამოდი ხემაღალში. წელს სასკოლო შენობის აშენებას ვიწყებთ, მდინარე ყარნაბაზე ელსადგური უნდა ავაგოთ, მთავარი გზიდან ფართო გზატყეცილი გამოგვყავს სასოფლო საბჭომდე, ეს იოლი საქმე როდია და შენ უნდა შეგვეშველო.

როცა მატარებელი ჩამოდგა დავაგონის საფეხურზე ფეხი შევდგი. მოთხრა—წამოგყვები ნანა, დაგაბინავენ, ხომ ხედავ როგორი თოვლია და შინ მაინც უქმად ვზივარ! რისთვის ვუთხარი უარი? როგორ უცბათ ეცვალა სახისფერი? გაკვირვებულად შემომხედა, ჩემოდანი გამომიწოდა. არც-კი შემომყვა ვაგონში, ისე დამემშვიდობა. გული კი მეუბნებოდა: უთხარი—კარგი, თუ საქმე არ დაგიბრკოლდება და არ შეწყუხდება, წამომყევი! მე თვითონ მინდოდა მეთხოვა ეს შენთვის, მაგრამ გვერძალებოდი. წავიდეთ ჩემო მეგობარო, წავიდეთ! ახლა აქ იქნებოდა ჩემთან, ამ ოთახში; ახლოს დავედებოდი მასთან, თვალში გაუყრიდი თვალს. ვიქნებოდი ერთხანს ჩუმით. მერე ენას ამოიდგამდა ალექსანდრე და მეტყობდა: ხომ გრძნობ ნანა, მიყვარხარ! დიდხანს ვიარე შორიშორს, არ მინდოდა სწავლის დროს ხელი შემეშალა შენთვის, თქვენს სახლში სიარულს ვერიდებოდი, ჩემი გონება კი შენთან იყო. განა შენ თვითონ არ გრძნობდი ამას? მეტყობდა და თავს დაბლა დახრიდა. ხელს მოვეიდებდი, ზევით აეუწევდი თავს, თვალეში ჩაეაცქერდებოდი. მერე გათამამდებოდა ალექსანდრე, მკერდზე მიმიკრავდა. ახლა-კი შორისაა ჩემგან, ხემაღალშია. ზის თავის ოდასახლში ბუხართან ახლოს, იქვეა გულასპირი და ლვინოს შეექცევიან. ენაწყლიანობს გულასპირი, ალექსანდრე კი ყურს არ უგდებს, მისჩერებია ერთ წერტილს და გულმოსულია ჩემზე“.

მგზავრობაზე უფრო ფიქრმა მოკაწცა ნანა.

მთელი ღამე მკვდარივით უძინებდა.

## VII

გამომჯობინდა თუ არა ლევანი, ისევე მთელის გულით მიეძალა დაწყებულ საქმეს.

თითქმის ათი წელიწადია, რაც ლევანი ზემოიშვრული და უცხოური ვაზის ჯიშების შეგვეარებას აწარმოებს, მაგრამ ჯერჯერობით სასურველ შედეგს ვერ მიადგია.

მუშაობის დაწყების პირველსავე დღეს გაეცნო ნანა ლევანის მიერ ჩატარებულ ცდებს და მისთვის ნათელი შეიქნა, რომ ვაზის ახალი ჯიშის გამოყვანა, მართალია, ადვილად შეიძლება შეგვეარების გზით, მაგრამ დიდ სირთულეს წარმოადგენს შესაჯვარებელი ჯიშების შერჩევა.

— ახრი ნათელია, — განუმარტავდა ლევანი ახალ თანამშრომელს. — უნდა გამოვიყვანოთ ქართული შამპანურის ახალი ჯიშები; მთავარია იმის მიგნება, თუ რომელ ჯიშს დაუმკვიდროთ დედის უფლება და რომელს მამის. „ციცკა“, „ბაზალეთური ცოლიკოური“, „ობიური ძველშავი“ — თვითუფლი ეს ჯიში იძლევა მასალას შამპანურისათვის, მაგრამ მათი შეგვეარება რომელიმე ერთ უცხოურ ჯიშთან როდი მოგვეცემს სასურველ შედეგს. საჭიროა ერთის ნაკლი მეორის ღირსებით შევავსოთ. დიახ. დიდი ხანია ვაკვირდები და ვსწავლობ ამ საქმეს და გადაწყვეტიტე შემეგვეარებინა ფრანგული „შარლონე“ იმერულ „ციცკასთან“.

„ციცკა“ ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშია, უხვმოსავლიანი. ჭარბად აქვს შამპანურისათვის საჭირო წვენი, მაგრამ ერთობ გვიან მწიფდება. იმერეთში ხშირია უხვნალექიანი შემოდგომა და წვიმისაგან გარეცხილი „ციცკა“ თავის ღირსებას კარგავს; „შარლონე“ გაცი-

ლებით აღრე მწიფდება, შაქრიანობაც დიდი აქვს, მაგრამ მცირემოსავლიანია, მტევანი პატარაა და მეჩხერი.

და აი, შარშანწინ პირველი ნაყოფი მოიხზა ამ ახალი ჯიშის ვაშმა, გემო გაუსინჯა ოსტატმა მარცვალს, სასურველი იყო, ოღონდ მტევანი გამოჰყვა შარდონესი და მაშინ ლევანმა ნიადაგი გაუნყოფრა ახალფეხადგმულ ვაშს. გაძლიერდა ვაზი, ღრმად ჩაუშვა ფესვები მიწაში და სწორედ იმერული ვაზისათვის ჩვეული ტანმსხვილი მტევნები დიხსხა, სიტკბო და მწიფობის სიადრევე-კი დედას გამოსტაცა.

ზამთარია, თოვს, სძინავს თოვწახურულ ნერგებს. გაიხად ზემოიმერეთში, აქარასა და გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში დამკვიდრდება ეს ნერგები.

### VIII

სკოლის შენობას საძირკველი ჩაუყარეს ხემალაღში; სერგო ბარბაქაძემ ინჟინერი გამოიხმო თბილისიდან და ელსადგურის პროექტის შედგენა დაავალა სადგური ყარაბაზე აიგება, მდინარის ზედაწელში, სადაც მდინარეს დიდი დაქანება აქვს;

როგორც კი საგაზაფხულო სამუშაოებს მოათავებენ, გზატკეცილის გაყვანას დაიწყებენ საგზაო ბრიგადები.

ხალხი ამბობს „მოვიდა ცხვარი, მოკვდა სიღარიბე“. ზემოიმერელი გლეხკაცი გეტყვით „სადაც ვენახი ფეხს მოიკიდებს, იქ სიღარიბე არ იხსენება“.

ხემალღელი გლეხკაცის ხელმოკლეობა შორს გარეკა ვაშმა და ვაშმა ეს ვრცელი ზეგანი როდი იკმარა, მხრები გაშლა თანდათან და მალალ სერებს მიეზღინა, კოლმეურნეთა ეზოებში ღრმად გადგა ფესვები და ახალ-ახალი სახლები ჩადგა..

მალე ნანა საქარიდან ახალი ჯიშის ვაზის ნერგებს ამოიტანს, ამ ნერგებინათვის საგულდაგულად შეამზადეს ნიადაგი.

IX

სერგო

ვერ მოთავდა ახალ-ახალი საქმე ხემალაღში.

დაიწყო ომი და რჩეული ვაჟკაცები გაიკრიფენ სოფლიდან.

სერგოც წავიდა. ალექსანდრეც, სოფელი დაურუვდა, სიმღერა არსაით არ ისმოდა. არ ილხენენ ოჯახები, გულანაშული გულასპირი „წითელი სხივის“ კანტორაში იჯდა გვიან დამემდე და უხალისოდ აჩხაყუნებდა საანგარიშო ჩოთქს.

ერთ დღეს დილა აღრიან რაიკომის მდივანი ამოვიდა ხემალაღში. ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარა „წითელი სხივის“ ვაზნარი. ყანაც მოინახულა, ნახა ყარნაბას ის ადგილი, სადაც ელექტრო სადგურის აგება იყო გათვალისწინებული.

სალამოვამზე კოლმეურნეთა საერთო კრება შედგა.

არ ჰგავდა აღრინდელ კრებას, არც ხალხის სიმრავლით, არც განწყობილებით. არც გულასპირი ენაწყლიანობდა, არ ისმოდა სიმღერა, რომელიც საქართველოს ყოველ სოფელში ასეთ თავყრილობას, სამკაულივით ახლავს.

ყოველ ოჯახიდან ერთი წარმომადგენელი მინც იყო კრებაზე, მაგრამ იყო ერთი ოჯახი, რომელსაც წარმომადგენელი არ ჰყავდა, — ეს ალექსანდრე კვინიკაძის ოჯახი იყო.

კარგამოკეტილი იყო სახლი. ფანჯრის დარაბები მოხურული, ბაიბური არ ისმოდა ეზოში.

როცა გიორგიმ რაიკომის მდივანს უთხრა, — თითქმის ყველა აქ არისო, რაიკომის მდივანი აღგა, შეათვალა იერ-შემოათვალა იერა ხალხი, მრავალი მათგანი იცნო და უხმოდ მიესალმა.

ბერიკაცები მოლზე ისხდნენ, ქალეზისათვის გულასპირმა გრძელი სკამები ჩამოათრია კანტორიდან, ბავშვები ფეხზე იდგნენ. წინ წამოწეულიყვნენ

და თვალებში შესცქეროდნენ რაიკომის მდივანს.

გულისჯიბიდან პატარა ბლოკნოტი ამოიღო რაიკომის მდივანმა, გადაფურცლა, საჭირო ცნობა ამოიკითხა და დინჯათ, დაბალი ხმით მიმართა მკერებილთ:

— ჩვენი ქვეყანა პირველად როდია განსაცდელის წინაშე ამხანაგებო! განა თქვენ არ იცით რა ქაბანწყვეტა და სისხლისმღერელი ომები გადახდენია ქართველ ხალხს. მტერს ერკინებოდა ქართველი და ოჯახი არასოდეს მოუშლია, არ ჩაუქვრია კერია! ახლა თვალუწედნი და მძლავრია ჩვენი სამშობლო და განა ვინმე შესძლებს მის დაბრუნებას? სტალინმა თქვა—„ჩვენი საქმე სამართლიანია, გამარჯვება ჩვენ დავგრძეობა“, — მაგრამ ეს თავისთავად არ მოხდება ამხანაგებო! ბელადი მოგვიწოდებს, რომ ზურგში დარჩენილებმა გვაათყვეცოთ მუშაობა. ჩვენი არმია მხოლოდ მაშინ შესძლებს ძლიერი მტრის განადგურებას, როცა მას ექნება საჭირო რაოდენობით იარაღი და საქურველი, სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი. ჩვენი ქვეყნის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები დღე-ღამეს ასწორებენ ახლა, რათა ფრონტის მოთხოვნილება დააკმაყოფილონ. ამხანაგებო, ჩვენი ყანები სანიმუშოთ უნდა დავამუშაოთ, მოუაროთ ვენახს და მივიღოთ ყურძნის დიდი მოსავალი. ამით ჩვენ მხარში ამოუდგებით ჩვენს არმიას და მტერი უფრო მალე იქნება მოსობილი.

რაიკომის მდივანმა დაამთავრა სიტყვა. ხალხი ჩუმათ იყო. ხმას არავინ იღებდა. გულში ყველა ეთანხმებოდა რაიკომის მდივანს.

გრანობდა ამას გიორგი, წამოდგა, უნდოდა ხალხისათვის მიემართა—აბა რას იტყვითო, მაგრამ შეაჩნია, რომ ბესარიონ ჟორჯოლაძე ნელა მოიწევდა მაგიდისკენ და თავი შეიკავა.

ბესარიონს სიტყვა არ უთხოვია თავჯდომარისათვის, ქუდზე მუხებდა და მაგიდაზე დადო, ხელში შემოიჭრნენილი ყალიონი ქამარში გაიჭყო, ხალხისკენ მობრუნდა და ოდნავ გაბზარული ხმით აღაპარაკდა:

— როცა შინ მოგიხდება მტერი, თუ მოპირული ნაჯახი არა გაქვს, ჯოხით უნდა გაუხეტოო თავი! ესაა მოგიხდება მტერი, მაგრამ უნდა შევებრძოლოთ და გაველიტოთ! როცა ჩვენი სოფლის ვაჟაკები— ჩვენი სერგო, ჩვენი ალექსანდრე, ჩვენი ვალიკო და მათი ტოლები ფრონტზე გავისტუმრეთ, გული მეტკინა და აეტირდი, მაგრამ ცრემლი როდი ვუჩვენე ვაჟაკებს. მეც გავუსტუმრებოვართ ომში, მაგრამ ჩემი დედ-მამა არ ატირებულა! მოვბრუნებულვარ შინ და სახლ-კარი უვნებელი დამხვედრია. ჩემს ბებერ გულს სჯერა, რომ ჩვენი ბიჭები თავხედობას ანანებენ მტერს და როცა გამარჯვებულნი დაგვიბრუნდებიან ხემაღალში, უფრო კალთა-უხვი და უფრო ლამაზი უნდა დავახვედროთ ხემაღალი.

ვახსაც მოუტეველით, ახალსაც გავაშენებთ. ვახსაც გამოვიყვანთ, სკოლის შენობასაც ავაშენებთ და ელსადგურსაც ავაგებთ.

ბერიკაის სიტყვამ ხალხის შეიტანა ხალხში.

ვალიკო ჟორჯოლაძის დედამ განაცხადა, რომ თავისი შეილის მაგივრად ეწერება რგოლში და ზვალისანვე დანიწყებს მუშაობას ვენახში.

ტაშის ქუხილი შეაგება კრებამ სერგო ბარბაქაძის დედას; ნინო რძალთან ერთად ხალხის შუაგულში იჯდა და განსაკუთრებული გულისყურით უსმენდა რაიკომის მდივანს. ადგა, ირგვლივ მიმოიხედა, თავსაფარი მოიხადა.

— სერგოს ვერ შევეცლით ჩემი რძალი და მე! საქონლის ფერმას კი მივხედავ, ვენახშიაც შეგვევლებით!

არ გაქიანურებულა კრება. არ უმღერიათ, ისე გაიკრიფენ სახლებში.

## X

ხემაღალში ზედიზედ მოდიოდა სასიხარულო ცნობები. სერგო ბარბაქაძე პოლონეთიდან იწერებოდა წერილს. ალექსანდრე კვინიკაძე რუმინეთიდან, ვალიკო ყორეოლაძე მსუბუქად დაპრირილი, ლვოვის ერთ-ერთ ჰოსპიტალში იწვა.

სკოლის შენობის კედლები ამოეყვანათ ოსტატებს, საგუბარი გაუმზადეს ყარნაბას, მალე ჩამოიტანენ ჰიდროსადგურისათვის საჭირო მოწყობილობას და ელექტრონათურები წელსვე აბრწყინდება ხემაღალში.

ნანამ დაითანხმა ლევანი და საქარის საცდელმა სადგურმა ხემაღალში აიღო ნაკვეთი. ამ ნაკვეთზე ახალი ჯიშის ვაზის „იმერის“ ნერგები ჩაჰყარეს სამი წლის წინათ.

რამდენჯერაც ამოვიდა ნანა ხემაღალში საცდელი ნაკვეთის დასათვალიერებლად, ივანე კვინიკაძე იქ დახვდა.

ისეა „იმერი“ გახარებულნი, რომ ივანეც-კი პირველად ზედავს ასეთ ვაზს. ისეთი მარცვალი აქვს მტევნებს, როგორიც „ციცქასა“ და „ცოლიკოურს“ მწიფობის წინ.

სასიხარულო წერილებს იწერებთან ხემაღლელი ვაკეაყები ფრონტიდან. ერთ ბარათს მუდამ თან დაატარებს ნანა! არავისთვის უჩვენებია. მამასაც კი არ წაუკითხა, მაგრამ გულსაპირმა და მიაიმ მაინც იციან ამ ბარათის ამბავი. გულმა თუ ვასცა ნანა?.

ხშირად სმენია ბებია ელენესგან — თვალზე უფრო შორს ადამიანის გული იხედებაო, ბნელში თვალი ვერ იხედება და გული — კიო!..

უკვე თვეზე მეტია, რაც ეს ბარათი მიიღო ნანამ და ჩიტვით უფროთხილებს გული. იმავე დღესვე აფრინა პა-

სუხი. სჯერა, ალექსანდრემ მიიღო მისი ბარათი და ისიც უბნით დაატარებს.

## XI

ალექსანდრე კვინიკაძის ეზოში, ხშირფოთლიან ახალგაზრდა თუთის ხის ჩრდილში, გოგონა ეთამაშება ახალფეხადგმულ ბიჭს.

1948 წლის ზაფხულია:

ხემაღალშიც უჩვეულოდ იმძლავრა სიცხემ. მდელის ფერი წაართვა, დაწრეტილია მდინარე ყარნაბა და ძლივს დილაობს წისქვილი.

გაწყდა ნიავის სახსენებელიც; ღამობით ცვარი ასულიერებს ხესა და ბალახს, ვენახსა და სიმინდის ყანებს.

ეთამაშება გოგონა პატარა ბიჭს.

— დედა, დე-დააა! — ეძახის ჩვილი დედას!

გოგონა ხელში აიყვანს ბავშვს, სახლის უკანა აივანზე აირბენს, გადახვდავს ზეგანს, თითს გაიშვერს ვენახისკენ და ეუბნება სერგოს:

— აი, იქ არის დედაშენი, შეხედ! აი, მამაც იქ არის, შეხედ!

სერგოც შესცქერის ზეგანზე გაშენებულ ვენახს, წამალშესხურებული ვაზის ფოთლები ლაღაბებენ მზეში და ბავშვი ვერ ხედავს ვერც დედას და ვერც მამას, თვალს მოამორებს ვენახს, სხვა მხრისკენ გაიხედავს და იმეორებს:

— დედა, დე-დააა!

ნანა კი აქ არის, ახალ ვენახში, „იმერმა“ თავი მოიგიჟიანა წელს, თვითელ ძირს სამოცამდე მტევანი მაინც ასხია და შიშობს ნანა — სიცხემ არ გამოწვას წრდადამთავრებული მარცვალი, ალექსანდრე და ივანე კასრებით ეზიდებიან წყალს.

დღისითაც ახალ ვენახშია ნანა, — შეამჩნევს თუ არა დასაცხულ მარცვალს, უმალვე მოამორებს მტევანს; ვერა, ვერ იცლის ოჯახისათვის და ძის პატარა სერგოს, სერგო ბარბაქაძის



ვოგონა ირინე უვლის. ტიკტიკებს, და-  
ბანუნობს ახალფეხადგმული სერგო,  
ტატლიკანა გორაობს მოლზე, მალ-მალე  
იხედება ჭიშკრისკენ და იძახის —

— დედა, დე-დააა.

## XIII

ახალშელამებულზე მოვიდნენ შინ  
ნანა და ალექსანდრე. ბავშვს უკვე  
ეძინა. ირინეს საწოლ ოთახის ფანჯრე-  
ბი გაეღო, მაგრამ ოთახში მანც ცხე-  
ლოდა. პირალმა იწვა სერგო, ზეწარი  
გადაუხდია და ტუჩი ისე დარჩენოდა  
დიად, იფიქრებდით, რომ დაძინების  
წინ „დე“ კი უთქვამს, მაგრამ „დას“  
თქმა ვერ მოუხერხებია.

ნანამ ფრთხილად დაახურა ზეწარი  
ბავშვს და სინათლე გამოართო.

აივანზე ალექსანდრე და ირინე ისხ-  
დნენ. როცა ნანა გამოვიდა აივანზე,  
ვოგონა წამოდგა და შინ წასვლა დაა-  
პირა, დედა და ბებიაც მოსული იქნე-  
ბიან შინ და ალბათ მელოდებიანო.

სად იყო, სად არა გულასპირი გაჩნ-  
და. ეზოში შემოდგა ფეხი თუ არა,  
ალექსანდრეს მოაძახა სამახარობლოს  
თუ მომცემ ბიძიყო, გეტყვი! თუ არა  
და იყავი.

ქაქანით ამოვიდა სახლში, მიესალმა  
ნანას და ალექსანდრეს, ირინეს თავზე  
წაუთათუნა ხელი, ბავშვი მოიკითხა,  
ქილოფის ფართო ქუდი მოიხადა.  
ორად გაკეცა და სახესთან მარაოსავით  
მიმოარხია.

— ჰა, იძლევიტ გენაცვალე სამახა-  
რებლოს? თქვი კაცო, თუ იძლევი, თუ  
არა და არ მცალია გენაცვალე.

— რა ამბავი უნდა იყოს გულასპირ  
ისეთი, თქვი, არ დაიჩაგრები. — უთხრა  
ნანამ.

— აა, შენ ნასწავლი კი ხარ გენაც-  
ვალე, მარა მე ქალებთან არა მაქვს  
საქმე! — ადგა, ღიღინით გაიარ-გამო-  
იარა აივანზე, ქუდი დაიხურა და თით-

ქოს წასვლას აპირებსო, კიბეს მიუახ-  
ლოვდა.

— ვითომ ისე წახვალ, რომ სასიხა-  
რულო ამბავს არ გვეტყვი გულასპირ?  
როგორ გეკადრება კაცო, თქვი რას  
მოითხოვ. — ალექსანდრე ზეზე წა-  
მოდგა, მკლავში წაავლო ხელი და სკამ-  
ზე დასვა.

— გეტყვით, ოღონდ ერთი ბოთლი  
შენგან, ერთი ნანასგან. ჩაიებულ-  
უნდა იყოს და ზედ კარგი ვახშამიც.  
არა, მეტი კი ღირს ეს ამბავი, მარა ამ-  
ჯერად ამას ვიკმარებ! ამ წუთში ველა-  
პარაკე ტელეფონით ხარაგოულს, პირ-  
დაპირ აღმასკომის თავმჯდომარეს.  
ვუთხარი, რომ ვენახში წყალის მო-  
საზიდით დამატებით გეჭირდება კას-  
რები მეტეჟი. მოგვეთო მითხრა, მარა  
რად გინდათ—ახლახან მაცნობეს თბი-  
ლისიდან, რომ მთელს ზემო-იმერეთზე  
ამდამვე გადმოვიღის მძლავრი წვი-  
მა. ამაზე არ ხართ გაგივიებული ცოლ-  
ქმარი? — მოიტათ ახლა სამახარებლო!

ეს მართლაც სასიხარულო ამბავი  
იყო.

დიდხანს ისხდნენ სუფრასთან.

მართლაც მოიღრუბლა და ცამ საწ-  
ვიმრათ შეიკრა პირი, როცა სერიდან  
გამოჭროლილმა ნიავმა ოდნავი სიგრი-  
ლე შემოიტანა სახლში, გათამამდა გუ-  
ლასპირი: რად უნდოდა ბატონო ამას  
თბილისის ცნობა! გუშინ და დღეს ისე-  
თი ბუღი იდგა, ვიცოდი-აუცილებლად  
გაწვიმდებოდა. დაკვირვებული ვარ  
ბუნებას გენაცვალეთ. როცა წითლად  
ამოვა მზე, აუცილებლად კარგი დარია;  
ჩასვლისას ცისკიდე რომ ჩაიმუქება,  
შესაძლოა მეორე დღეს ქარი ატყდეს,  
ხოლო ისეთ სიცხეს, როგორიც გუშინ  
და დღეს იყო, აუცილებლად წვიმა  
მოჰყვება, ა, ხედავთ, უკვე შხაპუნობს,  
წამოვიდა ბატონო წვიმა!

შემთხვევით სერგო ახსენა გულას-  
პირმა. ალექსანდრემ თვალით ანიშნა  
გაჩუმდით და მიხვდა გულასპირიც. სა-

ხეზე ფერი ეცვალა ირინეს, წამოდგა და წასვლა დააპირა. დაუშალეს, დაცადეო კიდევ ცოტახანს, წვიმა გადაიღებს. მაგრამ არ გაჩერდა და არა — შეეშინდება დედას ასე რომ დავიგვიანო.

ალექსანდრე ადგა, ოთახიდან საწვიმარი გამოიტანა და ირინეს გაჰყვა.

ატლახებულ გზაზე სიტყვაუთქმელად მიდიან ალექსანდრე და ირინე.

მიჰყვება ბნელში მეგობრის გოგონას ალექსანდრე, გრძნობს, რომ გოგონა მამაზე ფიქრობს, გული უღონდება, გასამხნევებელი სიტყვა ვერ უთქვამს მისთვის.

მიადწიეს სერგოს სახლს. აივანზე ნინო ღვას და კიშკარისაყენ იხედება.

ეგებ ამ გვიან ღამით, ამ წვიმაში ელის დედის გული თავის ვაჟკაცს!

#### XIV

ხელ ოცდახუთი თებერვალია და ხემალაი ზეიმისათვის ემზადება.

სკოლა, კოლმეურნეობის კანტორა, ელსადგური წითელი დროშებითაა მორთული. თებერვლის სუსხიანი ქარი ქრის და ქარში დროშები შრიალებენ.

ეს ხუთი დღეა ნანა სახლში ჩაიკეტა და მოხსენებას წერს. გულასპირი დღეს ჩარაგოულში წავიდა. დრამატიული წრისათვის შეკვეთილი ტანსაცმელი უნდა ამოიტანოს, თორემ წარმოდგენა ჩაიშლება და გულასპირი ვერ გამოვა სცენაზე, ვერ მოხიბლავს ხალხს თავისი მოხდენილი თამაშით.

როცა გულასპირმა სამეკრავლოში საქმე გაათავა და აღმასკომში მივიდა, აღმასკომის მდივანი გადაეხვია, მიულოცა. სამაგიერო კი აკოცა გულასპირმა, მაგრამ გონს ვერ მოეგო, ვერ მიმხვდარიყო რაში იყო საქმე!

— როგორ, ნუ თუ არ იცრ, რომ ჩვენი მევენახეები ერთდროულად დღეს დილით გადმხსნენ? მისთვის რადიომ უმადლესი საბჭოს პრეზიდენტის ბრძანებულება. — დაწერილებით მოუყვა, თუ ხემალაში ვინ იყო დაჯილდოებული.

სიხარულისგან სახე აელეწა გულასპირს, სწრაფად გამოეთხოვა აღმასკომის მდივანს, ჩამოიბრინა მალალი კბე, მარდათ შეახტა ცხენს და ხემალისკენ გამოქანდა.

— მე, კოლმეურნეობის მონაგარი შეს შრომის წითელი დროშის ორდენი! ვენაცვალე სტალინს, როგორ იცის შრომის დაფასება!

ჩხერიმელას ნაპირზე მოაგელვებს ცხენს გულასპირი, პალტო შეეხსნა და თებერვლის სუსხიანი ქარი სცემს მკერდზე, მაგრამ გულასპირს ცხელა, თავაწყვეტით მოჰქრის ხემალისკენ.

— ალექსანდრე შრომის გმირი, ივანე შრომის გმირი, გიორგი შრომის გმირი! ნანა და სერგოს დედა ნინო ლენინის ორდენოსანი! ჰაიტ, უფრო გაქანდი, ცხენო, დღეს დიდი მახარობელია გულასპირი! არა, სამ ბოთლ ღვინოს არ დაჯერდება მახარობელი, კურები მოხადეთ ხემალელებო!

მთავარ გზას გადმოუხვია და აი ხემალის აღმართზე მოჰქრის... არა, დღეს ვერ შეიბრალებს ცხენს გულასპირი, დღეს სხვანაირი დღეა!

“წითელი სხივის“ კანტორასთან მოაგდო გაოფლილი ცხენი გულასპირმა კანტორის ეზო ხალხით იყო საესე. ივანეზე გიორგი გადმომდგარიყო და სიტყვას ამბობდა.

ახალგაზრდებმა ცხენიდან ჩამოიყვანეს გულასპირი და ხელში აიტაცეს, ულოცადენენ და ეხვეოდნენ.

საზომ პიქეტაჲ

## ოთხი ლექსი

ციკლიდან: „საპატიჲროს სიმღერაჲნი“

★

### ჰაერი მძიმეა

ჰერი, ვით ტყვია, მძიმეა  
ტილი...  
(მტარვალმა არ იცის გრძნობა  
და დანდობა)

მე ვყვირი...  
მე ვყვირი...  
მე ვყვირი...  
ვღრიალებ:

„იჩქარეთ  
საბრძოლო ტყვიის გადადნობა!“

ის მე მეუბნება:  
„ნუ ყვირი,  
გაჩერდი,  
შენ ფერფლად იქცევი,  
თუ ამ გზით იარე!“

ბევრია ნალევლი,  
ღარდი და...  
არც ერთი  
არა ჰყავს მკურნალი  
გულის ღრმა იარებს.

გრძნობა არა აქვთ, —  
ლაჰკარგავ შენც იმედს: —

ყურები ყრუ აქვთ და  
გულებიც უტყვია...“

— : —

ჰერი მძიმეა,  
ვით მიწა ფეხმძიმე...

ჰერი ტილი მძიმეა,  
ვით ტყვია...

მე კი მას ვპასუხობ:  
„ძვირფასო მძაგს იჭვი...  
დავიწეა,

შევაკვდე ბრძოლაში ჯალათებს!...“

მე თუ არ დავიწვი,  
შენ თუ არ დავიწვი,  
ჩვენ თუ არ დავიწვით  
ზნელს რა გაანათებს?!...“

ჰერი, ვით ტყვია, მძიმეა  
ტილი...  
(მტარვალმა არ იცის გრძნობა  
და დანდობა).

მე ვყვირი...  
მე ვყვირი...  
მე ვყვირი...  
ვღრიალებ:

„ისწრაფეთ  
საბრძოლო ტყვიის გადადნობა!!!“

★

## დაპატიმრების წინაღვე

ამალამ თუ არა,  
ხვალ ღამით,  
ვიცი, რომ  
ციხეში  
უხეში  
ჯალათი გამოთოკავს...

...სულში მაქვს სიმშვიდე  
ძილივით უძირო  
და შიშის ქარისგან  
ფოთოლიც არ ტოკავს...

სულში მაქვს სიმშვიდე...  
შიშხედაც არ ვჩივი...  
ოცნებით,  
ფიქრებით

მთას და ბარს ვედები, —  
მახარებს და მატკობს  
პატარა ბავშვივით  
ცის თალის სილურჯე,  
სიმწვანე ქედების...

ქალაქის ქუჩებში  
ვევიროდი მე გუშინ:

„ყველას ვერ დაგვაფრთხობთ თოკით  
და ბოძებით

ჩვენ  
აჯანყებულთა ტყვიას არ  
დაეუშენთ

და ძმებთან ბრძოლაში  
არ დავიხოცებით...“

და...  
ახლა თუ არა,  
ხვალ ღამით,  
ვიცი მე,  
ციხეში  
უხეში  
ჯალათი გამოთოკავს...

მაგრამ გულს არ აწევს  
ნადველის სიმძიმე, —  
არ ვღელავ,  
ჩემს სულში ფოთოლიც არ  
ტოკავს...

ეწევარ მხართეძოზე  
ზღვის პირას მარტოკა,  
ყურს ვუგდებ ზღვის ტალღებს...  
და მშვიდად ვიძინებ...

## გამოთხოვება

★

კარგად იყავით,  
მეგობრებო,  
მშვიდობით გნახეთ!..  
თქვენით საესე მაქვს  
შფოთი სული,  
გული  
და თავი...  
ჯტოვებთ...  
თან მიმაქვს

თვითფულის ძვირფასი  
სახე...  
კარგად იყავით!..  
ნუ მოადგებით  
მწკრივივით ზღვის  
კლდოვან ნაპირებს,  
როგორც ფრინველნი  
უგემოვნო მხატვრის ნახატი...  
ცხვირისახოცების ნაზად ქნევას  
ნუ დააპირებთ. —

რა საპირია!  
 მე უსიტყვოდ ეამბობ:  
 ნახვამდის!  
 ამხანაგებო,  
 ჩემო ძმებო  
 ამბოხის დღეთა,  
 მწერივში ჩადექით  
 საბრძოლველად ხელში თოფებით!  
 მე თქვენს თვალებში,  
 .თქვენს ბრძოლებში  
 ჩემს ზრდასაც ეხედავ...  
 ...გემშვიდობებით!..  
 შეაცვლებიან ღამეები  
 ჩემს კარის ურდულს,  
 გაივლის წლები...  
 დაბრუნება თუ კი მელირსა, —

ამ საპატიმროს  
 სიმღერის მსგავს.  
 მწუხარე დუღუნს  
 ვიმღერებ,  
 როგორც ჰიმნს ბობოქარ  
 აჯანყებისას.  
 და ვვლავ შევხვდებით...  
 მზეს შევეცინებთ,  
 როს გათენდება...  
 ერთად ვიბრძოლებთ  
 მწყობრ რაზმებად  
 ხელში თოფებით...  
 ამხანაგებო!  
 მეგობრებო!  
 ძმებო და დებო!  
 გემშვიდობებით!!!

მოუქიდეზული პაპიროსი.



ოვი ამაღამ მიჰყვება ჯალათს...  
 (მას სიკვდილი აქვს გადაწყვეტილი.)  
 ფართო, მძლავრ მკერდზე გამოსწვავს  
 ხალათს  
 ცხელი ტყვიების მრავალწერტილი.  
 ფერმკრთალი სახე,  
 ვით თეთრი ტილო.  
 თვალებში ისევ ამბოხის  
 მეხი.  
 ღინჯი  
 ნაბიჯი...  
 და სასიკვდილოდ  
 თვითონ წავიდა საეკუთარ ფეხით.  
 — შენ პაპიროსი ხომ არ გაქვს ერთი?  
 თუ გაქვს მომეცი, —  
 — მითხრა მან წყნარად.  
 — მაქვს, — ეუბასუხე. —  
 ჰა, გამომართვი...  
 — ასანთი არ გაქვს?  
 — ასანთი? არა.

გამომართვა და წასვლას აპირებს,  
 ისევ მიჰყვება უხმოდ ჯალათებს.  
 — ცეცხლი რად გინდა,  
 მაგ შენს პაპიროსს  
 ნასროლი ტყვიის ალი აანთებს...

...ახლა, უთუოდ,  
 წევს გაყურებით, —  
 დანებდა სიკვდილს ცივს, უნაპიროს...  
 და შეაკვიდა მისი ტურნები  
 მოუქიდეზელ ბოლო პაპიროსს.  
 სიო სისხლს მკერდზე  
 სუნთქვით უმშრალეებს,  
 ბალახის ღერო ირხვევა თავთან...  
 სროლის ბრძანება, —  
 მოკლე ნიშანი...  
 და ყოველივე მისთვის გათავდა!..

ლალა ავალიანი

## ი მ ე ლ ი

### მოთხრობა

★

კოლმეურნე ქალები ახლა შორეულ ზვარში კრეფდნენ ყურძენს. ზვარი ფერდობზე იყო შეფენილი და ნაშუადღევამდე მზე ჯერ კიდევ საგრძნობლად აცხუნებდა. ვაზის ფოთლების ერთფეროვან სიმწვანეში მარტო თავსაფრები ჩანდა, ზოგან ჭრელი, ზოგან თეთრ-ქათქათა, მხოლოდ თავსაფრები მოძრაობდნენ ხან ზემოთ, ხან ქვემოთ.

მკრეფავების ხმა ჯერ კიდევ ალიონზე გაისმა ეენახში. ვიდრე წინასწარ სამზადისს მორჩებოდნენ, გათენდა კიდევ. კრეფას ხალხით შეუღდნენ, თუმცა ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ეს არაჩვეულებრივი, 1942 წლის შემოდგომა იყო. მოსაელის სიუხვე გულსა და თვალს ახარებდა, მაგრამ ეს სიხარული მაინც ვერ გამოეხატათ ისე ლაღად და თავდაფიწყებით, როგორც ეს ადრე სჩვეოდათ. ახლა ყოველი ადამიანის სიხარულს აჩრდილივით თან სდევდა ომში წასულ ძმაზე, ქმარზე, თუ მამაზე ფიქრი, და თუ მათი გახსენება ენერგიას და შრომის წადილს აასკეცებდა, სამაგიეროდ ფრთებს უკვეცდა უღარდელობასა და მხიარულებას.

მკიდროდ შეკრულ, შეთრთვილულ მტევნებს სწრაფად ჭრიდნენ მკრეფავები. ზოგი წინსაფრის კალთაში, ზოგიც კალთაში აგროვებდა ყურძენს და მერე ერთბაშად სცილიდა გოდორში; გოდორი რიგრიგობით გაქონდათ მოხუც,

მაგრამ ჯერ კიდევ წელმაგარ მამაკაცებსა და მკლავლონიერ ქალიშვილებს. ყურძენს ბრეშენტ-ჩაფენილ საბარგო მანქანის ძარაში ჰყრიდნენ. დატვირთული მანქანა დროდადრო რახარახითა და გაბმული ზმულით მიჰქროდა მარნისაკენ.

კოლმეურნეობის შოფერი ფრონტზე მიღებულ ჭრილობებს სამუდამოდ გამოეყვანა მწყობრიდან. მანქანაზე მუშაობა მას ახლაც უჭირდა, მაგრამ, ვიდრე სული ეღვა, არ შეეძლო გულზელდაკრეფით ეცქირა გაცხარებულ მუშაობაში ჩაბმულ თანასოფელთათვის. ამის ნებას არც ეაქაცის თავმოყვარეობა აძლევდა და არც ის ყურადღება, თუ ცნობისმოყვარეობა, რომელსაც მის მიმართ იჩენდნენ ქალიშვილები.

უკანასკნელ რეისზე შოფერი ქალებს მიაქროლებდა ხოლმე შინისაკენ. და თუ კაბინაში მის გვერდით მომხიბლავი ქალიშვილი იჯდა, ჯილდოები და ჭრილობების ნიშნები თითქოს აქეზებდნენ, სწორ გზაზე მანქანა ისე გაექროლებინა, ან მოსახვევში ისე მარჯვედ და სწრაფად შემოებრუნებინა, რომ მანქანაში მსხდომთ თმა ყალყზე დადგომოდათ. მაგრამ, თუ მის გვერდით ვინმე ხნიერი დედაკაცი იჯდა, მანქანა წყნარად მიჰყავდა და მგზავრებსაც გული მშვილად უტემათ.

კოლმეურნეთა ერთი ნაწილი რომ ვენახში ათევედა ღამეს, სხვები, ხნიერი თუ ახალგაზრდა, ყოველღამე შინ ბრუნდებოდნენ საბარგო მანქანით. ქეთევანს თუმცა შინ მიუსვლელობით არაფერი უფუჭდებოდა, მაგრამ რა გასაჭირიც არ უნდა დასდგომოდა, რა დაბრკოლებაც არ უნდა შეხვედროდა, ყველაფერს გაუმკლავდებოდა, ყველაფერს გადალახავდა, შინ მიუსვლელი კი არ დადგებოდა.

ციცკრიდან დაბინდებამდე ყურძნის მკრეფავეებს ხელი არ შეუსვენებიათ, მუხლი არ მოუყეციათ. პატარა ბიჭებს კი წყაროდან ცივ-ცივი წყლის ზიდვა არ შეუწყვეტიათ. ქეთევანი მაშინაც თავაუღებლად განაგრძობდა მუშაობას, როცა ვენახიდან თითქმის ყველა გაიკრიფა. მხოლოდ ორი თუ სამი ქალი ჩანდა კიდეც, რომლებსაც გორაკის ზემო ნაპირამდე მიეღწიათ, მწკრივი ბოლომდე გაეკრიფათ და ახლა თავქვე ეშვებოდნენ ნელი ნაბიჯით. მზე უკვე კარგა ხნის ჩასული იყო, საღამოს ბინდის სიმუქეს ახლახან ამოსული მთვარის შუქი ანელებდა. მაგრამ შუქი ჯერ კიდევ ისე მკრთალი იყო, რომ ძნელად თუ გამოარჩევდით და მიაგნებდით ფოთლებში ჩამალულ მტევნებს. ქეთევანი თავისას მაინც არ იშლიდა. ქვემოთ, ვაშლისა და მსხლის ხეივანში ჩასვლა, სადაც ახლა დანარჩენები ისვენებდნენ, ნაადრევად მიიჩნდა და, ვიდრე წასასვლელად გამზადებული მანქანის ხმას გაიგონებდა, ვენახიდან ფეხს არ იცვლიდა.

ქეთევანი ახლაც თვალდახუჭულივით აფათურებდა ხელებს ფოთლებში. მიაგნებდა თუ არა მტევანს, უმალ მოუნახავდა ყუნწზე მუხლს და ფრჩხილით გადაკვნეტდა. სასხლავ მაკრატელს ვეღარ ხმარობდა, რადგან ყურძნის წვეთით შეწებებულ თითებს ერთმანეთს ადივლად ვეღარ ამორებდა. სამმა ქალმა რიგრიგობით ჩამოუარა ქეთევანს.

პირველის ყურადღება ჯერ ფოთლების შრიალმა მიიქცია, მერე ქეთევანის შრიალმა და გაკვირვებით მიმართა:

— არ მოდიხარ, ქეთევან?

— მოვდივარ!.. — მიუგო ქეთევანმა ისე, რომ თავი არც კი აუწევია.

ჩამოიარა მეორე ქალმაც:

— ქეთევანი..

— მოვდივარ! — ესეც იმავე პასუხით გაისტუმრა ქეთევანმა.

მალე მესამედ მოესმა:

— ქეთევანი..

ქეთევანი ჯერ გაინაბა, მაგრამ რახან ქალიშვილი ხელმეორედ გაეხშიანა, ქეთევანმაც პასუხი აღარ დაუყოვნა:

— მოვდივარ... დაგეწევია!..

ქეთევანი წასვლას ჯერ კიდევ არ აპირებდა, სულ აღმა, ვენახის თავისაკენ ეშურებოდა, მტევნებსაც უფრო გაფაციცებით ეძებდა ფოთლებში და ღამის მყუდროებაში მისი ხელის ფათურზე ფოთლები ყრუდ შრიალებდა.

მოესმა თუ არა ქეთევანს მომართული მანქანის ნაცნობი ხმა, უმალ თავი ანება მტევნების ძებნას და გორაკის თავიდან იმ ადგილს გადახედა, სადაც მანქანა ეგულებოდა, მაგრამ სახტად დარჩა. მანქანა ისე უცებ დაიძრა, რომ ქეთევანმა ხმის ამოდებაც კი ვერ მოასწრო.

მანქანის შუა გულში ყურძნით საცხე ორი, თუ სამი დიდი გოდორი იდგა, გოდორის გარშემო კოლმეურნე ქალები შემომწკრივებულიყვნენ, ხელი გოდრებისათვის ჩაეველოთ და მათთან ერთად აქეთ-იქით ქანაობდნენ.

თითქოს კიდევ ჰქონდა დაწვევის იმედი, ქეთევანი ერთბაშად მოსწყდა ადგილს და დაღმართზე დაეშვა. გზადაგზა ხან ვაზს წამოედებოდა, ხან კი თავის შესამაგრებლად ჭიგოს მოავლებდა ხელს, მაგრამ ჭიგო უმალვე ლაწანს მოიღებდა. ჩახლართულ კლერტებს ხე-

ლის მარჯვე აქნევით გზიდან იშორებდა.

მეოთხედი მანძილიც არ ჰქონდა გავლილი, რომ უცებ შედგა, ხელი უიმედოდ ჩაიჭნია და ახლა ნელი, მოღუნებული ნაბიჯით განაგრძო გზა.

„ზემოთ რომ დავხვედროდი? ვაჰ ჩემო თავო“. — სინანულით გაიფიქრა ქეთევანმა. ეს აზრი მოეწონა, მაგრამ, როცა წარმოიდგინა, რა დაბრკოლება უნდა გადაელახა, შეეყოფანდა. ვენახს ზემო მხრიდან მრავალჯერ გადაბედილი ეკლის ხეების მკიდრო ღობე ჰქონდა შემოვლებული. ღობეს მთელ სიგრძეზე გასდევდა გზატკეცილი. მანქანას სწორედ ამ გზით უნდა გაეგლო, მაგრამ რა გააღწევდა ეკლებასხმულ ტოტების იმ უცნაურად ჩახლართულ ღობეში, თუ წალდით არ გამოკაფავდი.

ქეთევანი თითქოს საბოლოოდ შეუჩივდა თავის ხვედრს. სხვა გამოსავალი აღარ იყო, ფეხით უნდა გადაგომოდა გზას სოფლისაკენ. განა სხვა დროს უფრო დაღლილსაც მეტი გზა არ გაუვლია ფეხით? ახლაც არა უშავს-რა, ფიქრებში გზა შეუმჩნევლად გაილევა.

თავქვე ფრთხილად მიმავალმა ქეთევანმა უცებ ბნელში რაღაცას ფეხი წამოჭრა: ძირს დაიხედა. მიწაზე წალდი ეგდო. სწრაფად აიღო. რაღაც აზრი დაებადა; დამწუხრებული სახე უცებ შეეცვალა, წარბების შესაყართან ნოჰიცი მყისვე გაუსწორდა და თვალებშიაც ღიმილი ჩაუდგა. წამით კვლავ სმენად იქცა, ყური ათხოვა მანქანას. ფიქრის დრო აღარ იყო. საოცრად ტანამჩატებული ჩქარი ნაბიჯით აჰყვა აღმართს. ახლა მას ქვეყანაზე აღარაფერი ენადვლებოდა, აღარაფერი აინტერესებდა, გარდა იმისა, რომ მანქანისათვის გზა მოეჭრა და დასწოლდა. „ვერ გამასწრებ, ვერა!“ — ხმადაბლა აღმოსდებოდა ხოლმე გულის სიღრმიდან და ჩქარი ნაბიჯით უახლოვდებოდა ეკლის ღობეს და ღობის გადაღმა გზას. სწრაფად გამოკაფა ეკალ-ბარდი და გზაზე გავიდა.

მანქანა გამოჩნდა, აღმართი ამოათავა და ახლა დაღმა უნდა ედგინებოდა. ქეთევანმა დინჯად გახედა მანქანის ნაბიჯი და შუა გზაზე გავიდა.

რახან მანქანა თავქვე მოდიოდა, შოფერი მუხრუქს არ ენდო, შუაგზაზე მღვარ ქეთევანთან მიახლოების უმაღლეს მანქანას გეზი უცვალა, მარცხნივ გაუშვა და ისე სწრაფად დაამუხრუქა, რომ ძარაში მყოფნი უცებ მოსწყუნენ ადგილიდან და კაბინის სახურავს მიეხალნენ.

ქეთევანი სწრაფად მიიჭრა კაბინასთან, რომლის კარიც ის იყო გააღო ქალიშვილმა, გადმოსვლა დააბიძრა, შოფერთან საბატიო ადგილი უფროსისათვის რომ დაეთმო, მაგრამ ქეთევანმა გზა არ მისცა, მწყურალად შენიშნა — „დავეტევიო“ და მარჯვედ მოთავსდა კაბინაში, კარიც უმაღლეს მიიჯახუნა.

შოფერიცა და ქალიშვილიც სახტად დარჩნენ. ქეთევანის უეცარი გამოჩენით და ისიც ისეთ ადგილას დახვედრით, სადაც არ ელოდნენ და ვერც წარმოიდგენდნენ, ყველა გამტერებელი იყო. გადახედა თუ არა შოფერს ქეთევანმა, მანქანა მყისვე დაიძრა. ასიოდგ მტერი რომ გაიარეს, შოფერმა მხრები აიჩეჩა და ქეთევანს გაკვირვებით შეხედა.

— ავი ქალებმა თქვეს, ამაღამ ქეთევანი ვენახში რჩებაო?

ქალიშვილმა მორიდებით გადახედა ქეთევანს და გაუბედავად დაუმიწმა შოფერს.

ქეთევანს ხმა არ გაუცია.

— აღარ გამოჩნდი და მეც ვიფიქრე, — ისევ სცადა შოფერმა ქეთევანთან გამოლაპარაკება, მაგრამ ქეთევანი ხმას არ იღებდა, წინ იცქირებოდა, თვალსაც არ ახამხამებდა.

შოფერსა და ქეთევანს შუა მომწყვდეული ქალიშვილი წამდაუწუმ უხერხულად იშეშებოდა; ცდილობდა



შოფერს არ შეხებოდა და ქეთევანისა-  
კენ გადმოხრილიყო, მაგრამ ძალაუ-  
ნებურად, თითქოს განზრახ, შოფერს  
მანქანა ისე მიჰყავდა, რომ იგი სულ  
ერთთავად მარცხნივ იხრებოდა. მო-  
სახვევში კი, როცა შოფერი საკვს  
სწრაფად შეაბრუნებდა, მისი იდაყვი  
ისე მაგრად მიებჯინებოდა ქალი-  
შვილს ხან ფერდში და ხან წელზე,  
რომ მას სირცხვილისაგან სახეზე აღ-  
მური შემოენთებოდა. ქეთევანი სწო-  
რედ ამ დროს გადმოხედავდა ქალი-  
შვილს და არა-მარტო გადმოიხე-  
დავდა, თითქოს განზრახ, თვითონაც  
მისკენ იხრებოდა. ქალიშვილს სხვა  
გზა აღარ ჰქონდა, საკვზე წახრილ შო-  
ფერს, თითქოს უნდა მოეხვიოსო, ცა-  
ლი იდაყვით ზურგზე ებჯინებოდა,  
მეორე ხელი კი კაბინის ღია ფანჯრის  
ჩარჩოსთვის ჩაეჭიდნა.

ორლობის დასაწყისიდანვე მანქანა  
შედაუწყებ ჩერდებოდა. შოფერი გად-  
მოსვამდა თუ არა მგზავრს თავისი სახ-  
ლის წინ, ათიოდე ნაბიჯის გადადგმას  
არც კი აცლიდა, ხმადაბლა, მაგრამ  
ყველას გასაგონად გასძახებდა კაბინის  
ფანჯრიდან: „ამალამ შენი სტუმარი  
ვარო“ და თანაც ისე ჩაახველებდა,  
რომ შეუძლებელი იყო მისი შენიშვნა  
და გამომწვევი ჩახველებაც უყურად-  
ღებოდ დაგეტოვებინათ. შინისკენ მი-  
მავალი მგზავრი, ჩაესმოდა თუ არა  
შოფერის ახირებული გაფრთხილება,  
დინჯად შემობრუნდებოდა და მუქა-  
რით ხელს დაუქნევდა, თუ ახლოს იყო  
მასთან, თვალგებაც მწყურალად გადა-  
უბრალებდა. ზოგი მოხერხებულ პა-  
სუხსაც პოულობდა: „მობრძანდით,  
როცა ქმარი ჩამომივარო“. ასეთი უწყ-  
ინარი შენიშვნები როგორც შოფერის,  
ისე მგზავრის მხრივ მანქანის ძარაში  
მსხრომთა სიცილსა და მხიარულ შეძა-  
ხილებს იწვევდა. სულს ერთის წამით  
სილადე უბრუნდებოდა, გულსაც შეე-  
ბა ეძლეოდა. მაგრამ დაიძვრებოდა

თუ არა მანქანა, უმაღლეს მისწვდებოდა  
სიცილი და ყველანი ისევ დუმილსა და  
ფიქრებს ეძლეოდნენ.

მანქანა უკანასკნელად ქეთევანის  
სახლიდან ცოტა მოშორებით ჩერდებო-  
და სოფლის ბოლოში, ორლობის ერთი  
შტო ვერტიკალურად მიემართებოდა  
და სწორედ ქეთევანის კიშკართან  
წყდებოდა. ზაფხულობით აქ ისე გრი-  
ლოდა, რომ „გარედან“ შემოსული  
კაცი უმაღლეს ვერტიკალურად ახლო-  
მახლო სოფლებიდან გზად მომავალი  
კოლმეურნეებიც შესასვენებლად, სუ-  
ლის მოსათქმელად სწორედ ამ დაბუ-  
რულ, ვიწრო ორლობეში შემოუხვევ-  
დნენ ხოლმე. ეს ორლობე ისე საგულ-  
დაგულოდ იყო გადახურული ეზოების  
გასწვრივ ჩამწყრივებულ-ჩახლართუ-  
ლი ხეხილის უხვად შეფოთილი, ნა-  
ყოფით დამშვენებული ტოტებითა და  
კეწეწებით, რომ ზოგან მზის სხივიც  
კი ვერ ატანდა. ხეხილის კეწეწები  
ალაგ-ალაგ ისე ღრმად იყო ერთმანეთ-  
ში შექრილი, რომ უცხო აღამიანის  
გაკვირვებასაც კი იწვევდა. გეგონე-  
ბოდათ—მსხალს ბროწეული გამოუს-  
ხამს, ვაშლს—ქლიავი და ალუბალს—  
მსხალიო. ორ-სამგან მაინც ლეღვის  
ტოტები ისე მარჯვედ იყო გაცემული  
გულაბის ტოტებში, რომ ვერ დაიჯე-  
რებდით, თუ იმ ლეღვის ტოტები გუ-  
ლაბზე არ იყო დამყნობილი.

ეს უცნაური შტო ისე ვიწრო და  
თანაც მიხვეულ-მოხვეული იყო, რომ  
შოფერს, მიუხედავად დიდი სურვილი-  
სა, ქეთევანი, სხვა მგზავრებივით, თა-  
ვის ეზოს კარამდე ვერ მიჰყავდა. ქე-  
თევანს კი ესია მოვინებოდა მარტო გა-  
სეირნება. ვარდა ამისა, ქეთევანს მუ-  
დამ თან მიჰქონდა სამუშაოზე ხელადა  
და სამუშაოდან დაბრუნებულს, რახან  
სწორედ წყაროს ახლოს უხდებოდა  
ჩამოხტომა, არ შეიძლებოდა ხელადით  
წყაროს წყალი შინ არ მიეტანა.

ქეთევანი ისე გადმოვიდა მანქანიდან, რომ შოფრისაკენ არც კი მოუხედნია, თუმცა გუნებაში გაოცებით იმეორებდა „რას ჩაედივარო“; თავისთავში იმდენი ძალა ვეღარ ეპოვნა რომ ეს უადგილო გულისწყრომა დაეძლია და შოფერს, როგორც სხვა დროს ახლაც გამოჰშვიდობებოდა.

როცა ქეთევანი ვიწრო ორღობის ჩრდილებში გაუჩინარდა, შოფერმა ნელა დასძრა მანქანა, დროდადრო უკან იხედებოდა; ქეთევანის დიდი პატივისმცემელი იყო და მის წყენას მუდამ ერიდებოდა, მაგრამ მაინც ვერ ასცდა.

ქეთევანი განზრახ არ ჩქარობდა, ნელა მიაბიჯებდა, ელოდა, ვიდრე შოფერი მანქანას დასძრავდა, რომ უკან გამობრუნებულიყო, წყაროზე ხელპირი დაეხანა და ხელადაც ცივი წყლით აეკოს.

როცა მანქანის ხმა მიწყდა, ქეთევანმა შვებით ამოისუნთქა და ჩქარი ნაბიჯით გასწია წყაროსაკენ. იქვე შორიახლოს, ორღობის ბოლოს, სადაც გზა უხვევს და ხრამისაკენ ეშვება, მცირე კლდოვანი გორაკი იწყება. გორაკს საცალფეხო ბილიკი ასდევს. ბილიკი ერთბაშად ბაქანივით ფართოდდება. ბაქანი ერთის მხრით მიდამოს გადასცქერის, მეორე მხრით კლდეში გამოქვაბულივით გამოჭრილ ღრუს ებჯინება. ღრუს წინა პირი ერთ მეტრამდე ცემენტითაა ამოლესილი. წყაროს მოზრდილი აუზი მუდამ სავსეა. ცივი, ამაკამა წყალი წარმატატი ლიევივით უხმოდ გადმოდის მოცემენტებული კედლის დაქანებულ ნაპირზე. წყაროს თავს ტანდაგრაგნილი მუხა დასცქერის. მუხის ფოთლები დროდადრო აუზშიაც ცვივა. ფოთოლი წამით ერთ ადგილზე ქანაობს, შემდეგ მას სწრაფად შიპროლებს ნაკადი. მხოლოდ ფოთლის მოძრაობით შეიძლება

შეამჩნიოთ, თუ რა სწრაფად მიეჭანება წყალი, რომელიც ერთი შეხედვით უძრავი გეჩვენებათ.

ქეთევანმა გორაკის ბილიკი წყაროდე ცალ მუხლზე ხელის ბჯენით სულ მოუთქმელად აიარა.

ხელადა იქვე დადგა, მარცხენა ხელით წყაროს ნაპირს დაეყრდნო, მარჯვენა კი ალივლივებულ განიერ ნაკალს შეაგება. ხელის გულზე წყალი საამურად აჩუჩჩუხდა. ნაკადი ისე ლინიერად სცემდა, რომ შეხეფები აქეთიქით იფანტებოდა. მთვარის შუქზე ისე მოგეჩვენებოდათ, თითქოს ბროლი ინჭრევო. წყალი ცივი იყო, ბევრს ვერ დალევით, დიდხანს ვერც ხელს გაუჩერებდით. ქეთევანმა ცალი პეშკით ჩამდენჯერმე შესვა წყალი, შემდეგ სახეზედაც შეისხა. შესამშრალებლად წინსაფრის აწევა რომ დააპირა, ახლად შეინშნა, რომ წინსაფარი წელზე აღარ ეკრა. ან კი როგორ უნდა შერჩენოდა იგი იმ დავიდარაბაში. ქეთევანი ამოდო ლამობდა გაერკვია, სად და რა დროს დაეკარგა წინსაფარი.

ქეთევანისათვის რომ ახლა ვინმეს თვალი მოეკრა, უსათუოდ მოხიზლავდა მისი გარეგნობა. ქალი უძრავად იდგა. მუქ ტანსაცმელში სილუეტით ჩანდა. შუბლი ხელის სიფართოზე ნაპირშემოკეცილი თავსაფრით ჰქონდა წაყრული, შავი თავსაფრის ქვედა ნაპირი წარბებს ებრჯინებოდა, ზედა ნაპირი კი უკან გადაეკრებინა, ახლა ოდნავ აწეწილ და შუაგაყოფილ თმას. თმა უკვე შევერცხლილი ჰქონდა, რაც მის მზით გარუჯულ სახეს არა თუ ხანდაზმულობის დაღს აჩენდა, პირიქით უფრო აახალგაზრდავებდა და ამშვენებდა. თვალბუდის სიღრმეში და ლოყების ბორცვებს ქვემოთ მუქ ჩრდილებს კი მისი იერი თითქოს ოდნავ დაესევდიანებინა.

ბილიკზე, ქვევით, ფრთხილად მიმა-



ვალ ქეთევანს ცალ ხელში სველი ხელადა ექირა, ხელადის გამობერილი ჰეცელი მთვარის შუქზე მკრთალად ლალაპებდა. მეორე ხელით უნებლედ შესხნილი გულისპირი მოებლუჯა.

გამალებით უცემდა გული, თავშიაც ათსგვარი ფიქრი და მოგონება ირეოდა. მართალია, ღამის მყუდროებაში მკაფიოდ ისმოდა საღდაც შორს აყუფებული ძაღლის ხმა და ახლო-მახლო ბალახბუღასში მიმალულ მწერთა წრიალი, მაგრამ ეს ხმები, თითქოს მის ყურამდე არცაი აღწევსო, ფიქრს სულაც არ უშლიდა.

როდესაც ჭიშკარი გააღო და ეზოში შევიდა, თითქოს თვალში სინათლე მოემატაო, ისე შემოანათა იმ დაბურული ორღობის შემდეგ გაშლილი ეზოს ნათელმა ფერებმა.

ჭიშკარს, რომ ჰკეტავდა, ერთ-ორჯერ ისე მოესმა, თითქოს შორიდან ვიღაც ეძახისო. ქეთევანმა წამით ყური ათხოვა, შემდეგ სწრაფად გაეშურა იქით, საიდანაც ის ხმა გაიგონა. ძახილი აღარ განმეორებულა, ქეთევანსაც გული საგულეს ჩაუდგა. მიწაზე უხვად მოდებულ დაბალ ბალახზე ფეხს რბილად აბიჯებდა, გაზაფხულზე გახარებულ ალუბლის ნერგს ხელადით წყალი ასხურა, რკინის პალოთი, რომელიც იქვე ეგდო, ძირში მიწა მოუჩიჩქნა და, როცა დგებოდა, ისე ააყოლა ორი თითი მან ნორჩ ტანს და ისე გადაუსვა ხელი პაწაწინა ტოტებზე გამოსხმულ ორიოდე ფოთოლსაც, როგორც ჩვილს მოეფერებთან ხოლმე ფრთხილად, სიყვარულით.

სახლის წინ მდგარი კაკლის ხის ფართოდ გადაშლილი ტოტებისა და უხვად შეფოთილი კეწიწების ჩრდილი მთვარიან ღამეში ტბორივით აჩნდა მიწას. ხე ისე დიდი იყო, რომ მასთან შედარებით, ქვიტკირის ძველე-

ბური, ორსართულიანი სახლიც კა პატარა კოლოფივით ჩანდა. ქეთევანი სახლისაკენ გაეშურა ჯრის ჩარჩოს ზედა უჯრედში შუშის მაგივრად თუნუქის ფურცელი იყო ჩასმული; ფურცელი შუაში მრგვალად იყო გამოჭრილი ღუმელის მილის გასაყოფად. ზაფხულობით ღუმელს რომ აიღებდა ქეთევანი, მილისათვის გამოჭრილი ხერელი გამოუყენებელი არ რჩებოდა. თუ ფოსტალიონს ქეთევანი შინ არ დაუხვდებოდა, იმ ხერელში ჰყრიდა გაზეთებსაც და ბარათებსაც. შინ დაბრუნებული ქეთევანი უმალ ამ ოთახის კარს ეცემოდა, ძველებურ, რგოლებზე დაკიდებულ პოქლომს გააღებდა და შესვლის უმალ ფანჯრის წინ იატაკს დააქვერდებოდა.

ახლა ქეთევანი მოუთმენლად ელოდა შეილის ბარათს. ელოდა ყოველდღე. ყოველ წამს. ელოდა არა მარტო შეილის ბარათს, არამედ იმ ამბის შეტყობასაც, მოუწია თუ არა მის ერთადერთ ვაკეკის ომში წასვლა. ახლაც პატარა ღამისის ისფერ შუქზე, ქეთევანმა გულდასმით მოათვალიერა იატაკი, მაგრამ გაზეთის მეტი არაფერი დახვდა.

ქეთევანმა იეახშმა, შემდეგ კარის ზღურბლზე ჩამოჯდა, დღისით მზეზე, გობში გამობარი წყლით ფეხი დაიბანა და ზედა სართულისაკენ გაეშურა. დღეს თითქოს უფრო მოქანცულად გრძნობდა თავს და სხეული მოსვენებას თხოულობდა. აივნის კუთხეში ჩადგმულ ტახტზე აკეცილი ლოგინი გაშალა და ტანსაცმლის გახდას შეუდგა. ლოგინზე ჩამომჯდარმა ხის სავარცხლით თმა გულდასმით დაივარცხნა, კვლავ დაიწნა და თავსაფრით შეიკრა. მერე, აივნისაკენ წამოხრილ ვაშლის ხის ტოტს მიწვდა, ერთი მოზრდილი ვაშლი მოწყვიტა და შეექცა; ის იყო, თავი მისდო ბალიშზე და სწორედ ისევე, წელან რომ ეგონა სმენა მატყუებ-

სო, ვილაცამ უხმო. მისი სახელი მკაფიოდ გაისმა ღამის მყუდროებაში და კვლავ სიწყნარე ჩამოვარდა.

ქეთევანი ანგარიშიშეცემლად წამოიქრა ზეზე; იგონო, როგორ აუტეგრა გული ამ უდროო დროს მყუდრო ღამეში დარბეულმა უეცარმა სხილმა, მაგრამ გულისთვის ყური არ უთხოვებია, აივანს ორივე ხელით დაეყრდნო და თვითონაც ხმადაბლა გასძახა:

— ვინა ხარ?!

— მოხვედი ქალო?! მადლობა ღმერთს. — მოესმა პასუხი.

მეზობლის სახლი თუმც საკმაოდ იყო დაშორებული ქეთევანის სახლიდან, მაგრამ ღამის სიწყნარეში ყოველი სიტყვა ისე ისმოდა, თითქოს ერთმანეთის გვერდით მგდარიყვნენ მოსაუბრენი.

— მოვედი.— ცოტა მწყრაღად გასძახა ქეთევანმა და გუნებაში გაიფიქრა— „ამ დროს რა ეშმაკად გავახსენდი, რად შეძახისო“. შემდეგ წყნარად ჰკითხა, — რა გინდოდა, ადამიანი? შენ ალბათ ერთი პირი უკვე გამოიძინე და...

— რა დამაძინებდა, — კვლავ მოისმა სიბნელეში მეზობლის ხმა, — შეღამებიდან ასე ვზივარ აივანზე და გელოდები, ჩამთვლემს, გავიღვიძებ, კიდეც და კიდეც...

— მერე, რატომ?..

— გელოდები და გეძახი.

— გამაგებინე, — მოთმინება აღარ ყოფნიდა ქეთევანს; — რა დაგემართა, რა გაგიჭირდა?

— მოსაშველებელი, მადლობა ღმერთს, არაფერი მჭირს. ჩემსა და შენს მტერს გაუჭირდეს! ნაშუადღევს, ქალო, ჩვენი კონდუქტორი იყო და, ქეთევანის მახარე ვნახეო, მითხრა...

— დაიცა, ქალო, კარგად არ მესმისმის, გადმოვალ, ახლავე.

იმ ერთმა სიტყვამ, შვილის სახელის გაგონებამ ისე ააღელვა ქეთევანი,

რომ აღარ იცოდა, ან ჩუსტი სად იყო, ან კაბა სად ეპოვნა.

ღობზე მარჯვედ გადავიდა და მეზობელთან მიიქრა.

— სულ დაწვრილებით მიამბე, ანა! როგორც კი უამბო ანამ ყველაფერი, რაც იცოდა, ქეთევანი მყისვე გამობრუნდა, ერთ წუთსაც აღარ დარჩენილა მეზობელთან.

მოცდის დრო აღარ იყო. მახარეს კონდუქტორისთვის დაუბარებია ფრონტზე მაგზავნიან დრო არა მაქვს სოფელში ჩამოსასვლელად, გამოსაშვვიდობებლადო. მართალია მახარეს ქეთევანთან ბარათი გამოეტანებია, მაგრამ კონდუქტორს გზაში დაუკარგავს. მხოლოდ სიტყვიერი დანაბარები ჩამოუტანია სოფელში. რახან მაშინვე უნდა გაბრუნებულყო, ქეთევანს ვეღარ დაელოდა.

ქეთევანმა მეზობლის ნათქვამი ისე გაიგო, რომ მახარეს ომში გაგზავნას უპირებენ, მაგრამ ჯერ არ გაუგზავნიათო.

რაწამს ქეთევანმა შვილის ამბავი შეიტყო, გადასწყვიტა, გზას დაუყოვნებლივ გასდგომოდა. პირველი, ვინც მოაგონდა ამ გაჭირვების წუთებში, შოფერი იყო. ქეთევანი ისე შეეპყრო შვილზე ფიქრსა და სასწრაფოდ გამგზავრების წადილს, რომ არც კი გახსენებია, რარიგ აწყენინა წელან იმ შოფერს, ახლა ყველაზე ძვირფას ადამიანად და ერთადერთ მხსნელად რომ წარმოედგინა.

ქეთევანს შინ აღარ შეუვლია, ისე გაეშურა შოფრისაკენ.

შოფერი ეზოში იწვა. ბალახზე დაფენილ ძველ ნოხზე გაეშალა ლოგინი გულაღმა გაშოტილს მკლავები თავქვეშ შემოეწყყო, თავი განზე გადაეხარა და ძილში, ოდნავ პირდაღებული, ისე ხერინავდა, რომ იქვე მახლობლად წამოწოლილილი ძაღლი დროდადრო თავს მალა სწყედა და პატრონს გახედავდა.



ძალმა ვერ ფეხის ხმაზე სცქვიტა ყური. როცა ქეთევანი ღობეს მოადგა, წინაფეხებზე წამოდგა და ყეფა მორთო.

ნახევრად გაღვიძებულმა შოფერმა ხმაზე თუმცა შეიძინო ქეთევანი, მაგრამ ვერ დაეჯერებინა, ამ დამეში ისეთი რა უნდა გასჭირვებოდაო. შარვალს გადასწვდა. პატრონი რომ წამოდგა, გამხსნევებული ძალღი ყეფით დაწინაურდა, მაგრამ ქეთევანის ხმაზე მყის გაჩუმდა.

შოფერმა ჰიშკარი გაუღო ქეთევანს. ქეთევანმა მარჯვენა ხელი მკერდზე დაადო შოფერს, მარცხენა — მკლავში ჩასჭიდა, თვალღი გაუსწორა და ისეთი ვედრების კილოთი უთხრა — „ბიჭოო“, რომ შოფერს გული აუჩუყდა.

— რა მოხდა, ქეთევან ხომ არაფერი გიჭირს?

— მიჭირს და მხოლოდ შენ შეგიძლია ჩემი ხსნა!

— შენი სანაცვალო ყოფილიყოს ჩემი თავი, — ისეთი მღელვარებითა და გულწრფელობით წამოიძახა შოფერმა, რომ ქეთევანს გული მიეცა.

ქეთევანმა თავისი გასაჭირო უამბო. შოფერმა ერთი კი აიქნია მაღლა მკლავები, მაგრამ მერე ისე უღონოდ ჩამოუშვა ძირს, რომ უთქმელადაც ყველაფერი გასაგები იყო. მაგრამ ქეთევანის მდგომარეობაში ადამიანი ადვილად როდი ურიგდება თავის ხედრს.

ხელების უიმედოდ ჩაქნევაზე ქეთევანმა შოფერს ისე შეხედა, თითქოს უნდა ეგრძნობინებინა — შენი პასუხი არ მომწონსო.

— იქნებ... იქნებ... — დაიწყო ქეთევანმა მაგრამ სათქმელი ვეღარ დაასრულა, არც იცოდა რა ეთქვა, როგორ შემოევლო დაბრკოლებისათვის, რა ერჩია შოფრისათვის.

— მეც ეგ „იქნებ“ მაწუხებს! მარ-

თლაც იქნებ, როგორმე... მაგრამ ბაკში ნახევარი ლიტრი ეტენწინდებილი აღარ დარჩენილა.

ქეთევანმა უკანასკნელ ხერხს მიმართა.

— იპ, — სახის წინ აუქნია ხელი შოფერს, — ფრონტზე ნამყოფმა კაცმა ასეთი დაბრკოლება ვერ გადალახოს?

შოფერი ახლა დამუშტული ხელით ისე ისრესდა შუბლს, თანაც ისე გიჟტად დაეხარა თავი, რომ ეტყობოდა, უკვე შეუძლებლად მიაჩნდა მდგომარეობასთან შერიგება, საჭიროდ სთვლიდა ამ სიძნელეს გადალახვას, თუნდაც იგი სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა. გამოსაეაღს გაფაციცებით ეძებდა, თან იმიოაც ამყოფდა, რომ ქეთევანი ეხვეწებოდა.

— ნიკოს ექნება ბენზინი, გესმის?! ყველაფერზე მე ვაგებ პასუხს!

— პასუხს არც მე ვავეციყოდი, მაგრამ... ვაი, რომ არც იმასა აქვს...

— მაშ რით დააქროლებს?..

— დააქროლებს კი არა! ეგერ დგას მისი მანქანა... დაიცა, ქეთევან, ნიკოს მანქანაში კი არის ცოტაოდენი ბენზინი, მაგრამ...

ქეთევანს სიხარულისაგან თვალები გაუფართოვდა.

— მაგრამ ნაბრძანები მაქვს, რაც უნდა გასაჭირო იყოს, ხელი არ წამიცდეს. თვითონ რომ დასჭირდეს სასწრაფო საქმისათვის რაიონის ცენტრში ან ქალაქში წასვლა? ხომ იცი, რა დროა?

ქეთევანი შოფრის სიტყვებს ყურს აღარ უგდებდა. მეორე საართულის აივნის ქვეშ დაყენებული მანქანისკენ გაეშურა. შოფერიც აედევნა.

— იქნებ გარეგნულად გინდოდა თანაგრძნობა გამოგებატა, გუნებაში კი ფიქრობდი: სხვისი კირი — ღობეს ჩხირიო!

ქეთევანის შენიშვნამ უმალ ენა დაუბოლო შოფერს. თითქოს ეწინააღმდეგებოდა ქეთევანის მოქმედებას, მაგრამ გულის სიღრმეში მისი გამბედაობა უცნაურად ახარებდა და მის ნებას უნებლოდ დაჰყვა.

ქეთევანმა თვითონ გამოჩხრიკა, რაც საჭირო იყო, ცარიელი ბიღონიც, რეზინის მილიც და ის იყო მანქანიდან ბენზინის გადმოსხმასაც უნდა შესდგომოდა, რომ აქამდე გულზელდაკრფით მღვარმა შოფერმა, რომელიც წამდაუწყებ იმეორებდა: „მღუბავ და ესაა, ნიკოს რაღა პირით შევხედო“, ქეთევანს რეზინის მილი გამოსტაცა და თვითონ შეუდგა ბენზინის გადმოსხმას. „ჯანდაბას ჩემი თავი, თუ დაბრალდება, ისევ მე დამბრალდესო“. — ფიქრობდა გუნებაში.

ათი წუთის შემდეგ საბარგო მანქანა კვლავ იმ ორღებში მიჰქროდა, სადაც წელან ზერიდან წამოყვანილი კოლმეურნე ქალები „ჩამოარჩა“.

ამ წყნარ ღამეში, ამ გაყუჩებულ სოფელში მარტო მდინარის შორეული შხუილი რომ მოისმოდა, ახლა მანქანის ხმაზე ძალღებმა ისეთი ყფა ასტეხეს, რომ გაუღვიძებელი არავინ დაუტოვებიათ.

ორღობეს რომ გასცილდნენ, შოფერმა სისწრაფეს მოუმატა. თუმცა გზა მიხვეულ-მოხვეული იყო, აღმართ-დაღმართიც ხშირად ხვდებოდათ, მაგრამ შოფერი ისეთ სიმარჯვეს იჩენდა, ისე იყო გატაცებული თავისი ხელოვნებით, რომ ქეთევანი კმაყოფილებას და აღტაცებას ვეღარ ფარავდა, მალიმალ გადახედავდა ხოლმე მალულად.

წინ, დასავლეთი ჩაკუბრული ჩანდა. ცისა და მიწის ზღვარი გაერთიანებული იყო. მოშავო ცაზე მხოლოდ მთვარე ჩანდა მკაფიოდ გამოკვეთილი. თუ ძალიან დააკვირდებოდით, აქა-იქ შეიძლება ვარსკვლავებიც შეგემჩნიათ.

არც მთვარის ირგვლივ ციმციმებდა მკრთალი ნათელი და არც ვარსკვლავები კიაფობდნენ ჩვეულებრივად.

გზას თითქოს ბოლო არ უჩანდა. დროდადრო იისფერი შუქის ზოლში მოხვედრილ მოსახვევში აღმართული კლდის ნაპირი, თუ თითო-ოროლა ხე, ან ბუჩქი ისე ხშირად მეორდებოდა, ისე ჰგავდა ერთმანეთს, რომ ქეთევანს ეგონა, რომ თავბრულ მესხმის და მეჩვენება, ან და ერთ ადგილს ეუტრიალებოთ.

ერთის მხრით განცდა, რომ ყოველი წამი, ბორბლის ყოველი შემობრუნება მახარესთან აახლოვებდა, ხოლო მეორე მხრით ამ თითქოს ზღვარწარშლილ სამყაროში, მიწისა და ცის დიად შესმატებილებულ მღუმარებაში მგზავრობა გამოუთქმელ სიამოვნებას ჰგვრიდა ქეთევანს.

მანქანამ უცებ უკლო სიჩქარეს, მორტარის ხმაც თითქმის მისწყდა. თხუთმეტიოდ მეტრი გაიარა და მოსახვევთან შედგა.

იგრძნო თუ არა მანქანის შეჩერება, ქეთევანი ერთ-ორ წუთს ფართოდ თვალაბეხილი იჯდა და ხმას არ იღებდა. ძირს ჩამოსულმა შოფერმა მანქანას შემოუარა. ღია კარებთან აიტუზა და ქეთევანს დამნაშავესავით შეხედა.

— რატომ გაჩერდი?! — ჰკითხა შემკრთალი ხმით ქეთევანმა.

— ბენზინი გაათავდა.

შოფერს არ დაუნახავს ქეთევანის სახე, მაგრამ მიხვდა, იგრძნო, რა რიგ იმოქმედა მასზე ამ სიტყვებმა.

ქეთევანი ერთ წუთს კიდევ უძრავად იჯდა კაბინაში, შემდეგ მძიმედ ჩამოღდა ფეხი მიწაზე, საგონებელში ჩაუარდნილმა შოფერმა იმდენი ძალა მოიკრიფა, რომ კიდევ მოახერხა ქეთევანისთვის ორიოდ მანუგეშებელი სიტყვა ეთქვა „იქნებ მანქანით ვინმემ ჩამოიაროსო“...



გზას მარცხნივ კლდოვანი გორაკი ვასდევდა. გორაკის ფერდობზე აქა-იქ ხეები თუ ბუჩქები შავ ლაქად მოჩანდა. მარჯვნივ თვალჩაუწყვდენი ხრამი იყო, რომლის თითქმის შეუუღლად დაქანებული ფერდობი ხშირი ტყით იყო დაფარული. ფერდობის ძირიდან მდინარის ერთფეროვანი მშუბილი მოისმოდა. ღამის გრილი და თითქოს ნესტიანი ნიავის ქროლვაზე ეს ხმა ხან ძლიერდებოდა, ხან ნელდებოდა. თუ გზის ნაპირიდან გადაიხედავდით და კარგად დააქვირდებოდით, მთვარის ძალიან მკრთალ შუქზედაც კი შეამჩნევდით სადღაც, შავი უფსკრულის ძირას გაწოლილი მდინარის მოვერცხლისფერო, უსწორმასწორო ზოლს.

— გზის ერთი მესამედიც კი აღარ არის დარჩენილი! — შენიშნა მოფერმა მცირე ღუმლის შემდეგ. — სხვა გზა მაინც არ არის, — განაგრძო მან, — უნდა ველოდოთ, სანამ რომელიმე მანქანა გამოჩნდებოდეს.

— როგორც გინდოდეს!.. მე კი... მეტს ველარ მოვიციდი.

— მაშ, ამ ღამეში გაუღებები?

— რა უშავს... აქაურობა ღამითაც საქართველოს!

— მართალია, დედად მეკუთვნი, შენი თავი ჩემთვის არავის ჩაუბარებია, მაგრამ მაინც მე მომკითხავენ... რა დროა, რა ვიცი, რას გადაეყრება ადამიანი!..

— დარდი ნუ გაქვს!

— სანამ ორიოდე კილომეტრს გაივლიდე, რამე მანქანაც გამოჩნდება.

ქეთევანს აღარაფერი უთქვამს, სწრაფად შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გაუღდა გზას.



მეტე თუ არა, ათიოდე კილომეტრი ქეთევანმა ისე გაიარა, რომ თავი სიზმარში ეგონა, მისი ყურადღება არა-

ფერს მიუქცევია. ქეთევანის ყველა გრძნობა შეეპყრო ერთს: შენიშნა, ერთადერთ საზრუნავს — მალე, დროზე ჩაეღწია ქალაქს, შვილისათვის ჩაესწრო.

რაც უფრო უახლოვდებოდა სანატრელ ადგილს, მით უფრო მწვავედ კუმშავდა ეს წადილი ქეთევანის გულს, მით უფრო კლებულობდა მოთმინებაც. გზაში სულ ორჯერ, თუ სამჯერ შეისვენა და ისიც, როცა მანძილის შესამოკლებლად ბილიყებით გორაკებზე უხდებოდა გადასვლა.

ქეთევანი რომ ქალაქში შედიოდა, ერთის წამით ყველაფერი ზღაპრულად მოეჩვენა. ის მთვარე, გზადგაზა რომ მოყვებოდა თანამგზავრებით, ახლა უკვე აღარ ჩანდა, მხოლოდ მთის გადაღმა, ერთგან მკრთალი ნათელი ამხელდა მის ადგილსამყოფელს. ქალაქში ვერსად ნათელი წერტილის კიადესაც ვერ შეამჩნევდით. ქუჩის გასწვრივ, ორივე მხარეს, მალაზიების ფასაღზე თუ შენიშნავდით შუქფარაან იისფერ ნათურას, რომელიც მხოლოდ ფასადის ქვედა, მცირეოდენ ნაწილს ანათებდა.

ქუჩაში ცხენოსანი მილიციელები დადიოდნენ. ფილაქანზე ცხენის ნალეების ქახუნი მიძინებული, თუ გაყუჩებული უბნის მყუდროებაში მკაფიოდ ისმოდა. დროდადრო, როცა პროექტორის შუქი ცაში აიჭრებოდა, ქალაქს წამით მკრთალი ნათელი ეფინებოდა, ხოლო შუქის გაქრობის უმალ იგი ისევ ბნელში იძირებოდა, ისევე იმ ზღაპრული და საიდუმლო ელფერი იმოსებოდა, როგორადაც წელან შორიდან იხილა ქეთევანმა.

ქეთევანი შეუპოვრად განაგრძობდა გზას იქით, სადაც მახარე ცხოვრობდა. მარტო შვილის სახელი და სიყვარული მოუწოდებდა ახლა თავისკენ, და რაც უფრო უახლოვდებოდა სანატრელ ად-

გილს, შვილის ხილვის წადილიც უსაზღვროდ იზრდებოდა.

ძველ უბანში, ნაცნობ ქუჩაზე, ერთ-ერთი ეზოს ალაყაფის კარებში შესვლამდე, ქეთევანმა, რახან შშვიდობით მოაღწია, შვევით ამოისუნთქა ეზოში შესვლისთანავე ზის გრძელი აივნებიანი სახლის მესამე სართულზე შვილის ოთახს ახედა. ოთახის ფანჯრები ჩაბნელებული იყო. ქეთევანს ავად ენიშნა ეს ამბავი. ის კი არ გახსენებია, იმისათვის კი არ მიუქცევია ყურადღება, რომ სინათლე არც სხვაგან ჩანდა. ნაბიჯის გადადგმაც კი ვეღარ მოეხერხებინა. შვილის ფანჯარას დაეინებით მისჩერებოდა. მაგრამ ფანჯარა დახუჭული, უტყვი თვალივით გამოიყურებოდა.

კიბესთან მიახლოვება და ორი აჩრდილის ქეთევანის წინ წამოდგომა ერთი იყო. ეს კი ქეთევანისათვის მოულოდნელ და უჩვეულო ამბავს წარმოადგენდა, მაგრამ უკან მაინც არ დაუხევია.

ერთ აჩრდილს ფეხი არ მოუცვლია, მეორე ცოტა განზე გადაა და ქეთევანს ახედ-დახედა.

— სად მიხვალთ, ქალბატონო?..

— შვილთან. — მოკლედ მოუპრა ქეთევანმა და კიბის თავში ჩამდგარ აჩრდილს გვერდი აუქცია.

— რომელია თქვენი შვილი? — იკითხა კიბის თავში მდგომმა.

— მახარე.

აჩრდილმა უმალ გზა უტია. ქეთევანმა აღარ დააყოვნა, აჩქარებით შეუდგა კიბეს.

მეორე სართულის ბაქანზე რომ შესდგა ფეხი, მაშინ იგრძნო რარიგ იყო დაქანცული. მესამე სართულს რომ უახლოვდებოდა, გული თითქოს ამოვარდნას ლამობდა.

გრძელ აივანზე მეოთხე კარი მახარეს ოთახისა იყო. წინა ოთახებს ქე-

თევანმა მარდად ჩაუარა და მახარეს კარებთან შედგა, ის იყო ხელი დასაკაკუნებლად ასწია, რომ ოთახიდან ხმადაბალი ლაპარაკი მოესმა. ახლა კი მოითქვა სული, რახან დარწმუნდა, რომ შვილი შინ იყო. მაგრამ რას ნიშნავდა ან ეს ჩურჩული, ან კარ-ფანჯრის ასე საგულდაგულოდ ჩაკეტვა, ვერ მიმხვდარიყო. გახარებულმა ქეთევანმა ორჯერ დააკაკუნა ფანჯრის შუშაზე. ხმა არავის გაუცია. როცა დააყურა, ისევ ის ხმადაბალი ლაპარაკი მოესმა, თითქოს ოთახში მყოფთ კაცუნი არ გაუგონიათო. ქეთევანმა ახლა უფრო მაგრად დააკაკუნა. პასუხად მეზობელი ოთახიდან ქალის ხმა მოესმა.

— ვინ არის?

ვიდრე ქეთევანი უბასუხებდა, ქალი აივანზე გამოვიდა.

— ბატრონი შინ არ არის, წასულია. — შენიშნა მან და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ქეთევანისაკენ. ქეთევანმა უმალ იცნო.

— მარინე ხარ?

— ქეთევან! — იცნო იგი მარინემაც, სწრაფად გადადგა ქეთევანისაკენ რამდენიმე ნაბიჯი და გადაეხვია.

— შინ არ არის?! — ჰკითხა ქეთევანმა. თან ყური კარისაკენ ექირა. უკვირდა, არც შეძახილზე, არც ფეხის ხმაზე რომ არავინ გამოიხედა. ხმადაბალი ლაპარაკი ისევ ისე ისმოდა ოთახიდან, მაშ ვინ არის, ვინ ლაპარაკობს მახარეს ოთახში?

მარინეს თითქოს ელდა ეცა.

— ვინ უნდა ლაპარაკობდეს, რას ამბობ? — მარინემ მყისვე ყური მიადო კარს. — მეც არ გამიკვირდა! ადრე როგორ ვერ მივაქციე ყურადღება. შენს ბიჭს რადიო დარჩენია გამოუერთავი.

ქეთევანს ფერი ეცვალა.

— მახარე... სადღაა?! — ძლივს ამოთქვა მან.



— როგორ შეკითხები, ქალო?! ბიჭი რახანია წავიდა.

— წავიდა?!

— ჰო, ფრონტზე!.. ხომ მოგწერა.

ქეთევანი აივნის მოაჯირს მიეყრდნო.

— რას ამბობ, მარინე!.. — მარცხენა ხელი აივნის ბოძს შემოხვია, მარჯვენა მარინეს მაჯაში ჩასჭიდა.

— აგერ, ჩემთან შემოდი, ქეთევანი! გამაგებინე, საიდან, როგორ გაჩნდი ამ შუალამზე?!

ქეთევანი მორჩილად გაჰყვა. სანამ ნაბიჯს გადადგამდა, ერთხელ კიდევ შეათვალა მახარეს კარ-ფანჯარა. არასგზით არ უნდოდა დაეჯერებინა, თუ ის ხმა, ოთახიდან რომ ისმოდა, მახარეს ხმა არ იყო.

ზნელ ოთახში, რბილ ტახტზე ჩამოსხდნენ. სინათლის ანთებას და კარ-ფანჯარის ჩაქეტას ისევ სიბნელეში ჯდომა სჯობდა. ქეთევანი და მარინე ერთხანს მღუმარედ ისხდნენ.

— გასაღებს დატოვებდა, ალბათ, ჩემი ბიჭი! — გულის ტკივილით იკითხა ქეთევანმა.

— როგორ არა, ჩვენთან დატოვა. სულ გელოდით, გულს გადაგველია. უშენოდ კარის გაღება არ მინდოდა.

— შე ქალო! — ამოიოხრა ქეთევანმა. — მეც აქეთ მქონდა გული, მაგრამ... — ქეთევანმა ერთხელ კიდევ ამოიოხრა. — მარინე, შენი საფიქრალიც გეყოფა, რაღად შეგაწუხო, გამოიდე, შენს ვახარებას, კარა.

— ახლა რაღა გეჩქარება, ქალო? ნამგზავრს გეშვივება. ახლავე...

— არა, არა... ნუ შეწუხდები, ერთ ლუქმასაც ვერ გავიკარებ... წყალი თუ გაქვს, ცივი?

მარინემ თვალისდახამხამებაში დაასხა წყალი მაღალ, ბროლის ჭიქაში და მიაწოდა. ქეთევანმა ერთბაშად, ხარბად, გამოსცალა და ჭიქა თავისი ფინჯნით ფრთხილად დაღვა მაგიდაზე.

— ახლა, თუ კარსაც გამოღებ, — კვლავ წამოიწყო ქეთევანი და აღმომატ სცადა, მაგრამ გაუქირდა. ტერფები ისე ტკიოდა, რომ ძალას ვეღარ ატანდა.

როცა მარინემ კარის დარაბები მიხურა, იქვე, კედელზე ხელი მოაფათურა, ელნათურმა გაანათა ოთახი. ქეთევანმა თვალები მყისვე ხელით მოიჩრდილა და კოხტად გასწორებულ ლოგინზე ჩამოჯდა. აბრეშუმის საბნის პირს ხელი ფრთხილად გადაუსვა, შემდეგ ცრემლით აპრიალებული თვალებით მარინეს ახედა და საყვედურით შენიშნა:

— რა იქნებოდა, დროზე გეცნობებინათ, რომ ერთხელ კიდევ შენახა ჩემი ბიჭი.

— რა ვიცოდით, ქალო, რა ვიცოდით.

— რა მადლობელი ვიქნებოდი... დედის უნახავი და დაულოცავი როგორ წავიდა?

— რა მისი ბრალია, ქეთევანი! შენი არ მიკვირს?! ხომ ვერ დაგელოდებოდა? აგერ მესამე დღე შესრულდა, რაც...

— მესამე დღე?!

— ნაცნობ კონდუქტორს გამოატანა, ქალო, ბარათი, — ხმადაბლა უთხრა მარინემ, — ნამდვილად მიუვაო.

— მომივიდა! — მწარედ უპასუხა ქეთევანმა.

ქეთევანის ცრემლებით აპრიალებული თვალების დანახვაზე მარინესაც აუჩუყდა გული. იგრძნო, რომ სიტყვიერი ნუგეში ახლა ვერას გააწყობდა და ოდნავ გასაგონად ჩაულაპარაკა ქეთევანს — ცოტახნით დაეტოვებო, — ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან, კარიც ფრთხილად გაიხურა.

რაწამს მარინე გავიდა, ქეთევანმა თავი ასწია, ოთახს თვალი მიმოავლო. „რა ღმერთი მიწყრება, ეს ცრემლები რაღა ჭირია, ცოცხალს ვინა სტირის!“ —

გაიფქრა და წამოდგა. ყველა ნივთს, რაც მხარეს ოთახში იყო, ჯერ თვალით ესიყვარულებოდა, მერე ხელითაც ეხებოდა, ფრთხილად სინჯავდა, რა უბრალოც არ უნდა ყოფილიყო იგი, მაგრამ ვერც მისი სინჯვით, ვერც ალერსით გული ვერ ვერ ეჯერებინა. ფიქრი ფიქრს სცვლიდა, მოგონება— მოგონებას.

ქეთევანი მძიმე ნაბიჯით გავიდა აივანზე. დამის სივრტილემ გამოაცოცხლა. მისი ყურადღება ჯერ წყლის ხმამ მიიქცია, მოშლილი ონკანიდან რომ მოსჩქებდა, შემდეგ არსენალის მხრიდან ორთქლმავლების სტვენა-ბუხბუხი და ბორბლების მონოტონური ხმა მოესმა, გაუკვირდა, იმ სიშორიდან როგორ აღწევდა ეს ხმები; მაგრამ ისეთი მყუდრო დამე იყო, ისე გაყუჩებულიყო მთელი ქალაქი, რომ ამ ხმებს გარდა, არსად უბრალო ჩქამიც არ ისმოდა.

როგორც კი პროექტორების უეცრად გამოტყორცნილმა შუქმა ცა და მიწა მერთალად გაანათა, ქეთევანის ყურადღება ახლა ამ უჩვეულო სანახობამ მიიპყრო. შუქის ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი ზოლიც ერთმანეთში ჯვარედინად გადაიხლართებოდა, ხან გაიშლებოდა, მსუბუქად მიმოქროდა სივრცეში, ხან კი შორს, ერთ წერტილში იყრიადა თავს და თითქოს ბოლოგადასკენილი იჩხრიკებოდა ცის სიღრმეში.

ქეთევანს გაუკვირდა, მხარზე ხელის შეხება რომ იგრძნო, ფიქრებში გართულს, არც ფეხის ხმა გაუგონია, არც მარინეს მოახლოება შეუნიშნავს.

— ქეთევან, ხომ გითხარი, ვერ გასძლებ მეთქი!..

— ჰო, ცოტა დაცხა, კარ-ფანჯარები გავალე.

— ჯერ არ იძინებ?

— არა.

— დათას უნდოდა შენი ნახვა, რა ხან არ გეძინება, შემოდი ჩვენთან.

— რად შეგაწუხობთ იმ უდროოდ როს.

— შემოდი ერთი, შეწუხება რასა ჰქვია... ხომ იცი, დასავით უყვარხარ, შენთან ლაპარაკიც ესიამოვნება.

როცა ქეთევანი მეზობლის ოთახში შევიდა, დათა სუფრაგადაფარებული მაგიდის თავში იჯდა, გაზეთს კითხულობდა. ქეთევანის დანახვაზე დინჯად წამოდგა, რქისჩარჩოიანი სათვალეები მოიხსნა და სტუმარს ხელი გაუწოდა.

ქეთევანმა მორიდებით გაიღიმა, დათას მიერ მიწოდებულ სკამზე ჩამოჯდა. იდაყვის ჩამოდებაც დააპირა მაგიდის ნაპირზე, მაგრამ, დახედა თუ არა სუფრას, უმაღლვე გადაიფიქრა. ნათურის შუქზე, ახალგაყვანილი და საგულდაგულოდ დაუთოვებულ-გატყეცილი სუფრა ისე ქათქათებდა, რომ გვეგონებოდათ — მაგიდაზე ტილო კი არაა გადაფარებული, ახლახან დაუთოვიაო. მაგიდის შუაგულში, თეფშებზე, დიასახლისს უკვე დაეწყო დაპირილი პური, ყველი და მოხარშული ხორცი. იქვე, გვერდით, ჩაის ჭიქები, ფინჯნები, კოვზები და დანა-ჩანგალი ელაგა.

მარინემ სამზარეულოდან ჩაიდანა შემოიტანა.

— ჩემი ქმარი ისე დაქანცული მოდის სკოლიდან, რომ ძილის მეტი არაფერი არ უნდა, მაგრამ, ერთ პირს გამოიძინებს თუ არა, მაშინვე წამოდგება, მე არც კი დამაცლის, თვითონვე აიდულებს ჩაის, საჭმელს გაიცხელებს და ასე შუალამეზე შეეპყევა ხოლმე ვახშამს.

მარინემ ჭიქებში დასხმული ჩაი ჩამოარიგა. ყველანი მაგიდას მოუსხდნენ.

ხვეწნამ არ გასჭრა. ქეთევანი არც საჭმელს გაეკარა, არც სასმელს. სულ ერთთავად თავჩაღუნული იჯდა, კალთაში ჩაწყობილ ხელებს გამტე-

რებით დასცქეროდა. თუ რამეს შეეკითხებოდნენ, ერთის წამით შეხედავდა დათას, მარინეს, და გაბუტულივით გასცემდა პასუხს დინჯად, ხმადაბლა. გული არ უთმენდა, ასე ყოფნას ველარ იტანდა, მაგრამ ადგომაც ვერ მოეხერხებინა, საამისოდ ხელსაყრელი წამი ვერ შეერჩია. დათას უღარდელი გამომეტყველება და უღარდელი ლაპარაკი აღიზიანებდა, ცდილობდა ყური არ ეგდო. სხვა დროს დათას მომხიბლავი ხმას მის ყურს, თითქოს, ეალერსებოდა, ახლაც ეკლებსავეთ ჩხვლელტა.

— ქეთევან, ჩაი სულ გაცივდა.

ქეთევანმა უარის ნიშნად თავი გაიქნია, ნაძალადევად გაუღიმა მარინეს.

— ქალო, შენ რომ კრიჭა შეიკრა, ამით მახარეს რა მოემატება? თავს გაუფრთხილდი!.. მარინე, არ აჯობებს, კარ-ფანჯრები გავაღოთ? იქნებ ცოტა სული მოვიტყვათ. — უთხრა შეუღლებს დათამ.

მარინემ უხმოდ შეასრულა ქმრის რჩევა. სინათლე ჩააქრო, კარ-ფანჯრები გააღო. ოთახში ერთბაშად შემოიჭრა დამის სიგრილე, ყველამ შეება იგრძნო.

— ჰო... ასე უნდა, ქალო? გუშინწინ გელოდით, შენ კი...

— დათა, კაცო, წარმოიდგინე, იმ კონდუქტორს, კაკლის სარეკ ჯოხს რომ ჰგავს, მახარეს გატანებული წერილი თურმე არ გადაუცია და მხოლოდ დღეს შეუტყობინებია ქეთევანის მეზობლისათვის მახარეს ამბავი.

— მართალია, ქეთევან?..

— რაც იყო, იყო. ახლა ის მაინც გამიგე, სად, რა გზით შემიძლია მახარეს ჰოვნა. თვითონ არ მინახულა, მაგრამ, შე მაინც მოენახავ! — თხოვნით მიმართა ქეთევანმა დათას.

დათამ მრავალმნიშვნელოვანად ამოიხრა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ტახტზე ჩამოჯდა.

— მაგის გაგება ძნელი არ არის, მაგრამ... განა საამისოდ გეტეხება ნახლა?!

— როგორ ლაპარაკობ? ჩემს კარგოს ბიჭი ბალახივით არ ამოსულა, არც მიპოვნია, ჩემი ჯანით, ჩემი მკერდით, ჩემი მარჯვენით გამიზრდია. რამდენი სიმწარეც მე მენახოს... ქმარი აღრე დავკარგე, ღმერთმა იმედად ეგ ბიჭი დამიტოვა!..

— ეგ მართალია, მაგრამ, ხომ იცი, შენ თუ ერთი შვილის მშობელი ხარ, სამშობლო მილიონობით შვილების მშობელია, ერთი სცადე, მის გულისტკივილსაც ათხოვე ყური! — ცოტა აღელვებით უთხრა დათამ ქეთევანს და დაუმატა, — კოლმეურნეობა გაგიშვებს?

ქეთევანმა თავი ასწია.

— გამიშვებს.

დათასათვის ისე მოულოდნელი იყო ქეთევანის პასუხი, რომ ერთხანს ხმა ველარ გაიღო.

— მაშ, ხალხი მეტი ჰყოლია, ვიდრე სჭირდება!

— თითო ქალი სამი კაცის საქმეს ასრულებს! — დინჯად შენიშნა ქეთევანმა.

— და შენ მარწმუნებ, გამიშვებს-სო! — თითქოს რაღაც გაეხარდაო, ისე წამოიძახა დათამ და ოთახში გაიარ-გამოიარა. — კიდევ რომ გაგიშვას, შენ თვითონ...

— ჰო, რა, რა, — მოულოდნელად ჩაერია მარინე ლაპარაკში.

— რა და... — მიუბრუნდა ცოლს დათა. მის წინ მაგიდას მოულოდნელად მუშტი დაჰკრა, სათქმელი აღარ დაასრულა, ისევ ქეთევანის გვერდით დაჯდა.

— გულს რაღას გვიხეთქავ, შე კაცო! — გაოცებით უთხრა მარინემ. დათას არაფერი უპასუხნია, თითქოს არც გაუგონია ცოლის ნათქვამი.

— ჩემი ცოლიც ეს ერთი წელიწადია სულ მემუქრება, თუ არ გამიშვებ, მე თვითონ წავალ, თვითონვე ვიპოვნი

ჩემს ბიჭსო, რა სჯობია, ახლა ჩემი ბიჭი რომ მანახვა... რა სჯობია, დედას შეილი გვერდით ჰყავდეს, მაგრამ ახლა სხვა დროა, სხვა...

— შენც რა, მოწაფეებს რომ არიგებ ჰქუას სკოლაში, ისე გველაპარაკები!

— ჰქუა, შეიძლება, ჩემგან არ გესწავლებათ, მაგრამ გაფრთხილება მაინც საჭიროა ხანდახან, როცა გრძნობა გონებას გადასძლევს! — რახან ქალებს ხმა არ გაუღიათ, ისევ დათამ განაგრძო. — ახლა ყველა თავისი შეგნებითა და მოწოდებით იქ უნდა იმყოფებოდეს, სადაც ყველაზე მეტ სარგებლობას მოუტანს სამშობლოს.

— შერე, ვინ გედავება, შე კაცო, — შენიშნა მარინემ, — ახლა კი არა, ყოველთვის იქ უნდა იყოს!

— ჩემო დათა ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ რით შევლის ეს ლაპარაკი ჩემს გულისტიკვილს. გამიგებ თუ არა, რაც გთხოვე?

— გაჩერდი, ქალო, — ხუმრობით უთხრა დათამ აწრიალებულ ქეთევანს, — ამ ჩემს ცოლსაც ნუ მიგულიანებ!

— თქვენ... როგორც გენებოთ, მე ჩემსას მოგახსენებთ.

— ასე რომ ვიმსჯელოთ, ქეთევან, გული, მშობლიური გრძნობა ყველას გაგვაჩნია! საქმე ის არის, ჩვენს ბირად გრძნობებს როგორმე მოვერიოთ ასეთ განსაცდელში და საზოგადო საქმეს ვანაცვალოთ იგი!

წამით დუმილი ჩამოვარდა.

— ჰოდა, ასე... ეს ყველაფერი იმისთვის მოგახსენეთ — ჩემი და შენი შეილი, ქეთევან, სადაც არიან, თავიანთ მოვალეობას ასრულებენ, ჩვენც აქ თუ ჩვენი თავისა და ჩვენი ხალხის სიკეთე გვსურს, რაც დაუკისრებიან, ის უნდა შევასრულოთ. მე

მგონია, ჩვენს შეილებს იმით უფრო დავეხმარებით, თუ დავეხმარებოდეთ ჩვეულებას ბირნათლად შევასრულებთ, ვიდრე იმით, რამდენჯერაც გულს მონატრება, წავედეთ, დაეხედოთ. არა, არც ამაზე ვიტყვოდი უარს, მაგრამ ორივე ერთად რომ არ ხერხდება!.. ქალები უფრო იოლად აპყვებით ხოლმე გულს, გრძნობებს.

დათა უცებ წამოდგა, კარ-ფანჯარები და დარბაზები მიხურა, სინათლე აანთო. გაოცებულ მარინეს და ქეთევანს კედელზე დაკიდებულ სტალინის სურათზე მიუთითა და გატაცებით შესძახა.

— თუ ახლა არ გამოვადგებით, თუ ახლა არ დავეხმარებით, მაშ, როდის და დავემტკიცებთ, რომ მისი ერთგული და სამშობლოს ღირსეული შეილები ვართ?!

დათას ნათქვამი თანდათან ჰქუაში უჯღებოდა ქეთევანს, არ გაუმხელია, არც რითიმე უგრძნობინებია, მაგრამ გულის სიღრმეში წრფელი და მართალი რჩევისათვის მადლობას სწირავდა ამ ადამიანს.

როცა დათა და მარინე სამორიგოდ ეზოში ჩავედნენ, ქეთევანი ისევ შეილის ოთახში შებრუნდა. რახან უკვე მტკიცედ გადაწყვიტა დაუყოვნებლივ სოფელში დაბრუნება, ერთხელ კიდევ მოესიყვარულა შეილის ნიეთებს. უჯრიდან სურათების ალბომი ამოიღო, მაგიდაზე დასდო, მისი წაღება რომ არ დაეიწყებოდა, შემდეგ მახარეს ლოგინის თავთან დაბალ სკამზე ჩამოჯდა, ბალიშს მკლავები მოხვია, ზედ თავიც მისდო და გაინაბა. სიბნელეში თვლებს ფართოდ ახელდა, ძილი რომ არ მორეოდა, სმენაც სულ ერთთავად ეზოსაკენ ჰქონდა მიბურობილი, სული კბილით ეჭირა, მოუთმენლად ელოდა შოფრის გამოჩენას.

## ორი მოთხრობა



### ბოროტი გიჟი

ივან ივანოვიჩ ლაპინი, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა ყმაწვილი და ცხვირაპრეხილი ახალგაზრდა ქალიშვილი ანა სემიონოვნა ზამბლიცკაია მდინარის დაქანებულ ნაპირს ჩამოყვნიენ და შერხზე ჩამოჯდნენ. შერხი ზედ წყლისპირას, ახლად ამოყრილ ტირიფნარში იდგა. ჩინებული ადგილია! დაჯდებით და ვერაინ ვერა გხედავს — გხედავენ მხოლოდ თევზები და წყლის ზედაპირზე ელვასავით მოსრიალეობობები. ახალგაზრდებს თან წამოელოთ ანკესები, ჩოგნები, ჰიებით სავსე ქილები და სხვა თევზსაჭერი იარაღები. დასხდნენ თუ არა, მაშინვე თევზის ჰერას შეუდგნენ.

— მიხარია, რომ, როგორც იქნა, მარტო დაერჩით, — დაიწყო ლაპინმა და თან აქეთ-იქეთ მიმოიხედა. — მე ბევრი რამ მინაა გითხრათ, ანა სემიონოვნა... ძალიან ბევრი... როდესაც პირველად დაგინახეთ... თქვენს ანკესს მოელო... მაშინ მივხედი, თუ რისთვის ვცხოვრობ, მივხედი, სად არის ჩემი ლეოაბა, რომელსაც უნდა შევწირო ჩემი პატიოსანი, შრომითი ცხოვრება... ეს, ალბათ, დიდი... მოედო... როგორც კი დაგინახეთ, ჩემში იფეთქა პირველმა სიყვარულმა, შემოყვარდით გატაცებით!.. მოითმინეთ, ნუ გამოსწევთ... დეე უფრო კარგად მოედოს... მითხარით, ძვირფასო, გაფიცებთ მითხრათ,

შემიძლია იმედი ვიქონიო — თანაგრძნობისა კი არა, არა! — მაგის ღირსი არა ვარ, ამაზე ფიქრსაც კი ვერ გავბედავ, — შემიძლია იმედი ვიქონიო... გამოსწით!

ანა სემიონოვნამ ანკესიანი ხელი მალლა აიქნია და შეჰყვირა. ჰაერში მწვანე-მოვერცხლისფრო თევზმა გაივლედა.

— ღმერთო ჩემო, ქორჭილა! ახ! ახ!.. ჩქარა! მოსწყდა!

ქორჭილა მოსწყდა ანკესს, იწყო ბალახზე ხტუნვა. მიფართხალდა მშობლიურ სტიქიასთან და... ტყაპანი მოადინა წყალში!

ლაპინი თევზს გამოუდგა და, თევზის ნაცვლად, როგორღაც უეცრად ანა სემიონოვნას ხელს წაავლო ხელი და უეცრადვე დაეკონა მას... ქალმა ხელის დაძრობა სცადა, მაგრამ უკვე გვიანდა იყო, მათი ტუჩები უეცრად შეეწება ერთმანეთს. ეს როგორღაც უეცრად მოხდა. კოცნას კოცნა მოჰყვა, შემდეგ ფიცი, რწმუნება... ბედნიერი წუთები! თუმცა, ამ ქვეყანაზე სრული ბედნიერება არ არსებობს. ბედნიერება, ჩვეულებრივ თავისთავშივე ატარებს საწამლავს, ან არა და გარედან იწამლება რითიმე. აქაც ასე მოხდა როდესაც ახალგაზრდები ერთმანეთს ჰკოცნიდნენ, გაისმა სიცილი. მათ მდინარისაკენ გაიხედეს და გაშეშდნენ: წყალში, წყელამდე წყლით დაფარული, შიშველი

ბიჭი იდგა. ეს იყო გიმნაზიელი კოლია, ანა სემიონოვნას ძმა. ის წყალში იდგა, ახალგაზრდებს უყურებდა და ცბიერად ილიმებოდა.

— ა-ა-ა... იკოცნებით? — თქვა მან. — ძალიან კარგი! მე ამას დედას ვეტყვი.

— იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც ბატიოსანი კაცი... — ჩაიღუღუნა სირცხვილისაგან გაწითლებულმა ლაკინმა. — თვალ-თვალი სულმდაბლობაა. ენის მიტანა კი სამაგლობა, ფლიდობა და საზოზრობა... მე მგონია, რომ თქვენ, როგორც ბატიოსანი და კეთილშობილი კაცი...

— მომეცით მანეთი და აღარ ვიტყვი! — თქვა კეთილშობილმა კაცმა. — თუ არა და ვიტყვი.

ლაკინმა ჯიბიდან მანეთიანი ამოიღო და კოლიას მიაწოდა. მან სველ მუტში ჩაბლუჯა მანეთიანი, დაუსტვინა და გასცურა. ახალგაზრდებს კი ამჯერად ერთმანეთისათვის მეტი აღარ უკოცნიათ.

მეორე დღეს ლაკინმა კოლიას ქალაქიდან საღებავები და ბურთი ჩამოუტანა, დამ კი აბების კოლოფები აჩუქა. შემდეგ იძულებული გახდა ძაღლისთავებიანი საკინძებიც ეჩუქებინა. ბოროტ ბიჭს, როგორცა სჩანს ყოველივე ეს ძალიან მოსწონდა, და, რომ კიდევ მეტი მიეღო, მათ თვალს აღარ ამორებდა. საითაც ლაკინი და ანა სემიონოვნა წავიდოდნენ ისიც იქით გასწევდა. ერთი წუთითაც აღარ სტოვებდა მათ მარტო.

— საზიზღარი! — კბილების ღრჭილით ამბობდა ლაკინი. — რა პატარაა და უკვე რა გათანხმირებულია! რა უნდა გამოვიდეს მაგისაგან?

მთელი ივნისის განმავლობაში კოლია სიცოცხლეს უმწარებდა საბრალო

შეყვარებულებს. დასმენით იმტყობოდა, უთვალთვალებდა მათ და სწავლებებს მოითხოვდა. თანაც ყველაფერი ეცოტავებოდა; ბოლოს ჯიბის საათზედაც კი დაიწყო ლაპარაკი. და მერე რა? იძულებული გახდნენ საათსაც დაჰპირებოდნენ.

ერთხელ, სადილობისას, როდესაც ბლინები შემოიტანეს, კოლიამ ერთბაშად სიცილი დაიწყო, ლაკინს თვალი ჩაუტრა და შეეკითხა:

— ვთქვა? ა?

ლაკინი სიშინლად გაწითლდა და წლინის ნაცვლად ხელსახოცს დაუწყო დეჰა. ანა სემიონოვნა წამოხტა და მეორე ოთახში გაეარდა.

და აი ასეთ მდგომარეობაში იყვნენ ახალგაზრდები აგვისტოს დამლევამდე, სწორედ იმ დღემდე, სანამ ლაკინმა ანა სემიონოვნას ხელი არ სთხოვა. ო, რა ბედნიერი იყო ეს დღე! როგორც კი ქალის დედ-მამას მოელაპარაკა და მათი თანხმობა მიიღო, ლაკინი, უწინარეს ყოვლისა, ბაღში გაიქცა და კოლიას დაუწყო ძებნა. როდესაც იპოვა, სიხარულისაგან კინალამ ატირდა და ხელი სტაცა ყურში ბოროტ ბიჭს. მოირბინა ანა სემიონოვნამაც, რომელიც კოლიასვე ეძებდა, და ისიც სწვდა ძმას მეორე ყურში. უნდა გენახათ რა ნეტარება გამოიხატა შეყვარებულების სახეზე, როდესაც კოლია ტიროდა და ევედრებოდა მათ:

— ძვირფასებო, კარგებო, საყვარლებო, აღარ ვიზამ! აი, აი, მაპატიეთ!

შემდეგ ორივე გამოტყდა, რომ მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც მათ ერთმანეთი უყვარდათ, არ უგრძენიათ არასოდეს ისეთი თავბრულამხვევი ბედნიერება, როგორც მაშინ, როდესაც ბოროტ ბიჭს ყურებს აგლეჯდნენ.

მ. მ. მ. მ. მ.



ავარაკის ბაქანზე ახლადჯვარდაწერილი წყვილი სეირნობდა. ვაჟს ქალისათვის ხელი მოეხვია და ისიც სიყვარულით ჩაკვროდა მას. ორივე ბედნიერად გრძნობდა თავს. ღრუბლების ნაფლეთებიდან მათ პირქვეშ მთვარე დასცქეროდა, ალბათ შურდა მათი ბედნიერება და თან გული მოსდიოდა თავის უსარგებლო ქალწულობაზე. ჰაერი გაქვინთილი იყო იასამინისა და შოთხვის სუნით. სადღაც, ლიანდაგის გადაღმა, ლალა გაჰკიოდა.

— რა მშვენიერებაა საშა, რა მშვენიერება! — ამბობდა ცოლი, — სიზმარში მგონია ჩემი თავი. აბა, შეხედე, რა მყუდროდ და ლამაზად გამოიყურება ეს პატარა ტყე. რა კარგია ტელეგრაფის ეს დინჯი ბოძები. ისინი სიცოცხლეს მატებენ აქაურობას და იმას მოწმობენ რომ იქ, სადღაც, არიან ადამიანები... ცივილიზაცია... განა შენ არ მოგწონს, როდესაც ქარს შორიდან მოაქვს მომავალი მატარებლის ხმა?

— დიახ... მაგრამ რატომ გაქვს ასეთი ცხელი ხელები? ეს იმიტომ, რომ შენ ღელავ, ვარია... რა გვაქვს ამდამ ვახშადალ...

— კრიანტელი და წიწილა... წიწილა მე და შენ თავისუფლად გვეყოფა. გარდა ამისა, დღეს ქალაქიდან სარდინი ჩამოგიტანეს.

მთვარე, რომელმაც თითქოს ბურუნუს დაყნოსა, ღრუბლებში მიიმალა. ადამიანთა ბედნიერებამ მას თავისი მარტოობა მოაგონა, მოაგონა თავისი მარტოებელა საწოლი იქ, შორს, სადღაც ცხრა მთას იქით.

— მატარებელი მოდის! — თქვა ვარიამ. — რა კარგია!

შორს სამი მოელვარე თვალი გამოჩნდა. ბაქანზე სადგურის უფროსი გამოვიდა. ლიანდაგზე აქა-იქ სასიგნალო შუქი აციმციმდა.

— მატარებელი გავაცილოთ და გავწიოთ შინისკენ, — თქვა საშამ და დაამთქნარა, — კარგად ეცხოვრობთ მე და შენ, ვარია, ისე კარგად, რომ პირდაპირ საოცარია!

შავი ჯოჯო ნელა მობობდა ბაქანთან და გაჩერდა. ვაგონების ნახევრად განათებულ ფანჯრებში გამოჩნდა ნამძინარევი სახეები, ქულები, მხრები...

— ახ! ახ! — მოისმა ერთი ვაგონიდან. — ვარია და მისი ქმარი გამოსულან ჩვენს შესახვედრად! აი ისინი! ვარენკა! ვარჩკა! ახ!

ვაგონიდან ორი გოგონა გადმოხტა და კისერზე ჩამოეკიდა ვარიას. მათ უკან მოსდევდნენ ჩასუქებული, ხანშიშესული ქალი და ჰალარაწვერიანი, მალალი, გამხდარი მამაკაცი. შემდეგ ჩემოდნით დატვირთული ორი გომნაზიელი ვაჟი და ბოლოს მასწავლებელი ქალი და მოხუცი დიდდა.

— აი, ჩვენც ჩამოვედით, მეგობარო! — დაიწყო ჰალარაწვერიანმა მამაკაცმა და საშას ხელი ჩამოართვა. — ალბათ გული გაგიწყალა ამდენმა ლოდინმა! ვინ იცის რამდენჯერ შეუკურთხე ბიძაშენს, რატომ არ ჩამოდისო! კოლია, კოსტია, ნინო, ფიფა... ბავშვებო! გადაკოცნეთ თქვენი ბიძაშვილი, საშა სუყველა შენთან ჩამოვედით, მთელი ოჯახით, სამი ოთხი დღით... იმედი მაქვს, არ შეგაწყუბებთ? თუ კაცი ხარ, ცერემონიებს ნუ დაიწყებ.

ბიძისა და მთელი მისი ოჯახის ნახვებზე ცოლ-ქმარს გულზე შემოეყა-

რათ, სანამ ძია ლაპარაკობდა და ახალგაზრდა ცოლ-ქმარს კოცნიდა, საშას თავში შემდეგმა სურათმა გაუელვა: ის და მისი ცოლი უთმობენ სტუმრებს თავის სამ ოთახს, ბალიშებს, საბნებს. თევზეული და ჭრიანტელი ერთ წუთში ჰკრება, ბიძაშვილები ჰგლეჯენ ყვავილებს, ღვრიან მელანს, ყვირიან, ძალუა დილიდან საღამომდე თავის ავადმყოფობაზე (მუცლის ჰიასა და გულის კოვზის ტკივილზე) ლაპარაკობს და თან ვრთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ ის — წარმოშობით ბარონესა ფონ-ფინტიზია...

და საშა უკვე სიბუღეილით შესცქეროდა თავის ახალგაზრდა ცოლს და ეჩურჩულებოდა:

— ისინი შენთან ჩამოვიდნენ... ეშმაკმა წაიღოს მაგათი თავი!

— არა, შენთან! — სიბუღეილითვე

უპასუხებდა გულმოსული, გაფითრებული ცოლი. — ისინი ხომ შენგანაა? ველები არიან, და არა ჩემი!

შემდეგ სტუმრებს მიუბრუნდა და მომზიბლავი ღიმილით უთხრა:

— გთხოვთ!

ღრუბლიდან ხელახლა გამოცურდა მთვარე. ახლა ის თითქოს იღიმებოდა, თითქოს უხაროდა, რომ ნათესავები არა ჰყავდა. საშამ კი სახე გვერდზე მიიბრუნა, რომ სტუმრებს არ შეემჩნიათ მისი გაჯავრებული სასოწარკვეთილი გამომეტყველება, და რამდენადაც შეეძლო სასიამოვნო და ტკბილი ხმით მიმართა მათ:

— გთხოვთ, გთხოვთ, ძვირფასო სტუმრებო!

თარგმანი პავუნა წყნაძისა.



## ბოლშევიზმის მახინჯი ისტორია

ლ. პ. ბერიას წიგნის „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ გამომცემის მი-15 წლის-თამისათვის

★

15 წლის წინათ, 1935 წლის 21-22 ივლისს თბილისის პარტაქტივის კრებაზე ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ წაიკითხა თავისი განთქმული მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

პარტიის ცენტრალური ორგანო გახ. „პრავდა“, აფასებდა რა ამხანაგ ბერიას ნაშრომს როგორც უძვირფასეს განძს ბოლშევიზმის ისტორიაში, აღნიშნავდა: „ამხ. ბერიას მოხსენება, რომელიც სისწორით აშუქებს ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებასა და ბრძოლას, წარმოადგენს მძლავრ დასაყრდენს ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლისათვის. იგი ახალ ბრწყინვალე შექს ჰდენს ჩვენი პარტიის ბრძოლისა და განვითარების ყველა უმნიშვნელოვანეს ეტაპს. იგი ავსებს საგრძნობ ხარვეზს ჩვენს პარტიულ ისტორიულ ლიტერატურაში“ („პრავდა“, 1935 წ. 10 აგვისტო).

ამხანაგმა ლ. ბერიამ მკაცრად გააკრიტიკა ცალკეული კომუნისტ-ისტორიკოსების ნაშრომები, რომლებიც შეიცავენ პრინციპული და ისტორიული ხასიათის მთელ რიგ შეცდომებს, ამახინჯებენ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს და არაკეთილსინდისიერად გადმოსცემენ ცალკეულ მომენტებს პარტიის ისტორიიდან, ამხილა ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ის-

ტორიის შეგნებულად დამახინჯება და ფალსიფიკაცია, რომელსაც ატარებდნენ თავიანთ წიგნებში ხალხის ამეამად უკვე გამოქვეყნებული მტრები, და პირველმა მოგვცა საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობისა და პარტიული ორგანიზაციების ისტორიის ბოლშევიკური გაშუქება. ამხანაგ ლ. ბერიას ნაშრომი ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორიაა. სტალინური სახელმძღვანელოს — „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსის“ შემდეგ არ არის ბოლშევიზმის ისტორიისადმი მიძღვნილი სხვა რომელიმე წიგნი, რომელსაც ისეთი ცხოველი გამოხმაურება ებოვა, საყოველთაო მოწონება ენახა და ისეთი როლი ეთამაშნა, როგორც ამხანაგ ლ. ბერიას ნაშრომმა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. პარტიის ისტორიის მოკლე კურსის შემდეგ ამხანაგ ლ. ბერიას წიგნი საუკეთესო შრომაა ბოლშევიზმის მატეიანეში.

ამხანაგმა ლ. ბერიამ თავის ნაშრომში ი. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ ახალი უმდიდრესი მასალა გამოაქვეყნა და გვიჩვენა, რომ

„ამიერკავკასიის ბოლშევიკებს მოეპოვებათ უდიდესი ისტორიული გამოცდილება ლენინური პარტიის მშენებლობისათვის ბრძოლისა, რომელიც

ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის ბელადის ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელი ისტორია, ამიერკავკასიისა და საქართველოს მთელი რევოლუციური მოძრაობა, მისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე განუყრელად დაკავშირებულია ამხანაგ სტალინის მუშაობასთან და სახელთან“ (ლ. ბერია, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 5).

ამხანაგ ბერიას ნაშრომი უმდიდრესი მასალებისა და დოკუმენტების საფუძველზე აშუქებს უმნიშვნელოვანეს საკითხებს (ფაქტებსა და მოვლენებს) საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიიდან, გადმოგვცემს იმის მდიდარ და მრავალფეროვან ისტორიას, თუ როგორ შექმნა ამხანაგმა სტალინმა ლენინური პარტია და როგორ აამხედრა საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშები და გლეხები ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ გამართული ბრძოლისათვის, მოგვითხრობს პოლიტიკური ბრძოლის იმ სკოლაზე, საიდანაც გამოვიდა დიდი სტალინი, გვამცნობს რევოლუციური მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში ამხანაგ სტალინის უახლოეს თანამებრძოლებს: რევოლუციის კეთილშობილ რაისდს ლ. კეცხოველს, რევოლუციური მარქსიზმის შესანიშნავ თეორეტიკოსსა და პროპაგანდისტს ალ. წულუკიძეს, განათლებულ მარქსისტს, ლენინური „ისკრის“ მტკიცე და თანმიმდევარ მომხრეს ვ. კურნატოვსკის, მოწინავე მუშებს მ. ბოჭორიძეს, ვ. სტურუას, გ. თელიას, ზ. ჩოდრიშვილს და სხვ., რომლებმაც მთელი თავიანთი სიცოცხლე მუშათა კლასის დიად საქმეს შესწირეს.

ნაშრომი გადმოგვცემს იმ დიდი თეორიული ბრძოლის ისტორიას, რომელსაც საქართველოს ბოლშევიკები

ი. სტალინის მეთაურობით აწარმოებდნენ ქართველი ლეგალური მარქსისტების, მენშევიკების, ბურჟუაზული მარქსისტებისა და სხვ. წინააღმდეგ. ამ ბრძოლას საერთო სარუსეთო და საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ი. ბ. სტალინის ადრინდელი პერიოდის ნაწარმოებებში, რომლებიც დაწერილია იმ დროს, „როდესაც ლენინიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამომუშავება ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული“, მოცემულია რევოლუციური მარქსიზმის დაცვა და განვითარება.

ნაშრომში ნაჩვენებია ის შინაგანი კავშირი, რომელიც არსებობს რუსეთისა და საქართველოს რევოლუციურ მოძრაობასა და პარტიული ორგანიზაციების ისტორიას შორის. ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1901 წელს აღნიშნავდა, რომ საქართველოს რევოლუციური, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. იგი რუსეთის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის უშუალო ზეგავლენით წარმოიშვა და, მამასადამე, ექვემდებარება რუსეთის რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობასო. ნაშრომში ამავე დროს ნაჩვენებია საქართველოს მდგომარეობის თავისებურება, კონკრეტული პირობების სხვაობა და მით ნაკარნახევი საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლის თავისებურება, საქართველოს ბოლშევიკების მიერ, საქართველოს განსხვავებულ ვითარებაში მარქსიზმ-ლენინიზმის პოლიტიკისა და ტაქტიკის გამოყენების თავისებურება.

ნაშრომის პირველი თავი იხილავს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვისა და ჩამოყალიბების ისტორიას. იგი მოიცავს 1897 — 1904 წლებს.

ამ შრომამდე დიდ კამათს იწვევდა



საქართველოსა და ამიერკავკასიაში მარქსიზმის შემოტანისა, მისი გავრცელებისა და „მესამე დასის“ ჩასათისა და ადგილის საკითხი, რის გამოც არასწორად აშუქებდნენ „მესამე დასის“ ისტორიას. ახდენდნენ „მესამე დასის“ იდეალიზაციას. წარმოგვიდგენდნენ „მესამე დასს“, როგორც ერთგვაროვან, თანმიმდევრულ რევოლუციურ მარქსისტულ-სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და დღემდე გვერდს უვლიდნენ იმ დიდსა და მწვევე უთანხმოებასა და შინაგან ბრძოლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა „მესამე დასში“. ჩქალაღდნენ ლენინურ-ისკრული ჯგუფის ბრძოლას „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ.

ნაშრომმა ბოლო მოუღო საქართველოში მარქსიზმის ისტორიის ამ ყალბ გაგებას და პირველად სწორად, მეცნიერულად გააშუქა მარქსიზმის ჩასახვისა და გავრცელების, ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვისა და ჩამოყალიბების ისტორია საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ამხანაგმა ლ. ბერიამ ნათელჰყო: პირველი მარქსიზმის პირველი თესლი ამიერკავკასიაში 90-იანი წლების პირველ ნახევარში შემოტანილ იქნა, ერთი მხრით, რუსეთის ცენტრალური რაიონებიდან გადმოსახლებული რუსი რევოლუციური სოციალ-დემოკრატებისა და, მეორე მხრით, საზღვარგარეთ ნამყოფი ქართველი „ლეგალური მარქსისტების“ მიერ.

მეორე „მესამე დასი“ წარმოადგენს პირველ ქართულ მარქსისტულ, სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას, რომელმაც 1893 — 1898 წლების პერიოდში ერთგვარი დადებითი როლი ითამაშა მარქსიზმის იდეების გავრცელებასა და აგრეთვე ქართული თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენციის აშკარა შოვინისტური მიმართულების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მესამე „მესამე დასი“ არ იყო ერთ-

გვაროვანი ორგანიზაცია. „მესამე დასის“ უმრავლესობა, ნ. ყორდანიას მეთაურობით, წარმოადგენდა ოპორტუნისტულ მიმდინარეობას — „ლეგალურ მარქსიზმს“, რომელიც ავლგარებდა და ამახინჯებდა რევოლუციურ მარქსიზმს და უგუებდა მას ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ინტერესებს. „მესამე დასის“ ოპორტუნისტული უმრავლესობა უარყოფდა რევოლუციურ მოძრაობაში პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეას, მუშათა კლასის პოლიტიკურ რევოლუციურ ბრძოლას და პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეას.

მეოთხე „მესამე დასის“ უმცირესობა, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, წარმოადგენდა „მესამე დასის“ რევოლუციურ-მარქსისტულ ინტერნაციონალისტურ ფრთას, რომელმაც ქართველი ლეგალური მარქსისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაამკვიდრა რევოლუციური მარქსიზმი და შექმნა ლენინურ-ისკრული ორგანიზაციები საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

უთანხმოება და ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის გადაიზარდა და გადაიქცა საერთო უთანხმოებად ბოლშევიზმისა და მენშევიზმის საკითხში პარტიის 11 ყრილობის შემდეგ, უმთავრესად 1904 წლის დამლევს. „მესამე დასის“ უმრავლესობა, ნ. ყორდანიას მეთაურობით, მთლიანად დადგა მენშევიზმის პოზიციებზე, ხოლო უმცირესობა, ამხანაგ სტალინის მეთაურობით, დადგა ლენინის—ბოლშევიზმის პოზიციებზე.

ნაშრომის მეორე თავი იხილავს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიას რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1905 — 1907 წლები).

ნაშრომის ამ თავში ნაჩვენებია ის გრანდიოზული გაქანება, რომელიც 1905 წლის რევოლუციამ ჰპოვა საქართვე-

ლოში, თავიდანვე იქცა რა იგი საყოველთაო-სახალხო შეიარაღებულ აჯანყებად. ნაშრომში ნაჩვენებია, ის თუ ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებს როგორ და რატომ გაასწრო კავკასიამ, სადაც, როგორც მაშინ ლენინი აღნიშნავდა, „აჯანყება ყველაზე უკეთესად არის მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე ძლიერ და მკაფიოდ არის გამოხატული“ (იხ. იქვე, გვ. 57)

მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის წარმმართველ ძალას წარმოადგენდა ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ი. სტალინი ედგასაქართველოს ბოლშევიკებმა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით შესძლეს მენშევიკებისა და ყველა წვრილბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ ბრძოლაში სათავეში ჩადგომოდნენ მუშებისა და გლეხების რევოლუციურ ბრძოლას და წარემართათ იგი ცარიზმის დასამხობად. ლენინური იდეოლოგიითა და პოლიტიკით შეიარაღებული საქართველოს ბოლშევიკების სტალინური ხელმძღვანელობა საქართველოში 1905 წლის რევოლუციის მძლავრი აღმავლობისა და გაშლის გადამწყვეტ პირობას წარმოადგენდა.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ი. სტალინს მასობრივი რევოლუციური მოძრაობის გაშლისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცებისათვის დამაბულ პრაქტიკულ-ორგანიზატორულ მუშაობასთან ერთად უხდებოდა დიდი და მრავალფეროვანი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის წარმოება. სხვადასხვა ანტიმარქსისტულ და ოპორტუნისტულ მიმდინარეობებთან ბრძოლაში ი. სტალინი იცავს და ანვითარებს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პრინციპებს.

ამხანაგ სტალინმა განსაზღვრა სოც.დემ. მუშათა მოძრაობის საერთო ხასი-

ათი და მიმართულება და დასახა პროლეტარიატის რევოლუციურ-სოსობრივი ბრძოლის ძირითადი ამოცანები (გაზ. „ბრძოლაში“ გამოქვეყნებული წერილები), მკაცრად გააკრიტიკა პლუხანოვი ლენინის „რა ვაკეთოთ?“ წინააღმდეგ ვალაშქრების გამო და დასახებულ შეგნებულობის როლი მუშათა მოძრაობაში (წერილები ქუთაისიდან), ჩაება პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის გამო გამართულ კამათში და ასაბუთებს პარტიის ორგანიზაციულ საფუძვლებს („პროლეტარტა კლასი და პროლეტარტა პარტია“), განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ნაციონალურ საკითხს და პირველად მარქსიზმის ისტორიაში გამოვიდა ნაციონალურ საკითხზე შეხედულებათა გარკვეული სისტემით („როგორ ესმის სოციალდემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“).

ახალ ვითარებაში, დაწყებული რევოლუციის პირობებში, როცა შეგნებულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, ი. სტალინი ისევ უზრუნველბა სტიქიურობისა და შეგნებულობის პრობლემას და შრომაში „გაკერით პარტიულ უთანხმოებაზე“ იძლევა პარტიის იდეოლოგიური საფუძვლების შემდგომ დამუშავებას. ამ ნაშრომში „ამხანაგი სტალინი იძლევა სტიქიურობის მენშევიკური ოპორტუნისტული თეორიის გამანადგურებელ კრიტიკას და ასაბუთებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას მუშათა კლასისათვის რევოლუციური თეორიისა და პოლიტიკური პარტიის მნიშვნელობის შესახებ. აქ ამხანაგი სტალინი გამოდის ლენინის ნაშრომის — „რა ვაკეთოთ?“ დასაცავად“.

რევოლუციის აღმავლობის პირობებში, როცა დღისწესრიგში დადგა ტაქტიკური საკითხების დამუშავება, ი. სტალინი ლენინთან ერთად მარქსიზმზე დაყრდნობით და რევოლუციური ბრძოლის გამოცდილების გათვალის-



წინებით იძლევა მოძრაობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრას და კონკრეტული ვითარების შესაბამისი ბრძოლის გზებისა და საშუალებების, ფორმებისა და ხერხების გამომუშავებას. ამხანაგმა სტალინმა თავის აღრინდელ ნაშრომებში მოგვცა როგორც რუსეთის მენშევიზმის, ისე საერთაშორისო ოპორტუნისმის მოქმედების ხაზის, ტაქტიკის ისტატური კრიტიკა და ლენინთან ერთად გამოიმუშავა ბოლშევიკების ძირითადი ტაქტიკური დებულებები ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.

რევოლუციის მეორე პერიოდში, როცა რევოლუციის აღმავლობა რევოლუციის დაღმავლობამ შესცვალა, ი. სტალინი გამოდის შრომით „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, რომელშიაც ამხელს მარქსიზმის თეორიის რევოზიის ცდებს და ამუშავებს პარტიის თეორიულ საფუძვლებს.

აი ამ შრომის მოკლე და ამომწურავი დახასიათება, მოცემული ამხანაგ ლ. ბერიას მიერ:

„1906 — 1907 წლებში ამხანაგი სტალინი ამიერკავკასიაში ანარქისტ-კროპოტკინელთა მოზღვაუებასთან დაკავშირებით გამოდის მთელი რიგი თეორიული სტატიებით შემდეგ თემაზე: „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“. ამ სტატიაში ამხანაგი სტალინი ავითარებს მარქსისტულ მოძღვრებას დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების შესახებ. იგი უდიდესი სიღრმით ამუშავებს სოციალისტური რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობისა და გარდუვალობის საკითხს, მებრძოლი პროლეტარული პარტიის აუცილებლობის საკითხს, აგრეთვე მისი სტრა-

ტეგიისა და ტაქტიკის ამოცანებს. ეს ნაშრომები წარმოადგენენ მარქსისტ-პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის საარსებო ამოცანებთან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმა საკითხების დაკავშირების ნიმუშს“. (იქვე, გვ. 114).

მე-3 თავი მოგვითხრობს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიას რეაქციის დროს და მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში. ნაშრომში გამოქვეყნებულია დიდი და მრავალფეროვანი მასალები 1907 — 1913 წლებში საქართველოს ბოლშევიკების მუშაობის შესახებ.

მეფის მთავრობამ ბურჟუაზიის დახმარებით მოახერხა 1905 წლის რევოლუციის დამარცხება. დადგა სტოლიპინის რეაქციის შავბნელი წლები. ცარიზმი განსაკუთრებული სისასტიკით იძიებდა შურს საქართველოსა და ამიერკავკასიაზე, როგორც რევოლუციის ერთერთ უძლიერეს კერაზე. სტოლიპინური ტერორი, გადასახლება, კატორღა და სიკვდილით დასჯა თავს ატყდებოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „რეაქციის წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ისე როგორც მთელმა ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინის მეთაურობით, უკან დაიხიეს უდიდესი წესრიგით, უმცირესი ზიანით რევოლუციური მოძრაობისათვის და გააჩაღეს უდიდესი რევოლუციური მუშაობა არალეგალური პარტიული ორგანიზაციის მშენებლობისა და განმტკიცებისათვის, გმირული ბრძოლა თვითმპყრობელო-

ბ ა ზ ე ძ ლ ე ე ა მ ო ს ი ლ ი ი ე რ ო -  
შ ის მ ო მ ზ ა დ ე ბ ის ა თ ვ ის, რ ე -  
ვ ო ლ უ ც ი ის გ ა მ ა რ ჯ ე ბ ის ა -  
თ ვ ის“ (იქვე, გვ. 189).

რეაქციის პერიოდში ამხანაგმა სტალინმა, უშუალოდ მუშაობდა რა ბაქოში, მენშევიკებთან ბრძოლაში განამტკიცა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელმაც დაიპყრო სოციალ-დემოკრატი მუშების უდიდესი უმრავლესობა და ბაქო ბოლშევიზმის ციხესიმაგრედ გადააქცია.

ამ პერიოდში ამხანაგი სტალინი ჩამოდიოდა თბილისში და ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. 1909 წლის ოქტომბერში ამხანაგი სტალინი ჩამოვიდა თბილისში და მოამზადა თბილისის ბოლშევიკური პარტიული კონფერენციის მოწვევა და ვაზ. „ტიფლისკი პროლეტარის“ გამოცემა.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამხანაგ სტალინის ბრძოლას ქართველი ლიკვიდატორების წინააღმდეგ. ქართველი მენშევიკების ლიდერი — ნ. ჟორდანიას, როგორც ლენინი აღნიშნავდა, „გაქნილი დიპლომატი“, ლიკვიდატორების „სერიოზული“, „ოსტატურად დაფარული“ დასაყრდენი იყო. ნ. ჟორდანიას ცდილობს მოგვანვენოს თავი, რომ იგი ლიკვიდატორების წინააღმდეგია, და ამით იხსნას ისინი.

ამხანაგმა სტალინმა ნიღაბი ჩამოგლიჯა ჟორდანიას. მან თავის ისტორიულ სტატიებში „წერილები კავკასიიდან“ ამხილა თბილისელი მენშევიკ-ლიკვიდატორების პროგრამული და ტაქტიკური ლიკვიდატორობა და მათი მავალითის მიხედვით ამხილა საერთო-რუსეთის ლიკვიდატორობა.

ამხანაგ ლ. ბერიას ნაშრომში ნაჩვენებია უხეში შეცდომა იმათი, ვინც ავულგარებდა და ამარტივებდა საქართველოს მენშევიკებთან ბრძოლის საკითხს და გულუბრყვილოდ ამცირებდა

მენშევიკების როლსა და ხევედრის წონას საქართველოში. მტკიცებულებებს წესახებ, რომ მენშევიზმი საქართველოში ხელოვნურად შეიქმნა, საესეებით ეწინააღმდეგება ისტორიას და იმას, რასაც წერდა ამხანაგი სტალინი „წერილებში კავკასიიდან“ მენშევიკების ხევედრის წინაზე საქართველოში (თბილისში).

ამხანაგმა ლ. ბერიამ ამხილა საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის უაღრესად უხეში ფალსიფიკაციის ცდა — გამოეცხადებინათ შემარიგებლობა ბოლშევიზმის „კანონიერ მიმდინარეობად“ და მენშევიკ-ლიკვიდატორთა და შემარიგებელთა წინააღმდეგ ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლის ისტორია შეეცვალათ მენშევიკ-ლიკვიდატორებთან ოპორტუნისტებისა და შემარიგებლების ზავისა და თანამშრომლობის ისტორიით. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ „ამიერკავკასიის ბოლშევიკები გააფთრებით ებრძოდნენ არა მარტო მენშევიკ-ლიკვიდატორებს, მენშევიკ-კოცკისტებს, არამედ ბოლშევიკთა შორის მყოფ შემარიგებლებსაც, რომელნიც დაადგნენ მენშევიკებთან შემთანხმებლობისა და თანამშრომლობის გზას ტოცკისტული აგვისტოს ბლოკის ოპორტუნისტული პრიციპის მიხედვით“ (გვ. 187).

პარტიის ისტორიის სახელმძღვანელოებში არ ყოფილა მოცემული გარკვეული დასკვნები პრადის კონფერენციის მნიშვნელობის შესახებ. ბერიასათვის გაუგებარი იყო ბოლშევიკური პარტიის წარმოშობისა და გაფორმების ისტორია. ამხ. ლ. ბერიამ ნათლად გვიჩვენა, რომ „ბოლშევიზმის ისტორიაში ბოლშევიკების პრადის კონფერენცია წარმოადგენს მობრუნების პუნქტს, ვინაიდან მან გაა-

ფორმა მენშევიკებთან განხეთქილება, პარტიიდან განდევნა ლიკვიდატორ-მენშევიკები და დასაწყისი მისცა ბოლშევიკური პარტიის არსებობას“ (გვ. 173).

ამხანაგმა ლ. ბერიამ საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მაგალითზე გვიჩვენა, რომ „ოპორტუნისტებთან განხეთქილება არის ნამდვილი რევოლუციური მუშური პარტიის მშენებლობის ერთადერთი გზა“ (გვ. 127). ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები გაიზარდნენ და გამოიბრძმდნენ მენშევიკებთან გადამწყვეტ ბრძოლაში. ამხანაგ სტალინის მეთაურობით ამიერკავკასიის ბოლშევიკები ატარებდნენ მენშევიკებთან განხეთქილების, გათიშვის ხაზს და ამ გზით აშენებდნენ ბოლშევიკურ პარტიას.

„ცნობილია, რომ რ. ს. დ. მ. პ. II ყრილობაზე პარტიის შიგნით გაჩნდნენ ბოლშევიკებისა და მენშევიკების ფრაქციები, 1905 წლიდან კი (პარტიის III ყრილობის მომენტიდან) ბოლშევიკები ფაქტიურად შეადგენდნენ უკვე დამოუკიდებელ პარტიას. ცნობილია აგრეთვე, რომ II ყრილობაზე განხეთქილება მომზადებული იყო ლენინის მთელი წინანდელი ბრძოლით ოპორტუნისმის წინააღმდეგ როგორც რუსეთში, ისე მთელ II ინტერნაციონალში“ (გვ. 127).

ამხანაგმა ლ. ბერიამ მიუთითა იმათ უხეშ შეცდომაზე, რომლებსაც არ ესმოდათ მენშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა და ამ ბრძოლას ზედმეტ „შუღლად“ აცხადებდნენ.

ამხანაგმა ლ. ბერიამ ამხილა ისინი, რომლებიც შეგნებულად ეწეოდნენ ბოლშევიკური პარტიის ისტორიის ფალსიფიკაციას, ცილისმწამებლურად აწერდნენ რა ბოლშევიკებს იმის რწმენას, თითქოს შესაძლებელი იყო მენშევიკების გადაქცევა პროლეტარიატის ერთგულ მსახურებად, ხოლო მათ

ბრძოლას პარტიის შესაქმნელად აცხადებდნენ მენშევიკთა შესაძლო მერყეობათაგან დაზღვევად. *გმბლმრმმმმ*

ბოლშევიკებს არასოდეს არ უფიქრინიათ და არც უცდიათ გამოენახნათ საერთო ენა მენშევიკებთან. „გაერთიანების“ ტაქტიკა იყო მხოლოდ მენშევიკ ხელმძღვანელთა მხილებისა და მათ მიერ მოტყუებული მუშების მათგან ჩამოშორების საშუალება. ბოლშევიკები IV და V ყრილობაზე მიდიოდნენ არა მენშევიკებთან გაერთიანების მიზნით, არამედ იმისათვის, რომ ემხილნათ მენშევიკების ოპორტუნისმი და დაერაზმათ მუშათა კლასი ბოლშევიზმის დროშის ქვეშ.

„ცნობილია, რომ ლენინს, სტალინს, ბოლშევიკებს არა თუ არ სჯეროდათ მენშევიკების გამოსწორების, პროლეტარიატის რამდენადმე შიანც ერთგულ მსახურებად მათი გადაქცევის შესაძლებლობა, არამედ მთელი ისტორიის მანძილზე უაღრესად შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდნენ მენშევიკების მხილებისა და განადგურებისათვის. ბოლშევიკები თავის პარტიას ქმნიდნენ და აშენებდნენ იმისათვის კი არა, რომ თავი დაეზღვიათ მენშევიკების ოპორტუნისმისაგან, არამედ იმ მიზნით, რომ ხელმძღვანელობა გაეწიათ პროლეტარიატის ბრძოლისათვის ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის, მუშათა მოძრაობაში ოპორტუნისმის-მენშევიზმის გასანადგურებლად“ (გვ. 126—127).

ბოლშევიკები პრადის კონფერენციამდე მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდნენ მენშევიკებთან გაერთიანებულ, ფორმალურად საერთო პარტიის ჩარჩოებში, მაგრამ ინარჩუნებდნენ თავისი პარტიული ორგანიზაციის ფაქტიურ დამოუკიდებლობას და საერთო-პარტიულ ასპარეზს იყენებდნენ მენშევიკების სამხილებლად და მათგან მუშების ჩამოსაშორებლად.



პრალის კონფერენციამ ფაქტობრივი გათიშვა ფორმალურ-ორგანიზაციული გათიშვით დაამთავრა. „აი რატომ გახდა პრალის კონფერენცია მობრუნების პუნქტად ბოლშევიზმის ისტორიაში. აი რატომ იყო, რომ პრალის კონფერენციამ დასაწყისი მისცა ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებელ არსებობას“ (გვ. 232).

ნაშრომის უკანასკნელ მეოთხე თავში გაშუქებულია საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ „ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ნაციონალური საკითხის დარგში შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ როგორც მენშევიკებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების — ფედერალისტებისა და დაშნაკების ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ. ისე ყველა ნაციონალისტური გადახრის წინააღმდეგ თავიანთ საკუთარ რიგებში“ (გვ. 190).

მუშათა კლასის რიგებში მომქმედი წვრილბურჟუაზიული პარტიებისა და მათ შორის ნაციონალისტების მხილებისა და განადგურების გარეშე, ბურჟუაზიული ნაციონალისტების დაძლევისა და მათი მუშათა კლასის რიგებიდან განდევნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მუშათა კლასის ერთიანობის მიღწევა. ინტერნაციონალურ პრინციპებზე აშენებული პარტიის შექმნა და ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტის ორგანიზაცია.

პარტიის რიგებში მომქმედი ოპორტუნისტებისა და მათ შორის ნაციონალ-უკლონისტების განადგურების გარეშე ჩვენ ვერ აღვზრდიდით ხალხს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ვერ დავიცავდით ხალხთა მეგობრობას, ვერ

შევქმნიდით რესპუბლიკათა კავშირს. ამიტომ სრულიად ვასუსტობდა — რომ ამხ. ბერიას ნაშრომის ერთერთი მნიშვნელოვანი თავი სპეციალურად ნაციონალურ საკითხს იხილავს და მიძღვნილია ნაციონალ-უკლონისტთან ბრძოლის ისტორიისადმი.

ჩვენში ყოველთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნაციონალურ საკითხს, რაც განისაზღვრებოდა საქართველოს ისტორიული განვითარების თავისებური პირობებით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნაციონალურმა საკითხმა ასევე თვალსაჩინო ადგილი დაიკავა. ამხანაგ ბერიას ნაშრომში მოცემულია ამომწურავი ანალიზი იმ მიზეზებისა, რომელთა გამოც მაშინ ნაციონალური საკითხი პირველ რიგში იქნა წამოყენებული.

საქართველოში ნაციონალიზმის გავრცელება და პარტიის რიგებში ნაციონალიზმისაკენ გადახრა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებისა და საქართველოს ეკონომიური და კულტურული აღმავლობის საქმის უდიდეს დამრკოლებას წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ ამხანაგმა სტალინმა საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკების ერთ-ერთ მორიგ, საბჭოთა საქართველოს კერძო, კონკრეტული პირობებით ნაკარნახევ ძირითად პოლიტიკურ ამოცანად წამოაყენა: „გასრისოს ნაციონალიზმის გველუშაში და შექმნას ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფერო ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საქმის გასაადვილებლად და ამავე დროს შეინარჩუნოს ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა“.

ამის მიღწევა კი შეუძლებელი იყო. უკეთეს არ შეიქმნებოდა ეროვნული მშვიდობიანობის სპეციალური ორგანო, საბოლოო, გადამწყვეტი სიტყვის უფ-





ლებს მქონე უმაღლესი ხელისუფლება, რომელიც შესძლებდა ეროვნებათა შორის ურთიერთობის მოწესრიგებას. ამხანაგი სტალინი პარტიის XII ყრილობაზე მიუთითებდა, რომ „ამიერკავკასიის ფედერაციის გარეშე ახლანდელ პირობებში მშვიდობიანობის შენარჩუნება კავკასიაში არ შეიძლება“ და რომ ამიტომ „ამიერკავკასიაში ძირითადი საკითხი — ესაა ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხი“.

„ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), ლენინისა და სტალინის ნაციონალური პროგრამით შეიარაღებულეებმა, დაამარცხეს და გაანადგურეს ნაციონალ-უკლონისტები, აღმართეს ამიერკავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობის ურდევები შენობა, შექმნეს და განამტკიცეს ამიერკავკასიის ფედერაცია — „ბურჟუაზიის დროს არნახული და ბურჟუაზიულ წყობილებებში შეუძლებელი ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუში“ (ლენინი, გვ. 219).

ამხანაგმა ბერიამ თავის შესანიშნავ მოხსენებაში საქართველოსა და ამიერკავკასიის სახელმწიფო მშენებლობის დიალექტიკური განვითარების პროცესის კანონზომიერების ღრმა მეცნიერულ-პარტიული ანალიზი მოგვცა. მან ცხადყო ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორიული აუცილებლობა და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგად ამიერკავკასიის რესპუბლიკების მიერ მიღწეულ უდიდეს წარმატებათა საფუძველზე ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაცია.

ნაშრომში ნათქვამია: „ამიერკავ-

კასიის ბოლშევიკებმა ლენინ-სტალინის მტკიცების ხელმძღვანელობით, შექმნეს და განამტკიცეს რა ამიერკავკასიის ფედერაცია, შესძლეს მიეღწიათ სოციალისტური მშენებლობის უდიდესი წარმატებებისათვის, სოციალისტური წყობილების გამარჯვებისათვის ამიერკავკასიის რესპუბლიკებში და მით უზრუნველყვეს აუცილებელი პირობები ამიერკავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციისათვის და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების შესასვლელად სსრკავშირში, რაც დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ დააწესა“ (226).

ამხანაგ ლ. ბერიას ისტორიული ნაშრომი, რომელიც მოგვითხრობს საქართველოს და ამიერკავკასიის ბოლშევიკების მიერ განვლილი დიდი და სახელოვანი გზის შესახებ, გვაძლიერებს სოციალიზმისათვის წარმოებული ბრძოლის გამოცდილებით.

ეს განთქმული ნაშრომი, რომელიც გვამცნობს, თუ როგორ მტკიცდებოდა და იწრთობოდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაცია მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა მტრებთან ბრძოლაში, გვიძლიერებს პოლიტიკურ სიფხიზლეს და გვაიარაღებს პოლიტიკური ბრძოლის კანონების ცოდნით.

ამხანაგ ლ. ბერიას შესანიშნავი ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ გვინერგავს და გვიძლიერებს ლენინ-სტალინის დიდი საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენას, კომუნისმის გამარჯვების რწმენას.

## გიორგი მერჯულე

ქართული მწერალი მათე საუკუნისა \*

დ.

კლარჯეთის თორმეტ საუკუნის ისტორიის მიმოხილვა

პირველწყაროების კრიტიკული ანალიზის შემდეგ გადავდივართ კლარჯეთის თორმეტ საუკუნის ისტორიის ზოგად მიმოხილვაზე.

მიმოხილვას წარმოვადგენთ ქრონოლოგიურის თანრიგით, საუკუნეთა დაარსების თანდათანობით.

### 1. ოპიზა.

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად ოპიზა არის უძველესი საუკუნე არა მხოლოდ კლარჯეთში, არამედ საერთოდ საქართველოში. ვახტანგ გორგასარის მატიანის უწყებით პირველი საუკუნე, რომელიც დაარსდა საქართველოში, ეს იყო ოპიზა<sup>1</sup>. ამ მატიანის ჩვენებით ოპიზა დაარსებულია მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასარის მეფობაში<sup>2</sup>.

ამრიგად, დროის მიხედვით ოპიზის საუკუნე წინ უსწრებს იოანე ზედაზადნელისა და მის მოწაფეთა მიერ საქართველოში დაარსებულ საუკუნებს — ზედაზადნის, გარეჯის მრავალმთას, შიომღვიმესა და სხვებს.

ვახტანგ გორგასარის მატიანის ზემოთ-აღნიშნულ უწყებას ოპიზის საუკუნის დაარსების შესახებ მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში ეთანხმება და აცხებს, როგორც გამორკვეული გეგონდა, ბასილი ზარზმელის თხზულების ცნობა. ბასილი ზარზმელს მოხსენებული ჰყავს თვით ეს ქართველი მოღვაწე, რომელთაც მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში დაუარსებიათ ოპიზა. ბასილი ზარზმელი, როგორც ვნახეთ აღნიშნავს:

„აღუშენა წმიდაი და დიდი [საუკუნე] ოპიზა მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია პეტრე და მაკარი“<sup>3</sup>

უფრო გვიან, მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში, ოპიზაში მოღვაწეობს, როგორც გამორკვეული გეგონდა, ქართლიდან გადმოსული მოწაფე შიომღვიმელისა, განთქმული მოღვაწე მიქელ, რომელმაც შემდეგ დააარსა პარეზის საუკუნე და რომელიც მიქელ პარეზელის სახელით არის ცნობილი<sup>4</sup>.

\* გაგრძელება. მნათობი №№ 10, 11 (1949 წ.), 1, 3, 4, 7 (1950 წ.).

<sup>1</sup> იხ. ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. \*358 — 359/157 — 158 (ანასტასი ნუსხა, 119 — 120 და LXXXII — LXXXIII).

<sup>2</sup> იხ. ზემოთ, თავი VI, 2, გ (მნათობი, № 7, 1950 წ., გვ. 135 — 137).

<sup>3</sup> იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 150.

<sup>4</sup> იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 150 — 151.

მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში — მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში ოპიზის მოღვაწეთაგან მოიხსენება გიორგი მაწყვერელი, რომელიც, ბასილი ზარზმელის თხზულების ცნობით, წარმოშობით ყოფილა სამცხის მხარედასახლებულნი. საგან შუარტყლისა“, ხოლო განათლება ოპიზაში მიუღია, „ალიზარდა იგი განთქმულსა მას [სავანესა] ოპიზას“. ოპიზაში განათლების მიღების შემდეგ გიორგი ღებულობს აწყურის კათედრას სამცხეში და ხდება მმართველი სამცხის მხარისა<sup>1</sup>.

მე-6—7 საუკუნეთა საზღვარზე ოპიზაში ახალი მშენებლობა ჩატარებულა. ამ მშენებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელია სერაპიონ ზარზმელი, ცნობილი მოღვაწე, დამაარსებელი ზარზმის სავანისა სამცხეში, რომელიც ამავე დროს ხუროთმოძღვარიც ყოფილა. ბასილი ზარზმელი მოგვითხრობს, რომ სერაპიონ ზარზმელი — „დიდსა მას [სავანესა] კლარჯეთისასა ოპიზას... დაშნითა ხელითა იხილვებოდა მდგომარედ ხუროთა თანა... რამეთუ იყო სხვათავე თანსათნობათა მეცნიერ... და ფრიად შემკულ წესითა ხუროობისათა“<sup>2</sup>.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, როგორც ეს ირკვევა გიორგი მერჩულის ძეგლიდან და სუმბატ დავითისძის მატინიდან, შავშეთ-კლარჯეთი და მიმდგომი მხარეები გავერანგებულა მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროს.

კერძოდ „ღაღონი“ რომელიც სავანებოდ მოიხსენება მურვან-ყრუს ლაშქრობათა აღწერის დროს, — ეს არის, როგორც გამოირკვეულია, კლარჯეთის სავანეთა მხარე.

ამრიგად, როგორც ირკვევა, იმ დიდი დამსჯელი ექსპედიციების დროს, რომელიც ჩაუტარებია მურვან ყრუს შავშეთ-კლარჯეთში, კერძოდ ეს კუთხე, კლარჯეთის სავანეთა მხარე, დაულაშქრავს არაბთა მხედრობის მთავარ ძალებს თვით მურვანის მხედართმთავრობით და ცხადია ამით აიხსნება ის განსაკუთრებული განადგურება, რომელიც ამ კუთხეს, წყაროების ჩვენებათა თანახმად, განუცდია.

კლარჯეთის სავანეთა მხარის ამ აოხრების დროს კერძოდ გავერანგებულა და დაცილილა ოპიზა.

ხელახალი აღდგენა კლარჯეთის სავანეთა მხარისა იწყება მე-8 საუკუნის შუა წლებიდან.

გიორგი მერჩულის ცნობით კლარჯეთის სავანეთა ამ მიტოვებულ მხარეში პირველად აღუდგენიათ ოპიზა. გიორგი მერჩული მოგვითხრობს, რომ მე-8 საუკუნის შუა-წლებში, როდესაც პირველი მოახალშენენი მოსულან კლარჯეთის სავანეთა ამ მიტოვებულ მხარეში, მოახალშენეთა მიერ პოვნილ იქმნაო ოპიზას „მცირე ეკლესია ნათლისმცემლისა“, რომელიც გადარჩენილა ამ კუთხის არაბთაგან აოხრების შემდეგ. ოპიზის განმაახლებელი ყოფილა აშბა სამოელი. პირიერი წინამძღვარი ოპიზის სავანისა. მის შემდეგ, მე-8 საუკუნის სამოციანოთხმოციან წლებში, ოპიზის წინამღვრებად ყოფილან აშბა ანდრე და აშბა გიორგი<sup>3</sup>.

ოპიზის მესამე წინამძღვარის აშბა გიორგის დროს, 780 წლის ახლო, ოპიზაში დამკვიდრდა ქართლიდან გადმოსული გრიგოლ ხანძთელი

<sup>1</sup> იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 168, 173 — 174.

<sup>2</sup> იხ. ზარზმელი, ავ. 170.

<sup>3</sup> იხ. გიორგი მერჩული, გვ. 20.

და მისნი თანამოღეწენი (საბან იმხნელი, თედორე ნეძველი, ქრისტეფორე კვირიკეწმიდელი) <sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 40 წელზე მეტი იყო გასული, მაშინვე დაიწყო ლაშქრობათა შემდეგ, კლარჯეთის საეპისკოპოსოს მხარე, როგორც ირკვევა, ისევ გავრანებულ კუთხეს წარმოადგენდა და 780 წლამდე აქ მხოლოდ ერთად-ერთი ოპიზის საეპისკოპოსო აღდგენილი. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ „მას ეპისკოპოსო [780 წლის ახლო ხანებში] სხვაი მონასტერი არა შენ იყო მათ ქვეყანათა თვინიერ ოპიზისა (ე. ი. გარდა ოპიზისა), და არცა მსოფლიონი ერისკაცნი ახლიდეს ახლად შენებისათვის მათ ქვეყანათამასა, რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქვეყანათა მკირდნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 29).

782 წელს ოპიზას მოემატა ხანძთის საეპისკოპოსო, დაარსებული გრიგოლ ხანძთელის მიერ.

ახალი ხანა აღორძინებისა კლარჯეთის საეპისკოპოსოს, და კერძოდ ოპიზისათვის იწყება მე-9 საუკუნის ათიანი წლებიდან, როდესაც კლარჯეთში დამკვიდრდა აშოტ I დიდი და ქართველთა სამეფოს (იბერიის) პოლიტიკური ცენტრი გადმოტანილ იქმნა კლარჯეთის მხარეში, ქალაქ არტანუჯში.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმ დიდი მშენებლობის შესახებ, რომელიც ჩაუტარებია ოპიზაში აშოტ I-ს 815 — 826 წლების მანძილზე.

აშოტ I-ს ეწოდება ოპიზის „მეორედ მამშენებელი“ <sup>2</sup>.

ოპიზის მთავარ ტაძარში, რომელიც კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს, ბოლო დრომდე დაცული იყო საფრესკო მხატვრობა, სადაც წარმოდგენილი იყო აშოტ I დიდი თავისი თანამოღეწეებით; საფრესკო მხატვრობას ახლავს შემდეგი წარწერა:

„აშოტ კურაპალატი, მეორედ მამშენებელი ოპიზისა და წმიდისა ამის საყდრისა“ <sup>3</sup>.

ოპიზის ამავე მთავარ ტაძარში, სამხრეთ ფასადზე, დაცული იყო ბარელიეფები (ეს ბარელიეფები ამ-ეჟამად თბილისშია ჩამოტანილი ოპიზიდან და ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში), სადაც გამოსახულია აშოტ I დიდი, როგორც მამშენებელი ოპიზისა, ოპიზის ტაძრის მოდელით ხელში <sup>4</sup>.

იმ მრავალ ნაგებობათა შორის, რომლებიც შენახულა ოპიზაში (ოპიზის საეპისკოპოსო, როგორც ირკვევა მიღწეული ნაშთების მიხედვით, დიდ არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენდა), ცალკეა აღსანიშნავი დიდი ნაგებობა ბაზილიკური ტიპისა, რომელიც „საოსტიგენ“-ს სახელწოდებით არის ცნობილი. (საშუაღ საუკუნეთა ქართულ საეპისკოპოსოში ამ შენობებში მოთავებულ იყო ხოლმე სემინარია — სასწავლებელი). „საოსტიგენ“-ს ამ შენობაზე, რომელიც გადარჩენილა აშოტ I-ის დროიდან, დაცულია შემდეგი წარწერა:

„ესე მე აშოტ მეფემან ოთხ წელსა გავაშენე“.

<sup>1</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 20 — 21.

<sup>2</sup> ძველ-ქართულად „მეორედ მამშენებელი“ ნიშნავდა „განმობლებელს“ (დამოუკიდებელად იმისგან, ეს მშენებლობა მეორე იყო, მესამე, თუ შემდგომი).

<sup>3</sup> იხ. დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია (1885 წ.) გვ. 122 და ნ. შარი, Дневник, ТР, VII, გვ. 160.

<sup>4</sup> იხ. ზევით, თავი IV („მნათობი“, 1949 წ. № 11, გვ. 144).



როგორც უკვე გამოჩევილი გვეჩვენა, საოსტიგნეს ეს შენობა აგებული ყოფილა 815—818 წლებში და წარწერა 818 წლის ახლო ხანებშია დაწერილი პული<sup>1</sup>.

ასეთია ის ცნობები, რომელთაც შეიცავენ ოპიზის ადგილობრივი წარწერები იმ მშენებლობის შესახებ, რომელიც ჩაუტარებია ოპიზაში აშოტ I დიდს, ოპიზის „მეორედ მამულებელს“.

შემდგომ ხანაში ოპიზის მშენებლობა განუგრძობია აშოტ I დიდის მემკვიდრეებს. ქართულ მატიანეთა ცნობით, აშოტ I-ის შემდეგ მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში ახალი მშენებლობა ჩაუტარებია ოპიზაში აშოტ I-ის შვილს, საქართველოს მთავარს გეარამ დიდ მამფალს (+882 წ.), რომელიც იქვე ოპიზაში დასაფლავებულია<sup>2</sup>.

ამ ეპოქის ოპიზელ მოღვაწეთაგან გიორგი მერჩულეს მოხსენებული ჰყავს ძველი ოპიზელი, რომელიც გრიგოლ ხანძთელის მოწაფე ყოფილა (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 127—130).

გიორგი მერჩულის თხზულებაში ხაზგასმულია, რომ კლარჯეთის თორმეტსავეანთა შორის ოპიზა განსაკუთრებული პატივით, პირველი სავანის სახელით სარგებლობდა, რადგან, გიორგი მერჩულის სიტყვით, „ამთ ყოველთა [სავანეთა] უწინარეს აღშენებულ არს ოპიზა“<sup>3</sup>. და მართლაც, როგორც გამოიჩევა, ოპიზა უძველესი ყოფილა არა მხოლოდ კლარჯეთის სავანეთა შორის, არამედ საერთოდ საქართველოს სავანეთა შორის; ოპიზა აგებული ყოფილა ვახტანგ გორგასარის დროს მე-5 საუკუნეში, კლარჯეთის ყველა სავანეებზე ადრე. ხოლო შემდეგ, როდესაც კლარჯეთის სავანეთა მხარე განადგურდა მურვან-ყრუს შემოსევათა დროს, ოპიზა ამ-ჯერადაც პირველად იქმნა აღდგენილი.

ჩვენ ამით ვამთავრებთ საუბარს ოპიზის სავანის შესახებ, რამდენადაც ჩვენ აქ მიზნად ვისახავთ კლარჯეთის სავანეთა ისტორიის მიმოხილვას გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის ხანამდე, მე-9—10 საუკუნეებამდე. აქ დაგვრჩენია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ოპიზას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა შემდეგ ხანაშიაც. ასე ქართველ ისტორიკოსს ქამთა-აღმწერელს მე-13 საუკუნეში მოხსენებული აქვს „მთათა შინა ღადოსათა [მხარეთა კლარჯეთისათა] — ოპიზა, უპირველესითათორმეტთა [სავანეთა]“; ამ ისტორიკოსის სიტყვით განთქმული ყოფილა „სიდიდე [სავანისა] ოპიზისა და შემკობა მისი“, იგი ამ დროს მოღვაწეთა „კრებულთა აღსაცემ“ იყო, „რომელნი მას ქამთა ბრწყინადღეს ოპიზას“<sup>4</sup>.

ოპიზის სავანეს, „უპირველესს“ კლარჯეთის სავანეთა შორის, მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ქართული განათლებისა და მწიგნობრობის ისტორიაში. ცალკეა აღსანიშნავი განსაკუთრებული როლი ოპიზის სავანისა ქართული ხელოვნების ისტორიაში. საშუალო საუკუნეებში განთქმული იყო ოპიზის სკოლა ქართული სახეითი ხელოვნებისა. საკმაოა მოვივიროთ, რომ ოპიზის სკოლას წარმოადგენდნენ ქართული ხელოვნების ისეთი ბრწყინვალე ოსტატები, როგორც იყვნენ ბექა და ბეშქენ ოპიზარნი.

<sup>1</sup> იხ. იქვე, გვ. 143—144.

<sup>2</sup> იხ. მატიანე ქართლისა, გვ. \* 447/225.

<sup>3</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 82.

<sup>4</sup> ქამთა-აღმწერელი, გვ. \*856/700 — 701.



## 2. მერე.

ჩვენ უკვე მოყვანილი გვექონდა ვახტანგ გორგასარის მატინის უწყება, სადაც აღნიშნულია, რომ ვახტანგ გორგასარის დროს კლარჯეთში აშენებულ იქმნა „მონასტერი ო ბ ი ზ ი ს ა, და სამნი ეკლესიანი: და ბ ი ს ა, მ ე რ ი ს ა და შ ი ნ დ ო ბ ნ ი ს ა“.

ამრიგად ამ უწყების თანახმად მერე, აშენებული ყოფილა მე-5 საუკუნეში; ამ დროს მერე ჯერ კიდევ არ ყოფილა საენე-მონასტერი არამედ ეკლესია-ტაძარი.

მე-8 საუკუნის 30-იან წლებში მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროს, მერის სანახები, ისევე როგორც კლარჯეთის საენეთა მთელი მხარე, გავერანებულა და მე-9 საუკუნის დასაწყისამდე იგი მიტოვებულ კუთხეს წარმოადგენდა.

გიორგი მერჩულის ცნობის თანახმად ახალი მშენებლობა აქ დაწყებულა აშოტ I-ის დროს, მე-9 საუკუნის ათიან წლებში. გიორგი მერჩულე ამ მხარის მშენებლობისა და კერძოდ მერის საენის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

„მათ ეამთა მფლობელი იყო ამთ ქეყანათა — ხელმწიფე დიდი, ბაგრატიანი ა შ ო ტ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი, — რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობა მისი და შეიღოთა მისთა ვიდრე უკუნისამდე ეამთა...“

„... მას ეამსა ყოველთა მათ წმიდათა უდაბნოთა შინა [კლარჯეთისათა] იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შენებად და წმიდათა ეკლესიათა და ესრეთ განმრავლდეს მსახურნი — სამებისანი...“

„ხოლო სანატრელი — დედაჲ ფ ე ბ რ ო ნ ი ა მოიწია სამცხით და დემკვიდრა მერეს შინა და ღირსად ცხოვრებისა და სულიერად განგებისა მისისა არა საზღვარი“<sup>1</sup>.

ამრიგად მერის განახლება საენის სახით მომხდარა აშოტ I-ის დროს, ე. ი. 813 — 826 წლებს შორის. მერის განმაახლებელი ყოფილა განთქმული მოღვაწე ქალი ფ ე ბ რ ო ნ ი ა, რომელიც ახლო მონაწილეობას იღებდა ამდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რომელიც, როგორც ამას აღნიშნავს გიორგი მერჩულე, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის.

მერის საენის შესახებ მე-9 საუკუნეში დაწერილებით ცნობებს შეიცავს გიორგი მერჩულის ძეგლი. (იხ. გიორგი მერჩულე გვ. 38, 42, 72 — 75, 84 — 88, 105 — 107, 110 — 111, 117 — 118).

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ მერის საენის ნაშთები დღემდე შეუსწავლელია. გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობის თანახმად, მერე მდებარეობდა ხანძთის მეზობლად. ეს ადგილი, იმავე ძველი სახელწოდებით „მერე“, ხანძთის მახლობლად დღემდისაც არსებობს. ნ. მარს, რომელმაც 1904 წელს იმოგზაურა კლარჯეთში, აღნიშნული აქვს, რომ პუნქტი, სახელწოდებით „მერე“, მდებარეობს მდინარე კარჩხალის-წყალის ხეობაში, ფორთა-ხანძთის მიდამოებში (ე. ი. იმ სექტორში, სადაც ეს სავარაუდებელი იყო გიორგი მერჩულის ძეგლის მიხედვით<sup>2</sup>). მაგრამ სამწუხაროდ თვით მერეში ნ. მარი აღარ ასულა, და მას შემდეგ არც სხვა მკვლევარი ყოფილა ამ კუთხეში.

<sup>1</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 32, 38.

<sup>2</sup> იხ. ნ. მარი, Дневник, ТР., VII, გვ. 131, 132, 137.



**3. დაბა**

როგორც ვახტანგ გორგასარის შატიანის შემოთ-მოყვანილი უწყებებიდან სჩანს, დაბა დაარსებული ყოფილა ვახტანგ გორგასარის დროს, მე-5 საუკუნეში. ამ დროს, მე-5 საუკუნეში, დაბა ჯერ კიდევ არ ყოფილა განკუთვნილი მონასტრად, არამედ ეკლესია-ტაძარს წარმოადგენდა (ისევე როგორც ეკლესია-ტაძრები ყოფილან მე-5 საუკუნეშივე დაარსებულნი და დაბასთან ერთად დასახლებულნი მერე და შინდობანი).

მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, მურვან ყრუს ლაშქრობათა დროს დაბის სანახები, ისევე როგორც კლარჯეთის სავანეთა მთელი მხარე, გავერანგებულა და მე-9 საუკუნის დასაწყისამდე იგი მიტოვებულ კუთხეს წარმოადგენდა.

გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობათა თანახმად დაბის განახლება სავანის სახით მომხდარა მე-9 საუკუნის დასაწყისში, აშოტ I დიდის დროს (813 — 826 წ.).

გიორგი მერჩულეს დაბა მოხსენებული აქვს როგორც უკვე არსებული სავანე 830 — 840 წლებში, როდესაც, როგორც მოგვითხრობს მერჩულე, საქართველოს ხელისუფლების მეთაურებმა (ბაგრატ I-მა, აღარნერსე ხელმწიფემ და გვარამ მამფალმა), გრიგოლ ხანძთელთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად, მოინახულეს კლარჯეთის სავანეები, და მათ შორის დაბა<sup>1</sup>.

მე-9 საუკუნიდან მოკიდებული დაბა არსებობდა როგორც სავანე საშუალ საუკუნეთა განმავლობაში (დაბა საშუალ საუკუნეებში კლარჯეთის „ათორმეტ“ სავანეთა რიცხვში ითვლება) — ვიდრე თურქეთის მფლობელობის დამყარებამდე.

დაბის სავანე დაუნგრევიათ თურქთა მფლობელობის დროს. ნ. მარი, რომელმაც 1904 წელს ადგილობრივ ინახულა დაბა, აღნიშნავს, რომ დაბის სავანის ნაშთები მთლიანად მოსპობილია და მხოლოდ სავანის მთავარი ტაძრის ნაადგილვე, საფუძელის ნანგრევები გაირჩევა<sup>2</sup>.

**4. პარეხი (პარეხნი, ბერთისა პარეხნი).**

პარეხის სავანის ისტორიის მთელი რიგი მომენტები ჩვენ უკვე გაშუქებული გვექონდა შემოთ, როდესაც განვიხილეთ ბასილი ზარზმელის თხზულების ქრონოლოგიის საკითხები.

აქ დავგრძენია მოკლედ შევავჯამოთ შემოთაღნიშნული და დამატებით წარმოვადგინოთ ახალი ფაქტები.

პარეხის სავანე, როგორც გამოირკვა, დაარსებული ყოფილა მეექვსე საუკუნის შუა წლებში შიო მღვიმელის მოწაფის მიქელ პარეხელის მიერ.

პარეხი, თავის არსებობის პირველ პერიოდშივე, მიქელის დროსვე, გადაქცეულა ქართული განათლების მნიშვნელოვან კერად. მიქელი გარშემორტყმული ყოფილა შრავალი მოწაფეებით. მიქელის მოწაფეთა რიცხვში ითვლებოდნენ კერძოდ ბასილი და მარკელაოზ პარეხელნი, სერაპიონ ზარზმელი და მისი

1 იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 57.  
 2 იხ. ნ. მარი, Дневник, ТР, VII, გვ. 180.  
 7. „მნათობი“ № 8

ქმა იოანე; მიქელთან დაახლოვებული პირი ყოფილა აგრეთვე გიორგი მარტოვი-რელი.

მიქელის მოღვაწეობა საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი ანუ მხოლოდ კლარჯეთში, არამედ კლარჯეთის გარეთაც საქართველოს სხვა მხარეებში; როგორც აღნიშნავს ბასილი ზარზმელი, „სახელი დიდისა მის მოძღვრისა“ მიქელისა — ყველასათვის უდიდეს ავტორიტეტად ითვლებოდა. მიქელის მოწაფენი თავის მასწავლებლის სახელისადმი უდიდესი პატივისცემის გრძნობით აცხადებენ: „მოწაფენი ვართ დიდისა მის და განთქმულისა მიქელ პარეხელისანი“<sup>1</sup>.

პარეხის საეპარქიაში მე-6 — 7 საუკუნეებიდანვე შექმნილა ლიტერატურული ტრადიციები. მიქელ პარეხელის ცხოვრება აღუწერიათ მიქელის მოწაფეებს. (როგორც ეს სავარაუდებელია ბასილი ზარზმელის ტექსტის მიხედვით. მიქელის ბიოგრაფიის ავტორები ყოფილან ბასილი და მარკელაოზ პარეხელი).

მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც მურვან-ყრუს შემოსევათა შედეგად განადგურდა კლარჯეთის მხარე, გავრანებულა და დაცლილა აგრეთვე პარეხის საეპარქია.

როგორც ეს ირკვევა გიორგი მერჩულის ტექსტიდან, მე-9 საუკუნის 30-იან წლებში პარეხის საეპარქია ჯერ კიდევ არ ყოფილა აღდგენილი<sup>2</sup>.

მე-9 საუკუნის 40-იან წლებში პარეხში დამკვიდრებულა მარტოდმყოფი მეუღაბნოე მიქელ, მოწაფე გრიგოლ ხანძთელისა, რომელსაც გაუტარებია აქ მრავალი წლები როგორც დაყუდებულ მარტოდმყოფს, აქვე გარდაცვლილა და დასაფლავებულა.

მიქელ მარტოდმყოფის გარდაცვალების შემდეგ პარეხში დამკვიდრებულა აგრეთვე განმარტოებული მეუღაბნოის სახით ბასილი მარტოდმყოფი, რომელიც აგრეთვე იქვე პარეხში დასაფლავებულა<sup>3</sup>.

უფრო გვიან, მიქელ და ბასილი მარტოდმყოფთა გარდაცვალების შემდეგ, პარეხში განუახლებიათ საეპარქია, რომელიც აქ გაუქმებული იყო მურვან-ყრუს შემოსევათა დროიდან. საეპარქიის ეს განახლება პარეხში მომხდარა მეცხრე საუკუნის დასასრულს. მეცხრე-მეათე საუკუნეთა მიჯნაზე და მეათე საუკუნის პირველ ნახევარში (გიორგი მერჩულის დროს) პარეხი უკვე მოქმედი საეპარქია.

ამ დროიდან მოკიდებული პარეხი ისევ იქცა ქართული განათლების მნიშვნელოვან ცენტრად, აღდგენილ იქმნა პარეხის ძველი ლიტერატურული ტრადიციები. ამ დროს, მე-9—10 საუკუნეთა საზღვარზე, პარეხში მოღვაწეობს ცნობილი მწერალი ილარიონ პარეხელი, რომელსაც გიორგი მერჩულე მიაკუთვნებს მე-9 — 10 საუკუნეთა უდიდეს ქართველ მწერალთა რიცხვს.

ცნობებს პარეხის საეპარქიის შესახებ შემდგომი ხანისათვის იძლევა დოკუმენტი, შეტანილი ბერძნული ოთხთავის ხელნაწერში<sup>4</sup>.

<sup>1</sup> იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 156.

<sup>2</sup> გიორგი მერჩულეს, როგორც ცნობილია, აღწერილი აქვს კლარჯეთის ყველა საეპარქია მხოლოდ მე-9 საუკუნის 30-იან წლებში ბაგრატ I-ისა და მისი ძმების შერ, გრიგოლ ხანძთელთან და მის თანამოღვაწეებთან ერთად (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 67 — 70). ამ აღწერილობაში პარეხი არაა მოხსენიებული მოქმედ საეპარქია რიცხვში.

<sup>3</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 100.

<sup>4</sup> იხ. ბერძნული ხელნაწერის მინაწერთა შესახებ გ. წერეთელი, Полное собрание надписей Гелатского монастыря. Древности восточные, т. I, вып. 2, 1891 წ., გვ. 263 — 264. Н. Кондаков и Д. Баградзе, Опись памятников древности, 1890 წ., გვ. 44 — 47.



დაწყებული მე-9—10 საუკუნეთა საზღვრიდან, პარეხის საეანე არსებულა საშუალო საუკუნეთა მანძილზე (იგი ითვლებოდა კლარჯეთის თორმეტ საუკუნეთა რიცხვში) — ვიდრე თურქთა მფლობელობის დამყარებამდე.

პარეხის საეანის ნაშთები დღემდისაც შენახულა. მოღწეულა ნანგრევები ორი დიდი ტაძრისა, ერთი მომცრო ნიშისა, მავზოლეუმისა, ამოშენებული გამოქვაბულისა („პარეხნი“), აგრეთვე ნანგრევები „საოსტიგნე“-სი (სემინარია—სასწავლებლის შენობისა) და სხვ.<sup>1</sup>

### 5. ხ ა ნ ძ თ ა

განთქმული საეანე ხ ა ნ ძ თ ა, როგორც ეს ირკვევა გიორგი მერჩულის ძეგლიდან და როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, დაარსებულია მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, 782 წლის ახლო.

ხანძთა ეს იყო ქართული განათლებისა და ქართული მწიგნობრობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი მე-8—10 საუკუნეებში.

ჩვენ აქ მოკლედ შევიჩრდებით ხანძთელ მოღვაწეებზე, რომელთა შესახებაც საუბარია გიორგი მერჩულის ძეგლში.

პირველ რიგში მოვიხსენებთ ხანძთის საეანიდან გამოსულ მწერლებს და მწიგნობრობის მოღვაწეებს.

1. ხანძთელი მწერლების პლეადას ხსნის თვით გ რ ი გ ო ლ ხ ა ნ ძ თ ე ლ ი (758—860 წ.). გრიგოლ ხანძთელის სამწერლო მოღვაწეობას ჩვენ ქვემოთ ვუძღვნით ცალკე თავს და ამის გამო აქ მასზე აღარ ვჩერდებით.

2. ხანძთის საეანის სკოლიდან გამოსულ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის არსენი დიდი, ქართლისა კათალიკოზი.

არსენი იყო ძე სამცხის მხარის მთავრის შირიანისა. არსენი დაიბადა 820 წელს. არსენი, ჯერ კიდევ ყმაწვილი, 826 წელს მისცეს აღსაზრდელად ხანძთაში. არსენიმ განათლება ხანძთაში მიიღო. აქ ხანძთაში არსენიმ დაპყრო ოცი წელი, 826 წლიდან — 845/850 წლებამდე.

845—850 წლებში არსენი არჩეულ იქმნა ქართლისა კათალიკოზად, ხოლო ამის შემდეგაც არსენის არ შეუწყვეტია კავშირი ხანძთასთან და თავის მოძღვარ-მასწავლებელთან გრიგოლ ხანძთელთან.

გიორგი მერჩულის ცნობით არსენი გამოჩენილი მოღვაწე ყოფილა და მას შთამამაველობაში „დიდი“-ს სახელი დაუმსახურებია. გიორგი მერჩულის სიტყვით — „არსენი, რომელსა ეწოდა ღირსად დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა [საკათალიკოზო ტახტისა] გვირგვინი დაუჭკნობელი...“ — იყოო დიდი მოურნე ქვეყნისა, რომელმაც ქართლისა საკათალიკოზოს „სიხარული მიჰვინა, რამეთუ [ტახტი] მამათმთავრობისა შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა“<sup>2</sup>.

არსენი ამავე დროს გამოჩენილი მწერალი ყოფილა. არსენის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული ძეგლი — მოსახსენებელი ა ბ ი ბ ო ს ი ს ა თ ვ ი ს ნ ე ყ რ ე ს ე ლ ი ს ა,

<sup>1</sup> იხ. ნ. შარი, Дневник, ТР., VII, გვ. 175—177.

<sup>2</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 50, 96.

რომელიც იწამა სპარს დამპყრობელთა მიერ ქართლში მე-6 საუკუნეში. ეს პატრიოტული ნაწარმოები ჩვენი მწერლისა, აღბეჭდილია დიდი დრამატული ლირსებებით. (აღვნიშნავთ ამასთან, რომ ეს ნაწარმოები არსებითად მოკლებული ინტერესს კერძოდ ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიისათვის, რამდენადაც აქ მოცემულია მოძღვრება ბუნების შემადგენელი ოთხი ელემენტის შესახებ).

არსენი კათალიკოსსვე შიაკუთენებენ აგრეთვე საისტორიო-პოლემიკურ ტრაქტატს „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, მაგრამ ეს უკანასკნელი, ვფიქრობთ, უფრო ადრინდელი ხანის ძეგლი უნდა იყოს<sup>1</sup>.

არსენი კათალიკოსი გარდაიცვალა 872/7 წლებში.

3. ხანძთის საეპისკოპოსოს სკოლიდან გამოსულ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე მ ა კ ა რ ი ლ ე თ ე თ ე ლ ი.

მაკარი ლეთეთელი შთამომავლობით ქართლიდან ყოფილა (სოფლიდან ლ ე თ ე თ ი შიდა-ქართლში).

მაკარის განათლება ხანძთაში მიუღია; იგი მოიხსენება მოწაფედ გრიგოლ ხანძთელისა.

შემდეგ მაკარი გადასულა იერუსალიმში და დამკვიდრებულა საბა-წმინდის საეპისკოპოსოში, სადაც, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მე-5—6 საუკუნეებიდან დაწყებული შექმნილი იყო ქართული განათლებისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვანი ცენტრი.

მაკარი ლეთეთელი საბაწმინდაში დამკვიდრების შემდეგ არ სწყვეტს კავშირს ხანძთასთან და თავის მოძღვართან გრიგოლ ხანძთელთან. ჩვენ დრომდე მოღწეულა წერილი საბაწმიდიდან მოწერილი ხანძთაში მაკარისა და მისი თანამოღვაწის არსენის მიერ, რომლითაც ისინი მიმართავენ თავის მასწავლებელს გრიგოლ ხანძთელს (ეს წერილი შეტანილი აქვს გიორგი მერჩულეს თავის თხზულებაში).

ქართული მწერლობის დარგთაგან, მაკარი ლეთეთელს, როგორც ირკვევა, მიუძღვის ღვაწლი ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში.

მაკარის უთარგმნია ბერძნულიდან კოზმან იერუსალიმელის ტექსტები (იგი შეტანილია მიქელ მოდრეკილის კრებულის მეორე ნაწილში, რომელიც მოსე ტაოელის მიერ არის შესრულებული).

აღვნიშნავთ ამას გარდა, რომ მაკარი ლეთეთელის რედაქტორობით არის შესრულებული ძველი ქართული მწერლობის ისეთი მნიშვნელოვანი კრებული, როგორცაა განთქმული ქრესტომათია „მრავალთავე“ 864 წლისა.

4. ხანძთა როგორც მე-9 საუკუნეში, ისე მე-10 საუკუნეშიაც რჩება ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად. ამ დროს, მე-10 საუკუნეში, ხანძთაში მოღვაწეობს ეპოქის უდიდესი მწერალი გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე; როგორც გამოირკვეა, აქ, ხანძთაში არის დაწერილი 950 წელს ძველი ქართული მწერლობის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი — ცხორება გრიგოლ ხანძთელისა.

<sup>1</sup> იხ. პ. ინაოროვსკი, ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა ცურნალ „მნათობი“, 1939 წ., № 10—11, გვ. 263—268.

5—6. მეათე საუკუნეშივე მწიგნობრობის მოღვაწეთა რიცხვს ხანძთაში ეკუთვნიან ხანძთის წინამძღვარი თევდორე და მისი ძმა იოანე, რომელნიც ვილან თანამშრომელნი გიორგი მერაბულისა<sup>1</sup>.

ნიკელიძე

გარდა დასახელებული მწერლებისა და მწიგნობრობის მოღვაწეებისა გიორგი მერაბულის თხზულება შეიცავს ცნობებს მთელი რიგი სხვა ხანძთელი მოღვაწეების შესახებ მე-8—10 საუკუნეში. ამათ რიცხვს ეკუთვნიან:

7. საბანი (საბა) იშხელი—თანამოღვაწე გრიგოლ ხანძთელისა.

საბანი დაბადებულა 760 წლის ახლო ხანებში. იგი წარმოშობით ქართლიდან იყო. 780 წლის ახლო საბანი, გრიგოლ ხანძთელთან ერთად, გადადის სამოღვაწეოდ ქართლიდან კლარჯეთში.

824—825 წლებში საბანმა, გრიგოლ ხანძთელთან ერთად იმოგზაურა ბიზანტიაში, კონსტანტინეპოლსა „და ყოველთა საჩინოთა ადგილთა საბერძნეთისათა“.

ბიზანტიიდან დაბრუნების შემდეგ, 826 წელს, საბანი დამკვიდრდება იშხანში, ტაოს მხარეში; საბანი განაახლებს იშხანს, რომელიც ამ დროიდან ხდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი ტაოს მხარისა (იხ. ამის შესახებ ქვემოთ).

საბანი გარდაიცვალა მე-9 საუკუნის შუა წლებში.

8 — 9. თევდორე ნეძველი და ქრისტეფორე კვირიკე-წმიდელი.

ეს ორი მოღვაწე — არიან თანამედროვენი და თანამოღვაწენი გრიგოლ ხანძთელისა. წარმოშობით ისინი აგრეთვე ქართლიდან ყოფილან და გრიგოლ ხანძთელთან და საბან იშხნელთან ერთად გადასულან სამოღვაწეოდ კლარჯეთში.

გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებული ხანძთის სავანეში თევდორე და ქრისტეფორე მოღვაწეობენ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი, 782 წლის ახლო დროიდან ვიდრე 840 ახლო დრომდე.

თევდორეს და ქრისტეფორეს უშუალო მოწაფეები იყვნენ ხანძთაში აღზრდილნი არსენი დიდი ქართლისა კათალიკოზი და ეფრემ მაწყვერელი.

840 წლის ახლო ხანებში თევდორე და ქრისტეფორე დააარსებენ ახალ სავანეებს ქართლისა და მესხეთის საზღვარზე: თევდორე — ნეძვის სავანეს, ხოლო ქრისტეფორე კვირიკე-წმიდის სავანეს (იხ. ამის შესახებ ქვემოთ).

10. ეფრემ მაწყვერელი

გიორგი მერაბულის ცნობით, ეფრემი იყო ახლო ნათესავი თანამოგვარე მე-9 საუკუნის მწერლის მაკარი ლეთეთელისა, რომლის მოღვაწეობა ხანძთასთან იყო დაკავშირებული (იხ. ზემოთ).

გიორგი მერაბულის ცნობათა თანახმად თარიღები ეფრემის ცხოვრებისა შემდეგია. ეფრემი დაბადებულა 810 — 815 წლებში. ხანძთაში მიეცა აღსაზრდე-

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, თავი II, (მნათობი, 1949 წ., № 10, გვ. 152 — 153.

ლად 826 წელს, სადაც ეფრემს მიუღია განათლება არსენისთან ერთად (შემდეგ ქართლისა კათალიკოზი). ხანძთაში ეფრემს დაუყვია 15 წელი. 840 წლის ახლო ხანებში ეფრემი გადადის ნექვში (თევდორე ნექველის მიერ დაარსებულ სავანეში). 840—845 წლებში ეფრემი დაუდგენიათ მაწყვერელად, გიორგი მერჩულის ცნობით ეფრემს ეჭირა მაწყვერელის პოსტი 40 წლის განმავლობაში. გარდაცვლილა ეფრემი 880—885 წლებში.

ეფრემი დიდი მასშტაბის საეკლესიო მოღვაწე ყოფილა. გიორგი მერჩულის სიტყვით ეფრემს დიდი ღვაწლი გაუწევია, რათა ქართულ ეკლესიას მოეპოვებინა სრული ემანსიპაცია უცხოეთის გავლენისაგან. გიორგი მერჩულე წერს:

„არამედ დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომნიჭებელ ექმნა ქვეყანასა ჩვენსა... პირველად აღმოსავლისა კათალიკოზთა შიპრონი იერუსალიმით მოხვედნად, ხოლო უფრემ შიპრონისა კურთხევა ქართლს განაწესა... არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანა აღარაცხების, რომელსაცა შინა ქართულთა ენათა ეამი შეიწირვას და ლოცვა ყოველი აღესრულების...“ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 97).

ეს აქტი, რაც ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის განმტკიცებას მოასწავებდა, ეფრემს ჩატარებია 845 წლის ახლო ხანებში, როდესაც ეფრემი, როგორც ირკვევა, ქართლის კათალიკოზის მოსაყდრედ ყოფილა.

11. არსენისაბაწმიდელი ეკუთვნოდა გრიგოლ ხანძთელის იმ მოწაფეთა რიცხვს, რომლებიც პალესტინის ქართულ კოლონიაში მოღვაწეობდნენ.

არსენი ყოფილა ახლო ნათესავი და მოგვარე ზემოთ დასახელებული მოღვაწეების — მაკარი ლეთეთელისა და ეფრემ მაწყვერელისა.

არსენისაც განათლება ხანძთაში მიუღია; იგი მოიხსენება გრიგოლ ხანძთელის მოწაფედ. შემდეგ მაკარი გადასულა იერუსალიმში და საბაწმიდაში დამკვიდრებულა. (ზემოთმოხსენებული წერილი, გამოგზავნილი საბაწმიდიდან ხანძთაში და მიმართული გრიგოლ ხანძთელისადმი, რომლის ტექსტიც გიორგი მერჩულეს მიჰყავს, ეკუთვნის ამ არსენის, მაკარი ლეთეთელთან ერთად).

არსენი და მისი თანამოღვაწე ვინმე მიქელი ყოფილან თანამშრომელნი ეფრემ მაწყვერელისა ქართული ეკლესიის ემანსიპაციის ზემოთ დასახელებული აქტის ჩატარების დროს.

12. ილარიონ იერუსალიმელი, რომელიც თავდაპირველად იერუსალიმის ქართულ კოლონიაში მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ ხანძთაში ჩამოსულა, გიორგი მერჩულეს მოხსენებული ჰყავს გრიგოლ ხანძთელის თანამშრომელთა რიცხვში. როდესაც გრიგოლ ხანძთელმა დააარსა დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) უბის სავანე, გრიგოლმა ეს ილარიონი დანიშნა უბის წინამძღვრად. გიორგი მერჩულის სიტყვით ილარიონ დიდი ბიბლიოფილი იყო; „აქვნდეს მას კეთილნი წიგნნი“—საგანგებოდა აღნიშნავს ილარიონის შესახებ ჩვენი მწერალი.

გარდა დასახელებული მოღვაწეებისა გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენება კიდევ მთელი წყება სხვა ხანძთელ მოღვაწეთა მე-8 — 10 საუკუნეთა მანძილზე. გიორგი მერჩულეს ზოგი მათგანის ვრცელი ბიოგრაფიები მიჰყავს. ჩვენ აქ დავკმაყოფილდებით მათი სახელების მოხსენებით. ესენი არიან:



- ა) მე-8 საუკ.
  - ხუედიოს ხანძელი (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 21 — 26, 30-31) მწიგნობარი
- ბ) მე-8—9 საუკ.
  - ეპიფანე, მეორე წინამძღვარი ხანძისა გრიგოლ ხანძელის შემდეგ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 41, 98 — 99, 121, 127).
  - მატათი ხანძელ-მერელი (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 41, 84 — 87).
  - ზენონ ხანძელი (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 41 — 42, 121, 127, 130).
- ა) მე-9 საუკ.
  - დიმიტრიოს ხანძელი (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 87 — 88).
  - ბასილი მესამე წინამძღვარი ხანძისა (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 75).
- ღ) მე-10 საუკუნის პირველი ნახევარი:
  - არსენი — მეოთხე წინამძღვარი ხანძისა (იხ. გიორგი მერჩულე გვ. 71 — 72).
  - მცხუედი ხანძელი, ძე არსენისა (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 72, 178).

დასასრულ აღვნიშნავთ ჩვენ დრომდე გადაჩენილს ძველ-ქართულ ხელნაწერებს, გადაწერილს ხანძაში. ამთ რიცხვს ეკუთვნიან:

- ა. ხელნაწერი H — 1350 (გიორგი მთაწმიდელის ტექსტი) გადაწერილი ხანძაში 1083 წელს მწიგნობარის მოსე ხანძელის მიერ შატბერდისათვის.
- ბ. ხელნაწერი S—1350 (გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული ტექსტები), გადაწერილი მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში ხანძაში მწიგნობარის სტეფანეს მიერ სვეტის სავანისათვის (ეს უკანასკნელი სავანე კლარჯეთისა და ნიგალის-საზღვარზე მდებარეობდა).
- გ. ხანძური ოთხთავი მე-13 — 14 საუკუნეთა, გადაწერილი ხანძაში მწიგნობარის ივანე-გიორგის მიერ (ხელნაწერი ამჟამად დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის საზოგადოებრივი მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში № 111 ab.).



**6. შატბერთი (შატბერდი).**

შატბერთი (შატბერდი) — მეორე განთქმული სავანეა კლარჯეთისა, რომელიც დაკავშირებულია გრიგოლ ხანძელის სახელთან. შატბერთი დაარსებულია გრიგოლ ხანძელის მიერ მე-9 საუკუნის მეორე მეოთხედში. კტიტორი შატბერთისა და თანამოღვაწე გრიგოლ ხანძელისა შატბერთის მშენებლობის დროს იყო ქართველთა სამეფოს მეთაური მეფე-კურაპალატი ბაგრატ I (826—876 წ.).

შატბერთი მე-9—10 საუკუნეებში ქართული მწერლობისა და ქართული განათლების არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, ვიდრე ხანძა.

აქ შევჩერდებით შატბერთის სავანიდან გამოსულ მე-9—10 საუკუნეთა მწერლებზე და მწიგნობრობის მოღვაწეებზე.

ამთ რიცხვს ეკუთვნიან:

- 1. სოფრონ შატბერთელი.
  - გიორგი მერჩულე ამ მწერალს „დიდი“-ს სახელწოდებით მოიხსენებს: „დიდი სოფრონი... [შატბერდისა] უკუნისამდე გვირგვინი“ — ამბობს მის შესახებ გიორგი მერჩულე. გიორგი მერჩულე სოფრონ შატბერთელს გაგვაცნობს როგორც მთავარ ლიტერატურულ ფიგურას მე-9—10 საუკუნეთა საზღვარზე.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა მოგვეყვანა მეტად საყურადღებო ტექსტი გიორგი მერჩულისა, სადაც იგი ჩამოსთვლის თავის უფროს მანამდროვე მწერლებს; გიორგი მერჩულე წერს, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ეფემრობები ასწერდნენო ისეთი გამოჩენილი მწერლები „ბრძენნი და სრულნი“, როგორც იყვნენო:

„დ ი დ ი ს ო ფ რ ო ნ... [შატბერდისა] უყუნისამდე გვირგვინი...“

„... მამაა ი ლ ა რ ი ო ნ პ ა რ ე ხ ე ლ ი,

„... ღირსნი გიორგი მაწყვერელი... და სტეფანე მტბე-  
ვარი... და სხვანი მსგავსნი მათნი“, —

და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი გარდაიცვალნენ, გაებდეთ ხელი მო-  
მეციდნა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერისათვისო.

ასეთია ეს უაღრესად საყურადღებო ცნობა რომელსაც გადმოგვცემს გი-  
ორგი მერჩულე თავის უფროს თანამედროვე მწერალთა შესახებ, რომელთა  
შორის იგი პირველად სოფრონ დიდ შატბერთელს ასახელებს.

2. ი ო ა ნ ე - ზ ო ს ი მ ე, გამოჩენილი ქართველი პოეტი — ჰიმნოგრაფი  
და მეცნიერი მე-10 საუკუნისა, შატბერთის სკოლიდან გამოსულ მოღვაწეთა  
რიცხვს ეკუთვნის.

იოანე-ზოსიმე დაბადებულა მე-10 საუკუნის დასაწყისში.

მოღვაწეობა იოანე ზოსიმეს შ ა ტ ბ ე რ თ ი ს საეანეში დაუწყია (ეს  
ირკვევა იოანე-ზოსიმეს ერთი ჰიმნოგრაფიული კრებულის ანდერძის მიხედ-  
ვით).

შემდეგ იოანე-ზოსიმე გადასულა იერუსალიმში, საბაწმიდის საეანეში; უფრო  
გვიან იგი გადადის სინას-მთის ქართულ კოლონიაში, სადაც განაგრძობს თავის  
ლიტერატურულ-სამეცნიერო მუშაობას.

იოანე-ზოსიმე გარდაცვლილა ღრმა მოხუცებაში მყოფი 987 წლის ახლო  
ხანებში.

იოანე-ზოსიმე, ეს ყოველმხრივ შესანიშნავი ქართველი მწერალი და მეც-  
ნიერი მე-10 საუკუნისა, იმდენად ცნობილი ფიგურაა, რომ მასზე შეგვიძლია  
აღარ გავაგრძელოთ აქ სიტყვა. (იოანე-ზოსიმეს სალიტერატურო-სამეცნიერო  
მოღვაწეობის შესახებ იხ. ჩვენს ნარკვევში: ქართული მწერლობის ისტორიის  
მოკლე მიმოხილვა<sup>1</sup>. იხ. აგრეთვე ქვემოთ ექსკურსში მე-8—10 საუკუნეთა  
ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის შესახებ).

დასასრულ, შენიშვნა განთქმულ შატბერთელ ხელნაწერთა შესახებ.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ქართული განათლებისა და  
ქართული მწიგნობრობისა შატბერთი, ეს შეგვიძლია გავითვალისწინოთ ჩვენ  
დრომდე გადარჩენილი შატბერთში გადაწერილი ხელნაწერების მიხედვითაც.

მათ რიცხვს ეკუთვნიან: ცნობილი შატბერდული ოთხთავები მე-9—10 საუ-  
კუნეთა, გადაწერილი 897, 836 და 873 წლებში<sup>2</sup>; შატბერდული კრებუ-  
ლი, გადაწერილი 973—976 წლებში<sup>3</sup>; კრებული დაეით ჯიბისძისა, გადაწე-

<sup>1</sup> ქურალი „მნათობი“, 1939 წ. №№ 10—11, გვ. 236—238, 271—272.

<sup>2</sup> პირველი მათგანი (897 წლისა) დატულია სვანეთში; დანარჩენნი საქართველოს სახელ-  
მწიფო მუზეუმში: H—1660 და A—1453.

<sup>3</sup> ხელნაწერი S—1141.



რილი 1035 წელს<sup>1</sup>; გიორგი მთაწმიდელის შრომათა კრებული, გადაწერილი მე-11 — 12 საუკუნეებში<sup>2</sup>.

ამათგან განსაკუთრებით ძვირფასია ქართული ლიტერატურისა და საეკლესიო რიო მეცნიერებისათვის შატბერთის კრებული 973—976 წლებისა, გადაწერილი შატბერდელი მწიგნობარის იოანე ბერაის და თანამოღვაწეების მიერ, სადაც დაცულია უძველესი ჩვენ დრომდე მოღწეული პირი ძველ-ქართული მატინისა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ მოკლე ექსკურსს შატბერთელ მწერალთა და მწიგნობრობის მოღვაწეთა შესახებ.

აღნიშნავთ დასასრულ, რომ შატბერთში მე-11 საუკუნეში მოღვაწეობდა დიდი ქართველი მწერალი გიორგი მთაწმიდელი, როდესაც იგი 1060—1065 წლებში უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნდა.



**7. მიძნაძოროჲ.**

გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენების თანახმად მიძნაძოროჲს სავანე დაარსებულია მე-9 საუკუნის დასაწყისში, აშოტ I-ის (813—826 წ.) დროს.

გიორგი მერჩულის ცნობით, მიძნაძოროჲს დამაარსებელი იყო დავით დიდი მიძნაძოროელი, რომელსაც მერჩულე შემდეგი სიტყვებით მოიხსენებს: „დიდი მამაი სანატრელი დავით, მაშენებელი მონასტერთა“<sup>3</sup>.

ამრიგად, მერჩულის ამ უწყების თანახმად დავით მიძნაძოროელი ყოფილა დამაარსებელი არა მხოლოდ მიძნაძოროჲსა, არამედ ამავე დროს იგი ყოფილა „მაშენებელი მონასტერთა“. თუ სახელდობრ რომელ სხვა მონასტერთა მაშენებელი იყო დავით დიდი მიძნაძოროელი, გიორგი მერჩულეს აღნიშნული არა აქვს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დავით დიდი მიძნაძოროელის მოწაფეები ყოფილან ილარიონ, წინამძღვარი წყაროსთავისა (შემდეგ ქართლისა კათალიკოზი), რომელმაც ააშენა წყაროსთავი, და ზაქარია, წინამძღვარი ბარეთელისა, რომელმაც ააშენა ბარეთელთა<sup>4</sup>, საფიქრებელი ზდება, რომ დავით დიდი მიძნაძოროელი იყო თანამოღვაწე ამ თავისი მოწაფეებისა წყაროსთავის და ბარეთელთის მშენებლობის დროს.

მიძნაძოროჲს მოღვაწეთაგან, გარდა მისი დამაარსებელის დავით მიძნაძოროელისა, გიორგი მერჩულეს მოხსენებული ჰყავს თავისი თანამედროვე (მე-10 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე) იაკობ მიძნაძოროელი, რომლის შესახებ გიორგი მერჩული აღნიშნავს: „ეთათა ჩვენთა ბრწყინვიდა ხევსა მას მიძნაძოროისასა დიდი იაკობ, ვითარცა მთები შორის ვარსკვლავთა, ზესთა სიტყვისა ჩვენისა შემკობილი მრავალფერითა მადლითა, მოყვასთა თანა საღმრთოთა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ხელნაწერი A—135. — არაა ინტერესს მოკლებული აღნიშნით, რომ 1035—1039 წლებში შატბერთელმა მოღვაწეებმა, დავით ჯიბისძის მოთავეობით, დააარსეს კოლონია შავ-მთაზე, — ჰრომანას სავანე. ჩვენამდე მოღწეულა ხელნაწერი, გადაწერილი შატბერდელთა ამ კოლონიაში იოანე ჯიბისძის (დავით ჯიბისძის შვილის) მიერ 1050—1060 წლებში (ხელნაწერი H—2211).

<sup>2</sup> ხელნაწერი A—73.

<sup>3</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 68.

<sup>4</sup> იხ. იქვე.

<sup>5</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 109.

მიძნაძორელ მოღვაწეთაგან იმავე მე-10 საუკუნეში ცნობილია აგრეთვე, კ ვ ი რ ი კ ე მიძნაძორელი, რომლის მოღვაწეობითაც გადაწერილია სინის მთის ქართულ საეანეში მთელი რიგი ქართული ხელნაწერებისა (კლარჯეთის საეანეებს ამ ეპოქაში ახლო კავშირი და ურთიერთობა ჰქონდათ პალესტინის, სინის მთის, ანტიოქიის და საბერძნეთის ქართულ საეანეებთან).

ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელის ჩვენებათა მიხედვით მე-10—11 საუკუნეებში მიძნაძორი საეანის კტიტორნი ყოფილან საქართველოს მეფე-მთავარნი: გ უ რ გ ე ნ დიდი ერისთავთ-ერისთავი (918—941 წ.), გ უ რ გ ე ნ მეფეთა-მეფე (994—1008 წ.), მეფე ბ ა გ რ ა ტ III, გამაერთიანებელი საქართველოსი (978—1014 წ.) და მეფე გ ი ო რ გ ი I (1014—1027 წ.)<sup>1</sup>.

უფრო გვიანი ეპოქიდან მიძნაძორი საეანის შესახებ ცნობებს შეიცავს მონგოლთა დროის ქართველი ისტორიკოსი ქამთაილშწერელი<sup>2</sup>.

მიძნაძორი საეანე, ისევე როგორც კლარჯეთის სხვა საეანეები, დანგრეულა თურქეთის მფლობელობის დროს. როგორც ეს ცხადი ხდება მოღწეული ნაშთების მიხედვით, მიძნაძორი საეანე დიდი მოცულობისა ყოფილა. საეანის ტერიტორია დაფარულია მრავალ ნაგებობათა ნაშთებით<sup>3</sup>. მათ შორის დაცულია ნანგრევები საეანის მთავარი ტაძრისა, აგრეთვე ნანგრევები დიდი კაპიტალური ნაგებობისა „სასოსტიანე“-სი (შენობა, რომელიც საშუალო საუკუნეთა საეანეებში ჩვეულებრივ დანიშნული იყო სემინარია-სასწავლებელთათვის).

## 8. წყაროსთავი.

გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენების თანახმად წყაროსთავის საეანე დაარსებულია მე-9 საუკუნის პირველ მესამედში. (ეს საეანე უკვე არსებულია 830—840 წლებში, როდესაც, გიორგი მერჩულის ცნობით კლარჯეთს საეანეები მოიხილეს ბაგრატ I-მა და მისმა ძმებმა, გრიგოლ ხანძთელთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად)<sup>4</sup>.

გიორგი მერჩულის ცნობით წყაროსთავის დამაარსებელი ყოფილა დავით დიდი მიძნაძორელის მოწაფე ილარიონ წყაროსთაველი (რომელიც უფრო გვიან ქართლის კათალიკოზად აღრჩევიათ)<sup>5</sup>.

გარდა გიორგი მერჩულის ძეგლისა წყაროსთავის საეანის შესახებ საყურადღებო ცნობას შეიცავს სვინაქსარული მოსახსენებელი მე-11 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწის გიორგი-პროზორესი, რომელმაც პალესტინაში ააშენა ჯვარის ქართველთა საეანე. ამ სვინაქსარული მოსახსენებელის თანახმად, წყაროსთავში არსებობდა სასწავლებელი და გიორგი-პროზორესი, რომელიც

<sup>1</sup> იხ. ივანე ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ., გვ. 104—105; Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940 წ., გვ. 110.

<sup>2</sup> იხ. ბაგრატ IV-ის სიგელი, დ. ბაქრაძის გამოცემა (приложение к V тому, Записок Академии Наук № 1).

<sup>3</sup> იხ. ქამთაილშწერელი, გვ. \* 857/701.

<sup>4</sup> იხ. ნ. შარი, Дневник, ТР., VII, გვ. 131—135.

<sup>5</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 68, 70.

<sup>6</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 68.



წარმომართი წყაროსთვის მეზობელი კუთხიდან — შევშეთიდან ყოფილა, განათლება წყაროსთვის სავანეში მიუღია<sup>1</sup>.

მე-11 საუკუნეში წყაროსთვის სავანესთან დაკავშირებულნი არიან შვიდი ნობრობის ცნობილნი მოღვაწენი — ძმანი კავკასის-ძენი ეგნატე, პეტრე ვენტი (ყოფილი პატრიკი) და იოანე ჰყონდიდელი (ერთ-ერთი ინიციატორი გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიის დაწერისა). ეგნატე კავკასის-ძის მოღვაწეობით წყაროსთავში გადაუწერიათ გიორგი მთაწმიდელის შრომათა კრებულები. წყაროსთავის ისტორიისათვის მე-11 საუკუნეში ინტერესს წარმოადგენს მოსახსენებელი ეგნატე კავკასის-ძისა, დართული წყაროსთავში გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერისათვის 1089 წლის ახლო დროისა<sup>2</sup>.

წყაროსთავიდან მომდინარეობს აგრეთვე ჩვენ დრომდე მოღწეული წყაროსთავის განთქმული ოთხთავი, გადაწერილი თამარ დიდის ეპოქაში 1195 წელს, იოანე მტბეეარ—საფარელის მოღვაწეობით და შემკული ბექა ოპიზარის მიერ მოჭედილი ყლით, რომლის ქანდაკებული პირები (სცენები „ჯვარცმა“ და „ვედრება“) კლასიკური ხანის ქართული ხელოვნების უნიკალურ შედეგს წარმოადგენს<sup>3</sup>.

წყაროსთავის სავანე დანგრეულა თურქთა მფლობელობის დროს, მაგრამ მისი ნაშთები მაინც შედარებით უკეთ არის დაცული, ვიდრე მეზობელი მიძნაძოროხს სავანისა. წყაროსთავის სავანე, მოღწეული ნაშთების მიხედვით, ისევე დიდი მოცულობისა ყოფილა, როგორც სავანეები ოპიზისა, ხანძთისა, მიძნაძოროხსა და ბერთისა. ტერიტორია წყაროსთავის სავანისა დაფარულია ათეული სხვადასხვა ნაგებობის ნანგრევებით. მათ შორის აღსანიშნავია ნანგრევები სავანის მთავარი ტაძრისა, აგრეთვე ნანგრევები „საოსტიგენ“-სი, რომელიც შედარებით უფრო კარგად შენახულა. წყაროსთავის „საოსტიგენ“, როგორც არქიტექტურული ძეგლი, მაღალის ხელოვნებით არის შესრულებული. ნ. მარი, რომელმაც 1904 წელს ადგილობრივ ინახულა წყაროსთავის სავანის ნანგრევები, წერს, რომ წყაროსთავის საოსტიგენ — „обширный зал, с великолепной архитектурной отделкой“ — „производит прекрасное впечатление“.

<sup>1</sup> სეინაქსარული მოსახსენებელს ტექსტი, თ. ფორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 523 — 524.

<sup>2</sup> ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა A—136, A—252/3, A—372, A—674. (იხ. თ. ფორდანიას, ქრონიკები, I, 1892 წ., გვ. 234 — 5; შედ. გვ. 232).

<sup>3</sup> იხ. შ. აბრამაშვილი, ბექა ოპიზარი, 1937 წ., გვ. 6 — 7 და ტაბულები I, II; Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Описание памятников древности, 1890 წ., გვ. 43 — 44.

აღნიშნავთ იქვე წყაროსთავის სავანის ჩვენ დრომდე მოღწეულ სხვა ხელნაწერებსაც. ამართლებს ეკუთვნის:

ა) ოთხთავი წყაროსთავულ-ანწორი 12 — 13 საუკუნეთა, შექმნილი წყაროსთავს აწმისათვის შეფეების თამარ დიდისა და დავით სოსლანის შვიგნობარ-ყოფილის სოფრომის მიერ. ეს ხელნაწერიც, როგორც ეს ირკვევა სოფრომის ანდერძიდან, აგრეთვე შემკული ყოფილა მოჭედილი ყლით, ქანდაკებული პირებით, რომელიც შეუსრულებია „ღირსსა ოქროსაა მქანდაკებელსა ბექასა“ (ბექა ოპიზარს), მაგრამ ბექასეული ეს ოქრო-ქანდაკებანი აღარ შენახულა (თვით ხელნაწერი ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრ-არქივში, ძველ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში № 323).

ბ) წყაროსთავული მინიატიურული ოთხთავი მე-13 საუკუნისა, გადაწერილი გიორგი მტბეეარისათვის. (ხელნაწერი, რომელიც ინახებოდა უბისში, ამჟამად ვადმოტანილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში).

чатление простором, чистотою работы, умеренностью архитектурного наряда, тщательностью кладки и светлым цветом камней”<sup>1</sup>.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### 9. ბარეთელთა.

გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენების თანახმად ბარეთელთის სავენე დაარსებულია მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, ერთდროულად წყაროსთავის სავენესთან.

ბარეთელთის სავენის დამაარსებელი ყოფილა ზაქარია ბარეთელელი, მოწაფე დავით დიდი მოძინაძორელისა<sup>2</sup>.

ბარეთელთის სავენე მე-9 საუკუნიდან მოკიდებული არსებულა საშუალ საუკუნეთა განმავლობაში (ბარეთელთა საშუალ საუკუნეებში შედიოდა „ათორმეტ“ სავენეთა რიცხვში) — ვიდრე თურქთა მფლობელობის დამყარებამდე.

თურქთა მფლობელობის დროს ბარეთელთის სავენე მთლიანად მოუსპიათ. ამჟამად ბარეთელთაში ნანგრევებიც კი აღარ შენახულა ძველი სავენის ნაგებობათა, გარდა მცირეოდენი ნაშთებისა<sup>3</sup>. დღემდე მოღწეულია მხოლოდ ძველებური ხიდი შესანიშნავი ხელობისა, ერთ-თვალიანი, გაბედულად გადაკიდებული შავშეთის-წყალის (იმერხევის) ხეობაზე; ეს ხიდი ოდესღაც აერთებდა ბარეთელთის სავენეს მეზობელ წყაროსთავისა და მიძინაძორის სავენეებთან.

### 10. ბერთა.

ბერთის სავენე, გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენების თანახმად, დაარსებულია მე-9 საუკუნის პირველ მესამედში. (ეს სავენე უკვე არსებულა 830—840 წლებში, როდესაც, გიორგი მერჩულის ცნობით, კლარჯეთის სავენეები მოიხილეს ბაგრატ I-მა და მისმა ძმებმა გრიგოლ ხანძთელთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად)<sup>4</sup>.

ბერთა საშუალ საუკუნეებში სიანს მნიშვნელოვანი ცენტრი იყო მწიგნობრობისა.

ბერთიდან მიმდინარეობს ეზლახან აღმოჩენილი ბერთის ოთხთავი (პირველი) — მეათე საუკუნისა (ამჟამად დატულია ნიუტონის მუზეუმში)<sup>5</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღრიდანვე ცნობილია აგრეთვე ბერთის ოთხთავი (მეორე, იოანე მთავარაიისძისეული), რომელიც მე-11—12 საუკუნეებში ბერთაში ყოფილა დატული და რომლისთვისაც მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში ოქრომქანდაკებელს ბეშქენ ოპიზარს დაუმზადებია მოკედილი უდა, ქანდაკებული პირებით. ეს ძეგლი, ბერთის მეორე ოთხთავი, წყაროსთავის,

<sup>1</sup> იხ. ნ. მარი, Дневник, ТР., VII, გვ. 121 — 122.

<sup>2</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 68.

<sup>3</sup> იხ. ნ. მარი, Дневник, ТР., VII, გვ. 115 — 116.

<sup>4</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 67.

<sup>5</sup> იხ. R. P. Blake and Der Nersessian, Byzantion, 1942 — 3 (XVI), გვ. 226 — 285.



ოთხთავთან ერთად, წარმოადგენენ ძველი ქართული ოქრომქანდაკებლობის უნიკალურ შედეგებს<sup>1</sup>.

ბერთაში აღზრდილ მწიგნობრობის მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის მწიგნობრის ზეკეპე, ბერთელ-ოლიმპელი, რომელიც შემდეგ ბიზანტიაში მოღვაწეობს და რომლის მიერ გადაწერილია ბითინიის ოლიმპოს ძველ-ქართულ სავანეში ჩვენ დრომდე მოღწეული მანუსკრიპტი 959—969 წლებისა (ამჟამად ათონზე დაცული)<sup>2</sup>.

ბერთა, როგორც ეს ცხადი ხდება მოღწეული ნაშთების მიხედვით, დიდი სავანე ყოფილა ოპიზის, ხანძთის, მიძნაძორის და წყაროსთავის მსგავსად.

ბერთის სავანის ძეგლებიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა მთავარი ტაძარი, ნანგრევები „საოსტიგნე“-სი და ნაშთი ზოგიერთ სხვა ნაგებობათა<sup>3</sup>.

ბერთის სავანის მთავარი ტაძარი შედარებით კარგად არის მოღწეული, რაც იმით აიხსნება, რომ ეს ძველ-ქართული ქრისტიანული ძეგლი, თურქთა მფლობელობის დროს, მოსახლეობის გამუსულმანების შემდეგ, მეჩეთად უქცევიათ.

ბერთის მთავარი ტაძარი, როგორც არქიტექტურული ძეგლი, იშვიათ ტიპს წარმოადგენს. აქ ჩვენ გვაქვს სამ-ნავიანი ბაზილიკა გუმბათოვანი განათებით, უყულო გუმბათით. ბერთის ბაზილიკა, რომელიც თავის სტილით ენათესავება ოპიზის აშოტ I-ის დროის ნაგებობებს, სჩანს მე-9 საუკუნის, ე. ი. თვით სავანის დაარსების დროს ეკუთვნის და შემდგომ ხანაში არსებითი გადაკეთება არ განუცდია.

ბერთის საოსტიგნე თუმცა დანგრეულა, მაგრამ მოღწეული ნაშთის მიხედვით მისი თავდაპირველი სახეობის გათვალისწინება შესაძლებელია. ბერთის საოსტიგნე, როგორც ირკვევა, წარმოადგენდა დიდი მოცულობის მონუმენტალურ ნაგებობას ბაზილიკური ტიპისა.

11. ჯ მ ე რ კ ი.

გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენების თანახმად ჯ მ ე რ კ ი ს სავანე დაარსებულია მე-9 საუკუნის პირველ მესამედში. (ეს სავანე, ისევე როგორც ზემოთ-ჩამოთვლილი სავანეები უკვე არსებულა 830—840 წლებში, როდესაც, გიორგი მერჩულის ცნობით, კლარჯეთის სავანე მოიხილეს ბაგრატ I-მა და მისმა ძმებმა, გრიგოლ ხანძთელთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად)<sup>4</sup>.

ჯმერკის სავანე არსებულა მე-9 საუკუნიდან მოკიდებული საშუალ საუკუნეთა მანძილზე (ჯმერკი საშუალ საუკუნეებში შედის კლარჯეთის თორმეტ სავანეთა რიცხვში) — ვიდრე თურქეთის მფლობელობამდე.

<sup>1</sup> იხ. Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Описание памятников древности, 1890 წ., გვ. 44—45. — გიორგი წერეთელი, Полное собрание надписей Гелатского монастыря, Древности восточные, т I, вып. 2, 1891, გვ. 263—4. შ. ამირანაშვილი, ზეკეპე ოპიზარი, 1937 წ., გვ. 33—34 და ტაბულეზი XXIX და XXX.  
<sup>2</sup> იხ. Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos, par R. P. Blake. Extrait de la Revue de l'Orient Chrétien, 3 serie, t. IX (XXIX), № 3 et 4 (1933—1934), ხელნაწერი № 42.  
<sup>3</sup> იხ. ნ. მარი, Дневник, ТР., VII, გვ. 168—171.  
<sup>4</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 67.

ჯერკის სავანე მთლიანად დაუნგრევეთ თურქთა მფლობელობის დროს. ამჟამად ადგილობრივ არა შენახულა რა, გარდა სავანის ზოგიერთი ნანგრევების ნანგრევთა ნაშთისა<sup>1</sup>.

## 12. დოლისყანა.

დოლისყანა — როგორც დასახლებული პუნქტი მოიხსენება მე-9 საუკუნის დასაწყისში, აშოტ I დიდის დროს<sup>2</sup>.

რაც შეეხება დოლისყანის სავანეს, იგი, როგორც ეს ირკვევა გიორგი მერჩულის თხზულებიდან, დაარსებულია 830—840 წლების შემდეგ. გიორგი მერჩულე, აგვიწერს რა კლარჯეთის სავანეთა მოხილვას 830—840 წლებში, აღნიშნავს, რომ დოლისყანის სავანე ამ დროს (830—840 წ. წ.) კიდევ არ არსებობდა და რომ სავანე დოლისყანაში ამის შემდეგ იქმნაო დაარსებული<sup>3</sup>.

ხოლო სახელდობრ რა დროს დაარსდა სავანე დოლისყანაში, ამის თარიღს გიორგი მერჩულე აღარ მოიხსენებს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ირკვევა, რომ დოლისყანის სავანე დაარსებულია 950 წელზე უწინარეს (რამდენადაც თვით მერჩულის თხზულება, სადაც დოლისყანის სავანე დასახლებულია როგორც უკვე არსებული, 950 წელს არის დაწერილი).

დაწყებული ამ დროიდან, მე-10 საუკუნის შუა წლებიდან, დოლისყანა არსებობს როგორც სავანე საშუალ საუკუნეთა მანძილზე (იგი შედის კლარჯეთის 12 სავანეთა რიცხვში) — ვიდრე თურქეთის მფლობელობის დამყარებამდე.

დოლისყანის ძველი სავანის ნაშთებიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა მთავარი ტაძარი სავანისა. დანარჩენი ნაგებობანი სავანისა, როგორც საოსტიგნეს შენობა და სხვანი, მოსპობილია.

ეს ძეგლი — დოლისყანის მთავარი ტაძარი — გადარჩენია დანგრევას და შედარებით კარგად არის დაცული იმის გამო, რომ თურქთა მფლობელობის დროს, ქართული მოსახლეობის გამუსულმანების შემდეგ, იგი მეჩეთად უქცევათ.

დოლისყანის ამ ძეგლს დაუცავს საისტორიო წარწერები, საიდანაც ირკვევა, რომ იგი აგებულია 954 — 958 წლებში ქართველთა მეფის სუმბატ I-ის მოღვაწეობით. ზეოთთმოდგარი ყოფილა გაბრიელ დოლისყანელი (ადგილობრივი მოძღვარი).

ფოტოები დოლისყანის ძეგლისა და წარწერებისა გადმოღებული აქვთ დ. ერმაკოვსა და ნ. მარს<sup>4</sup>.

მოგვყავს საისტორიო წარწერათა ტექსტები.

ა. გუმბათის ყელზე წარმოდგენილია ქანდაკება — გორელიეფი ტაძრის აღმშენებლის ქართველთა მეფის სუმბატ I-ისა, რომელსაც სახე მიპყრობილი აქვს აღმოსავლეთისაკენ; მეფეს ხელთ უბყრია ტაძრის მოდელი. მეფის ქანდაკებასთან მოთავსებულია წარწერა (ასომთავრულით):

„ქე ადღენ მეფე ნნი სბტ“.

<sup>1</sup> იხ. ნ. მარი, Дневник, ТР., VII, გვ. 181 — 182.

<sup>2</sup> იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. \* 576/345.

<sup>3</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 67.

<sup>4</sup> იხ. ნ. მარი, Дневник, ТР., VII, გვ. 184 — 189 (სურათები 59 — 63).



ქარაგმათა გახსნით:

„ქრისტე აღიდგენ მეფე ჩუენი სუმბატ“.

ბ. ტაძრის სამხრეთ კედელზე, გარე მხარეზე, სარკმელის ზემოთ, დაცულია მეორე წარწერა, რომელშიაც მოიხსენება იგივე ქართველთა მეფე სუმბატ I. წარწერა შესრულებულია ასომთავრულით და იკითხვის შემდეგნაირად:

„ქე აღიდე მეფე ჩუენი სუმბატ“.

ქარაგმათა გახსნით:

„ქრისტე აღიდე მეფე ჩუენი სუმბატ მზეგრძელობით“.

გ. იქვე, ტაძრის სამხრეთ კედელზე, იმავე სარკმელთან, სარკმელის იმიერ და ამიერ, გამოქანდაკებულნი არიან გორელიეფით მთავარანგელოზნი, აღმოსავლეთით მთავარანგელოზი გაბრიელ, დასავლეთით მთავარანგელოზი მიქელ.

გაბრიელ მთავარანგელოზის გამოსახულებასთან წარმოდგენილია მედალიონში ჩასმული ქანდაკება — გორელიეფი, ბიუსტი ადამიანისა, რომელიც ვედრებით მიმართავს გაბრიელ მთავარანგელოზს.

ამ ბიუსტთან მოთავსებულია წარწერა, რომელიც ტაძრის აშენებაზე მიუთითებს. წარწერა შესრულებულია ასომთავრულით და იკითხება შემდეგნაირად:

„შეიქმნეს ქლთა გბრლ დეკანოზისათა“.

ქარაგმათა გახსნით:

„შეიქმნეს კელითა გაბრიელ დეკანოზისათა“.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ეს ბიუსტი წარმოგვიდგენს გამოსახულებას ხუროთმოძღვრის გაბრიელ დეკანოზისა, რომლის „ხელითა“ (ხელობითა) შექმნილი ყოფილა ეს ტაძარი. ხუროთმოძღვარი გაბრიელი გამოსახულია, როგორც მოვიხსენეთ, მეფედრებულ პოზაში თავისი სახელობის წმინდანის გაბრიელ მთავარანგელოზის წინაშე.

აღინშნავთ, რომ ეს მნიშვნელოვანი წარწერა დღემდე არ იყო სწორად ამოხსნილი. ნ. მარსიტყვას „ქლთა“ (ე. ი. „კელითა“ = ხელითა) კითხულობდა როგორც ამოუხსნელ კომპლექსს „ქეთა“, რის გამოც წარწერის მთელი აზრი გაუგებარი რჩებოდა. ხოლო ფოტოში სრულიად ნათლად გარჩევა სიტყვა „ქლთა“, ე. ი. ხელითა („შეიქმნეს კელითა...“).

დ. ეგვევ პირი ხუროთმოძღვარი გაბრიელი (დეკანოზი, აგივე მოძღვარი) მოხსენებულია ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ეკლერიის წარწერაში. აქ კედელზე გამოქანდაკებულია გორელიეფით წმინდანი (სტეფანე); აქვე მოთავსებულია წარწერა (ასომთავრულით):

„წო სტეფანე, შეიწყალე მოძღვარი გაბრიელ“.

ქარაგმათა გახსნით:

„წმიდაო სტეფანე, შეიწყალე მოძღვარი გაბრიელი“.

ეს გარემოება, რომ ხუროთმოძღვარი ყოფილა სასულიერო თანამდებობის პირი, გაბრიელ დეკანოზი — მოძღვარი, მოულოდნელს არას შეიცავს. ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა ამავე ეპოქიდან მეორე ამისი მაგალითი. ბასილი ზარზმელის ცნობით სერაპიონ ზარზმელი (ასევე სასულიერო პირი) განთქმული

ხუროთმოძღვარი ყოფილა, მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულა შშენებლობა ოპიზაში. ბასილის სიტყვით — სერაპიონ ზარზმელი „დიდსა მას [საგანესა] კლარჯეთისასა ოპიზას... დაშნითა ხელითა იხილევბოდა მდგომარეულსა ხუროთმოძღვართან... რამეთუ იყო სხვათა სათნოებათა თანა მეცნიერ... და ფრად შემკულ წესითა ხურობისათა“<sup>1</sup>.

ე. უკანასკნელი ჩვენ დრომდე შენახული საისტორიო წარწერა დოლისყანის ძეგლისა, რომელიც დაცულია სამხრეთ-დასავლეთი ეკედერის კედელზე, სამწუხაროდ დაზიანებულად არის მოღწეული. წარწერის გადარჩენილი ნაწილი, რომელიც შესრულებულია ასომთავრულით, იკითხვის შემდეგნაირად.

„ივ ქე

_____	წა ესე ელესია წა დღესა
	_____   მეფეთა ჩუნთა
	_____   ქე შე“.

ქარაგმათა ვახსნით და დაკარგულ ნაწილთა აღდგენით:

„იესუ ქრისტე!

[რომელთა ილაშენეს]	წმიდაა ესე ელესია, წინაშე დღესა
[განკითხვისასა მწე ვეა]	მეფეთა ჩუნთა
[	] ქრისტე შეიწყალე“.

ასეთია დოლისყანის ძეგლის საისტორიო წარწერები.

პირველი ოთხი წარწერა, ამრიგად, საშუალებას გვაძლევს ზუსტად დავადგინოთ ამ ძეგლის აგების თარიღი — 954—958 წლები, დავადგინოთ აგრეთვე ენობა ხუროთმოძღვრისა.

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ ზოგადს ისტორიულ მიმოხილვას კლარჯეთის თორმეტ სავანეთა, რომელთაც საქართველოს ძველი ისტორიის მანძილზე ასეთი დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ქართული განათლების, ქართული მწერლობის განვითარების საქმეში, და რომლებიც ამჟამად თურქთაგან დაპყრობილი საქართველოს მიწა-წყალის ფარგლებში არის მოქცეული.

### 3.

ცნობები გიორგი მერჩულის ძეგლისა  
კლარჯეთის, შავშეთის, ტაოთა, ისპირის, ნიგალის,  
არტანის, ვავახეთის, სამცხის და ქართლ-სამცხის  
ხანაპირო მხარის (თორის) შესახებ.

გადავდივართ განხილვაზე გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებისა მესხეთის ცალკეულ მხარეთა შესახებ.

#### კლარჯეთი

ცნობები გიორგი მერჩულის ძეგლისა კლარჯეთის მხარის შესახებ არ განისაზღვრება იმ ცნობებით, რომელთაც გადმოგვცემს ჩვენი მწერალი

<sup>1</sup> იხ. ზემოთ, გვ. 93.

კლარჯეთის თორმეტსავეთა ისტორიიდან. ამას გარდა, გეორგი მერაბულის თხზულება შეიცავს აგრეთვე ცნობებს კლარჯეთის მოკვებულ პოლიტიკური ცენტრის არტანუჯის შესახებ და კლარჯეთის საეკლესიო მეტროპოლიის ანჩის შესახებ.

**1. არტანუჯი.**

არტანუჯი იყო მთავარი პოლიტიკური ცენტრი კლარჯეთის მხარისა მე-5 საუკუნიდან დაწყებული ვიდრე მე-16 საუკუნემდე, ზოლო მე-9 საუკუნეში არტანუჯი ამავე დროს იყო დედაქალაქი იბერიისა — ქართველთა სამეფოსი.

არტანუჯს იმდენად მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ძველი საქართველოს ისტორიაში, რომ საჭიროდ მიგვაჩნია შევავაშოთ აქ ყველა ის ძირითადი ცნობები, რომლებიც მის შესახებ საისტორიო წყაროებშია დაცული.

ქართული საისტორიო წყაროების ცნობათა თანახმად არტანუჯი გამხდარა მთავარი ცენტრი კლარჯეთის მხარისა მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასარის დროიდან მოცილებული.

იმავე წყაროების ცნობათა მიხედვით, უფრო ადრე, ვიდრე არტანუჯი გახდებოდა კლარჯეთის მხარეთა ცენტრად (ე. ი. მე-5 საუკუნის მეორე ნახევრის უწინარეს), — ასეთი ცენტრი კლარჯეთის მხარისა ყოფილა ციხე-ქალაქი თუხარისი.

აქ წინასწარ რამდენიმე შენიშვნა ამ ძველი ციხე-ქალაქის თუხარისის შესახებ<sup>1</sup>.

თუხარისი, ძველი ცენტრი კლარჯეთისა, როგორც ეს ირკვევა საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით, მდებარეობდა მდინარე ჭოროხის ნაპირას, კლარჯეთისა და ტაოს მხარეების საზღვართან, სახელდობრ სექტორში, სადაც ჭოროხს შეერთვის ხერსის წყალი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> სახელწოდება ამ ციხე-ქალაქისა ქართულ წყაროებში ორნაირად გვხვდება: თუხარისი და თუხარსი. ჭვემით ჩვენ ყველგან ვხმარობთ ფორმას თუხარისი, რომელიც მიღებულია ქართულ მატყინებში და უფრო გავრცელებულია.

<sup>2</sup> ძველი ისტორიული ციხე-ქალაქის თუხარისის ადგილმდებარეობა დღემდე არ ყოფილა ზუსტად განსაზღვრული და ამის გამო აქ საჭირო ხდება შევხერდეთ ამ საკითხზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ძველი ისტორიული თუხარისი ეს არისო თანამედროვე პუნქტი ხერსი, რომელაც მდებარეობს ჭოროხის ხეობაში, ჭოროხის მარჯვენა შემდინარის ხერსის-წყალის სათავეში.

ეს დასკვნა იმას ემყარება, რომ თანამედროვე სახელწოდება „ხერსი“ მიზნულია და მახინჯებდ ძველი სახელწოდებისა „თუხარისი“ ანუ „თუხარსი“ (→ \* $\text{[თ]ხერსი}$  → ხერსი). რამდენად სწორია ეს გაიგივება?

გაეცნობი, თუ რა ჩვენებებს იძლევა თუხარისის ადგილმდებარეობის შესახებ საისტორიო წყაროები.

1. თუხარისი, როგორც ირკვევა, მდებარეობდა მდ. ჭოროხის ნაპირას. ლეონტი მროველის საისტორიო ძეგლში პირდაპირ აღნიშნულია, რომ ციხე-ქალაქი თუხარისი მდებარეობს „მდინარესა ზედა სპერისასა, რომელ არს ჭოროხი“ (იხ. გვ. \*112/14).

2. თუხარისი მდებარეობდა კლარჯეთისა და ტაოს მხარეთა საზღვარზე. მე-7 — 9 საუკუნეთა უსახელო გეოგრაფიაში აღნიშნულია, რომ მდინარე ჭოროხი ტაოს ქვეყნიდან ციხე თუხარისთან კლარჯეთში შედისო. (რომ თუხარისი კლარჯეთისა და ტაოს მხარეთა საზღვარზე მდებარეობდა, ამას დასტურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ იყო პერიოდი, როდესაც თუხარისი

ქართული საისტორიო ტრადიცია თუხარისს მიაკუთვნებს იბერიის უფელს-სი ქალაქების რიცხვს<sup>1</sup>. იგი, როგორც ირკვევა, ანტიკურ ხანაშია დაწარმოებული.

თუხარისი ყოფილა ცენტრი კლარჯეთის მხარისა კერძოდ ზემოქვემო მხარეში, როდესაც იბერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქმნა გამოცხადებული. ქართული მატრიარქები მოგვიტობობენ საეკლესიო მშენებლობის შესახებ თუხარისში მე-4 საუკუნეში. ამ დროს თუხარისი ყოფილა როგორც პოლიტიკური, ისე საეკლესიო ცენტრი კლარჯეთის მხარისა<sup>2</sup>.

მას შემდეგ, რაც მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული კლარჯეთის მთავარი პოლიტიკური ცენტრი გადმოტანილ იქმნა ახლად გაშენებულ არტანუჯში, თუხარისს ამის შემდეგაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

მე-7 — 8 საუკუნეთა მიჯნაზე, თუხარისი, რომელიც, როგორც მოვიხსენიებთ კლარჯეთისა და ტაოს საზღვარზე მდებარეობდა, შესულა ტაოს სამფლობელოს ფარგლებში; მე-8 საუკუნის დასაწყისში თუხარისი ტაოს ნაწილად ითვლება<sup>3</sup>.

მე-9 საუკუნის დასაწყისში ქართველთა სამეფოს აღმადგენელს აშოტ I დიდს უწარმოებია მშენებლობა თუხარისში<sup>4</sup>.

მე-11 საუკუნეში, საქართველოს გაერთიანების შემდეგ თუხარისი მოიხსენება როგორც საერისთავო რეზიდენცია (განცალკევებით არტანუჯის, ე. ი. საკუთრივ კლარჯეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან)<sup>5</sup>. თუხარისის საერისთავოს ფარგლებში ამ გვიანდელ ხანაში სჩანს გაერთიანებული იყო კლარ-

მეორე დროის მანძილზე, მე-7 — 8 საუკუნეთა მიჯნაზე, მოქცეული იყო არა კლარჯეთის, არამედ ტაოს ფარგლებში)

თუ გაითვალისწინებთ აქ აღნიშნულს, ცხადი ხდება, რომ ძველი ისტორიული თუხარისი ეს არ არის თანამედროვე პუნქტი ზერსი. ეს უკანასკნელი მდებარეობს არა მდინარე ჭოროხის ნაპირას, არამედ მთაში, მდინარე ზერსის-წყალის სათავეებში და ათი კილომეტრით არის დაშორებული ჭოროხს.

ამვე დროს ისიც ცხადია, რომ ძველი ისტორიული თუხარისი თუმცა არ არის თანამედროვე პუნქტი ზერსი, მაგრამ იმავე ზონაში მდებარეობდა. მდინარე ზერსის-წყალის ხეობაში, რადგან ეს ხეობა არის ის სექტორი, სადაც კლარჯეთის მხარე ესაზღვრება ტაოს მხარეს.

ძველი ისტორიული ციხე-ქალაქი თუხარისი, როგორც ირკვევა, მდებარეობდა პუნქტში, სადაც მდინარე ზერსის-წყალი შეერთვის ჭოროხს და რა პუნქტიც კეკელის ჭოროხის ხეობის ხაზით შიდა-საქართველოსაკენ მომავალ გზას. სწორედ ამგვარი მდებარეობა მდინარე ჭოროხის ნაპირას ცხადია ანიჭებდა თუხარისის ციხე-ქალაქს იმ დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას, რაზედაც საუბარია ძველ-ქართულ წყაროებში და რის გამო თუხარისი ითვლებოდა უძლიერეს ბურჯად ძველი იბერიის დასავლეთ სანაპიროზე (იხ. ლეონტი მროველი, გვ. \*112 — 113/14, ცხობრება ვახტანგ გორგასანისა, გვ. \*358/157). რაც შეეხება თანამედროვე პუნქტს ზერსს, იგი ვარაუდობს, რომ ათი კილომეტრით დაშორებულია ჭოროხს, მდებარეობს მივარდნილს, სამომავლო გზებთან მოწყვეტულს ზონაში მდ. ზერსის-წყლის სათავეებში და მოკლებულია სტრატეგიულ მნიშვნელობას.

ძველი ისტორიული ციხე-ქალაქი თუხარისი, რომელიც მდებარეობდა მდინარე ჭოროხის ნაპირას, როგორც ირკვევა, დაწარმოებულია თურქეთის მფლობელობის დროს. ხოლო თანამედროვე ზერსი, რადგანაც მისი სახელი დაკავშირებულია თუხარისთან. სჩანს წარმოადგენს ძველი თუხარისის ახალშენს. გადატანილს თუხარისის ხეობის სათავეებში, ძველი თუხარისის ციხე-ქალაქის დანგრევის შემდეგ.

<sup>1</sup> იხ. ლეონტი მროველი, გვ. \*105/7, \*108/8, \*112/14, \*112 — 3/14, \*287/112, \*291/115. — ცხობრება ვახტანგ გორგასანისა, გვ. \*348/150, \*357/156, \*358/157.

<sup>2</sup> იხ. ლეონტი მროველი, \*287/112.

<sup>3</sup> იხ. ლეონტი მროველი, ისტორია ხალიფთა, 1887 წ. გვ. 26.

<sup>4</sup> იხ. ცნობა, ჩართული მცხეთის მამულების ძველ ნუსხაში (თ. ეორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II. 1897 წ. გვ. 196).

<sup>5</sup> იხ. ცხობრება ვიორგი I-ისა და ზაგრატ IV-ისა, გვ. \*486/260.



ჯეითის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო, ე. ი. კლარჯეთის ის ნაწილი, რომელიც საკუთრივ კოროხის ხეობას შეიცავს (თუხარისიდან მოკიდებული ვედრე მდინარეების კოროხისა და იმერხევის შესართავამდე).

გინჯლიყთუქა

თუხარისი რჩება მნიშვნელოვან ცენტრად კლარჯეთის ამ სანაპიროსი მე-16 საუკუნის ნახევრამდე, თურქთა მფლობელობის დამყარებამდე<sup>1</sup>.

თურქთა მფლობელობის დამყარების პერიოდში თუხარისი, როგორც ირკვევა, განადგურებულა, მოსახლეობას დაუტოვებია ეს პუნქტი<sup>2</sup>. მას შემდეგ ძველი თუხარისი აღარ აღდგენილა.

გადავიდეთ ამის შემდეგ არტანუჯს.

ქართულ მატანიეთა ცნობით, არტანუჯი, როგორც დასახლებული პუნქტი, არსებობდა უფრო ადრე, ვიდრე იგი კლარჯეთის მთავარი პოლიტიკური ცენტრი ვახტანგის (ე. ი. მე-5 საუკუნის მეორე ნახევრის უწინარეს), მაგრამ ამ აღრიწოდელ ხანაში არტანუჯი უბრალო სოფლად მოიხსენება<sup>3</sup>.

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად არტანუჯი ზდება კლარჯეთის მხარის მთავარ ცენტრად, როგორც აღვნიშნეთ, მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასარის დროიდან მოკიდებული.

ვახტანგ გორგასარის ძველი მატანიდან მომდინარე ავთენტიურ ტექსტში, რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, აღნიშნულია, რომ ვახტანგ გორგასარის მიერ დანიშნულმა კლარჯეთის ერისთავმა —

„აღაშენა ციხე არტანუჯისა, და მონასტერი ოპიზისა, და სამნი ეკლესიანი დაბისა, მერისა და შინდობნისა, და განახლა ციხე ახიზისა და ქმნა იგი ქებად“<sup>4</sup>.

რომ არტანუჯის ციხე-სიმაგრე ვახტანგ გორგასარის დროს, ვახტანგის ბრძანებით არის აგებული, ამის შესახებ ცნობა აქვს დაცული აგრეთვე ძველ ქართველ ისტორიკოსს სუმბატ დავითის-ძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ არტანუჯი —

„პირველ გორგასარს ვახტანგს ციხედ აღეშენა“<sup>5</sup>.

არტანუჯი ამ დროიდან, მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, კლარჯეთის ერისთავების საჯდომი გამხდარა.

უფრო გვიან ხანაში, არაბთა მფლობელობის დამყარების შემდეგ, არტანუჯი დანგრეულ იქმნა არაბთა მიერ მე-8 საუკუნის 30-იან წლებში. ამ დროს, მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, კლარჯეთის მხარეზე ცეცხლითა და მახვილით გაიარა არაბთა დამსჯელმა ექსპედიციამ ამირის მურვან-ყრუს მხედართმთავრობით, რომელმაც ნანგრევებად

<sup>1</sup> მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში თუხარისი არის ცენტრი სამცხე-საათაბაგოს სათავადოსი, რომლის მფლობელნი ატარებენ სახელწოდებას „თუხარელი“ (იხ. სამცხე-საათაბაგოს თავადნი და სოფელნი, დოკუმენტი, მე-16 საუკუნის პირველი ნახევრისა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1907 წ. გვ. 76).

<sup>2</sup> იხ. ზევით, გვ. 114—115, შენიშვნა 2.

<sup>3</sup> იხ. ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. \*358/157.

<sup>4</sup> იხ. ზევით, თავი VI, მნათობი, № 7, 134—136.

<sup>5</sup> იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. \*574/343.

აქცია ეს მხარე. მურვანს კლარჯეთის ციხე-სიმაგრეებიდან დაუნგრევია კერძოდ კლარჯეთის მთავარი ცენტრი არტანუჯი, ამასთან დაუნგრევია არაწარმოებრივ, არამედ მთლიანად მოუსპია იგი, საფუძველითურთ მრუთნარია არტანუჯის ციხე-სიმაგრე. ამის შემდეგ არტანუჯის სანახები 80 წლის განმავლობაში სრულიად მიტოვებულსა და გავერანებულ კუთხეს წარმოადგენდა, და როგორც გადმოგვცემს მემკატიანე არტანუჯის ნაადგილევი ტყით დაფარულა.

მე-9 საუკუნის დასაწყისში არტანუჯი ხელახლა აუშენებია ქართველთა სამეფოს აღმადგენელს აშოტ I დიდს (813 — 826 წ.).

გიორგი მერჩულე გადმოგვცემს:

„ხელმწიფემან აშოტ კურაპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქვეყანანი და აღაშენა ციხე არტანუჯისა“ (იხ. გიორგი მერჩულე, 103 — 104).

მატიანეში არტანუჯის მშენებლობის შესახებ მოთხრობილია, რომ მას შემდეგ აშოტ I დიდი დამკვიდრდა შავშეთ-კლარჯეთში და შეუდგა ამ კუთხის აღდგენას —

„პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ გორგასარ ვახტანგს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი, და აოხრებულ იყო (მურვანისა) მის ყრუობითგან; იგი განაახლა აშოტ, და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა-კერძო მისსა ქვეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია მოციქულთა, პეტრესი და პავლესი... და დაემკვიდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად. და მერმე კვალად ეუფლა ქვეყანათა — ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისა, და მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტს კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლათა შინა“<sup>1</sup>.

გიორგი მერჩულისა და სუმბატ დავითის-ძის ცნობათა თანახმად ამ დროიდან, ე. ი. მე-9 საუკუნის დასაწყისიდან, აშოტ I-ის დიდის ხანიდან მოკიდებულნი, ახლად გაშენებული არტანუჯი გახდა ქართველთა სამეფოს დედაქალაქად. აქ არის რეზიდენცია იბერიის — ქართველთა სამეფოს მეთაურთა მეფე-კურაპალატთა — მე-9 საუკუნეში, როგორც აშოტ I დიდის დროს, ისე აშოტ I-ის მემკვიდრეთა დროს.

უფრო გვიან, მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში იმავე ჭოროხის ხეობაში, ამიერ-ტაოს (ძველ ქართულ ტაოს) პროვინციაში, დაარსდა, როგორც ეს უკვე აღნიშნული გვექონდა, აგრეთვე მეორე სახელმწიფოებრივი ცენტრი ქართველთა სამეფოსი — ბანა. (ვიღვე უფრო გვიან, მე-10 საუკუნის დასასრულიდან, ბაგრატ III-ის დროს, საქართველოს გაერთიანების ხანაში, საქართველოს ქვეყნების მთავარი პოლიტიკური ცენტრი ხდება ქუთაისი, ხოლო მე-12 საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებლის დროს, მეტროპოლია საქართველოს სახელმწიფოსი ქუთაისიდან საბოლოოდ გადმოტანილ იქმნა თბილისში, იბერიის ამ ძველ დედაქალაქში).

ამრიგად არტანუჯი ყოფილა იბერიის მთავარ პოლიტიკურ ცენტრად — დედაქალაქად — საკმაოდ მოკლე დროის მანძილზე, მე-9 საუკუნეში.

მაგრამ ამავე დროს საჭიროა აღვნიშნოთ, რომ არტანუჯს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა მას შემდეგაც, რაც იგი იბერიის დედაქალაქი აღარ იყო და მხოლოდ კლარჯეთის მხარის საოლქო ცენტრად დარჩა.

<sup>1</sup> სუმბატ დავითის-ძე, \*574/343 — 344.



ჩვენ უკვე მოყვანილი გვქონდა ცნობა ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტისა არტანუჯის შესახებ: ბიზანტიის იმპერატორის შემდეგ დეგსა სწერს არტანუჯის შესახებ მე-10 საუკუნის შუა წლებში (როდესაც არტანუჯი უკვე აღარ იყო სამეფო რეზიდენცია, არამედ საოლქო ქალაქს წარმოადგენდა):

„არტანუჯის ციხე დიდად გამაგრებულია და აქვს დიდი „არბატი“, როგორც მხარის მთავარ ქალაქს შეშვენის. აქ თავს იყრის საქონელი ტრაპეზუნტიდან, იბერიიდან, აფხაზეთიდან (დასავლეთ საქართველოდან), სომხეთიდან და სირიის ყველა ქვეყნიდან და ქალაქს დიდი ვაჭრობა აქვს“. ბიზანტიის იმპერატორის ცნობით არტანუჯის რეგიონი დიდსა და მდიდარ მხარეს წარმოადგენდა, იგი ითვლებოდა გასაღებად იბერიისა, აფხაზეთისა (დასავლეთ საქართველოსი) და მესხეთისა<sup>1</sup>.

ამრიგად ამ დროისათვის, მე-10 საუკუნეში, არტანუჯის ოლქი — კლარჯეთის მხარე წარმოადგენდა აყვავებულსა და დაწინაურებულ ქვეყანას, ხოლო თვით ქალაქი არტანუჯი ამ დროს ყოფილა ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის ეკონომიური ცენტრი იბერიისა.



დასასრულ შევეჩერდებით არტანუჯის ისტორიის მთავარ მომენტებზე მე-10 საუკუნის მომდევნო ხანაში.

მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში, ე. ი. საქართველოს გაერთიანების პირველ პერიოდში, არტანუჯი ყოფილა ცენტრი დიდი სამხარეო ადმინისტრაციული ერთეულისა, რომლის ფარგლებშიაც გაერთიანებული ყოფილა კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა და ჩრდილო სამცხე<sup>2</sup>.

მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც აბლო აღმოსავლეთს შემოესივნენ სელჯუკი-თურქების ურდოები, რომელთაც წალეკეს აღმოსავლეთი და სამხრეთი კავკასია და ბიზანტიის ანატოლიის პროვინციები, 1080 წელს ერთ-ერთი დიდი ურდო სელჯუკი-თურქებისა შემოიჭრა საქართველოში, მოითარეშა მესხეთის ქვეყნები, ქართლი და დასავლეთი საქართველო; კერძოდ ამ დროს, მემატიანის სიტყვით, თურქ-სელჯუკებმა დასწვეს საქართველოს მთავარი ქალაქები: ქუთაისი (იმდროინდელი სატახტო ქალაქი) და არტანუჯი (ძველი სატახტო ქალაქი). „ესე იყო პირველი და დიდი თურქობა, ხოლო ქრონიკონი იყო სამასი“ (ე. ი. 1080 წელი), — გადმოგვცემს მემატიანი<sup>3</sup>.

თურქი სელჯუკების დიდ ექსპანსიას საქართველოს სანაპიროებზე საზღვარი დაუდვა მე-12 საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა.

არტანუჯი მე-11 საუკუნის ამ კატასტროფის შემდეგ სიძინს აღრე განახლებულა.

მომდევნო ეპოქაში, მე-12 საუკუნესა და მე-13 საუკუნის დასაწყისში, საქართველოს უდიდესი პოლიტიკური ძლიერების ხანაში, და შემდეგაც, მე-13

<sup>1</sup> იხ. კონსტანტინე პორფიროგენტი, *op. cit.* თავი 46, გვ. 207.  
<sup>2</sup> გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის მატანეში მოთხსენება: „აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა (კლარჯეთ-შავშეთის მხარეთა), ხიხთა (აჭარისა), ციხის-ჯვარისა და აწყვერის ციხის (ჩრდილო სამცხის) პატრონი“, იხ. გვ. \*489/262.  
<sup>3</sup> იხ. ისტორია დავით აღმაშენებლისა, გვ. \*514/282-3.

14 საუკუნეებში, არტანუჯი სჩანს ისევე რჩება მესხეთის მხარეთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქად.

მონგოლთა ხანის ისტორიკოსი ჟამთა აღმწერელი, აგვიწერს რა სამცხე-საათაბაგოს (მესხეთის) ტერიტორიის მოცულობას მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში, წერს, რომ სამცხე-საათაბაგო ამ დროს მოიცავდა ქვეყნებს „ტაშის-კარითგან ვიდრე კარნუ-ქალაქამდის“ (არზრუმამდის), სახელდობრ შეიცავდა შემდეგ მხარეებსა და პუნქტებს:

„1. სამცხე; 2. აჭარა; 3. შავშეთი; 4. კლარჯეთი; 5. უმრავლესი ტაო; 6. ვაშლოვანი (=სპერის მხარე); 7. ნიგალის-ხევი; არტანუჯი; ათორმეტნი [სავანენი]; 8. კოლა; 9. კარნიფოლა; 10. ორნივე არტაანნი; და 11. მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“<sup>1</sup>.

ამრიგად აქ ჩამოთვლილია 11 მხარე სამცხე-საათაბაგოსი, ხოლო ქალაქებიდან ცალკე გამოყოფილად მოიხსენება მხოლოდ არტანუჯი, რაც ცხადია მიჩვენებელია არტანუჯის განსაკუთრებული მნიშვნელობისა სამცხე-საათაბაგოს ქალაქთა შორის.

სამცხე-საათაბაგოს მე-13 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში როგორც ცნობილია შეუერთდა საკუთრივ ლახეთი ანუ ჭანეთი (ვიდრე რკინის-პალომდე), რომელიც მანამდე ტრაპიზონის სამეფოს ნაწილს შეადგენდა; ამავე დროს სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში შევიდა აგრეთვე კარი (ყარსის მხარე), რომელიც ადრინდნე, ჯერ კიდევ თამარ დიდის ეპოქიდან, საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა.

მატიანეში ამის შემდეგ ისევ აღწერილია სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის მოცულობა; აღნიშნულია, რომ სამცხე-საათაბაგო ამ დროს მოიცავდა ქვეყნებს „ტაშის-კარითგან ვიდრე სპერამდე და ზღვამდე“ (ე. ი. ჭანეთის ჩათვლით), სახელდობრ შეიცავდა შემდეგ მხარეებს და პუნქტებს:

„1 სამცხე; 2 აჭარა; 3 შავშეთი; 4 კლარჯეთი; 5 ნიგალის-ხევი; 6 ჭანეთი; 7 უმრავლესი ტაო; 8 [ვაშლოვანი]; 9 არტაანნი; 10 [მრავალნი სოფელნი ჯავახეთს]; 11 კოლა; 12 კარნიფოლა; 13 კარი (=ყარსის მხარე); ამთ შორის ქვეყანანი, ციხენი, არტანუჯი, და [სავანენი] ათორმეტნი კლარჯეთისანი“<sup>2</sup>.

ამრიგად აქ ჩამოთვლილია 13 მხარე სამცხე-საათაბაგოსი (ჭანეთისა და ყარსის მხარის ჩათვლით), ხოლო ქალაქებიდან ამ მეორე შემთხვევაშიაც ცალკე გამოყოფილად მოიხსენება მხოლოდ არტანუჯი, რაც ცხადია ადასტურებს არტანუჯის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამცხე-საათაბაგოს ქალაქთა შორის.

არტანუჯი რჩება მნიშვნელოვან ცენტრად სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილისა — კლარჯეთ-შავშეთის მხარეებისა — მე-16 საუკუნის შუა წლებამდე, თურქთა მფლობელობის დამყარებამდე.

თურქეთმა დაიპყრო არტანუჯი და მისი მიმდგომი კლარჯეთ-შავშეთის ოლქი ვიდრე არსიანამდე მე-16 საუკუნის ნახევარში, 1552 წელს. თანამედროვე ქრონიკები ამ თარიღისათვის გადმოგვცემენ ცნობას:

„ქრონიკონსა 240 (=1552 წელს) ოსმალთა დაიპყრეს არტანუჯი (ოლქით) — ვიდრე არსიანამდე... არტაანიც დაიპყრეს. სამცხეს ვერ გადმოვიდეს“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. ჟამთაღმწერელი, გვ. \*875/719.

<sup>2</sup> იხ. ჟამთაღმწერელი, გვ. \*915/758.

<sup>3</sup> იხ. ქართლის ცხოვრება, 11, 1854 წ., გვ. 243 („ქრონიკონები“). შტრ. თ. ყორანაძე, ქრონიკები, 11, გვ. 396.

თურქთა მფლობელობის დროს არტანუჯი ჩამომცრობილა და თანდათან უმნიშვნელო მცირე ქალაქად გადაქცეულა, თუმცა სამხედრო მნიშვნელობა უარეს ტანუჯის ციხეს კარგა ხანს არ დაუკარგავს.

ვახუშტი ბატონიშვილი მე-18 საუკუნის შუა წლებში სწერს არტანუჯის შესახებ (არტანუჯი ამ დროს უკვე ორი საუკუნეა, რაც თურქთა ხელში იყო):

„არს არტანუჯი ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი. ესე აღაშენა გორგასალ, შემდგომად შემუსრა ყრუმ, მერმე აღაშენა და განაახლა ამოტ კურაპალატმან და აღაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე-პავლესი... არს არტანუჯს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდ-შვენიერ ნაგები. ესე იყო მონასტერი და აწ არს უქმი (ოსმალთაგან)“<sup>1</sup>.

არტანუჯი, კლარჯეთის მხარესთან ერთად, ეყრატ თურქებს სამი საუკუნე და დაბრუნებულ იქნა თურქთაგან 1878 წელს. ამ დროიდან, საქართველოსთან ხელახლად გაერთიანების შემდეგ, არტანუჯი და კლარჯეთის მხარე შევიდა ახლად ჩამოყალიბებული ბათუმის მხარის ართვინის ოლქის შემადგენლობაში.

1918 — 1921 წლებში თურქებმა ხელახლა დაიპყირეს არტანუჯი კლარჯეთის მხარესთან ერთად. ამჟამად არტანუჯი, საქართველოს ეს ძველი დედაქალაქი, თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

აქ საჭიროა დასასრულ აღვნიშნოთ, რომ 1921 წლის შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ საქართველოს ამ ძველ დედაქალაქს შეუცვალა ძველი ქართული ისტორიული სახელი არტანუჯი და უწოდა მას „ადა-კალე“.

მაგრამ სახელის ასეთი გადაქმევით, ცხადია, ვერ დაიფარება ქვეშაირტიბა, ვერ შეიცვლება ის ურყევი ისტორიული ფაქტი, რომ არტანუჯი და მისი მხარე განუყოფელი ნაწილია საქართველოს ქვეყნისა.

\*  
აკად. ნ. მარის შემცდარი ცნობა  
არტანუჯის ისტორიის შესახებ

არტანუჯის ისტორიის მიმოხილვის შემდეგ აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე შემცდარ ცნობაზე, რომელსაც გადმოგვცემს აკად. ნ. მარი არტანუჯის ისტორიის საკითხის გამო.


1906 წელს ნ. მარმა გამოსცა არაბული ვერსია გრიგოლ პართელის ცხოვრებისა, რომელიც შეიცავს მოთხრობას ქრისტიანობის გავრცელების შესახებ სომხეთში მე-4 საუკუნის დასაწყისში სომხეთის მეფის თრდატის დროს<sup>2</sup>.

დასახელებული არაბული ვერსია გრიგოლ პართელის ცხოვრებისა, რომელიც შენახულა მე-10 საუკუნის ხელნაწერში, თარგმნილია ბერძნულიდან, ხოლო ბერძნული დედანი არაბული ვერსიისა თავის მხრივ თარგმნილია სომხურიდან.

საერთოდ ირკვევა, რომ გრიგოლ პართელის ცხოვრების რამდენიმე ტექსტი არსებულია სომხურ, ბერძნულ და არაბულ ენებზე. ამ ტექსტების ურთიერთობას წარმოგვიდგენს შემდეგი სქემა:

<sup>1</sup> იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, 1941 წ., გვ. 137.

<sup>2</sup> იხ. Записки Восточного Отд. Русск. Арх. Общества, т. XVI, гл. 63 — 211.



სწორ რკალეში [ ] აღნიშნულია ტექსტები, რომლებიც არ მოღწეულა, მაგრამ რომელთა არსებობა ირრვეა მოღწეული ტექსტების გენეალოგიური ურთიერთობის მიხედვით.

ნ. მარი გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ სომხური ჩვენ დრომდე არ მოღწეული რედაქცია b, საიდანაც მომდინარეობს მე-10 საუკუნის ხელნაწერში დაცული არაბული ვერსია, ვითომც ეს არისო — „Халкедонитская редакция 7 — 8 века, возникшая в области Тави“. ეს რედაქცია ნ. მარის მოსაზრებით, დამუშავებულია ქალკედონიტი (მართლმადიდებელი) სომეხის მიერ, რომელიც წარმოშობით ტაოელი უნდა ყოფილიყო, და რომელსაც უნდა ეცხოვრა მე-7 — 8 საუკუნეში.

რაზედ ამყარებს ნ. მარი ამ დასკვნას?

ამის საბუთად ნ. მარს მიაჩნია ჯერ ერთი ის გარემოება, რომ აქ არისო საუბარი ქართველთა, ლაზ-აფხაზთა და ალბანელთა საეკლესიო ურთიერთობის შესახებ სომხებთან, ხოლო ასეთი შეხედულების გამოთქმა შეეძლო ქალკედონიტ სომეხს, რომელიც ტაოდან, საქართველოს მოსაზრებე მხარიდან უნდა ყოფილიყო; ნ. მარი სწერს:

«Армянин халкедонит, так живо интересовавшийся одновременно лазскою, грузинскою и албанскою церквами, мог происходить из области Тави (груз. Тао, арм. Тайк). На это указывает и интерес его к родному Артануджскому бдешству, включенному в число княжеств армянского царя Тирдата».

ამის შემდეგ ნ. მარი აკეთებს შემდეგს დასკვნას თარიღის საკითხის გამო:

«Раз автор тайен, то он писал до половины 8-го века, он писал еще при существовании армянского бдешства в бассейне реки Артанудж... Со второй половины 8-го века в Тао-Кларджетии начинается грузинское церковное строительство, армянское халкедонитское население грузинизуется и с тех пор не было уже почвы для зарождения идеи братского единения грузин, лазов и албанцев с армянами...»<sup>1</sup>

თავდაპირველად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ნ. მარი იჩენს უცოდინარობას საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისას, როდესაც იგი იგივეობის ნიშანს ატარებს არტანუჯის მხარესა და ტაოს შორის. არტანუჯის მხარე (მდინარე არტანუჯის-წყალის ხეობა) ეს არის კლარჯეთი და არა ტაო, ხოლო კლარჯეთს არასოდეს ტაო არ ეწოდება.

მაგრამ დავტოვოთ უყურადღებოდ ნ. მარის ეს შეცდომა ისტორიული გეოგრაფიის დარგში. ვავეცნოთ ნ. მარის მტკიცების არსებით მხარეს, განვიხილოთ, რამდენად მართალია ნ. მარის დასკვნები არტანუჯის მხარის, არტანუჯის საპიტაქსოს შესახებ.

როგორც ვხედავთ, ნ. მარი არტანუჯის საპიტაქსოს შესახებ შემდეგს ვადმოგვეცემს:

<sup>1</sup> იხ. ნ. მარი, *op. cit.*, გვ. 182.



ა) არტანუჯის საპიტიახშო (Артануджское бдешхство), ე. ბ. კლარჯეთის მხარე, გრიგოლ პარტელის ცხოვრების არაბულ ვერსიებში მონახველია როგორც შემადგენელი ნაწილი სომხეთის სამეფოს მართლმადიდებლის დროს მე-4 საუკუნის დასაწყისში;

ბ) არტანუჯის საპიტიახშო ვითომც რჩება სომხეთის შემადგენლობაში მე-8 საუკუნის ნახევრამდე, ხოლო მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითომც იწყება ქართული საეკლესიო მშენებლობა არტანუჯის მხარეში, სომხური ქალეკლონიტური მოსახლეობა ქართველდება და არტანუჯის საპიტიახშოს ტერიტორია უკავშირდება საქართველოს.

იმას, რასაც გადმოგვცემს ნ. მარის, არაფერი აქვს საერთო ისტორიულ სინამდვილესთან.

თუ ჩვენ გავიზიარებდით ნ. მარის ამ დასკვნებს, რომ არტანუჯის მხარე მე-4 საუკუნიდან ვიდრე მე-8 საუკუნემდე სომხეთის ნაწილს შეადგენდა, მაშინ ჩვენ უნდა უარვყოთ მთლიანად ქართული საისტორიო წყაროების ჩვენება არტანუჯის მხარის — კლარჯეთის შესახებ. ქართული საისტორიო წყაროების ჩვენებათა თანახმად არტანუჯის მხარე — კლარჯეთი ძირითად ქართულ მხარეს წარმოადგენდა როგორც ეთნოგრაფიულად, ისე პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად, კერძოდ კლარჯეთი საქართველოს ორგანიულ და განუყოფელ ნაწილს შეადგენდა მე-4 — 8 საუკუნეთა მანძილზე.

ამრიგად, თუ ჩვენ მივიღებდით ნ. მარის დასკვნებს, ჩვენ ხაზი უნდა გადავუსვათ ქართულ მატრიანებს, ბასილი ზარზმელის თხზულებასა და სხვა ძეგლებს, უარვყოთ და გავაუქმოთ ქართული საისტორიო წყაროები.

ეს რაც შეეხება ქართულ წყაროებს.

მეგმართით ამის შემდეგ უცხოურ წყაროებს. საკითხავია, არსებობს თუ არა სხვა წყარო, გარეშე ქართულისა, სომხური, ბერძნული ან სხვა, რომელსაც კორექტივი შეჰქონდეს ქართული წყაროების ჩვენებაში, საიდანაც ირკვეოდეს, რომ არტანუჯის მხარე — კლარჯეთი მე-4 — 8 საუკუნეთა მანძილზე არ იყო ქართული ქვეყანა, არამედ სომხეთის ნაწილს შეადგენდა?

ასეთი წყარო, რომელიც მიუთითებდეს რომ კლარჯეთი არ იყო საქართველოს ნაწილი მე-4 — 8 საუკუნეთა მანძილზე, არ არსებობს. პირიქით სომხური საისტორიო წყაროები, როგორც შემდეგ დავინახეთ, ადასტურებენ, რომ არტანუჯის მხარე — კლარჯეთი მე-4 — 8 საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა.

მაგრამ ნ. მარის, როგორც ვნახეთ, კიდევ უფრო შორს მიდის. ნ. მარის შეხედულებით არტანუჯის მხარე — კლარჯეთი მე-4 — 8 საუკუნეებში არა მარტო პოლიტიკურად იყო დაკავშირებული სომხეთთან, არამედ მოსახლეობის შემადგენლობის მხრივაც ვითომც სომხური ყოფილა. და მხოლოდ მას შემდეგ რაც მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო საეკლესიო კოლონიზაცია ამ მხარისა, მოხდაო ადგილობრივი სომხური მოსახლეობის თანდათან გავართველება.

საკითხავია, არსებობს რაიმე წყარო, რომელიც ადასტურებდეს, რომ არტანუჯის მხარის — კლარჯეთის მოსახლეობა მე-8 საუკუნემდე სომხური იყო? ასეთი წყარო, არც ქართული, არც სომხური, არც ბერძნული, — არ არსებობს. პირიქით წყაროებში (როგორც ქართულში, ისე სომხურში) პირდაპირ აღნიშნულ-

ლია, რომ ამ მხარის მოსახლეობას შეადგენდა ქართველი ტომი — კლარჯნი და არაერთი ცნობა სხვა მოსახლეობაზე არ მოიპოვება.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება.

ჩვენ ქვემოთ სპეციალურად შევჩერდებით და დაწვრილებით, მთელის მოცულობით განვიხილავთ ნ. მარის ისტორიულ ნარკვევებს, რომლებიც ეხება როგორც კლარჯეთს, ისე საერთოდ სამხრეთ საქართველოს, და რომლებშიაც, როგორც დავრწმუნდებით, სრულიად შემცდარად არის გაშუქებული ორი მეზობელი ქვეყნის, საქართველოსა და სომხეთის ისტორიის საკვანძო საკითხები.

აქ კი ამ გზის (რამდენადაც ამას კავშირი აქვს ზემოთ-განხილულ არტანუჯის ისტორიასთან) ჩვენ გამოვყოფთ მხოლოდ ერთ საკითხს და შევჩერდებით მხოლოდ ერთ ძეგლზე, გრიგოლ პართელის ცხოვრებაზე. ჩვენ შევამოწმებთ, იძლევა თუ არა გრიგოლ პართელის ცხოვრება ჩვენებს იმის შესახებ (როგორც ამაში გვარწმუნებს ნ. მარი), რომ არტანუჯი და მისი მხარე (=კლარჯეთი) ვითომც არ იყო საქართველოს ნაწილი, არამედ სომხეთის ნაწილს შეადგენდა.

აქ აღძრული საკითხის გასაშუქებლად ჩვენ მოგვიხდება განვიხილოთ გრიგოლ პართელის ცხოვრების ორი ადგილი, ორი ტექსტი:

პირველი ტექსტი, — სადაც ჩამოთვლილია სომხეთის საზღვრებში შემავალი 16 მხარის მთავრები;

მეორე ტექსტი, — სადაც აღწერილია სომხეთის სახელმწიფოს საზღვრები.

ჯერ პირველი ტექსტის შესახებ.

პირველი ტექსტი, როგორც მოვიხსენეთ, შეიცავს სიას, სადაც ჩამოთვლილია სომხეთის საზღვრებში შემავალი 16 მხარის მთავრები. ეს სია დაცულია გრიგოლ პართელის ცხოვრების ყველა არსებულ რედაქციებში.

შეფარდება გრიგოლ პართელის ცხოვრების სომხური და ბერძნული ტექსტებისა გვამღვებს საშუალებას აღვადგინოთ შემდეგი პირველადი სახე ამ სიისა:

1. მთავარი ანგელთს სახლისა.
2. მთავარი აღძნიანთა (აღძნი-ქ), რომელიც იყო დიდი პიტიახში.
3. მთავარი მარდპეტთა.
4. მთავარი ასპეტთა.
5. მთავარი მამიკონიანი, სპარაპეტი.
6. მთავარი ქვეყნისა კორდუქისა.
7. მთავარი ქვეყნისა წოფენისა (წოფ-ქ).
8. მთავარი ქვეყნისა გარგარისა, რომელსა ერქვა მეორე პიტიახში.
9. მთავარი ქვეყნისა რეშტუნთა.
10. მთავარი ქვეყნისა მოკთა.
11. მთავარი ქვეყნისა სივნიეთისა.
12. მთავარი ქვეყნისა წაედველთა.
13. მთავარი ქვეყნისა უტიელთა.
14. მთავარი ზარაევანდისა და ქერის მხარეთა.
15. მთავარი მალხაზიანთა ტომისა.
16. მთავარი არწრუნთა<sup>1</sup>.

არაბულ ვერსიაში, რომელიც გამოსცა ნ. მარმა, აგრეთვე მოყვანილია იგივე სია სომხეთის 16 მთავრისა.

1 იხ. გრიგოლ პართელის ცხოვრება, თავი CXII.



მხოლოდ არაბულ ვერსიაში, როგორც ირკვევა, ბევრ დამახინჯებას აქვს ადგილი. და ეს რასაკვირველია გასაგებია. არაბული ვერსია არ არის პირველ დედანი; იგი თარგმნილია ბერძნულიდან, რომელიც თავის მხრივ სომხურიდან არის თარგმნილი. ამ თარგმნის თარგმანის დროს, ხოლო შემდეგ არაბული ვერსიის არა ერთგზისი გადაწერის დროს, ამ უცხოურ სახელებს, არაბთათვის გაუგებარს, ბუნებრივია განუცდიათ არა ერთი და ორი დამახინჯება. (აქ უნდა გვახსოვდეს ამასთან, რომ არაბულ დამწერლობაში უბრალო გადასმა დიაკრიტიკული ნიშნებისა, წერტილებისა, სრულიად სცელის ტექსტის წაკითხვას).

მაგრამ არაბული ტექსტის პირვანდელი სახის აღდგენა არ წარმოადგენს სიმძნელეს, რადგან ჩვენ დრომდე მოღწეულა როგორც სომხური, ისე ბერძნული რედაქციები. მათი შეფარდება გვაძლევს საშუალებას გავერკვეთ არაბული ტექსტის დეფექტებში.

არაბული ვერსიის გამოცემის დროს ნ. მარმა, სომხური და ბერძნული რედაქციების მიხედვით, შეასწორა მთელი რიგი შეცდომებისა, რომლებიც მოიპოვება არაბულ ხელნაწერში, კერძოდ სომხეთის 16 მთავრის აქ დასახელებულ სიაში.

იმისათვის, რათა მკითხველისთვის ნათელი იყვეს, თუ რამდენად დიდია ეს შეცდომები არაბული ხელნაწერისა, აღნიშნაეთ აქ ზოგიერთ შეცდომას, რომლებიც გაასწორა ნ. მარმა.

ა) სომხეთის 16 მთავართა ამ სიაში სომხურსა და ბერძნულ რედაქციებში პირველად დასახელებულია „მთავარი ან გელთა სახლისა“. ხოლო არაბულ ვერსიაში ჩვენ გვაქვს ამის შესაფარდად სრულიად უაზრო დამახინჯება: „მთავარი ჰ-ბ-ნ-ს“. ეს დამახინჯება შემდეგნაირად წარმომდგარა. სომხურად სიტყვა „ან გელ“ (ნათ. „ან გელ“) ნიშნავს ძერას. ბერძენ მთარგმნელს გეოგრაფიული სახელი „ანგელ“ გადაუღია არა უცვლელად, არამედ უთარგმნია როგორც γὰρ (რაც ბერძნულად ძერას ნიშნავს). ეს ბერძნული γὰρ არაბ მთარგმნელს გადმოუტია როგორც جيس (=„ჯიფს“). შემდეგ, ნაწარმოების არაერთგზისი გადაწერის დროს, ამ სიტყვის დაწერილობაში შეცდომები მოსტილიათ წერტილების დასმისას და ამ-გზით წარმოიშვა არაბული ვერსიის დამახინჯებული წაკითხვა جيس (=„ჰ-ბ-ნ-ს“).

ბ) სახელწოდებაში მეხუთე მთავრისა „მამიკონიანი“ მოკვეცილია პირველი მარცვლი.

ღ) სახელწოდება მეათე მთავრისა არის: „მთავარი მოკ-თა“. ხოლო არაბულში დამახინჯებულად არის წარმოდგენილი: „მთავარი მ-ფ-ნ-ს-თა“.

არაბულ ვერსიაში ასევე დამახინჯებულია მთელი რიგი სხვა სახელები<sup>1</sup>.

გადავიდეთ ამის შემდეგ სიის მეორე მთავრის ვინაობის გარკვევაზე. ნ. მარის მასში ეძებს არტანუჯის მთავარს.

ნ. მარის ცნობით არაბულ დედანში ამ მეორე მთავრის ვინაობა ვითომც ასეა აღნიშნული:

<sup>1</sup> იხ. ნ. მარი, *op. cit.*, გვ. 202 (შენიშვნა შესახებ პირველი სახელისა „ანგელი“=„ჯიფსი“), გვ. 200 (შენიშვნა შესახებ მეხუთე სახელისა „მამიკონიანი“), გვ. 206 (შენიშვნა შესახებ მეათე სახელისა: მთავარი მოკთა). ასეთივე დამახინჯება გვაქვს მესამე, მეოთხე, მეექვსე, მერვე და მეთექვსმეტე სახელებში (იხ. ნ. მარი, *op. cit.*, გვ. 204—206, ნ. აღონცი, *Армения в эпоху Юстиниана*, გვ. 293—294).

„Князь Артануджа которого звали великим битаксом (= „მთავარი არტანუჯისა, რომელსაც ერქვა დიდი პიტიახში“) <sup>1</sup>.

სწორია ეს წაკითხვა? როგორც ირკვევა არა.

წაკითხვის შესამოწმებლად მივმართეთ სომხურ დედანს.

სომხურ დედანში სიის ამ მეორე მთავრის ეინაობა სულ სხვანაირად არის აღნიშნული; სომხურ დედანში ჩვენ ვკითხულობთ:

„მთავარი აღმნიანთა („აღმნი-ქ“-ისა), რომელიც იყო დიდი პიტიახში“.

პროვინცია სომხეთისა „აღმნი-ნი“ („აღმნი-ქ“) როგორც ცნობილია მდებარეობდა სომხეთის სამხრეთ სანაპიროზე და მისი მთავარი მართლაც ატარებდა პიტიახშის ტიტულს. (ამასთან მას ეწოდება არა მარტივად „პიტიახში“, არამედ სწორედ „დიდი პიტიახში“).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამავე დროს, რომ ამ პროვინციის სახელწოდება ბერძნულად გამოითქმოდა ბევრით „რ“: არზან-“ (არზან-ენე“, იხ. პროკოპი კესარიელი); ლათინურადაც „არზან-“ („არზან-ენა“, იხ. ამიან მარცელინი); არაბულადაც აგრეთვე არზან“ <sup>2</sup>.

არაბულ ვერსიაში (მით უფრო რომ არაბული ბერძნულიდან არის თარგმნილი) ეს გეოგრაფიულ სახელი უნდა გვეჩონოდა როგორც „არზან“, ანუ ბერძნული დაბოლოების დართვით „არზან-ონ“ (არაბი მთარგმნელი სხვა შემთხვევებშიაც იცავს სახელების ბერძნულ გრამატიკულ დაბოლოებას).

მასასადამე არაბულ დედანში მთელი ტექსტი თავდაპირველად ასეთი სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი:

„მთავარი „არზან-ონ“ რომელსა ერქვა დიდი პიტიახში“.

არაბულად „არზან-ონ“ ასე იწერება: ارزنون

ნ. მარი გადმოგვცემს, რომ ხელნაწერში ეს სიტყვა სწერიან როგორც ارزنون არტანუჯ.

პროფ. ნ. აღონცი, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი იყო ხელნაწერის ფოტოები, ასწორებს ნ. მარის წაკითხვას და აღნიშნავს რომ ეს სახელი ხელნაწერში დაწერილი არისო სხვანაირად, სახელდობრ: ارزنون „არზანუხ“ ანუ „არზანოხ“ და სრულიად სამართლიანად შენიშნავს რომ აქ გვაქვსო დამახინჯება გეოგრაფიული სახელისა „არზან-ონ“ <sup>3</sup>.

მკითხველმა შეადაროს არაბული დაწერილობა ფორმებისა:

1. „არზანონ“ — ارزنون

2. „არზანოხ“ — ارزنونخ

როგორც ვხედავთ ეს დაწერილობანი ძალიან ემსგავსება ერთიმეორეს. ტექსტის არა ერთგულისი გადაწერის დროს სხვადასხვა გამწერლების მიერ, რომლებიც ვერ ერკვეოდნენ უცხოურ გეოგრაფიულ სახელებში, ადვილად გასაგებია, რომ სახელის დაწერილობას დამახინჯება განუცდია. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი დამახინჯება გვაქვს არა მარტო ამ შემთხვევაში, არამედ სიის 16 სახელიდან მნიშვნელოვანი ნაწილი დამახინჯებულად არის წარმოდგენილი, ზოგჯერ იმდენად დაზიანებულად, რომ პირვანდელი სახის ამოცნობა შეუძლებელი იქნებოდა, თუ კი არ არსებულებოდა სომხური და ბერძნული დედნები.

<sup>1</sup> იხ. ნ. მარი op. cit., გვ. 115.

<sup>2</sup> იხ. H. Hübschmann, Die altarmenische Ortsnamen, გვ. 249 — 250.

<sup>3</sup> პროფ. ნ. აღონცი, Армения в эпоху Юстиниана, გვ. 293, შენ. 3.

რასაკვირველია არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი ამის შესახებ, რომ არაბულ პირველ — დედანში აქ იყო სწორედ „არზან-ონ“ და ამ შემთხვევაში აქ ცხადია მართალია პროფ ნ. აღონცი და არა ნ. მარი.

რომ არაბულ თავდაპირველ დედანში აქ იკითხებოდა „არზან-ონ“ ამას სრულიად უდავოდ ადასტურებს ორი რამ:

- ა) სომხურ და ბერძნულ დედნებში, იმავე სიაში, მეორე ადგილას მოიხსენება მთავარი სწორედ იმავე ქვეყნისა „ალძინი-ქ“ = „არზან“-ისა;
- ბ) ეს მთავარი „არზან“-ისა ატარებდა ტიტულს „დიდი პიტიაში“. იმავე დროს არც ერთი სხვა მთავარი სომხეთისა არ ატარებდა ასეთ ტიტულს („დიდი პიტიაში“).

საკითხი ამრიგად სრულიად ნათელია.

ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ განცვიფრება გამოვთქვათ შემდეგი გარემოების გამო:

როგორ მოხდა, რომ ნ. მარი, რომელიც დეტალურად აღარებს სომხურ და ბერძნულ რედაქციებს არაბულ ვერსიასთან, სომხური და ბერძნული რედაქციების მიხედვით ასწორებს იმ შეცდომებს, რომლებსაც შეიცავს 16 მთავრის სიის გადმოცემის დროს არაბული ვერსია, ამ შემთხვევაში არ იქცევა ასე, იგი დუმილით უვლის სწორედ ამ ჩვენთვის საინტერესო ადგილს და არც კი აღნიშნავს, რომ სომხური და ბერძნული დედნების მონაცემები სულ სხვა ჩვენებებს შეიცავს.

ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ნ. მარი, როგორც ვნახეთ, ამ თავისი შემცდარი გამოსავალი დებულებიდან აკეთებს ასე შორს მიმავალ დასკვნებს საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკვანძო საკითხთა გამო.

ამ-რიგად, როგორც ვხედავთ, ნ. მარის მთელი ეს დასკვნები „არტანუჯის საპიტიაშოს“ შესახებ ქვიშაზე არის აგებული.

დამატებით აქ აღვნიშნავთ კიდევ ერთ შეუსაბამობას, ანაქრონისტული ხასიათის შეცდომას.

როგორც ეს ირკვევა ქართული წყაროებიდან, არტანუჯის ციხე-ქალაქი აშენებულია მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასარის დროს, ხოლო ამის უწინარეს ცენტრი კლარჯეთისა იყო არა არტანუჯი, არამედ თუხარისი. ამრიგად მე-4 საუკუნის დასაწყისისათვის არც შეიძლებოდა არსებულიყო „არტანუჯის საპიტიაშო“ არამედ ამ დროს არსებობდა საქართველოს ფარგლებში შემავალი კლარჯეთის თუხარისის საერისთავო.



გადავიდეთ ამის შემდეგ გრიგოლ პართელის ცხოვრების მეორე ტექსტზე.

რომ ძველი სომხური მწერლობის ამ ძეგლში, გრიგოლ პართელის ცხოვრებაში კლარჯეთი (არტანუჯის მხარე) არ ითვლება სომხეთის ნაწილად, არამედ საქართველოს მხარედ, ეს სრულიად ნათლად სჩანს ამ ძეგლის მეორე ადგილიდან, სადაც აწერილია სომხეთის საზღვრები. ამ მეორე ტექსტში მოთხრობილია, რომ მე-4 საუკუნის დასაწყისში გრიგოლ პართელის მოღვაწეობით ქრისტიანობა გავრცელდა მთელ სომხეთში და ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, თუ რა საზღვრებს მოიცავს სომხეთის ქვეყანა.

მოგვაქვს ეს მეორე ტექსტი რუსულ თარგმანში (ვემყარებით ძირითადად თარგმანს ისეთი დიდი ავტორიტეტისას, როგორც არის არმენისტე მჭულუფ. ნ. აღონცი);

გნებლირთჳსა

«[Христианство] разлилось по всей Армении от края и до края, от города Саталы, мимо Халдии, мимо Каларджии, до исхода пределов Маскутов (გერძულუ ვერსია უმატებს и гунюю), до ворот Ал[б]анских, до границ Каспии—Пайтакарана, города армянского царства; и от Амиды, мимо города Низибина, задевая крайны Сирии, страны Норширакан и Кордуену, до неприступной страны Мидии, до области князя Махкерт, вплоть до Атрпатакана».<sup>1</sup>

ამრიგად გრიგოლ პართელის ცხოვრების ამ ტექსტის უწყების თანახმად სომხეთის საზღვრები გასდევდა „მიმო Халдии, მიმო Кларджии“. აქ სრულიად ნიშანდობლივ აღნიშნულია, რომ კლარჯეთი და ზალდია მდებარეობდა სომხეთის საზღვრების გარეთ.

ზალდიის სახელწოდებით აქ იგულისხმება „ზალდის ხევი“, სპერის კანეთი (ლართის მხარე კოროზის ხეობისა).

გრიგოლ პართელის ცხოვრების აქ განხილულ ტექსტთან ერთად, რომელიც აგვიწერს სომხეთის საზღვრებს მე-4 საუკუნის დასაწყისისათვის, გრიგოლ პართელის სამისიონერო მოღვაწეობასთან დაკავშირებით, აქ საჭიროა მოვიყვანოთ აგრეთვე ტექსტი სომხეთა ისტორიკოსის მოსე ზორენელისა, რომელიც ანალოგიური ხასიათის ცნობას შეიცავს; მოსე ზორენელის ტექსტი ეხება იმავე ხანას, მე-4 საუკუნის დასაწყისს, და აგვიწერს იბერიის საზღვრებს ნინო ქართველთა განმანათლებლის სამისიონერო მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

მოსე ზორენელის ამ ტექსტში ჩვენ ვკითხულობთ: (მოგვყავს ტექსტი ცნობილი არმენისტის ნ. ემინის რუსული თარგმანით):

«Блаженная Нунэ отправилась [из Мцхета] наставлять пречистыми устами и другия области Иверии... Дерзавем сказать, она, став апостолом, проповедывала, и ачиная от Кларджов, [от областей] близ Аланских врат и Касбов, до пределов Маскутов».<sup>2</sup>

ამრიგად, როგორც ხედავთ, ტექსტები გრიგოლ პართელის ცხოვრებისა და მოსე ზორენელისა ეთანხმებიან და ავსებენ ერთი-მეორეს:

ა) გრიგოლ პართელის ცხოვრების ცნობით, სამოღვაწეო ასპარეზი გრიგოლ პართელისა არის სომხეთი, რომლის საზღვრებშიაც არ შედის კლარჯეთი

ბ) მოსე ზორენელის ცნობით ამავე ხანაში ნინოს სამოღვაწეო ასპარეზია იბერია, რომლის საზღვრებშიაც შედის კლარჯეთი

ასეთია ის ჩვენებანი, რომელთაც შეიცავს აქ აღძრულ საკითხთა გამო ეს ორი ძეგლი ძველი სომხური მწერლობისა.

ჩვენ ამ-გზის ამით დავასრულებთ ამ ექსკურსს ნ. მარის შემცდარი ცნობის გამო არტანუჯისა და მისი მხარის (კლარჯეთის, კლარჯთა ქვეყნის) შესახებ.

ქვემოთ ჩვენ ისევ დავებრუნდებით საკითხთა ამავე წრეს და სპეციალურად, მთელის მოცულობით განვიხილავთ ნ. მარის ისტორიულ ნარკვევებს.

<sup>1</sup> იხ. პროფ. ნ. აღონცი, Армения в эпоху Юстиниана, г. 327—328 (შეად. სომხური ტექსტი გრიგოლ პართელის ცხოვრებისა, 1882 წ., გვ. 485).

<sup>2</sup> იხ. История Армении Моисея Хоренского, перевод Н. Эмина, 1893 წ., гв. 133.

რომლებიც ეხება როგორც კლარჯეთს, ისე საერთოდ სამხრეთ საქართველოს, და სადაც, როგორც დავრწმუნდებით, ასევე დამახინჯებულად არის გამოყენებული ორი მოძვე ერის, ქართველებისა და სომხების ისტორიის მდებარეობა ძირითადი საკითხები.

აქ კი ჯერ ისევ მივმართოთ გიორგი მერჩულის ძეგლს და განვავარძოთ განხილვა გიორგი მერჩულის ცნობებისა კლარჯეთის შესახებ.

**2. ანჩი**

გიორგი მერჩულის ძეგლი, როგორც მოხსენებული გვექონდა, გარდა იმ ცნობებისა, რომელთაც იგი შეიცავს კლარჯეთის თორმეტ საეპანეთა შესახებ და კლარჯეთის პოლიტიკური ცენტრის არტანუჯის შესახებ, შეიცავს აგრეთვე ცნობებს კლარჯეთის საეკლესიო მეტროპოლიის ანჩის შესახებ.

ანჩი — მდებარეობს კლარჯეთში, მდინარე სამწყალის ხეობაში.

ჩრდილო-დასავლეთის მხრით ანჩს აკრავს კლარჯეთის თორმეტ საეპანეთა მხარე.

ქართული საისტორიო წყაროების ცნობით საეკლესიო მეტროპოლია კლარჯეთისა და ჭოროხის ხეობის მიმდგომი მხარეებისა მე-4 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-9 საუკუნემდე ყოფილა შემდეგ პუნქტებში: თუხარისში, ახიზაში, ფორთაში და ანჩში.

უძველესი საეკლესიო მეტროპოლია კლარჯეთისა ყოფილი თუხარისი.

ქართული საისტორიო წყაროების ცნობით, მე-4 საუკუნის შუა წლებში, იბერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების პირველ პერიოდში, ქართველთა მეფე მირდატმა (ბაკურის ძემ) ალაშენა ეკლესია თუხარისისა ციხესა შინა, რამეთუ ზევსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია, და მუნ დაადგინა მღვდელი მოძღვრად კლარჯეთა<sup>1</sup>.

თუხარისი, როგორც ირკვევა, ყოფილა პოლიტიკური და საეკლესიო ცენტრი კლარჯეთისა მე-4 — 5 საუკუნეებში, მე-5 საუკუნის მეორე ნახევრამდე, ვახტანგ გორგასარის ხანამდე.

ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ქართული საისტორიო წყაროების ცნობათა თანახმად, მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასარის დროს, პოლიტიკური ცენტრი კლარჯეთისა თუხარისიდან გადმოტანილ იქმნა ახლად გაშენებულ არტანუჯში; ამავ დროსვე საეკლესიო მეტროპოლია კლარჯეთისა გადმოუტანიათ იმავე არტანუჯის სექტორში, სახელდობრ პუნქტში, რომელსაც ეწოდება ახიზა, რომელიც მდებარეობს მდინარე არტანუჯის-წყალის ხეობაში, 5 კილომეტრის მანძილზე ქალაქ არტანუჯის დასავლეთით.

წყაროების ცნობით, ახიზაში მშენებლობა ვახტანგ გორგასარს ჩაუტარებია. ვახტანგ გორგასარის ძველი მატინის ექვერბტში აღნიშნულია, რომ ვახ-

<sup>1</sup> იხ. ლონტი პროველი. გვ. \*287/112 — 113.

ტანგ გორგასარის მიერ კლარჯეთს დანიშნულმა ერისთავმა, არტანუჯის მშენებლობასთან ერთად, „გ ა ნ ა ა ხ ლ ა ც ი ხ ე ა ხ ი ზ ი ს ა“<sup>1</sup>. *სარქვესული*

შემდეგ, როდესაც ვახტანგ გორგასარის დროს გამოცხადდა იბერიის (ქართლის) ეკლესიის ავტოკეფალია და დაარსებულ იქმნა ქართლის საკათალიკოზო, ქართულ საისტორიო წყაროთა ცნობით ამავე დროსვე მოეწყო იბერიაში 12 საეპისკოპოსო, რომელთა შორის ყოფილა კლარჯეთის საეპისკოპოსო ა ხ ი ზ ი ს ა. ვახტანგ გორგასარის ძველი მატიანის ექსცერპტში აღნიშნულია, რომ ვახტანგ გორგასარმა იბერიის თორმეტ ეპისკოპოსთა განწესების დროს — „დასვა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ა ხ ი ზ ი ს ა ს ა“<sup>2</sup>.

წყაროებიდან ირკვევა ამასთან, რომ ქართლის საკათალიკოზოს დაარსების შემდეგ, მომდევნო უახლოეს ხანაში, მე-5 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-6 საუკუნის დასაწყისში იბერიის საეპისკოპოსოთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაზარდილა. მე-6 საუკუნის დასაწყისისათვის იბერიაში უკვე 33 საეპისკოპოსო ითვლებოდა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928 წ. გვ. 278).

მე-5 — 6 საუკუნეთა საზღვარზე იბერიის ამ ახლად დაარსებულ საეპისკოპოსოთა რიცხვს ეკუთვნოდა კლარჯეთის მეორე საეპისკოპოსო — ფორთა. 506 წელს კავკასიის ხალხთა ეკლესიების გაერთიანებულ კრებას დასწრება იბერიის (ქართლის) 24 ეპისკოპოსი ქართლის კათალიკოზთან ერთად. იბერიის (ქართლის) ამ ეპისკოპოსთა შორის მოიხსენება ეპისკოპოსი ფორთისა<sup>3</sup>.

ა ხ ი ზ ი ს ა და ფორთის ამ საეპისკოპოსოთა გვერდით უფრო გვიან კლარჯეთში არსდება მესამე საეპისკოპოსო ა ნ ჩ ი ს ა.

თუ სახელდობრ როდის დაარსდა კლარჯეთის ეს მესამე ანჩის საეპისკოპოსო, ამის შესახებ წყაროებში თუმცა არა გვაქვს პირდაპირი ცნობა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ირკვევა, რომ ანჩი დაარსებულია არაბთა მფლობელობის უწინარეს, მე-6 — 7 საუკუნეებში.

გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ აღდგენა კლარჯეთის სავანეებისა (რომლებიც განადგურდა მურვან-ყრუს ლაშქრობის დროს მე-8 საუკუნის 30-იან წლებში), დაიწყო მე-8 საუკუნის შუა წლებიდან, და პირველი სავანე, რომელიც აღდგენილ იქმნა ამ დროისათვის, მე-8 საუკუნის შუა წლებისათვის, იყო ოპიზა.

ხოლო რაც შეეხება ანჩს, გიორგი მერჩულე აღნიშნავს, რომ კლარჯეთის სავანეებთან შედარებით, „ფრიად ურიცხვენი ქამნი კჳონან საყდარსა მას ანჩისასა უწინარეს აღშენებისანი“ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 114).

ამრიგად გიორგი მერჩულის ამ ცნობის თანახმად, ანჩი დაარსებულია კლარჯეთის სავანეთა აღდგენის (ე. ი. მე-8 საუკუნის ნახევრის) ბევრად უწინარეს, წინა-არაბულ ხანაში, არა უგვიანეს მე-6 — 7 საუკუნეებისა.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვებოვება კლარჯეთის ამ სამი საეპისკოპოსოს ა ხ ი ზ ი ს ა, ფორთის და ანჩის დაარსების დროის შესახებ.

<sup>1</sup> იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. \*391-2/179, ანსეული 135. (იხ. აგრეთვე ზემოთ, თავი VI, „მნათობი“, № 7, გვ. 134 — 135).

<sup>2</sup> იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. \*391 — 392/179, ანსეული 135. (იხ. აგრეთვე ზემოთ, თავი VI, „მნათობი“ № 7, გვ. 135).

<sup>3</sup> იხ. ზემოთ, თავი VI („მნათობი“, № 7, გვ. 126—127).



საეკლესიო იურისდიქცია ამ საეპისკოპოსოებისა, როგორც ირკვევა, ვრცელდებოდა არა მხოლოდ საკუთრივ კლარჯეთზე, არამედ ჭოროხის, ხეობის მიმდგომ მხარეებზედაც, სახელდობრ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ქართული საისტორიო წყაროების ცნობით მე-5—7 საუკუნეებში კლარჯეთის საერისთავოს ფარგლებში შედიოდა<sup>1</sup>.

ის გარემოება, რომ კლარჯეთის და მიმდგომ მხარეთა ტერიტორიაზე მე-5—7 საუკუნეებში სამი საეპისკოპოსო არსებულა, გვიჩვენებს, რომ ეს მხარეები ამ დროს მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა ყოფილა.

უფრო გვიან, მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, კლარჯეთი და მიმდგომი მხარეები, როგორც ეს უკვე იცის მკითხველმა, განადგურდა არაბთა შემოსევის შედეგად და მოსახლეობა ამ დროს დიდად შემცირდა.

როგორც ირკვევა, ამ დროს, მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, გაუქმებულა და დაცლილა ახიზისა და ფორთისა ძველი საეპისკოპოსოები. ისინი ამის შემდეგ აღარ განახლებულან ცალკე დამოუკიდებელი საეპისკოპოსოების სახით.

ამ კატასტროფის შემდეგ კლარჯეთის მხარეში, ნაცვლად ძველად არსებული სამი საეპისკოპოსოსი — ახიზისა, ფორთისა და ანჩისა, — რჩება მხოლოდ ანჩის საეპისკოპოსო, რომლის ფარგლებშიაც გაერთიანდა სამივე საეპისკოპოსოს ტერიტორია<sup>2</sup>.

უფრო გვიან ხანაში, მე-9—10 საუკუნეებში, როდესაც ქვეყანამ მოიშუშა მიყენებული ჭრილობები და დაიწყო ახალი აღორძინება მესხეთის ქვეყნებისა, დასავლეთ-მესხეთის ტერიტორიაზე, ჭოროხის ხეობაში, ანჩის საეპისკოპოსოს გვერდით, არსდება ახალი საეპისკოპოსოები, შავშეთში — ტბეთისა, ამიერ-ტაოში — ბანისა, აგრეთვე აღდგენილ იქმნა იმიერ-ტაოში ძველად არსებულ იშხნის საეპისკოპოსო. ტერიტორია დასავლეთ მესხეთისა — ჭოროხის ხეობისა — ხელახლა იქმნა გადანაწილებული ამ ოთხ საეკლესიო ოლქს შორის.

ჩვენამდე მოღწეულია დოკუმენტი — აღწერილობა მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრებისა, საიდანაც ირკვევა ტერიტორიული მოცულობა დასავლეთ-მესხეთის, ჭოროხის ხეობის დასახლებული ოთხი საეპისკოპოსოსი.

ამ დოკუმენტის თანახმად ტერიტორია ამ ოთხი საეკლესიო ოლქისა შემდეგი ყოფილა:

<sup>1</sup> წყაროების ცნობით კლარჯეთის საერისთავოს ფარგლებში ამ ეპოქაში შედიოდა ტერიტორია „ზღვივან ვიდრე არსიანთამდის“ (იხ. ლეონტი მროველი, გვ. 291/115, ცხობრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. \*358/156-7). ამ ცნობათა თანახმად კლარჯეთის საერისთავოთა ფარგლებში მე-5—7 საუკუნეებში მოქცეული ყოფილა, გარდა საკუთრივ კლარჯეთისა, შავშეთი, ნიგალის-ხევი, „საზღვარი ქართლისა სპერი“ (ქვემო სპერი) და ამიერ ტაო. (ამ საკითხზე უფრო დამწერლობით ქვემოთ გვექნება საუბარი).

<sup>2</sup> ამ საკითხთა აღწერილობით ამასთან, რომ მე-7 საუკუნეთა საზღვარზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, სპერისა და ლაზეთის ზონაში, როგორც ირკვევა, არსებულა საეპისკოპოსო ტამბურისა, მაგრამ მისი აღდგენილებარეობა გაურკვეველია. (საკითხის ტამბურის საეპისკოპოსოს შესახებ ჩვენ ცალკე ვეხებით).

<sup>3</sup> იხ. ზემოთ, თავი VI (მნათობი, № 7, გვ. 126).

I. ანჩის საეპისკოპოსოს საზღვრებში შედიოდა: ა) შიდა-კლარჯეთი (არტანუჯის მხარე); ბ) კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარე; გ) სრული სივრცის მხარე.

II. ტბეთის საეპისკოპოსოს საზღვრებში შედიოდა: ა) შავშეთი, შიდა-ხიანის (მაჭახელის ხეობის) მითვლით; ბ) ზემო აქარა.

III. ბანის საეპისკოპოსოს საზღვრებში შედიოდა — აღმოსავლეთი ტაო, 6 რაიონი: ბანა, ტაოსკარი, ფანასკერტი, პარტიზის ხეობა, ოლთისი, ნაშუროვანი.

IV. იშხნის საეპისკოპოსოს საზღვრებში შედიოდა:

ა) დასავლეთი ტაოს ორი რაიონი: 1. თორთომი — ქართლის-ყელის (გურჯი-ბოლახს) აქეთი; 2. იშხანის უბანი — ტაოსკარს ქვემოთი;

ბ) თუხარისის უბანი კლარჯეთისა;

გ) ისპირის მხარე, ორი რაიონი: 1. საკავესიძო (პარხალი) — „ორჯობის მთას აქეთი“; 2. საკუთრივ ისპირი — „ტრაპიზონის მთას გადმოღმა“<sup>1</sup>.



ანჩის საეპისკოპოსო, იმ საზღვრებში, რომელშიაც იგი ჩამოყალიბებულა მე-9 — 10 საუკუნეებში (ე. ი. არტანუჯის მხარის, კლარჯეთის 12 სავანეთა მხარის და ნიგალის-ხევის შემადგენლობით) — არსებული ამის შემდეგ 7 საუკუნის მანძილზე, თურქთა მფლობელობის ხანამდე.

როგორც ცნობილია, თურქეთმა დაიპყრო მესხეთის ეს ნაწილი მე-16 საუკუნის 50-იან წლებში (იხ. ზემოთ გვ. 118).

ამის შემდეგ, თურქების დევნის შედეგად, ანჩის საეპისკოპოსო გაუქმებულა. ანჩის გაუქმება მომხდარა, როგორც ირკვევა, არა უგვიანეს მე-17 საუკუნის შუა წლებისა. (ყოველ შემთხვევაში 1664 წლისათვის, როგორც ირკვევა წყაროებიდან, ანჩი უკვე დაცლილი ყოფილა)<sup>2</sup>.

მე-18 საუკუნის შუა წლებში ვახუშტი ბატონიშვილი სწერს ანჩის გაუქმებული კათედრალის შესახებ: „არს ეკლესია ღვთაებისა ანჩა, გუნბათიანი, დიდშენიერად ნაგები, კარგს ადგილს... და აწ ცალიერ არს“<sup>3</sup>.

ამის შემდეგ, მე-18 — 19 საუკუნეებში, თურქებს დაუნგრევიათ ანჩის კათედრალი. 1879 წელს, როდესაც ახლად შემოერთებულ თურქეთის საქართველოში იმოგზაურა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, ანჩის კათედრალი მას უკვე დანგრეული დახვდა<sup>4</sup>.



დასასრულ, ანჩის ისტორიასთან დაკავშირებით, შევჩერდებით კიდევ ერთ მომენტზე.

შეთხველს შესაძლოა არ მოეხსენებოდეს, თუ საიდან მომდინარეობს სახელწოდება თბილისის ერთ-ერთ კუთხისა, ანჩის-ს-ბ-ატ-ის უბნისა, ძველი თბილისის იმ კუთხისა, რომელიც გაიცოცხლებულია ჩვენი შერლის ვაილ ბარნოვის თბილისურ მთარგმანებში.

<sup>1</sup> იხ. დოკუმენტის ტექსტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1907 წ. გვ. 76—79. (შდრ. დასახლებული გამოცემები დ. ბაქრაძისა და თ. ეორდანიასი).

<sup>2</sup> იხ. ქვემოთ, გვ. 131.

<sup>3</sup> იხ. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, 1941 წ., გვ. 135.

<sup>4</sup> ანჩის ძველი კათედრალის ნაშთის შესახებ იხ. დ. ბაქრაძე, Об археологической поезде, совершенной в 1879 году... в Батум, Арташ и Артанудж, З. И. А. Н. XXXVII, I, გვ. 49. ა. შარი, Дневник... ТР. VII, გვ. 93 — 94.





სახელწოდება თბილისის ანჩის-ხატის უბნისა და უბანში მდებარე თბილისის ძველი ანჩის-ხატის ტაძრისა, დაკავშირებულია კლარჯეთის ანჩის სახელთან, ანჩის-ხატის კლარჯეთის ანჩიდან ჩამოტანილ ძველთან—„ანჩის-ხატთან“.

მას შემდეგ რაც თურქებმა დაიპყრეს ანჩი და გააუქმეს ანჩის საეპისკოპოსო, ანჩის კათედრალის მთავარი ხატი შეტყობისა—„ანჩის-ხატო“ ჩამოუტანიათ 1664 წელს თბილისში<sup>1</sup>. საქართველოს კათალიკოს დომენტი II-ს ეს ძველი „ანჩის-ხატი“ დაუხვეწებია თბილისის საკათალიკოსო ტაძარში, რომელიც დომენტი II-მ განაშენა მე-17 საუკუნის 60—70-იან წლებში. ეს ძველი ჩამოტანილი ანჩიდან—„ანჩის-ხატო“—დღემდის მოღწეულა. იგი წარმოადგენს ხელოვნების ნამდვილ შედევრს, ძველი ქართული პედიოთი ხელოვნების ერთ-ერთ უბრწყინველეს კმნალებსა. ეს ძველი „ანჩის-ხატი“ მოქედლია მე-12 საუკუნეში, თამარ დიდის დროს (სახელდობრ თამარის მეფობის დასაწყის წლებში, 1184—1189 წლებს შორის). ძველის მთავარ წარწერაში ვკითხულობთ:

„პრძანებთა და ნიეთს-ბოძებთა ღმრთი-ეკირგვისონის დიდისა დედოფალ-დედოფლითა თამარისა, მეოთხანე ანჩელმან რკინაელმან ხელ-ეყავ... პატივით მოქედად, — მფარველმცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიქედა ხელთა ბეჭეასითა...“

ოთხანე ანჩელი რკინაელი, მოხსენებული ამ წარწერაში, არის მე-12 საუკუნის მოღვაწე, ცნობილი მწერალი პიმოზრაფი, რომელსაც დაუწერია საგალობლები ანჩის-ხატისა.

ბეჭეა—მოქედელი ანჩის-ხატისა, არის განთქმული ხელოვანი მე-12—13 საუკუნეთა ბეჭეა ოპიზარი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ბეჭეა ოპიზარის მიერ მოქედლი „ანჩის-ხატი“-სათვის უფრო გვიან ხანაში, მე-14 საუკუნის პირველ მესამედში, შეუქმნიათ ოქროქანდაცბული კარება, აგრეთვე შეუქმნიათ ოქროქანდაცბული საცავი, გვრეთ წოდებული „კუმბო“. როგორც ირკვევა წარწერებიდან, ანჩის-ხატი-ს ეს ოქროქანდაცბული კარება და „კუმბო“ შესრულებულია სამცხის მთავრის ბეჭეა მანდატურთ-უხუცესისა (+1308 წ.) და მისი მემკვიდრეების დროს.<sup>2</sup>

სახელი კლარჯეთის ძველი საეპისკოპოსოს ანჩისა იმდენად ცნობილი ყოფილა საქართველოში, ამასთან თვით ეს ძველი „ანჩის-ხატი“ ხელოვნების იმდენად ბრწყინველე კმნალებაა, რომ მას შემდეგ, რაც მე-17 საუკუნეში „ანჩის-ხატი“ მოთავსებულ იქმნა თბილისის საკათალიკოსო ტაძარში, ხალხმა საკათალიკოსო ტაძარს შეარქვა „ანჩის-ხატო“-ს ტაძრის სახელი, ხალხი აქედან თვით უბანსაც „ანჩის-ხატის“ უბანი ეწოდა.

ბ.

შეშეთი

გიორგი მერჩულის თხზულებაში მესხეთის მხარეთა შორის მოიხსენება ქორხის ხეობაში კლარჯეთის მოსაზღვრედ მდებარე ქვეყანა შავშეთისა (იხ. გიორგი მერჩულე, 29, 42, 54, 80).

გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენება აგრეთვე: შავშეთის იერარქი მტბევეარი (გვ. 100), რომლის რეზიდენცია იყო ტბეთი;

საეანე გუნათლე, რომელიც გიორგი მერჩულის ცნობით დაარსებული იყო გრიგოლ ხანძთელის მიერ მე-9 საუკუნის დასაწყისში—ამოტ I დიდის დროს (813—826 წ. წ.)<sup>3</sup>;

<sup>1</sup> იხ. თ. ყორდანი, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, 1909 წ., გვ. 157—158.

<sup>2</sup> ანჩის-ხატის შესახებ იხ. შ. ამირანაშვილი, ბეჭეა ოპიზარი, 1937 წ., გვ. 7—26.

<sup>3</sup> გიორგი მერჩულე, გვ. 34—36. ეს პუნქტი გუნათლე დღემდის არსებობს შავშეთში (მას ამჟამად ეწოდება გურნათელი). აქ დაკუნთა ნანგრევები საეანისა, რომლის შესახებაც მოგვითხრობს გიორგი მერჩულე (აღწერა იხ. საეანის ნაშთისა იხ. ნ. მარის, Дневник... TP, VII, გვ. 29).

სოფელი ნორგიალი, რომელიც, გიორგი მერჩულის ცნობით, შავშეთის საზღვრებში მდებარეობდა<sup>1</sup>.

მთავარი ცენტრი შავშეთის მხარისა ამ ეპოქაში არის ტბეთი, სადაც, როგორც ირკვევა, ჰქონიათ რეზიდენცია შავშეთ-არტაანისა და მიმდგომ მხარეთა მთავრებს, ყოველ შემთხვევაში მე-9—10 საუკუნეთა საზღვრიდან, ერისთავთ-ერისთავის აშოტ კუხის დროიდან (896—918 წ. წ.) მოკიდებული.

მემატიანე გადმოგვცემს: „აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისმან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა და დასვა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე“<sup>2</sup>.

ტბეთის კათედრალი, აგებული მე-10 საუკუნის დასაწყისში ერისთავთ-ერისთავის აშოტ კუხის მოღვაწეობით, დღემდისაც მოღწეულა. იგი თითქმის დაუზიანებლად გადარჩენია საუკუნეებს. ტბეთის კათედრალი, ეს მონუმენტალურ, ძეგლი, კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმშვენიერესი ქმნილებაა. ტბეთის ტაძრის გამო ერთი მოგზაური სწერს: „Тбетская церковь могла бы составить украшение даже Рима, так хорош её общий вид, изящны её детали“<sup>3</sup>.

შავშეთის მხარის მოღვაწეთაგან გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენიებთან:

1. გურგენ I კურაპალატი (881—891 წ.), რომლის უშუალო სამფლობელო თავდაპირველად ყოფილა ტაოს მხარის კალმახის პროვინცია, ხოლო შემდეგ, როგორც გადმოგვცემს მემატიანე, — „გურგენ კურაპალატი წარმოვიდა ტაოთ, კალმახით, მამულით თვისით, ცხოვრებად შავშეთსა და არტაანს“. გურგენ I-ის დამკვიდრება შავშეთ-არტაანში მომხდარა 888—891 წლებში.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 17, 109. — სუმბატ დავითის-ძე, გვ. \*578/348).

2. აშოტ კუხი ერისთავთ-ერისთავი, ძე გურგენ I კურაპალატისა, მთავარი შავშეთ-არტაანისა და მიმდგომ მხარეთა (896—918 წ. წ.); მის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა რამდენიმეგზის საუბარი.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 71—72, და ზემოთ თავი IV, 6).

3. გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავი (918—941 წ. წ.) ძმისწული და მემკვიდრე აშოტ კუხისა, რომელიც თავდაპირველად იყო მთავარი შავშეთ-არტაანისა და მიმდგომ მხარეთა, როლო შემდეგ გახდა „დიდი იგი ხელმწიფე ფრიადთა ნათესავთა“ და თავის მფლობელობის ქვეშ გააერთიანა დიდი ნაწილი იბერიისა, მოსაზღვრე ალბანეთის მხარეებით, არტანუჯიდან ვიდრე უტის პროვინციამდე.

(იხ. გიორგი მეფე გვ. 72 და ზემოთ თავი VI, 6).

<sup>1</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 80. სოფელი ნორგიალი ამავე სახელწოდებით დღემდის არსებობს შავშეთში.

<sup>2</sup> იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. \*579/349.

<sup>3</sup> მთავარი ლიტერატურა ტბეთის შესახებ: გიორგი ყაზბეგი, Три месяца в Турецкой Грузии, 1874 წ., გვ. 53—55. — აკად. პავლინოვი, Экспедиция на Кавказ 1888 года, МАК, III, 1893 წ., გვ. 71—4. — აკად. ნ. შარი, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, ТР, VII, გვ. 11—25.

გიორგი მერჩულის თხზულებაში დაცულია აგრეთვე ცნობები შავშეთ-კლარჯეთის მხარეთა ადგილობრივი ფეოდალების — და ფ ა ნ ლ უ ლ თ ა გვარეულობის შესახებ. გიორგი მერჩულეს მოხსენებული ჰყავს მეფე-კურაპალატის ამოტ I დიდის ერისმთავარი გაბრიელ დაფანჩული და მისი მემკვიდრენი.

გიორგი მერჩულის ცნობით დაფანჩულთა გვარეულობის სამფლობელოს შეადგენდა გ უ ნ ა თ ლ ე და მისი სანახები შავშეთში, აგრეთვე სოფლები ხანძთის მეზობლად კლარჯეთის სანაპიროზე. გაბრიელ დაფანჩული ყოფილა თანამოღვაწე გრიგოლ ხანძთელისა ხანძთის მშენებლობაში. ასევე გაბრიელ დაფანჩულის თანამოღვაწეობით დაუარსებია გრიგოლ ხანძთელს გ უ ნ ა თ ლ ი ს სავანე შავშეთში.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 32 — 39; ბაგრატ ერისთავო-ერისთავი, გვ. 162 — 3).

დასასრულ შავშეთის მოღვაწეთაგან გიორგი მერჩულეს მოხსენებული ჰყავს მწერალი ს ტ ე ფ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი, მოღვაწე მე-10 საუკუნის პირველი ნახევრის, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 100, და ზემოთ, თავი II, 1).

აქ საჭიროა დამატებით აღვნიშნოთ, რომ სტეფანე მტბევარმა, როგორც ირკვევა, საფუძველი ჩაუყარა დიდ ლიტერატურულ ტრადიციას. ამავე მეთვე საუკუნის მეორე ნახევარში ტბეთში მოღვაწეობს მეორე განთქმული ქართველი მწერალი, პოეტი ჰიმნოგრაფი ი ო ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა რ ი. ტბეთიდან არის აგრეთვე ცნობილი ქართველი მწერალი ამავე ეპოქისა დ ა ვ ი თ ტ ბ ე ლ ი, რომელიც მე-10 — 11 საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობს.

### მ.

#### ტაონი, სპერი, ნიგალი.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმ დიდი კატასტროფის შესახებ, რომელიც განუცლია მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში, მურვან ყრუს ლაშქრობათა დროს, მესხეთის მხარეებს, კერძოდ დასავლეთ მესხეთის — კოროხის ხეობაში მდებარე მხარეებს.

გიორგი მერჩულისა და სუმბატ დავითის-ძის ცნობათა მიხედვით კოროხის ხეობის მხარეები არაბთა შემოსევების შედეგად იმდენად გავერანებულა, რომ დიდი ნაწილი ამ მხარეთა თითქმის დაცლილა მოსახლეობიდან; და როდესაც მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო „ახლად შენება“ ამ მხარეებისა, გიორგი მერჩულე გადმოგვცემს, რომ ამ დროისათვის, ახალი მშენებლობის დაწყებისას, — „კლარჯეთს, და ტაოთა, და შავშეთს, და ყოველთა მათ მახლობელთა ქვეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილადგილ“ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 29).

ამრიგად, გიორგი მერჩულის ცნობის თანახმად, ამ გავერანებული მხარეების რიცხვს ეკუთვნოდნენ: კლარჯეთი, ტაონი, შავშეთი და „ყოველნი მახლობელნი ქვეყანანი“. „მახლობელ ქვეყანათა“ სახელით აქ პირველ რიგში, როგორც ირკვევა, იგულისხმება ს პ ე რ ი და ნ ი გ ა ლ ი, რომლებიც იმავე კოროხის ხეობაში მდებარეობენ და უშუალოდ ესაზღვრებიან აქ დასახლებულ კლარჯეთ-ტაო-შავშეთის მხარეებს. რომ ს პ ე რ ი და ნ ი გ ა ლ ი მურვან ყრუს დროს გამხდარა უშუალო ასპარეზი არაბთა ლაშქარის თარეშისა, ამის შესახებ ჩვენ გვაქვს პირდაპირი ჩვენება მატრიანებში, სადაც მოთხრობილია,

რომ დასავლეთ საქართველოდან გადმოსულმა არაბთა დამსჯელმა ექსპედიციამ, ჭოროხის ხეობის ხაზით, ე. ი. ნიგალის გზით, „განგაღობა“ შეეძინა. შემატანე აქვე უმატებს, რომ არაბების შემოსევის შედეგად „განგაღობა“ იყო ქვეყანა, „რამეთუ არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საქაშილი კაცთა და პირუტყვთა“<sup>1</sup>.

გიორგი მერჩულის ცნობათა მიხედვით უნდა დაეასკვნათ აგრეთვე, რომ ჭოროხის ხეობის ზემოთ ჩამოთვლილი მხარეებიდან (კლარჯეთი, ტაონი, ნიგალი და სპერი), არაბთა შემოსევის შედეგად განსაკუთრებით განადგურებული ყოფილა ტაოთა მხარე.

ტაონი იმდენად ყოფილა გავერანებული, რომ ზოგჯერ თვით ძველი კულტურული ცენტრების ადგილმდებარეობაც გადაიწყებული ყოფილა და ადრინდელი დასახლებული და მოშენებული ადგილები „მის ქამისა კაცთათვის მიუვალი“ ქმნილ იყო. და როდესაც მე-9 საუკუნეთა საზღვარზე დაიწყო ხელახალი აღდგენა ამ გავერანებული ადგილებისა, აქ მოსულ მოახალშენებებს პირველ რიგში უხდებოდათ თვით „გზისა საქმისა“ გამოძიება, რადგან „გზადაცა მისავალად“ ძველი დასახლებული ადგილებისაკენ წარხოცილი ყოფილა და დიდ საქმედ ითვლებოდა, როდესაც მოახალშენეები შესძლებდნენ გაეკვლიათ მისადგომი ადგილები ძველი მიტოვებული დაბებისაკენ<sup>2</sup>.

მე-9—10 საუკუნეებში, ქართველი მოახალშენეების დაუღალავი შრომის შედეგად, ტაონი ისე აღდგა ფერფლიდან და აყვავებულ ქვეყანად გადაიქცა. ქვეყანა დაიფარა ახლად გაშენებული და განახლებული სოფლებითა და დაბებით.

ტაოთა მხარის მთავარი ცენტრებია ამ ეპოქაში: ბანა, ტაოსკარი, ოლთისი, კალმახი, ფანასკერტი, ხახული, ოშკი, იშხანი, მამროვანი, თორთომი, ქაჯისციხე—საქართველოს შემოსავალ კარებთან ქართლის-ყვლთან (შემდგომდროინდელი გურჯი-ბოლახი).

თუ რა სიმაღლემდე მიადწია კულტურის დონემ ამ მხარეში დასახლებულ ეპოქაში, ამისი მაჩვენებელია მატერიალური კულტურის ძეგლები, საირიგაციო არხები, გზები, გაყვანილი ამ მხარეში, სამეურნეო ხასიათის სხვადასხვა ნაგებობანი. ცალკეა აღსანიშნავი ხელოვნების ძეგლები, რომლებითაც დაფარულია ტაოთა მხარე და რომელთა რიცხვს ეკუთვნიან ხელოვნების ასეთი შედეგები, როგორცაა ძეგლები ბანისა, ოშკისა, ხახულისა, იშხანისა, ეკეისა, კალმახისა, ტაოსკარისა და სხვანი.

გიორგი მერჩულის თხზულებაში ტაოს მხარეთა ისტორიულ თავგადასავალიდან განსაკუთრებით დაწვრილებით არის მოთხრობილი ტაოს ერთ-ერთი პუნქტის იშხანის ისტორია და ჩვენც აქ საგანგებოდ შევჩერდებით მასზე.

გიორგი მერჩულის ცნობით იშხანის განახლება მომხდარა დიდი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის თანაშრომელთა მიერ. იშხანის

<sup>1</sup> იხ. ჯუანშერი, გვ. \*424/204 — 205.

<sup>2</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 46ა — აბ შვად. 65, — 101.

განმარტებული ყოფილა გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწე და მოწაფე ს ა -  
ბ ა ნ ი (საბა), ცნობილი ს ა ბ ა ნ ი შ ხ ნ ე ლ ის ზედწოდებით *ქრისტესული*

საბან იშხნელის ვინაობის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი *მ. ლ. მ. მ. მ. მ.*

საბან იშხნელი წარმოშობით ქართლიდან ყოფილა. საბანი დაბადებულა მე-8 საუკუნის 60-იან წლებში. 780 წლის ახლო ხანებში საბანი, გრიგოლ ხანძთელთან ერთად, გადასულა სამოღვაწეოდ კლარჯეთში. მე-8 საუკუნის დასასრულსა და მე-9 საუკუნის დასაწყისში, 782 წლის ახლო ხანიდან — ვიდრე 824 — 825 წლებამდე, საბანი მოღვაწეობს გრიგოლ ხანძთელთან ერთად ხანძთაში.

824/5 — 826 წლებში გრიგოლ ხანძთელმა საბანის თანხლებით იმოგზაურა ბიზანტიაში. მოგზაურობის მიზანი იყო ქვეყნის გაცნობა და შესწავლა, როგორც გადმოგვცემს გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელმა და საბანმა მოიხილეს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი და „ყოველნი საჩინონი აღგიონი საბერძნეთისანი“.

826 წელს, ბიზანტიიდან დაბრუნებისას, გრიგოლ ხანძთელსა და საბანს გამოუვლიათ ვზად ტაოზე და უნახათ ი შ ხ ა ნ ი.

იშხანი და მისი მიდამოები, გიორგი მერჩულის სიტყვით, ამ დროს სრულიად გავერანებულსა და მიტოვებულ კუთხეს წარმოადგენდა, როგორც გადმოგვცემს გიორგი მერჩულე, „მისი ჟამისა კაცთაგან მიუვალ იყო ადგილი იგი“, და აღრინდელი „პირველი დიდებულებაჲ“ იშხანისა ამ დროს მივიწყებული ყოფილა.

საბანს, იშხანის დათვლიერების შემდეგ, გადაუწყვეტია აღდგენა იშხანისა, რაზედაც მიუღია თავისი მასწავლებლის გრიგოლ ხანძთელის დასტური. იმავე 826 წელს საბანი დამკვიდრდება იშხანში და შეუდგება იშხანის განახლებას. საბანთან ერთად იშხანში დამკვიდრდნენ პირველი მოახალშენეები ხანძთიდან.

უფრო გვიან, 830 — 840 წლებში, საბანის მიერ დაწყებულს იშხანის მშენებლობაში უშუალო მონაწილეობას მიიღებს მეფე-კურაპალატი ბაგრატ I (826 — 872 წ.).

ბაგრატ I-ის დროსვე იშხანში დაარსებულ იქმნა საეპისკოპოსო კათედრა ტაოთა მხარისათვის. პირველ იშხნელად დადგენილ იქმნა საბანი<sup>1</sup>.

დაწყებული ამ დროიდან, მე-9 საუკუნის პირველი ნახევრიდან, იშხანი ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი ტაოთა მხარისა. ამავე დროს იშხანი გადაიქცა განათლებისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვან კერად.

ძველ ქართულ ხელნაწერთა კრებულებში ჩვენ არა ერთგზის გვხვდება ცნობა, რომ ამ კრებულებში მოთავსებულ ნაწარმოებთა დედნები იშხანიდან მომდინარეობენ.

ასე, მე-10 საუკუნის შატბერდის კრებულში შეტანილი „კ ა ც ი ს ა შ ე - ს ა ქ მ ე“, რედაქტორის ცნობით, დაიწერა „დედითა ი შ ხ ნ ი ს ა მ თ ა“<sup>2</sup>.

ასევე პატერიკის ტექსტების შესახებ, რომელიც შეტანილია მე-10 საუკუნის პარხალის დიდ ქრესტომათიაში რედაქტორი ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ეს ტექსტები „რომელი პ ა რ ხ ა ლ ს არა ეწერა, ი შ ხ ნ ი თ მოვიღე“—ო<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. გიორგი მერჩულე 19, 43 — 47, 65 — 66, 77.

<sup>2</sup> იხ. შატბერდის კრებული მე-10 საუკუნისა (ხელნაწერი S — 1141) გვ. 121.

<sup>3</sup> იხ. პარხალის ქრესტომათია მე-10 საუკუნისა (ხელნაწერი A — 95), გვ. 1222.

სალიტერატურო ძეგლებიდან, რომლებიც დაწერილია ამ ეპოქაში იშხნის მხარეში, ჩვენ დრომდე მოღწეულა მარტვილობა დავით და ტერიქანისა, რომლის ტექსტი მე-9 საუკუნით თარიღდება.

დასასრულ აქ ჩვენ წარმოვადგენთ ზოგიერთ შენიშვნას იშხანის ჩვენ დრომდე მოღწეული არქიტექტურული ძეგლის — იშხანის განთქმული კათედრალის შესახებ.

ცნობები მშენებლობის შესახებ იშხანში ჩვენ მოგვეპოვება აღრეულ საშუალ საუკუნეებიდან, მე-7 საუკუნიდან მოკიდებული.

გიორგი მერჩულის ცნობით ძველი კათედრალი იშხანისა (რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა ამჟამად არსებულ იშხანის კათედრალს) აგებული იყო მე-7 საუკუნეში ადგილობრივი იარეგქის ნერსე იშხნელის მიერ<sup>1</sup>, რომელიც ნერსე მშენებლის ზედწოდებით არის ცნობილი.

იშხანის ეს ძველი ტაძარი მე-7 საუკუნისა (ისევე, როგორც ნერსე იშხნელის მიერ უფრო გვიან აგებული ზეარტნოცი) — წარმოადგენდა მრგვალი ტიპის ნაგებობას, რთულ კომპოზიციას, რომლის ცენტრი იყო მაღალი ტეტრაკონქი, გარშემო წრის სახით შემოვლებული გალერეით.

ნერსე იშხნელისეული ეს ძეგლები მე-7 საუკუნისა, როგორც იშხანი, ისე მისი შემდეგდროინდელი განმეორება ზეარტნოცი, გარეგნულად თუმცა დიდად ფაქტურ ნაგებობებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მოკლებული იყვნენ სიმკვიდრეს და აღრევე დანგრეულან.

მრგვალი ნაგებობა ამავე ტიპისა, როგორიც იყო იშხანი, ჩვენ ვვაქვს აგრეთვე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლში ბანაშვი, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ბანის გენიოს ხუროთმოძღვარს თავიდან აუცილებია ის კონსტრუქტიული დეფექტები, რომელიც ძველ იშხანს გააჩნდა. ბანის ხუროთმოძღვარმა შექმნა მხატვრულად კიდევ უფრო სრულყოფილი, ხოლო კონსტრუქტიულად ბევრად უფრო მკვიდრი ნაგებობა, რომელმაც ურყევად გასძლო საუკუნეები.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ იშხანის ძველი მე-7 საუკუნის კათედრალი თუმცა დანგრეულა, მაგრამ მთლად უკვალოდ არ გამქარა. იშხანის ამ ძველი მე-7 საუკუნის ნაგებობიდან გადარჩენილა ერთი ნაწილი, პატარა ფრაგმენტი, მრგვალი არკადა რვა სვეტზე; ეს ფრაგმენტი ძველი მე-7 საუკუნის ნაგებობისა შემოუნახავს იშხანის ახალ ხუროთმოძღვარს, რომელსაც უცვლელად ჩაუშენებია იგი იშხანის ახლად აგებულს კათედრალში<sup>2</sup>.

ეს რაც შეეხება იშხანის მე-7 საუკუნის ძველ ტაძარსა და მისგან გადარჩენილს პატარა ფრაგმენტს.

გადავიდეთ ამის შემდეგ იშხანის ახალ კათედრალზე.

<sup>1</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 66.

<sup>2</sup> ეს ფრაგმენტი იშხანის ძველი ნაგებობისა — ნაწილი საკურთხევლისა — იდენტიურია მრგვალი ტიპის ტაძრების, კერძოდ ბანის შესაფარდ ნაწილთან. იხ. ე. თაყაიშვილი, Христианские памятники, МАК, XII, გვ. 115 — 117.

იშხანის ახალი კათედრალი სულ სხვა ტიპის ნაგებობაა, ვიდრე ძველად, მე-7 საუკუნეში აქ არსებული ძეგლი. თუ მე-7 საუკუნის ძეგლი მრგვალი ტიპის ნაგებობას წარმოადგენდა, იშხანის ახალი კათედრალი წარმოადგენს უკვე თული ხუროთმოძღვრების ახლად დამკვიდრებულ სახეობას, რომელშიაც ჩვენ გვაქვს სინთეზი ბაზილიკის ტიპისა ცენტრალურ გუმბათოვან ტიპთან.

იშხანის ახალი კათედრალი სამართლიანად ითვლება კლასიკური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ ბრწყინვალე შედეგად.

რა დროს ეკუთვნის იშხანის ეს ახალი კათედრალი?

ჩვენს მსკოვანი არქეოლოგი აკად. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც ესოდენ დიდი ღვაწლი დასდო მეცნიერებას ტაოს მხარეში დაცული ძველი ქართული ძეგლების შესწავლით, იმ აზრს გამოსთქვამს, რომ იშხანის ახალი კათედრალი აგებული უნდა იყვესო მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში თვით საბან იშხნელის დროს<sup>1</sup>.

ამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომში არქიტექტორი ნ. სევეროვი იშხანს ბევრად უფრო გვიან ხანას მიაკუთვნებს, იგი მას მე-11 — 12 საუკუნეთა ძეგლად სთვლის<sup>2</sup>.

ნ. სევეროვის ეს შეხედულება, რომელიც არაფრით დასაბუთებული არ ყოფილა, როგორც ირკვევა მცდარია.

საქმე ის არის, რომ იშხანის კათედრალის ჩრდილოეთი ეკვდრის კედლებზე დაცულია დიდი საისტორიო წარწერა, რომელიც ზუსტად თარიღდება 954 — 955 წლებით და რომლის პირი გადმოღებული აქვს ე. თაყაიშვილს; ამ წარწერის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ამ დროს, მე-10 საუკუნის შუა წლებში, იშხანი ან უკვე მთლიანად აგებული ყოფილა, ან ყოველ შემთხვევაში ამ დროს სწარმოებდა მისი მშენებლობა.

ამას გარდა, იშხანში დაცულია წარწერა 1032 წლისა, რომელიც მოგვითხრობს იშხანის „განახლებისა“ და „განსრულების“ შესახებ და რომლის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ძირითადი მშენებლობა იშხანისა ამაზე ადრე ყოფილა ჩატარებული.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, მოსაზრება, თითქო იშხანის კათედრალი მე-11 — 12 საუკუნეთა ძეგლი იყვეს, თავისთავად იხსნება, როგორც სრულიად უსაფუძვლო, ფაქტების უბრალო უცოდინარობაზე დამყარებული.

შევეცადოთ ამის შემდეგ იშხანის კათედრალის აშენების თარიღის ზუსტად განსაზღვრას.

როგორც მოვიხსენეთ, ე. თაყაიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ იშხანის ახალი კათედრალი აგებული უნდა იყვესო მე-9 საუკუნის პირველ ნახევარშივე, საბან იშხნელის დროსვე.

ვფიქრობთ, რომ ეს შეხედულება არ უნდა იყვეს სწორი და აი რის გამო.

სრულის საფუძვლიანობით დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს დებულება, (რაც უკვე იყო მსჯელობის საგნად სპეციალურ ლიტერატურაში), რომ იშხანის ძველი მე-7 საუკუნის ტაძარი გამხდარა ერთგვარი პროტოტიპი ბანისათ-

<sup>1</sup> იხ. ე. თაყაიშვილი, წერილი: „თურქეთის მიერ მიტაცებულ ჩვენს მიწაზე“ (ვახ. კომუნისტი, 1946 წ. № 105).

<sup>2</sup> იხ. Н. Северов, Памятники грузинского зодчества, 1947 წ., გვ. 191 — 2.

ვის, რომ, ბანის გეგმა წარმოადგენს იშხანის ტიპის მრგვალი ტაძრის გეგმის შემდგომ გაუმჯობესებას, გადამუშავებასა და განვითარებას. ერკინული

ხოლო როდის არის აგებული ბანა, ეს ჩვენ ზუსტად ვიცით. მსგავსი ტიპის-ბანის მატრიანე გადმოგვცემს, რომ აღარნაყე ქართველთა მეფემ „ალაშენა ბანა ხელითა კვირიკე ბანელისაითა, რომელი იქმნა პირველი ეპისკოპოსი ბანელი“. მატრიანის ამ სრულიად ზუსტი ჩვენების თანახმად ბანა აგებულია აღარნერსე ქართველთა მეფის დროს, ე. ი. 888 — 923 წლებს შორის.

ხოლო რაკი იშხანის ძველი მრგვალი ნაგებობა მე-7 საუკუნისა გამხდარა პროტოტიპი ბანისა, რომლის გეგმაც ბანის ხუროთმოძღვარს გადაუმუშავებია, საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ იშხანის ეს ძველი ძეგლი ჯერ კიდევ არსებულა ამ დროს; და თუნდაც იგი დანგრეული ყოფილიყო, იგი ჯერ კიდევ მთლიანად მოსპობილი არ ყოფილა, რადგან მისი გეგმისა და კონსტრუქციის გათვალისწინება შესაძლებელი გამხდარა.

ხოლო, იშხანის ახალი კათედრალის მშენებლობის დაწყების დროს ეს ძველი შენობა მე-7 საუკუნისა, უკვე მოშლილი, მთლიანად დაუნგრევიით, და მხოლოდ მისი ერთი პატარა ნაწილი (მრგვალი არკადა რვა სვეტზე) დაუტოვებიათ და უცვლელად ჩაუმენებიათ ახლად აგებულ კათედრალში.

აღნიშნულის მიხედვით ჩვენ საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ იშხანის ახალი კათედრალი აშენებულია ბანის აგების შემდეგ, ე. ი. არა უადრეს 888 — 923 წლებისა.

ამრიგად ირკვევა, რომ იშხანის ეს ახალი კათედრალი არ არის საბან იშხანელის ეპოქის ძეგლი, არამედ მომდევნო ხანას ეკუთვნის.

საკითხავია ამის შემდეგ, რაში გამოიხატა ის მშენებლობა, რომელიც ჩატარებია იშხანში მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში საბან იშხანელს.

როგორც ირკვევა, ეს მშენებლობა გამოიხატა იშხანის ძველი მე-7 საუკუნის ძეგლის განახლებაში და არა ახალი კათედრალის აგებაში.

მართლაც, გიორგი მერჩულე ჩვენ მოგვითხრობს არა ახალი კათედრალის აგებაზე, არამედ ძველი ძეგლების განახლებაზე. გიორგი მერჩულე აღნიშნავს, რომ როდესაც გრიგოლ ხანძთელი და საბანი პირველად მოვიდნენო იშხანს, მათ გამოეცხადო „იშხანისა პირველი დიდებულება“, მათ იხილესო „დაბასა მისსა (იშხანისასა) წმიდანი ეკლესიანი“. ეს მიტოვებული ტაძრები და მათ შორის ძველი მთავარი ტაძარი — კათედრალი, სჩანს ჯერ კიდევ არ ყოფილა დანგრეული; მაინც, როგორც ირკვევა, ეს ტაძრები საგრძნობლად დაზიანებული და მოშლილი ყოფილა და „განახლებას“ ანუ, რაც ძველ ქართულად იმასვე ნიშნავს, „მეორედ აღშენებას“ საჭიროებდა. და გიორგი მერჩულის ცნობით საბან იშხანელმა ჩატარა ეს სარესტავრაციო — განმაახლებელი სამუშაოები, „მეორედ აღაშენა“ იშხანი<sup>1</sup>, ანუ, როგორც მეორედ აღვიღას ამბობს გიორგი მერჩულე, „კვალად განახლება იგი პირველებრ“<sup>2</sup>.

ამრიგად ეს ცნობა გიორგი მერჩულის ძეგლისა საბანის მშენებლობის შესახებ, რომ საბანმა „კვალად განახლება პირველებრ“ იშხანი, უნდა გაგებულ იქმნას პირდაპირი მნიშვნელობით, — საბანს „განუახლებია“ იშხანი „პირველებრ“, პირვეანდელი სახით.

<sup>1</sup> გიორგი მერჩულე, 66, 19.

<sup>2</sup> გიორგი მერჩულე, 46.



როგორც აღნიშნული გვექონდა, მრგვალი ტაძრები ამ ძველი იშხანის ტიპისა (როგორც იყო, გარდა თვით იშხანისა, მისი უფრო გვიანდელი უცნაურებში შევარტნოცი და კიდევ უფრო გვიანი ხანის ძველი — ანისის ტაძარზე) სხვაგვარად ნულად თუმცა დიდად ეფექტურ ნაგებობებს წარმოადგენდნენ, მათ აკლდათ სიმკვედრე და არც ერთ მათგანს არ გაუძლია ხანგრძლივად.

საბან იშხანელის მიერ მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში განახლებული ძველი იშხანი ყოველ შემთხვევაში არსებულა მე-9 — 10 საუკუნეთა საზღვრამდე, რამდენადაც იგი, როგორც აღვნიშნეთ, გამხდარა პროტოტიპი ბანისათვის, რომელიც აგებულ იქმნა 888 — 923 წლებში.

მე-9 — 10 საუკუნეთა საზღვარზე, როდესაც შესდგომიან ბანის მშენებლობას, იშხანი სიხანს უკვე ნაწილობრივ გამოდიოდა მწყობრიდან, ყოველ შემთხვევაში ამ დროს უკვე ამკარა ყოფილა მისი კონსტრუქციის დეფექტები, რაც გაუთვალისწინებია ბანის ხუროთმოძღვარს მრგვალი ტაძრის გეგმის გადამუშავების დროს.

მას შემდეგ, მეთუ საუკუნის პირველი ნახევრის ფარგლებში, იშხანის ძველი ტაძარი უკვე საბოლოოდ გამოსულა მწყობრიდან და შესდგომიან იშხანის ახალი კათედრალის აგებას სრულიად ახალი გეგმით (რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს სინთეზს ბაზილიკის ტიპისას ცენტრილურ გუმბათოვან ტიპთან).

იშხანის ახალი კათედრალის ამეწების თარიღის დაზუსტება შესაძლო ხდება ამ ძველის საფრესეო მხატვრობის მონაცემებისა და საისტორიო წარწერების ანალიზის საფუძველზე.

ჯერ იშხანის საფრესეო მხატვრობის შესახებ.

როგორც ეს ირკვევა ე. თაყაიშვილის მიერ გადმოღებული წარწერებიდან, იშხანის კათედრალის საფრესეო მხატვრობაში წარმოდგენილი ყოფილან შემდეგი ისტორიული პირები:

1. ბ ა გ რ ა ტ მ ა გ ი ს ტ რ ო ს ი, ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ნ ე ფ ე (937 — 945 წ. წ.);

2. ბ ა გ რ ა ტ ე რ ი ს თ ა ვ თ - ე რ ი ს თ ა ვ ი, ძე ადარნერსე კურაპალატისა (958 — 966 წ. წ.), რომელიც არის შვილისშვილი ზემოთ-დასახელებული ბაგრატ მაგისტროსისა, ქართველთა მეფისა.

3. ბ ა გ რ ა ტ II ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა ნ ე ფ ე, ძე სუმბატ კურაპალატისა (958 — 994 წ. წ.), რომელიც არის ძმისწული ზემოთ დასახელებული ბაგრატ მაგისტროსისა, ქართველთა მეფისა<sup>1</sup>.

ამას გარდა იშხანში დაცულია დიდი საისტორიო წარწერა მე-10 საუკუნისა, აღმოჩენილი ე. თაყაიშვილის მიერ; ეს წარწერა, რომელიც მოთავსებულია კათედრალის ჩრდილო ეკვდრის კედელზე და რომელიც თარიღდება 954 — 955 წლებით, შესრულებულია ქართველთა მეფე-კურაპალატის სუმბატ I-ის დროს (მისი მფლობელობის დასაწყისში, როდესაც მას ჯერ კიდევ არ ჰქონია მიღებული კურაპალატის ტიტული, ე. ი. ზუსტად 954—955 წლებში) და იშხანის იერარქის სტეფანე იშხანელის დროს. მეფე-კურაპალატი სუმბატ I არის უმცროსი ძმა ზემოთ-დასახელებული ბაგრატ II ქართველთა მეფისა.

<sup>1</sup> უკანასკნელი წარწერა, რომელიც ეხება ბაგრატ II-ის, დაზიანებულია, გადარჩენილა მხოლოდ წარწერის ბოლო: „...ძე სუმბატ კურაპალატისა“.

დასასრულ იშხანის კათედრალს დაუცავს საღმშენებლო წარწერა 1032 წლისა, სადაც აღნიშნულია, რომ ბაგრატ IV-ის დროს, იშხნელმა ეპისკოპოსმა ანტონ იშხნელმა „განახლა და განასრულა ეს ტაძარი და აღაშენა ხუროთმოძღვარი, რომელსაც მოუხდენია ეს „განახლება და განსრულება“ იშხანის კათედრალისა, ყოფილა იოანე მორჩაიხაძე.

თუ ჩვენ შევაფარდებთ ზემოთ-დადგენილ ფაქტებსა და წარწერების ჩვენებებს, ჩვენ საფუძველი გვეძლევა გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. იშხანის ძველი კათედრალი, აგებული მე-7 საუკუნეში ნერსე იშხნელის მიერ და განახლებული მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში საბან იშხნელის მიერ, არსებულია მე-10 საუკუნის პირველ ნახევარამდე, ყოველ შემთხვევაში ქართველთა მეფის ადარნერსე I-ის დრომდე, ე. ი. 888 — 923 წლებამდე.

2. იშხანის ეს ძველი კათედრალი გამხდარა პროტოტიპი ტაოს მეორე კათედრალის ბანის ტაძრისა, რომელიც აგებულია 888 — 923 წლებში; ბანის ხუროთმოძღვარს, როგორც მოხსენებული გვექონდა, გაუთვალისწინებია და დაუძლევია ის კონსტრუქტიული დეფექტები, რომელიც ძველ იშხანს გააჩნდა და შეუქმნია ახალი, მხატვრულად სრულყოფილი და კონსტრუქტიულად მკვიდრი ნაგებობა, რომელიც კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უდიადეს მიღწევას წარმოადგენს.

3. იშხანის ახალი კათედრალის აგება დაწყებულია ბანის მშენებლობის (888 — 923 წ. წ.) მომდევნოდ, მე-10 საუკუნის პირველი ნახევრის ფარგლებში. ამავე დროს ისიც ირკვევა, რომ იშხანის ეს ახალი კათედრალი მთავარ ნაწილში უკვე დასრულებული ყოფილა 954 — 955 წლებისათვის, როგორც ამას ცხად-პყოფს იშხანში დაცული წარწერა აღნიშნულის თარიღით.

4. იშხანის საფრესკო მხატვრობაში წარმოდგენილ ისტორიულ პირთაგან ყველაზე აღრინდელია ბაგრატ მაგისტროსი ქართველთა მეფე, რომელიც 823 — 937 წლების მანძილზე იყო თანამმართველი თავის ძმებისა, 937 წელს მიუღია მეფის ტიტული, ხოლო გარდაიცვალა 945 წელს.

ბაგრატ მაგისტროსი ქართველთა მეფე რასაკვირველია შემთხვევით არაა წარმოდგენილი იშხანის კედლის მხატვრობაში, მას ცხადია კავშირი ჰქონია იშხანის მშენებლობასთან. ხოლო თუ ჩვენ გავითვალისწინებთ, რომ ბაგრატ მაგისტროსის მფლობელობის წლები (923 — 937 — 945 წ. წ.) უდგება იმ რკალს, რომლის საზღვრებშიაც, როგორც გამოირკვეა, სწარმოებდა იშხანის კათედრალის მშენებლობა (ე. ი. 888 — 923 წლების შემდეგ და 954 — 955 წლების წინ) — ჩვენ საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ ბაგრატ მაგისტროსი ქართველთა მეფე ყოფილა კტიტორი იშხანისა, რომელსაც ღვაწლი მიუძღვის იშხანის ამ ახალი კათედრალის მშენებლობის დაწყებასა და პირველი ძირითადი მშენებლობის ჩატარებაში.

არაა გამორიცხული, რომ ბაგრატ მაგისტროსის თანამოღვაწენი იშხანის მშენებლობის დროს იყვნენ მისი ძმები — სამეფო საბლის წევრები (რომლებიც ერთად არიან დასახელებულნი 954 — 955 წლების წარწერაში) და აგრეთვე ცხადია იმდროინდელი იშხნელი იერარქები ბასილი და სტეფანე (რომლებიც აგრეთვე დასახელებული არიან იმავე 954 — 955 წლის წარწერაში).

5. იშხანის კათედრალის საფრესკო მხატვრობა, როგორც ირკვევა, შესრულებულია არა უადრეს 958 წლისა, რამდენადაც აქ გამოხატული არიან ბაგრატ II ქართველთა მეფე, რომელმაც მეფობა მიიღო 958 წელს, და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, რომელმაც ერისთავთ-ერისთავობა მიიღო აგრეთვე იმავე 958 წელს.



ამავე დროს ისიც ირკვევა, რომ ეს მხატვრობა შესრულებულია იმავე მე-10 საუკუნის მეორე ნახევრის ფარგლებშივე. (იგი უკვე არსებულია მე-11 საუკუნის დასაწყისისათვის, როგორც ეს ცხადი ხდება იშხანის „განმანახლებელის“ მიერ 1032 წელს ჩატარებული სამუშაოების განხილვიდან)<sup>1</sup>.

რაკი ამრიგად იშხანის მხატვრობა, როგორც ირკვევა, მე-10 საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლია, 958 წლის მომდევნო დროისა, ჩვენ საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ იშხანის მხატვრობა შესრულებულია თვით ამ მხატვრობის ფრესკებში გამოსახული მე-10 საუკუნის მეორე ნახევრის მფლობელების ბაგრატ II ქართველთა მეფის (958 — 994 წ.წ.) და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის (958 — 966 წ.წ.) მოღვაწეობით.

იშხანის მხატვრობა, როგორც ირკვევა მისი გადარჩენილი ნაშთების მიხედვით, ეკუთვნოდა ძველი ქართული ფერწერის საუკეთესო ქმნილებათა რიცხვს. ამით აიხსნება ის დიდი სახელი, რომელიც იშხანის მხატვრობას ჰქონია წარსულში: მისი სახელი ანდაზაში გადასულა. ადგილობრივ, მესხეთის მკვიდრთა შორის, გავრცელებული ყოფილა შემდეგი საანდაზო თქმა: „განთქმულია — მშვენება ოშკისა, ადგილმდებარეობა ხახულისა, მხატვრობა იშხანისა“.

6. იშხანის ახალი კათედრალის საბოლოო „განსრულება“ და მე-10 საუკუნის ნაგებობის ზოგიერთ ნაწილთა „განახლება“ მომხდარა მე-11 საუკუნის პირველ მესამედში. 1032 წლის წარწერაში, როგორც მოვიხსენიეთ, აღნიშნულია, რომ ბაგრატ IV-ის დროს იშხანის იერარქმა ანტონ იშხნელმა „განახლა და განასრულა ესე ტაძარი“ და რომ ხუროთმოძღვარი, რომელსაც მოუხდენია ეს „განახლება“ და „განსრულება“ იშხანის კათედრალისა, ყოფილა იოანე მორჩაიხ-ძე.

ახალ ხუროთმოძღვარს იოანე მორჩაიხ-ძეს (როგორც ეს გამოარკვეია ძეგლის ადგილობრივ შესწავლის დროს ე. თაყაიშვილმა), ცვლილება შეუტანია კერძოდ გუმბათის ნაგებობაში<sup>2</sup>.

ზოლო უმთავრესად იოანე მორჩაიხ-ძეს, როგორც ირკვევა, უმუშაენია ტაძრის გარეგან სამოსელზე, გარეგან შემკულობაზე (რაც სტილისტურად სწორედ მე-11 საუკუნის დასაწყისის ძეგლებს ენათესავება). ამრიგად ახალ ხუროთმოძღვარს იოანე მორჩაიხ-ძეს, იშხანის „განმანახლებელსა“ და „განმასრულებელს“ ეკუთვნის ის ბრწყინვალე ორნამენტირება, რომელიც ამშვენებს იშხანის კათედრალს, კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრების ამ დიდს ძეგლს.

<sup>1</sup> იხ. ქვემოთ, შენიშვნა 2.

<sup>2</sup> სახელდობრ ახალ ხუროთმოძღვარს „განახლებით“ სამუშაოს ჩატარების დროს გუმბათის რვა გულ წახნაგი შეუშვია იშხანის ხელოვნებით შესრულებული მოჩუქრობებული მრგვალი სარკმლებით. რომ ეს მრგვალი სარკმლები არ ჰქონდა თავდაპირველად გუმბათს და შემდეგ „განახლების“ დროს არის გაკეთებული, ირკვევა იმის მიხედვით, რომ სარკმლთა გამოკვეთის დროს დაზიანებულია გუმბათის შიგნით გამოსახული წინასწარმეტყველთა სურათები და მათი წარწერები (იხ. ე. თაყაიშვილი, დასახ. წერილი). აქედან ისიც დასტურდება, რომ იშხანის მხატვრობა უფრო ადრინდელი ხანისაა, ვიდრე მოხდებოდა იშხანის „განახლება“ 1032 წელს.

ლ.  
 არტაანი

გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენება არტაანის მხარის იერარქი ერუშელი ეპისკოპოსი (გვ. 89), რომლის რეზიდენცია იყო ერუშეთი ანუ ერუშენი.

ქართული საისტორიო წყაროების ჩვენებათაგან ირკვევა, რომ ერუშეთი წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ უძველეს საეკლესიო ცენტრს. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად ერუშეთი დაარსებულია მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში, იბერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების პირველ პერიოდში, მცხეთისა და მანგლისის საეკლესიო ცენტრებთან ერთად<sup>1</sup>.

მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვახტანგ გორგასარის დროიდან, ერუშეთში არსებობს საეპისკოპოსო კათედრა<sup>2</sup>. მისმა არსებობამ ამის შემდეგ გასტანა თორმეტი საუკუნე, ვიდრე თურქთა მფლობელობის დამყარებამდე, მე-16—17 საუკუნემდე.

თურქთა მფლობელობის დროს ერუშეთი, ეს ერთ-ერთი უძველესი ცენტრი მესხეთისა, განადგურებულა. კერძოდ ერუშეთის ძველი კათედრალი ნანგრევების სახით არის მიღწეული<sup>3</sup>.

ეს რაც შეეხება ერუშეთს.

აღნიშნავთ ამას გარდა, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენება პუნქტი სარწები, რომელიც, როგორც ირკვევა, აგრეთვე არტაანის მხარეში მდებარეობდა<sup>4</sup>.

## მ.

## ჯავახეთი

გიორგი მერჩულის თხზულებაში მესხეთის სხვა მხარეებთან ერთად დასახელებულია მხარე ჯავახეთი. აქ, ჯავახეთში, გიორგი მერჩულის ცნობით, 845—850 წლებში შეიკრიბა სრულიად იბერიის—ქართლის საკათალიკოსოს—საეკლესიო კრება, მოწვეული საქართველოს მთავრის გვარამ მამფელის მიერ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 88—96).

გვარამ მამფალი იყო თანამართველი ქართველთა სამეფოს მეთაურის მეფე-კურაპალატის ბაგრატ I-ისა.

მემატაიანის ცნობით გვარამ მამფალის სამფლობელოს შეადგენდა მესხეთისა და ქვემო-ქართლის შემდეგი მხარეები: „ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აშოცი და არტაანი“<sup>5</sup>. რეზიდენცია გვარამ მამფალისა, როგორც ირკვევა, იყო

<sup>1</sup> იხ. მატაიანე მოქცევა ქართლისა (ე. თაყაიშვილის გამოცემა OP, II, გვ. 714).

<sup>2</sup> იხ. ზემოთ, თავი VI (მნათობი, № 7, გვ. 135).

<sup>3</sup> ცნობები ერუშეთის კათედრალის მოღწეული ნაშთის შესახებ იხ. ე. თაყაიშვილი, Христианские памятники, МАК, XII, გვ. 69—70.

<sup>4</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 115. პუნქტი ამ სახელწოდებით სარწები დღემდისაც არსებობს არტაანის მხარეში; იგი მდებარეობს 10 კილომეტრზე ქალაქ არტაანიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

<sup>5</sup> იხ. მატაიანე ქართლისა, გვ. \*451/223.

ჯავახეთში (რომელიც პირველად არის დასახელებული გვიან, მამფალის სამფლობელო მხარეთა შორის). ცხადია ამით იყო გამოწვეული, რომ დასახელებული საეკლესიო კრება სრულიად იბერიისა (ქართლის საკათალიკოსოსი) ჯავახეთში ყოფილა მოწვეული გვიან მამფალის მიერ.

თუ საბედობრ რომელი პუნქტი იყო ამ დროს, მე-9 საუკუნეში, ცენტრი ჯავახეთისა, ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი ცნობა არ შენახულა. უფრო ადრინდელ ხანაში, მე-9 საუკუნის უწინარეს, ჯავახეთის ცენტრად დასახელებულია წუნდა, რეზიდენცია ჯავახეთის და არტანუჯის მხარეთა ერისთავისა<sup>1</sup>. ხოლო უფრო გვიან ხანაში, მე-10 საუკუნისა და მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში, ჯავახეთის მთავარ პუნქტებად მოიხსენება დლივი და ღრტილა, სადაც აქვთ სადგური, ჯავახეთში ყოფნის დროს, საქართველოს მეფეებს<sup>2</sup>. რაც შეეხება ჯავახეთის ახალქალაქს, იგი ხდება მთავარი პუნქტი ჯავახეთისა მე-11 საუკუნის ნახევრის შემდეგ<sup>3</sup>.

3.

სამცხე

გიორგი მერჩულის თხზულებაში მესხეთის სხვა მხარეებთან ერთად არა ერთგზის დასახელებულია მესხეთის ძირითადი მხარე სამცხე (იხ. გიორგი მერჩულე, 38, 41, 51, 57, 76, 89).

სამცხის პუნქტებიდან გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენება ციხე-ქალაქი სამცხის მხარისა აწყურთი (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 51, 89).

აწყურთი წარმოადგენდა სამცხის მხარის ძირითადს საეკლესიო ცენტრს. აქ იყო საეპისკოპოსო კათედრა სამცხის მხარის მთავარი იერარქებისა.

საეპისკოპოსო კათედრა აწყურთში, როგორც ირკვევა, დაარსებულია მე-5—6 საუკუნეთა საზღვარზე<sup>4</sup>. იგი არსებობდა აწყურთში ამის შემდეგ თორმეტი საუკუნის განმავლობაში, ვიდრე მე-17 საუკუნემდე.

სამცხის მხარის მოღვაწეთაგან გიორგი მერჩულის თხზულებაში დაწვრილებით არის მოთხრობილი ბიოგრაფია გრიგოლ ხანძთელის მოწაფის ეფრემ შაწყვეტელისა (იხ. ზემოთ, გვ. 101—102).

გიორგი მერჩულის თხზულება შეიცავს ცნობებს სამცხის მფლობელ მთავართა გვარეულობის (მირიანის-ძეთა სახლის) შესახებ. ამ გვარეულობის წარმომადგენელი არიან მირიან (II) — „დიდებული უფალი“ სამცხისა, და მისი ძე არსენი დიდი ქართლისა კათალიკოზი. (იხ. ზევით, თავი VI).

გიორგი მერჩულის ცნობით სამცხიდან იყვნენ წარმოშობით განთქმული მოღვაწე ქალი ფებრონია, განმანახლებელი მერის საფანისა მე-9 საუკუნე-

<sup>1</sup> იხ. ლეონტი მროველი, გვ. \*129/21 და სხვ. — ცხობრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. \*399 — 400/185, \*391/179 (შენ. 2).

<sup>2</sup> დლივის შესახებ იხ. შატაინე ქართლისა, \*468/242. ღრტილას შესახებ იხ. ცხობრება გიორგი I-ისა და ბაგრატ მე-IV-ისა, გვ. \*489/262, \*494/267, სიტყვის-გება ეფთიმე გრძელისა, საქართველოს სამოთხე, 1882 წ. გვ. 615.

<sup>3</sup> ქართულ შატაინეებს დაუცავთ ცნობა მშენებლობის შესახებ ახალქალაქში მე-11 საუკუნის 40-იან — 60-იან წლებში (იხ. ცხობრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა, გვ. \*486—7/260, \*497/269).

<sup>4</sup> აწყურთის საეპისკოპოსო მოიხსენება იბერიის (ქართლის) საეპისკოპოსოსთა ცნობილ სიაში 306 წლისა (იხ. ეპისტოლეთა წიგნი, 1901 წ., გვ. 182—3, უხტანეს ურპაელი, 1871 წ. გვ. 86. აწყურთელი იერარქი მოიხსენება სიაში შესამედ. საბელის დაწერილობა დაზიანებულია).

ნის დასაწყისში<sup>1</sup>, და ზეონ ხანძელი, მოწაფე და თანამოღვაწე გიორგი ხანძელისა<sup>2</sup>.

გიორგი  
ქართლისა  
გენერალისა  
გენერალისა

ზ.

ქართლ-სამცხის სანაპირო მხარე თორბ. —

საგანები: ნეძვი და კვირიკეთი (კვირიკეწმინდა).

გიორგი მერჩულის ცნობით ძველ-ქართული საგანები ნეძვი და კვირიკეთი (კვირიკეწმინდა)—მდებარეობდნენ „ზოგად ქართლისა და სამცხისა არეთა“ — „კერძოთა ქართლისათა“ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 76 — 79).

ამრიგად ეს ზონა ითვლებოდა ქართლისა და სამცხის სანაპირო მხარედ („ზოგად ქართლისა და სამცხის არე“-დ), ხოლო ადმინისტრაციულად იგი ქართლის ნაწილს შეადგენდა.

იმის დასადგენად, თუ სად გასდევდა მე-8 — 10 საუკუნეებში ქართლისა და სამცხის ადმინისტრაციული საზღვარი და სად მდებარეობდა ქართლი-სამცხის ეს სანაპირო მხარე (რომელსაც თორბ რქმევია) — საჭიროა განვსაზღვროთ ადგილმდებარეობა პუნქტებისა ნეძვისა და კვირიკეთისა (კვირიკეწმინდისა).

1. ადგილმდებარეობა ნეძვისა ცნობილია. ეს პუნქტი ნეძვი მდებარეობს ეხლანდელ ბორჯომის რაიონში, მდინარეზე, რომელსაც ეწოდება ნეძვის-ხევი და რომელიც ერთვის მტკვარს ახალდაბასთან.

2. ადგილმდებარეობა მეორე საგანისა შესაძლოა მხოლოდ ზოგადად იქმნეს განსაზღვრული.

სახელწოდება ამ მეორე საგანისა გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენება ორნაირად: კვირიკეთი და კვირიკეწმინდა (იხ. გვ. 19, 76 — 78).

პუნქტი ამნაირი სახელწოდებით კვირიკეთი ანუ კვირიკეწმინდა ამჟამად ცნობილი არაა.

არსებობს მხოლოდ პუნქტი, რომელსაც მსგავსი სახელი — საკვირიკე ეწოდება. საკვირიკე ჰქვიათ სოფელს, რომელიც მდებარეობს ბორჯომისა და ახალციხის რაიონების საზღვართან, მტკვრის ნაპირას, 8 კილომეტრზე სოფელ აწყურთან ჩრდილო-აღმოსავლეთით. (იქვეა მთაც, იმავე სახელწოდებით: საკვირიკე).

სახელების მსგავსების გამო შესაძლოა გვეფიქრა, რომ საკვირიკე არის იგივე კვირიკეთი ანუ კვირიკეწმინდა, მით უფრო, რომ საკვირიკე დაახლოებით იმავე ზონაში მდებარეობს, სადაც საძიებელია კვირიკეთი — კვირიკეწმინდა, ე. ი. ბორჯომისა და ახალციხის რაიონების მიდამოებში.

მაგრამ, როგორც ეს ირკვევა მე-16 საუკუნის დასასრულის დოკუმენტიდან — გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან, საკვირიკე სხვა ყოფილა, ხოლო კვირიკეთი (კვირიკეწმინდა) სხვა.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენებულია ორივე ეს პუნქტი. სახელდობრ ახალციხის ლივის აწყურის ნაპირს სოფლების სიაში მეთვრამეტედ დასახელებულია სოფელი სახელწოდებით „საკვირიკე“ **كويريكي** ხოლო

<sup>1</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 38.

<sup>2</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 41 — 43.

<sup>3</sup> იხ. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გამოცემა ს. ჯიქიასი, 1941 წ., გვ. 9, 93 (თურქული ხელნაწერის გვ. 14 და 86).

მეშვიდედ დასახელებულია სოფელი, რომლის სახელი ორნაირად არის მოყვანილი: ერთგზის (დავთარის ძირითად ტექსტში) — „კვირიკეწმიდა“ *კვირიკეწმიდა* მეორეგზის (დავთარის სარჩევში) — „კვირიკე“ *კვირიკე*

ამრიგად გიორგი მერაულის თხზულებაში დასახელებული „კვირიკეთი“ — „კვირიკეწმიდა“ არის ეს მეორე სოფელი მოხსენებული გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში: „კვირიკე“ — „კვირიკეწმიდა“.

თუ სად მდებარეობდა ეს სოფელი კვირიკეთი — კვირიკეწმიდა, შესაძლოა საკმაო სიზუსტით იქმნას დადგენილი გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის სოფლების სიის თანამიმდევრობიდან.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში სოფლები აწყურის ნაპიესი ჩვენთვის საინტერესო სექტორში ჩამოთვლილია ასეთის თანრიგით:

ორფოლა, ბლორძა, ხიდეთი, გელაანთ-უბანი, კოპეთი, კვირიკეწმიდა, საყუნეთი, ტყემლოვანა.

ამ რვა სოფლიდან — ოთხი ცნობილია: ო რ ფ ო ლ ა, ბ ლ ო რ ძ ა, ს ა ყ უ ნ ე თ ი და ტ ყ ე მ ლ ო ვ ა ნ ა; ყველა ისინი დღესაც ატარებენ იმავე სახელებს და მდებარეობენ ერთ უბანში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, აწყურის სამხრეთით. (ამჟამად არსებული ადმინისტრაციული დანაწილებით ისინი შედიან საყუნეთის სოფლის საბჭოში).

სახელწოდება მეხუთე პუნქტისა — გ ე ლ ა ა ნ თ უ ბ ა ნ ი თუმცაღა აღარ შენახულა, მაგრამ მისი ადგილმდებარეობა აგრეთვე ზუსტად ირკვევა, რადგან დოკუმენტში პირდაპირ აღნიშნულია, რომ გელაანთუბანი მდებარეობს ბლორძასთან. ასევე დავთარში მოხსენებული სოფელი კ ო პ ე თ ი, რომელიც თანრიგის მიხედვით ბლორძისა და საყუნეთის სექტორში უნდა მდებარეობდეს, ცხადია არის თანამედროვე სოფელი კ ო პ ა ძ ე, რომელიც სწორედ ბლორძასა და საყუნეთს შორის მდებარეობს.

ამრიგად ირკვევა, რომ ყველა ეს სოფლები მდებარეობდნენ ერთს ვიწროდ შემოფარგლულ უბანში, საყუნეთის თემის ფარგლებში, და რომ სოფლები აქ გეოგრაფიული თანამიმდევრობის მიხედვით არიან ჩამოთვლილი.

ყოველივე აღნიშნულის მიხედვით ჩვენ საფუძველად გვეძლევა დავასკვნათ, რომ გიორგი მერაულის თხზულებაში დასახელებული კვირიკეთი (კვირიკეწმიდა) მდებარეობდა აქ აღნიშნულ უბანში, საყუნეთის თემის ფარგლებში, სოფლების ბლორძა — კოპაძე (კოპეთი) — საყუნეთის სექტორში.

რომ კ ვ ი რ ი კ ე თ ი — კ ვ ი რ ი კ ე წ მ ი დ ა მდებარეობდა აქ აღნიშნულ ზონაში, საყუნეთის თემის ფარგლებში, ამას, გარდა გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის ზემოთგანხილული ჩვენებისა, ადასტურებს აგრეთვე მონღოლთა ხანის ქართველი ისტორიკოსის ეამთაღმწერელის ტექსტის ცნობა.

ეამთაღმწერელს მოთხრობილი აქვს თათართა და ქართველთა რაზმების შეტაკების შესახებ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, აწყურის მახლობლად, იმ სექტორში, სადაც მტკვარს მარცხენა მხრიდან შეერთების გურკელის წყალი, ე. ი. ნიშნობლივ საყუნეთის ზონაში. ეამთაღმწერელი მოგვითხრობს, რომ ბრძოლის დროს დამარცხებულნი ივლტოდნენო აწყურსა და კვირიკეწმიდაში. მოგვიყავს ეამთაღმწერელის ტექსტი: „სამძივარი (ბრძოლის მონაწილე ქართველი მთავარი) ცხემოყვლი ცურვით ივლტოდა და აწყურს შევიდა; მხედართმთავარი თათართა ყურუშჩი ბადურ მოიკლა და [თათარი]. უწესოდ დაბნეულნი, გზისა

სამეოტისა ვერ დამპყრობენი, შეივლტოდეს მთად რუგეთისა აღმართსა მწელდ სვალსა, სოფელსა, რომელსა ჰქვიან კვირიკეწმიდა<sup>1</sup>.

მაშასადამე ეამთადმწერელის ამ ცნობის თანახმად კვირიკეწმიდა მდებარეობდა ირეკეწმიდა მახლობლად, რუგეთის მთის კალთებზე, საყუნეთის თემის ზონაში.

რაკი სპრიგად ჯადგილმდებარეობა დასახელებული ძველ-ქართული საეანეებისა, როგორც ნეძვისა, ისე კვირიკეთისა (კვირიკეწმიდისა) გარკვეულია, ჩვენ საშუალება გვეძლევა განვსაზღვროთ, თუ სად მდებარეობდა ქართლ-სამცხის ეს სანაპირო მხარე — „ზოგად ქართლისა და სამცხისა არენი“ და სად ვასდევდა ქართლისა და სამცხის ადმინისტრაციული საზღვარი.

ქართლ-სამცხის ეს სანაპირო მხარე, „ზოგად ქართლისა და სამცხის არენი“, რომელიც მე-8 — 10 საუკუნეებში ადმინისტრაციულად ქართლის ნაწილს შეადგენდა, როგორც ირკვევა მოიცავდა თანამედროვე ბორჯომის რაიონს თითქმის მთლიანად (გარდა მტკვრის მარცხენა სანაპირო ზონისა, რომელიც სამცხის ფარგლებში შედიოდა)<sup>2</sup>, ამას გარდა იგი მოიცავდა ბორჯომის რაიონის მომიჯნავე საყუნეთის სექტორს ახალციხის რაიონისას (ე. ი. სექტორს, სადაც მდებარეობდა კვირიკეწმიდა).

ასეთი ყოფილა ქართლისა და სამცხის ადმინისტრაციული საზღვარი მე-8—10 საუკუნეებში.

უფრო გვიან, მე-10—11 საუკუნეთა მიჯნაზე, საზღვარის ხაზი ოდნავ შეცვლილა. სახელდობრ ზემოთ დასახელებული ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, — საყუნეთის სექტორი (ახალციხის რაიონისა) და მის მეზობლად მდებარე ტაძრისის სექტორი (ბორჯომის რაიონისა) — ჩამოშორებია ქართლს და შეერთებია სამცხეს. მე-11 საუკუნის ქართულ ძეგლში, ვიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიაში, ტაძრისი უკვე მოიხსენება არა ქართლში, არამედ სამცხის საზღვრებში<sup>3</sup>.

\*

შევეხოთ ამის შემდეგ საკითხს, თუ რა ერქვა ქართლი-სამცხის ამ სანაპირო მხარეს, რომლის ფარგლებშიაც მე-8 — 10 საუკუნეებში მდებარეობდა საეანეები ნეძვი და კვირიკეთი (კვირიკეწმიდა), და რომელი მხარეც ამ ეპოქაში ქართლის ნაწილს შეადგენდა.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ უფრო გვიან ხანაში, მე-10—12 საუკუნეებიდან მოკიდებული, ქართლი — სამცხის ამ სანაპირო მხარეს თორი ერქვა. ხოლო რა დროიდან მომდინარეობს ეს სახელწოდება? არის თუ არა იგი ძველი დროისა, ასე ეწოდებოდა თუ არა მას წინარე ეპოქაში, მე-11 საუკუნის უწინარეს ხანაში? ეს კითხვა დღემდე გარკვეული არ იყო.

<sup>1</sup> იხ. ეამთადმწერელი, გვ. \*864 — 5/708 — 9.

<sup>2</sup> რომ მტკვრის მარცხენა სანაპირო თანამედროვე ბორჯომის რაიონისა სამცხის ფარგლებში შედიოდა, ეს ირკვევა ლეონტი მროველის ტექსტის მიხედვით: ლეონტი მროველის ცნობით სამცხის ტერიტორია აღწევდა ვიდრე ტაშისკარამდე. ტაშისკარი კი, შესაძლოა ყოფილიყო სამცხის საზღვარი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბორჯომის რაიონის ერთი ნაწილი სამცხის საზღვრებში იყო მოქცეული. ხოლო რაკი მტკვრის მარჯვენა სანაპირო ქართლის ნაწილს შეადგენდა, მტკვრის მარცხენა სანაპირო, როგორც ირკვევა, სამცხის ტერიტორია ყოფილა.

<sup>3</sup> იხ. ცხორება ვიორგი მთაწმიდელისა (ათონის კრებული, 1901 წ.) გვ. 286.



მე-7—9 საუკუნეთა ძეგლის, უსახელო გეოგრაფიის იმ ნაწილიდან, რომელიც საქართველოს აღწერას შეიცავს და რომელიც დღემდე სათანადოდ შენარჩუნებული არ ყოფილა, ირკვევა, რომ სახელწოდება ამ მხარისა თორი ძველი დროიდანვე არსებულა.

მოგვეყვას ამ ძეგლიდან ერთი ნაწყვეტი, რომელიც ეხება საქართველოს იმ სექტორს, სადაც ერთმანეთს ემიჯნება მესხეთის მხარეები ჯავახეთი და სამცხე და ზენა-სოფლის (შიდა-ქართლის) მხარეები:

„(გავლის მტკვარი) ჯავახეთის ძირიდან, ჩამოშვება (მტკვარი) სამცხეში, მოქცევა მტკვარი აღმოსავლეთისაკენ, გავლით ქართლის ზენა-სოფელზე, და შემდეგ მხარეებს: თორი, გოვათის-ხევი, ტორნის-ხეობა, მანჯლისის ხეობა... ხოლო ჩრდილოეთით დიდი მდინარე მტკერისა არგვეთის მთიანეთი და იმავე მხრიდან ელი დვანისა...“<sup>1</sup>.

ამრიგად ამ ტექსტის მიხედვით დასტურდება, რომ მე-7—9 საუკუნეებში სახელწოდება ქართლი-სამცხის ამ სანაპირო მხარისა ყოფილა თორი, და რომ თორის ეს მხარე ამ ეპოქაში ქართლის ნაწილს შეადგენდა.

სახელწოდება მხარისა თორი მომდინარეობს დაბა თორის სახელიდან, რომელიც ამ მხარის ცენტრი ყოფილა. (ეს პუნქტი, ამავე ძველი სახელწოდებით თორი, დღემდისაც არსებობს ბორჯომის ხეობაში).

თორის სახელი რქმევია აგრეთვე მდინარესაც, რომელიც თორის-წყალის სახელით მოიხსენება.

ადგილმდებარეობა თორისა და მის მეზობლად მდებარე სადგერი-სა ასე აქვს აწერილი ვახუშტი ბატონიშვილს:

„(ხანა — რვილის) ზევს ზევით ერთვის მტკვარს თორის-წყალი. ამ შესართავს სამხრით არს სადგერს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უღის აღმოსავლით თორის მდინარე დასავლით შეაწყალი... ამ სადგერს ზევით არს დაბა თორი“<sup>2</sup>.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ სახელწოდება ამ მხარისა თორი, რომელიც ამ-რიგად დამოწმებულია მე-7—9 საუკუნეებიდან, ხმარებაში იყო როგორც სახელწოდება მხარისა მე-7—9 საუკუნეებიდან მოკიდებული ვიდრე მე-14 — 15 საუკუნეებამდე. ხოლო უფრო გვიან, მე-14 — 15 საუკუნეებიდან მოკიდებული თორი როგორც სახელწოდება მხარისა გამოდის ხმარებიდან და მის ნაცვლად ამ მხარეს ეწოდება სადგერი (ანუ სადგერის ხეობა)<sup>3</sup>. მხარის სახელის ეს შეცვლა ცხადია იმით ყოფილა გამოწვეული, რომ ცენტრი მხარისა ამ უფრო გვიან ხანაში დაბა თორიდან გადატანილი იყო სადგერში.

გადავიდეთ ამის შემდეგ გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებზე თორის მხარეში მდებარე სავანეების ნეძვისა და კვირიკეთის (კვირიკეწმინდის) დაარსების შესახებ.

<sup>1</sup> იხ. მე-7—9 საუკუნეთა უსახელო გეოგრაფია 1881 წ., გვ. 28. (ტექსტი დადგენილი გვაქვს ამ ძეგლის ყველა არსებული ვერსიების მიხედვით).

<sup>2</sup> იხ. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, 1941 წ., გვ. 83.

<sup>3</sup> იხ. მესხეთის საეპისკოპოსოსთა საზღვრების აღწერილობა (ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1907 წ., გვ. 76), ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, loc. cit.

გიორგი მერჩულის ძეგლი შეიცავს მეტად მნიშვნელოვან ცნობებს ქართლ-მესხეთის ამ სანაპირო მხარის მდგომარეობის შესახებ მე-8 — 9 საუკუნეთა მანძილზე.

გიორგი მერჩულის ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ მე-8 საუკუნეში თორის მხარეს, არაბების შემოსევათა შედეგად, დიდი განადგურება განუცდია, ისევე როგორც მესხეთის მეზობელ ქვეყნებს, კერძოდ სამცხეს. გიორგი მერჩული მოიხსენებს „ზოგად ქართლისა და სამცხისა არეთა მათ უდაბნოთა“<sup>1</sup> ქართლ-მესხეთის ეს სანაპირო კუთხე, თორის მხარე, იმდენად ყოფილა გავერანებული, რომ უდაბნოდ ყოფილა ქცეული.

ამ მხარის ხელახალი აღორძინება დაწყებულია მე-9 საუკუნიდან. პიონერები ახალი მშენებლობისა ამ მხარეში ყოფილან მე-8 — 9 საუკუნეთა დიდი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის მოწაფეები, — თევდორე, რომელსაც დაუარსებია ამ მხარეში სავანე ნეძვი, და ქრისტეფორე, რომელსაც დაუარსებია სავანე კვირიკეთი (კვირიკეშიდა).

გიორგი მერჩულის თხზულებაში მოთხრობილია ამ მოღვაწეთა ბიოგრაფია. თევდორე და ქრისტეფორე მე-8 საუკუნის დასასრულსა და მე-9 საუკუნის პირველ ათეულ წლებში მოღვაწეობდნენ გრიგოლ ხანძთელთან ერთად კლარჯეთში.

840 წლის ახლო ხანებში თევდორე და ქრისტეფორე გადმოსულან ქართლ-მესხეთის ამ სანაპირო მხარეში და დაუარსებიათ ეს სავანეები ნეძვი და კვირიკეთი გრიგოლ ხანძთელის დახმარებითვე.

პირველი მოახალშენეები ამ სავანეებისა, ნეძვისა და კვირიკეთისა, გადმოსულან კლარჯეთიდან, ხანძთიდან.

(იხ. გიორგი მერჩულე, 76—79, 19, 50, 51, 53, 57, 59, 60, 98, 99).

შემდგომი ისტორია თორის მხარისა იგივეა, რაც მეზობელ მესხეთის მხარეებისა.

მომდევნო ხანა, მე-9 საუკუნიდან მოკიდებული, ეს არის ეპოქა ამ მხარის დიდი აღორძინებისა.

თორი გადაიქცა საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე მხარედ. როგორც ცნობილია ამ მხარიდან, თორიდან იყვნენ მთელი წყება განთქმული სახელმწიფო მოღვაწეებისა საშუალ-საუკუნეთა საქართველოში.

მე-12 — 14 საუკუნეებში თორი არის ცენტრი დიდი ადმინისტრაციული გაერთიანებისა, თორის საერისთავთ-ერისთავოსი, რომლის ფარგლებშიაც შედის გარდა საკუთრივ თორის მხარისა, ჯავახეთი და მტკვრის სამხრეთი სანაპირო ქართლისა.

უფრო გვიან ხანაში, მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული როდესაც ჩრდილო-აღმოსავლეთი მესხეთის მხარეები დაიპყრეს თურქებმა, შეიკვალა აგრეთვე თორის მხარის ბედი, იწყება ხელახალი გავერანება თორის მხარისა.

მე-16 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, თურქებმა, სამცხის აღების შემდეგ, თორის მხარეც დაიპყრეს.

<sup>1</sup> იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 76.



თუ რამდენად მძიმე მდგომარეობა შექმნილა ამ მხარეში თურქეთის-ბატონოების შედეგად, ირკვევა, იმის მიხედვით, რომ დიდი ნაწილი მოსახლეობის აყრილა ამ დროს თორის მხარიდან და გადმოსულა შიდა-საქართველოში.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთარიდან ირკვევა, რომ 1595 წლისათვის, ე. ი. თურქთა მფლობელობის დამყარების პირველ ათეულ წლებშივე, თორის მხარიდან მთლიანად აყრილა 42 სოფელი, ხოლო დანარჩენი სოფლების მოსახლეობა საგრძნობლად შემცირებულა.

მას შემდეგ, მე-17 საუკუნეში, თორის მხარე ვიდრე დვირამდე თუმცა განთავისუფლებულ იქმნა თურქთაგან და ისევ ქართლს შეუერთდა, მაგრამ ვინაიდან თურქებს ეჭირათ მეზობელი სამცხე, ახალციხის მხარე, რომელიც თურქთა ბატონობის ციტადელს წარმოადგენდა, თურქები გამუდმებულ თარეშს აწარმოებდნენ მეზობელ თორის მხარეში. მას შემდეგ თორის მხარეს მშვიდობიანობა აღარ ღირსებია და მოსახლეობა იძულებული გამხდარა თანდათანობით აყრილიყო ამ მხარიდან. ასე დაცალა და გავერანდა მე-16 საუკუნის დასასრულიდან მოკიდებული ვიდრე მე-18 საუკუნემდე თორის მხარე.

ამ დროსვე დაცლილა და გავერანებული კერძოდ ის ძველი სავანეებიც, რომლებიც აგებული იყო ამ მხარეში გიორგი მთაწმინდელის მოწაფეთა მიერ, — ნეძვი და კვირიკეთი (კვირიკეწმიდა).

ნეძვის სავანე, რომელიც საშუალ-საუკუნეებში, როგორც ცნობილია, დიდი სახელით სარგებლობდა. (კერძოდ აქ მოღვაწეობდა მე-11 საუკუნის 60-იან წლებში განთქმული მწერალი გიორგი მთაწმინდელი), — ამჟამად ნანგრევების სახით არის მოღწეული.

რაც შეეხება კვირიკეთს (კვირიკეწმიდას), ამ პუნქტის თვით სახელწოდებაც გამჭრალა და აღგიმდებარეობა ამ სავანისა დღემდე დადგენილი არაა.

ჩვენ ამით ვასრულებთ განხილვას გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებისას შესხეთზე და შესხეთის მეზობლად მდებარე თორის მხარის შესახებ.

გადავდივართ ამის შემდეგ განხილვაზე იმ შემცდარ შეხედულებათა, რომლებიც გამოთქმული იყო ლიტერატურაში სამხრეთ-საქართველოს ისტორიის საკითხთა გამო და კერძოდ შესხეთის მხარეთა ისტორიის შესახებ.

(დაგრძელება იქნება)

## ბიბლიოგრაფია



ოთარ ჩხეიძე „ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლის თემა ქართულ საზოგადოებაში“ „საზოგადოებრივი მშვიდობისათვის“ 1950 წ.

ო. ჩხეიძის წიგნი ქართულ საზოგადოებაში მშვიდობისათვის ბრძოლის მოტივების მკაფიო დახასიათებას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ თვით ქართული საზოგადოებრივი მშვიდობისათვის არ იძლევა მდიდარ მასალას ო. ჩხეიძის მიერ შერჩეული აქტუალური თემისათვის, ავტორმა მაინც შესძლო მუშაობა საზოგადოებრივი წიგნი მიუწოდებია მშვიდობისათვის.

ო. ჩხეიძის წიგნი იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ მასში მოცემულია იმპერიალიზმისა და მისი გაბრუნების იდეოლოგიის მწვავე კრიტიკა (ელიატი, ჰენრი მილერი და სხვ.)

წიგნის დასაწყისში კაპიტალიზმის ეკონომიური კრიზისების დახასიათებისას ავტორი წერს: „ეკონომიური კრიზისების შესაყრებლად აქამდე შემუშავებული ყველა გეგმა და რეფორმა უხადრუცი გამოდგა, მით უფრო უხადრუცი, უსასო, უმწეო იქნება ამიერიდან“ (გვ. 5). ამასთანავე წიგნის შესავალ ნაწილში დახასიათებულია ამერიკის იმპერიალიზმის საზოგადოებრივი პოლიტიკის რეაქციული ბუნება.

ამერიკის შერეობული შტატების მმართველი წრეები მესამე მსოფლიო ომს ამზადებენ. ისინი ამით სცდილობენ მოსპონ ყველა ის წინააღმდეგობა, რომელიც მათ არსებობას ემუქრება. მაგრამ ამერიკელი იმპერიალისტები სასტიკად სტყუებდნენ. მესამე მსოფლიო ომს იმპერიალიზმის მთელი სისტემისათვის მოაქვს სასიკვდილო განაჩენი.

ავტორი საშინაოდანადაც წინ სწევს პოლიტიკური პაპიფიქსის მნიშვნელობას ქართულ საზოგადოებრივი მშვიდობისათვის. პოლიტიკური პაპიფიქსი შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებრივად „ნაწყდებს და მართლად გადმოსცეს უცხო და მტრული ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების სასიკვდილო, კაპიტალიზმ-იმპერიალისტური სახელმწიფოს, ჩრდილოეთ-ამერიკის „ცხოვრების ახალი სახეობა“, იმპერიალისტების თავბრუდამხვევი სამზადისი ახალი ომისათვის“ (გვ. 99).

ამასთან დაკავშირებით ავტორი არჩევს ს. კლდიაშვილის „დევის ექსპულს“, და დასძენს რომ ამ მოთხრობით ს. კლდიაშვილმა „შექმნა მებრძოლი საზოგადოებრივი მშვიდობისათვის“ (გვ. 98).

ამერიკის იმპერიალიზმის საზოგადოებრივი და დამატრალურად უპირისპირდება საზოგადოებრივი მშვიდობისათვის სტალინური პოლიტიკა. საზოგადოებრივი, რომელიც ზღვრულად ეწინააღმდეგება საერთაშორისო მშვიდობისათვის მსოფლიოს მიღობობით უზარალო ადამიანს მძღვერ მოძრაობას, ყოველ ღონეს ხმარობს საერთაშორისო მშვიდობისა და ხალხთა მშვიდობის განმტკიცებისათვის. საზოგადოებრივი სულთნად უჭერს მხარს ხალხთა მშვიდობის სტალინური პოლიტიკის და მშვიდობისათვის მებრძოლ ადამიანთა ავანგარდში იმყოფება. საზოგადოებრივი წარმოიშვა ახალი თემა, ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლის თემა.

საზოგადოებრივი მშვიდობისათვის ბრძოლის თემა თავიანთი შემოქმედების ერთ მნიშვნელოვან თემად გაიხადეს. ქართველმა საზოგადოებრივმა თემათა შემოქმედებამ, თემაცავე ვერ კიდევ სუსტად, მაგრამ, მაინც შესამჩნევად გამოხატეს ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლის მოტივები. წიგნი ო. ჩხეიძე მოკლე შინაარსისაა შესავლის შემდეგ სწორედ ამ მოტივების უშუალო დახასიათებაზე გადადის.

თურქეთის საკითხის განხილვისას ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ ქართულ საზოგადოებრივად ნაწარმოებებში თურქეთში ქართველთა წამებისა, ეროვნული სულისკეთების ჩახშობისა და სხვა ბოროტებათა გამოაშკარებება არამარტო ეროვნული ტყვეობის გამოხატულებაა, არამედ იგი ამასთანავე მიზნად ისახავს დავიანტის თურქეთი, როგორც საერთაშორისო მშვიდობის მტერი. თურქეთის საკითხთან დაკავშირებით წიგნი განხილულია გრძელად ამაშიდის ლექსების ციკლი „საშრეთ საზღვარზე“ და ილია მისაშვილის პიესა „ჩა-

ძირული ქვეები“. გრიგოლ აბაშიძის ლექსების ცკელი „სამხრეთ საზღვარზე“ და ილო მოსაშვილის პიესა „ჩაბირული ქვეები“ სავსებით ცხადად და მკაფიოდ წარმოგვიდგენს ღლეანადელი თურქეთის აგრესიულ სახეს. ღლეანადელი თურქეთის აგრესიული სახის გამოქველანება ამ ნაწარმოებთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. ავტორი მოკლედ განიხილავს ამ ორ ნაწარმოებს, მაგრამ ამ მოკლე განხილვაში იგი იძლევა მათი ღედაარსის ღრმა ანალიზს.

შემდეგ წიგნში განხილულია საბჭოთა ადამიანთა შეგნებაში კაბიტალისტური გადმონაშთების დამლევის საქითი და მისი მნიშვნელობა საბჭოთა ხალხის საერთაშორისო მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. მაგრამ ავტორი არ არის სწორი თითქოს ლ. ქაბელის „მთის კაცის“ თემა უფილიყო ადამიანთა შეგნებაში კაბიტალისტური გადმონაშთების დალევა, თითქოს ამ რომანში „ყველაზე მეტი სიფართოვით, მეტი სიძლიერითა და დამაჯერებლობით არის გადმოცემული აღნიშნული თემა“ (გვ. 54). ამხანაგ კ. ჩარკვიანმა 1949 წლის 25 იანვრის საანგარიშო მოსხუნებაში ზუსტად და მკაფიოდ განსაზღვრა ლ. ქაბელის „მთის კაცის“ თემა და მისი იდეურ-მხატვრული რაობა:

„კავკასიის დაციის ამბებისადმი მიძღენილ ამ ნაწარმოებში მწერალმა დიდი მხატვრული ძალით წარმოსახა საბჭოთა ადამიანები, მათი მორალური თვისებანი, მათი ერთგულება დიდი სოციალისტური სამშობლისადმი“.

ავტორი სავსებით სამართლიანად წერს, რომ „საერთაშორისო მშვიდობისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ხალხთა ერთიანობას, დიდი და მცირე ერების დაბლობებას, დამეგობრებას“ (გვ. 60).

ხალხთა მეგობრობის დიდი მოტივეები ნათლად გამოსკვივის ქართულ საბჭოთა მწერლობაში. ხალხთა მეგობრობის იდეა ერთერთი ძირითადი იდეა ყოველი ნამდვილი საბჭოთა მწერლის შემოქმედებისა. ამით უღიწვევად საბჭოთა ლიტერატურის ინტერნაციონალურა ხასიათი. წიგნში სავსებით მკაფიოდ არის ნაჩვენები, რომ ქართულ საბჭოთა მწერლობაში უკვე ასახულია არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი მეგობრობა, (მ.გ. ს. ჩიქოვანის „სიმღერა გურამიშვილზე“, კ. კალაძის „სიმღერა დნებარის პირად“, დ. ბაქრაძის „გმირთა სისხლით“, კ. ლორთქიფანიძის და რ. გვეტაძის ბელორუსული მოთბრობები და სხვ.), არამედ ასახულია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობაც (მ.გ. გ. ლეონიძის ლექსები უნკრეთზე). ზედმეტი არ

იწებოდა, რომ ავტორის თაის წიგნში მოკლე დახასიათება მოეცა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მწერლობაში საბჭოთა ხალხთა მეგობრობის აუცილებლობის შემცველი იდეებისა, რადგან სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხების მეგობრობა საბჭოთა კავშირთან მათი თაისუფლები და დამოუკიდებლობის მტკიცე გარანტიაა. ამევე ღროს ეს მეგობრობა უფრო აძლიერებს საერთაშორისო მშვიდობისათვის ბრძოლას.

ადამიანთა საზოგადოების ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ ნამდვილი მეგობრობა არ ერს შორის ყოვლად შეუძლებელია, თუ ერთთა ერთ შორისს ნაგრაება, თუ მათ შორის არ არსებობს თანასწორუფლებიანობა. თანასწორობის გარეშე არ შეიძლება ხალხთა ნამდვილი ერთიანობა. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ყოვლად შეუძლებელია, რაიმე არგუმენტის გამოქმენა ერთთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის წინააღმდეგ. ამიტომაც, ჩვენის აზრით, წიგნში აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რომ საბჭოთა მწერლობაში ხალხთა მეგობრობის იდეები თანასწორუფლებიანი მეგობრობის იდეებია. ამასთანვე საჭირო იყო აღნიშნა იმისა, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა ასახავს საბჭოთა ხალხის მეგობრობას არა მარტო სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან, არამედ იგი აგრეთვე მსოფლიოს ყოველ მშვიდობის მოყვარე ხალხთან საბჭოთა ხალხის მეგობრობის სურვილებსა და მისწრაფებებს გამოხატავს (მ.გ. ნახში მიქქეთისადმი მიძღენილი ლექსები და სხვ.).

საბჭოთა ხალხი მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანებთან ერთად მტკიცედ იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ხალხთა მეგობრობისა და საერთაშორისო მშვიდობისათვის. მსოფლიოს მილიონობით უბრალო ადამიანთა მძლავრ მოძრაობას მშვიდობის ყველაზე დიდი მედროზე ი. ბ. სტალინი ხელმძღენიანობს. ი. ბ. სტალინი საერთაშორისო მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის სამიღო დამცველია. ამიტომაც საბჭოთა მწერლები მსოფლიოს მიწინავე პროგრესულ მწერლებთან ერთად დიდი პოეტური ვატაცებით უმღერიან დიდ ბელოდს, როგორც მშვიდობის უდიდეს მუბიარხტრეს მთელ მსოფლიოში. ქართველმა საბჭოთა მწერლებმა უდიდესი სიყვარულითა და ვატაცებით დახატეს ამხანაგ სტალინის სახე. ო ჩხეიძის პიკანტიკ საკმაოდ ერცლად არის მოცემული ამხანაგ სტალინისადმი მიძღენილ ნაწარმოებთა დახასიათება და შეფასება. (ერბული — „დიდ სტალინს“ და სხვ.) ბოლოს ავტორი სავსებით სამართლიანად ასკენის, რომ „საერთაშორისო მშვიდობისათვის ბრძოლის თემა ქართულ საბ-

ჭოთა ლიტერატურაში ერთვის დიდი სტალინის თემა" (გვ. 94).

ო. ჩხეიძის წიგნი „ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლის თემა ქართულ საბჭოთა მწერლობაში“ კარგი და მეტად საჭირო წიგნია თანამედროვე, აქტუალურ თემაზე. წიგნი ამასთანავე

გარკვეულად მიუთითებს საერთაშორისო სიტუაციასთან დაკავშირებით ქართულ საბჭოთა მწერლობის უახლოეს ამოცანებზე.

წოდარ კუპრაძე  
ბრიგოლ ნიშარაძე

წიგნი გოლშევიძის პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამორჩენილ მოღვაწეზე

(ნ. ო. გ. ო. ნ. ი. ი. ი. ი. „ბოლშევიკის ბაზა“).



სერგო ორჯონიკიძის დიდ და მრავალფეროვან ცხოვრებაზე მოგვიხსრობს ზინაიდა ორჯონიკიძის წიგნი — „ბოლშევიკის ბაზა“, რომელიც ახლახან გამოსცა სახელგანთქმული ქართული ენაზე. იგი შეიცავს საგულისხმო და შინაარსიან ნაშრომებსა და მოგონებებს მგზნებარე რევოლუციონერზე, ლენინურ-სტალინური ტრპის სახელმწიფო მოღვაწეზე, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლზე.

ავტორი წიგნის პირველ თავებში გვიხატავს იმ გარემოს, ოჯახს, რომელშიაც დაიბადა მომავალი მგზნებარე რევოლუციონერი, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, და სადაც გაატარა მან თავისი ბავშვობისა და ყრობის პირველი წლები.

სერგო ორჯონიკიძე დაიბადა 1886 წელს სოფ. ღორეშაში (ხარაგაულის, ახლა ორჯონიკიძის რაიონი), მას მშობლები ადრე გარდაეცვალა და ნათესაეების დახმარებით იზრდებოდა.

სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, 1901 წლის შემოდგომაზე, სერგომ სწავლა განაგრძო თბილისის საფერშლო სკოლაში. 15 წლის ასაკში იგი რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება. ვატაეებით იკითხება წიგნის ეს ადგილები, სადაც სერგო ორჯონიკიძე დახატულია, როგორც უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ახალგაზრდა რევოლუციონერი, საფერშლო სკოლაში არსებული სოციალ-დემოკრატიული წრის ერთერთი აქტიური წევრი. სერგო ეცნობა გავლენ „ბრძოლას“, რომელსაც ვატაეებით კითხულობს. ამ საუკეთესო მარქსისტული გაზეთის ვაცინობამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მასზე.

1903 წელს სერგო უკვე რსდმპ წევრი იყო. 17 წლის ახალგაზრდამ სამუდამოდ დაუკავშირა მთელი თავისი ცხოვრება ბოლშევიკურ პარტიას, ლენინ-სტალინის საქმეს. რსდმპ თბილისის კომიტეტის დაჯალბებით სერგო ასრუ-

ლებდა დიდ და სერიოზულ დაჯალბებებს: მოგზაურობდა სოფლებში და აწყობდა გლეხთა კრებებს, აგრეცელებდა ბოლშევიკურ პროკლამაციებსა და ლიტერატურას, რაზმავდა მშრომელ ხალხს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და თავისუფლების მოპოვებისათვის.

პარტიის მეორე ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების შემდეგ, სერგო ორჯონიკიძე უყოყმანოდ დადგა ვ. ი. ლენინის პოზიციებზე. 1904 წელს კავკასიის ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით დიდ იდეურ — პოლიტიკურ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკების წინააღმდეგ, ლენინის იდეების დაცვისათვის, პარტიის შესაძრე ყრილობის მოწვევისათვის. ამ ბრძოლაში სერგო იღებდა მხრეველ მონაწილეობას. იგი გამოდიოდა მენშევიკების წინააღმდეგ დისკუსიებზე რკინიგზის სახელისწიფოში; კომიტეტი (ლაპარაკია თბილისის კომიტეტზე — მ. გ.) მას ხშირად გზავნიდა მოხსენებების გასაცემებად სხვა საწარმოებშიაც. ის აგრეცელებდა ბოლშევიკურ ლიტერატურას კავკასიის მრავალ ქალაქში" (გვ. 22). რევოლუციური მუშაობისათვის სერგო დაამატებდა, მაგრამ პოლიციამ იგი მალე გაათავისუფლა, როგორც არასრულწლოვანი.

1905 წლის ივნისში სერგო ორჯონიკიძემ საფერშლო სკოლა დამათვრა და თბილისის ბოლშევიკური კომიტეტის დაჯალბებით გაემგზავრა შორაპნის მაზრაში რევოლუციური მუშაობის გასაჩაღებლად. სერგომ აქ გულდასმით შეისწავლა სტალინის გენიალური შრომა — „ვაკერით პარტიულ უთანხმოებაზე“. ბოლშევიკური აზრის ამ შესანიშნავ საწარმოებს ოსტატურად იყენებდა სერგო თავის გამოსვლებში მენშევიკების წინააღმდეგ.

1905 წლის შემოდგომაზე სერგო პარტიის დაჯალბებით უკრ ბათუმში მუშაობდა პროპაგანდისტად, შემდეგ გადავიდა აფხაზეთში —

ვდაუტყაში. აქ უფრო მეტად გამოვლინდა ს. ორჯონიძის ზრგანიზატორული ნიჭი.

1905 წლის დეკემბერში სერგო ორჯონიძე დააპატიმრეს. მიუხედავად პარტიზანების საშინელი პარობებისა, იგი ციხეში ბევრს კითხულობდა და რევოლუციური იდეების პროპაგანდას ეწეოდა. ამხანაგებისა და მეგობრების დახმარებით სერგო 1906 წელს განთავისუფლდა სტუდენტის ციხიდან. იმავე წელს სერგო თბილისში ჩამოვიდა და პირველად შეხვდა ამხანაგ სტალინს გახეთ „დროს“ რედაქციაში. ამ დროიდან იგი ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ეწეოდა დიდ და მრავალფეროვან პარტიულ-რევოლუციურ მუშაობას.

შემდგომ თავებში ავტორი აშუქებს სერგო ორჯონიძის რევოლუციური მოღვაწეობის ბაჰოს პერიოდს. ბაჰო ამერკავკასიის ყველაზე დიდ სამრეწველო რაიონსა და რუსეთის მეშობა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. ბაჰოში სერგო ჩავიდა 1907 წლის გაზაფხულზე. ბაჰოს პერიოდს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის ცხოვრებაში. შემდეგ სერგოს არა ერთხელ უთქვამს: „ყოველთვის და ყველგან, სადაც კი ვყოფილვარ, ციხიარში და რუსეთშიც, ყველგან და ყოველთვის ჩემს თავს ბაჰოს პროლეტარიატის აღზრდილად ვთვლი“ (გვ. 327).

1907 წლის ივნისში ბაჰოში ჩავიდა ამხანაგი სტალინი. მან ირდევ უფრო მეტად შეამჭიდროვა ბაჰოს ბოლშევიკები ფილტვითი, ორჯონიძის, ჯაფარიძე, შაუმიანი, სანდარიანი და სხვები. „სტალინი ბოლოსდაბოლოს აღწეეს ბოლშევიკების სრულ გამარჯვებას ბაჰოს ორგანიზაციის რიგებში. ბაჰო ბოლშევიკების ციხე-სამთავრე ხდება. სტალინის ხელმძღვანელობით ბაჰოს პროლეტარიატი გმირულ ბრძოლას ეწევა და მთელი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის პირველ რიგებში“ (ი. ბ. სტალინი, მოკლე ბიოგრაფია, გვ. 45).

ჯამუშეობა და პროვოკატორები დიდი ხანია უთვალთვლებდნენ სერგოს. ბაჰოში იგი მეორედ დააპატიმრეს და იქიდან გადაიყვანეს ჯერ სტუდენტის, ხოლო შემდეგ ქუთაისის ციხეში, საიდანაც 1909 წლის გაზაფხულზე გადასახალეს ციხიარში. გადასახლებაშიაც განაგრძობდა რევოლუციურ მოღვაწეობას. 1909 წლის აგვისტოში სერგო გამოიქცა გადასახლებიდან და დაბრუნდა ბაჰოში, სადაც მუშაობდა სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით.

1909 წელს ირანში იფეთქა რევოლუციორმა მოძრაობამ. ბაჰოს ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით 1909 წლის შემოდგომაზე სერგო ირანში გაემგზავრა. აქ იგი სათავეში ჩაუდგა ირანის მშრომელთა ბრძოლას ადგილობრივი ფეოდალების და უცხოელი კოლონი-

ზატორების წინააღმდეგ. სერგო იქ შეოტრობდა ამერკავკასიის რახმს, რომელმაც მოაწყო მშრომელთა აჯანყებენ და მასთან უცხოელი მოხალაღებების წინააღმდეგ. აღსანიშნავია თერანი, რეშტი და სხვა ქალაქები. ირანის შაჰი ჩამოგდებულ იქნა. სერგო ძლიერ შეუყვარდა ირანელ ხალხს. „ხალხმა მას მუშტებილი შეარქვა, რაც ნიშნავს — წმინდანს, ყოელისმყოდნს. ირანელი მშრომელის ბავეთაგან ეს უდიდესი ქებადიდება იყო“ (გვ. 107).

ირანიდან სერგო ორჯონიძემ სისტემატური მიმოწერა ჰქონდა ვ. ი. ლენინთან. მან მოაწყო საზღვარგარეთის ბოლშევიკური ლიტერატურის ვადაგზავნა შიდა რუსეთში, ირანის ქალაქებსა და ბაჰოში. თავის მოგონებებში ნ. კ. კრუშკიაი წერს სერგოსზე:

—...ერთ დროს იგი ცხოვრობდა სპარსეთში და მე მასსოვს საფუძელიანი მიმოწერა მასთან იმ ხაზის გასარკვევად, რომელიც აილო ილიჩმა პლენაროველებს, ლიკვიატორებისა დ ვპრობოლულების მიმართ“ (გვ 105).

1910 წლის დამლევს სერგო გაემგზავრა საზღვარგარეთ — პარიზს. აქ იგი პირველად შეხვდა პირადად ბოლშევიკური პარტიის დიდ ბელადს ვ. ი. ლენინს. სერგომ სწავლა დაიწყო ვ. ი. ლენინის მიერ დაარსებულ ლონგიუმოს პარტიულ სკოლაში. ამ პერიოდში ბოლშევიკებსა და მენშევიკების შორის ბრძოლა უფრო მეტად მწვაფდებოდა. ბოლშევიკების შემდგომი დარჩენა პარტიაში მენშევიკებთან ერთად შეუძლებელი გახდა. სიქირო იყო მენშევიკების განდევნა პარტიიდან და ბოლშევიკების გაფორმება დამოუკიდებელ ბოლშევიკურ პარტიად. ვ. ი. ლენინმა მოიწვია პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა თაობიარი, რომელზედაც გადაწყდა საერთო — პარტიული კონფერენციის მოწვევა საორგანიზაციო კომისიის შექმნა. თათბირმა საზღვარგარეთული საორგანიზაციო კომისიის რწმენებულად აირჩია სერგო ორჯონიძე.

ავტორი ფართოდ ავსწერს სერგო ორჯონიძის მუშაობას რუსეთში პარტიული კონფერენციის მოწვევის მოსამზადებლად. სერგომ შემოიარა რუსეთის, უკრაინისა და კავკასიის დიდი ქალაქები, ყველგან ატარებდა ბოლშევიკების კრებებს, რომელზედაც მიუთითებდა კონფერენციის მოწვევის აუცილებლობაზე. საერთო-პარტიული კონფერენციის მოწვევის მზარი დაუჭირა რუსეთისა და კავკასიის ბევრმა ქალაქმა. ბოლშევიკური პარტიის ერთგულმა შვილმა სერგო ორჯონიძემ შექმნა რუსეთის საორგანიზაციო კომისია, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში. ლენინი უდიდესი მნიშვნელობის ანიჭებდა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის შექმნას. „დროში აღმართულია, — წერ-

და ლენინი, — მისკენ მიიღვიან მუშათა წრეებში მთელ რუსეთში და, ვერაფრით კონტრარეკოლუციური იერიში ვერ ჩამოაგდებს მას". (გვ. 124).

1912 წლის იანვარში ქ. პრალაში ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით ჩატარდა სრულად-რუსეთის მეექვსე პარტიული კონფერენცია. სერგო კონფერენციაზე ესრებოდა გააფშვებები ზმის უფლებით, როგორც თბილისის ორგანიზაციის დელეგატი. კონფერენციაზე რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სერგო ორჯონიკიძემ. კონფერენციამ აღნიშნა რუსეთის საორგანიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა რუსეთის ყველა პარტიულ ორგანიზაციის შეშვიდროების საქმეში. დიდი იყო პრალის კონფერენციის მნიშვნელობა. მან პარტიიდან განდევნა მენშევიკები და სხვა ოპორტუნისტები და დასაბამი მისცა ახალი ტიპის პარტიის, ბოლშევიკური პარტიის დამოუკიდებლად არსებობას. პრალის კონფერენციაზე არჩეულ ცენტრალურ კომიტეტში შევიდნენ: ლენინი, სტალინი, ორჯონიკიძე, სვერდლოვი, სურენ სანდარაიანი და სხვა ბოლშევიკები.

სერგო ორჯონიკიძე ამხანაგ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით დიდ მუშაობას ეწეოდა რუსეთში პრალის კონფერენციის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. კონფერენციის მიერ მიღებული დადგენილებების დასამუშავებლად მან ბოლშევიკური კრებები ჩატარა მოსკოვში, პეტროგრადში, კიევიში, ბაქოში, თბილისში და მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ბეჭდავდა და ავრცელებდა ლენინისა და სტალინის მიერ დაწერილ ბოლშევიკურ პროკლამაციებს, დაუღალავდ იბრძოდა მასებში ბოლშევიკური პარტიის გავლენის ზრდისათვის.

პოლიტიკასა და ჯაშუშებს არ გამოეპარათ სერგოს მჩქეფარე რევოლუციური მოღვაწეობა. 1912 წელს სერგო ორჯონიკიძე პეტერბურგში დააპატიმრეს და მოათავსეს შლისელბურგის ციხეში, სადაც სამ წელიწადს იჯდა.

წიგნის შემდგომს თავებში ვრცლად არის აღწერილი სერგო ორჯონიკიძის უკანასკნელი გადასახლება 1915 წლის ბოლოს აღმოსავლეთ ციმბირში — იაკუტსკში, საიდანაც შემდეგ გადაგზავნეს 90 ვერსით დაშორებულ სოფელ პოკროვსკოვში.

„სერგო მაშინვე მოექცა იაკუტსკში მყოფ გადასახლებულთა პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში. ბოლშევიკებს, რომლებიც დიდხანა მოწყვეტილი იყვნენ დაღა-ქალაქს და რომლებმაც არ იცოდნენ ახალი პარტიული ამბები, სერგო უამბობდა ლაკვიდატორებზე გამარჯვე-

ბისა და ბოლშევიკური პარტიის საბოლოო ორგანიზაციული ჩამოყალიბების შესახებ.„

მან გააკეთა სპეციალურე წუბუნებები მრადის კონფერენციის შედეგებზე“ (გვ. 157).

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ სერგოს გადასახლებაში მოუწერო. და იმავე წელს სერგო უყვე პეტერბურგშია. ვ. ი. ლენინის წინაღობით იგი შეეყანილ იქნა ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტსა და პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. სერგომ განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია პარტიის მერ ყრილობის მოწყვევისათვის. მან სტალინის დავალებით ორჯერ ინახულა ვ. ი. ლენინი რაზ-ლივში, სადაც ივლისის დღეების შემდეგ ვ. ი. ლენინი არაღვეაღურად ცხოვრობდა. პარტიის მთელ პრაქტიკულ მუშაობას უშუალოდ ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა.

ბოლშევიკების პარტიის მე-6 ყრილობამ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობითა და ლენინის დირექტივებით, გეზი მისცა პარტიის შეიარაღებული აჯანყებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ. სერგო დადილია პეტროგრადის ქარხნებსა და ფბარკებში, განუმარტავდა და აცნობდა მშრომელ ხალხს დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის პოლიტიკის კონტრარეკოლუციურ, იმპერიალისტურ ხასიათს, მენშევიკებისა და ესერების გაცემლურ მოქმედებას, რაზმავდა მას შეიარაღებული აჯანყების მოწყობისათვის.

წიგნში არგადაა გაშუქებული სერგოს მიერ გაწეული დამაბული და ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ თვეებში, ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ს. ორჯონიკიძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყოველგვარი კონტრარეკოლუციური გამოსვლებისა და ამბოხებების მოსპობა-განადგურებაში. ვ. ი. ლენინის დავალებით სერგო 1917 წლის ნოემბერში წინ გაუძღვა მატროსებისა და წითელგვარდიელების რაზმს და მოახდინა ესერების, იუცრებისა და კერენსკ-კრასნოვის მიერ პეტროგრადში მოწყობილი ანტი-საბჭოთა ამბოხების ლიკვიდაცია.

საბჭოთა მთავრობამ 1918 წლის იანვარში სერგო დანიშნა უკრაინის დროებით საგანგებო კომისრად. სერგომ უკრაინაში მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩატარა პეტროგრადის, მოსკოვისა და სხვა ქალაქების პურიით მომარაგებისათვის.

სამოქალაქო ომის პერიოდში სერგო ორჯონიკიძე ყოველთვის მთელ რიგ გადაწყვეტებში იწინააღმდეგებდა და მოწინავე პოზიციებზე იყო.

1918 წელს ცარიცინის გმირული დაცვის დღეებში სერგო სტალინის უახლოესი თანაშემწე იყო.



1919 წლის ზაფხულში სერგო ორჯონიძემ დასავლეთის ფრონტზე გადაიყვანეს. სტალინმა იგი მე-16 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად დანიშნა. სერგო უნარიანად ხელმძღვანელობდა ბელორუსის ხალხის გმირულ ბრძოლას პოლონელი პანებისა და სხვა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

1919 წლის სექტემბერში სტალინმა სერგო მე-14 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად დანიშნა. ნოემბერში და უნარიანმა სამხედრო ხელმძღვანელმა თავი ისახელა ორი-ოლ-კრომის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში. მე-14 არმიის ჯარებმა სერგოს ხელმძღვანელობით თეარებისაგან განთავისუფლება აგრეთვე ხარკოვი.

1920 წლის თებერვალში პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შეიქმნა ჩრდილოეთ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის ბიურო სერგოს თავმჯდომარეობით, მის მოადგილედ დანიშნა ს. მ. კაროვი. მე-11 არმიამ, რომლის ჩამოყალიბებაც და განმტკიცებაც უშუალოდ სერგო ორჯონიძისა და კიროვის შემწევობით მიეწყო, დიდი ბრძოლები ჩაატარა ჩრდილოეთ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენისათვის.

დიდა სერგოს როლი და დამსახურება ამიერკავკასიის რესპუბლიკების განთავისუფლების საქმეში.

სერგო ორჯონიძისა და სერგეი კიროვის მეთაურობით მე-11 არმია დაეხმარა აზერბაიჯანელ ბოლშევიკებსა და აჯანყებულ შრომელ ხალხს მუსეატელთა შთაბრძოლის დახმობასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში. 1920 წლის აპრილში ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა აზერბაიჯანისათვის ბრძოლაში სერგოს როლის შეფასება და სახელოვანი შეფასება მოგვცა. 1936 წლის იანვარში, კრემლში აზერბაიჯანის დელეგაციის მიღებისას, როდესაც სერგო ტრიბუნაზე ავიდა, ი. ბ. სტალინმა შესძახა:

„სალამი აზერბაიჯანის განთავისუფლებულს! იგი პირველი შევიდა აზერბაიჯანში!“

1920 წლის ნოემბერში სერგო ორჯონიძის წინამძღოლობით მე-11 არმია დაიძრა სომხეთისკენ აჯანყებული სომეხი შრომელი ხალხის დასახმარებლად. 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

1920 წლის დასასრულსა და 1921 წლის დასაწყისში განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოში გლეხთა შეიარაღებული აჯანყებები. საქართველოს ბოლშევიკებისა და აჯან-

ყებული ხალხის დასახმარებლად სერგო ორჯონიძემ და სერგეი კიროვმა ჩაქურდულნი მე-11 არმია და ცხენოსანი უცხოელი მებრძოლები გამოგზავნეს. დაემზო მენშევიკების შთაბრძოლა. 1921 წლის 25 თებერვალს სერგო ორჯონიძემ ლენინსა და სტალინს მოსკოვში აცნობა:

„თბილისში საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

ზინაიდა ორჯონიძის წიგნი „ბოლშევიკის გზა“, რომელშიაც მიმზიდველად, ცოცხლად და შინაარსიანადაა გაშუქებული ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის სერგო ორჯონიძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის პერიოდზე შეუთვლიან 1921 წლამდე — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, მეტად საჭირო და სასარგებლო ნაშრომია, რომლის გამოცემითაც ქართველმა მკითხველმა ძვირფასი სახუქარი მიიღო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის ქართულ თარგმანს საგრძნობი ხარკეზები აქვს (თარგმნელები: ლ. კლანდაძე და ვ. მგალბლიშვილი). ქართულ გამოცემაში გამოტოვებულია ზოგიერთი ადგილი (გვ. 5, 6, 7). წინადადებები ხშირად ზუსტად თარგმნილი არაა. მაგალითად: „Гудок“ был легальной большевистской газетой“ თარგმნილია: „გუდოკი“ არალეგალური გაზეთი იყო“ (გვ. 71); „Во главе донского правительства Серго поехал в Царицын“ თარგმნილია: „დონის მთავრობასთან ერთად მის სათავეში, სერგო ცარიცინს წვიდა“ (გვ. 3); „...возил марганцевую руду“, „მარგანცის მადანს ეზიდებოდა ურმით (გვ. 3) და სხვ.

წიგნში დაშვებულია ფაქტურის ხასიათის შეცდომები. მაგალითად, მე-31 გვერდზე ვკითხულობთ: „1905 წლის გაზაფხულზე (ხაზი ჩვენია — მ. ჯ.) სერგო პარტიის დავალებით რამდენიმე ხანს მუშაობდა პროპაგანდისტად ბათუმში“. უნდა იყოს: „1905 წლის შემოდგომაზე“ (ხაზი ჩვენია მ. ჯ.).

მე-90 გვერდზე დაბეჭდილია: „სუხუმიდან სერგო გადაიყვანეს ქუთაისის ციხეში. აქ იგი იმყოფებოდა 1908 წლის ნოემბრიდან 1909 წლის დამლევამდე (ხაზი ჩვენია — მ. ჯ.)“. უნდა იყოს: „1909 წლის დასაწყისამდე“, და სხვ.



ა. მწელი — „ჩიორას სიმღერა“, საზღიბგამი, 1950 წ. ქვემოთა  
ბიბლიოთეკა



ა. მწელის ლექსების წიგნი გამსაყურობით აღსანიშნავია კონკრეტულ ამბავზე აგებული ლექსი „ოქტომბრული გოგო ბელადთან“. ამ ლექსს საფუძვლად ცნობილი ამბავი უდევს: მეთერთმეტე პარტყრილობაზე ოქტომბრულმა გოგონამ ტანია ახაკინამ თაივული გადასცა ამხანაგ სტალინს. ბელადმა აღერსით აიყვანა იგი ზელში და დასვა პრეზიდენტის მაგიდაზე. ეს ფაქტი მწერლისათვის შთაგონების წყაროდ იქცა. პოეტმა დასწერა ზემოლდასახელებული ლექსი, რომლის ბოლო ტაბებზე:

„ეთი ბელადის ღმილი და  
საამერი სიტყვა, ტაში —  
მარად დარჩეს შვიერ პანგად  
ჩვენს ბედნიერ თაობაში“

ცოცხლად გამოხატავს საბჭოთა ადამიანების სურვილებს. რეალისტრად არის დაწერილი აგრეთვე ლექსი „გორი“. აქაც ბელადისადმი უსასღვრო სიყვარულია გამოთქმული და ნორ-ნი თაობის განწყობილებაა გამოხატული. ლექსის მთავარი გმირები გორზე ოცენობენ, შათი მისწრაფებაა ნახონ ის სახლი, სადაც დაბადა მამა და მასწავლებელი ამხანაგი სტალინი, რეგორც ლექსის შინაარსიდან ვგებულობთ გვიყისა და ლილის დიდი ხნის ოცნება გან-ხორციელდა:

„შევიდნენ... ნახეს ნივთები,  
სითბო აქვს ყველა მათგანს,  
უშვებენ და არ ცილდება  
თვალი ბელადის აყვანს“.

ამ სტრატეგიაში გამოხატულია სიყვარული იმ აყვანისადმი, რომელშიც ირწეოდა კაცობრიობის იმედი. ლექსის უკანასკნელი სტროფიც: „შინარულობდნენ, ლაღობდნენ ჩვენი გვი და ლალი და როცა ნახსივოსნები ოდნავ მოხუცეს თვალი, თავს ვეღობოდნენ ოცნებით მოსკოვს, კრემლსა და სტალინს“ — საბჭოთა ბავშვების წმინდათა-წმინდა სურვილების გამოხატეულია. პოეტი ნაწარმოების მთავარ იდეას კარგად გამოხატავს და მხატვრულ დამაჯერებლობასაც აღწევს. ეს ითქმის არა მარტო ლექსზე „გორი“, არამედ სხვა ლექსებზეც. როგორც მაგალითად „სიმღერა“, „სიმღერა საშობლოზე“, „წერილი მამას — გმირ მფრინავს“ და სხვა. ამ ლექსებში კარგად ჩანს. არა მარტო ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტული შეგნების სიმაღლე, არამედ ამ შეგნე-

ბის წარმომართი ის სოციალურ-პოლიტიკური გარემოც, რომელშიც იზრდება საბჭოთა ახალგაზრდობა. ლექსებში „სიმღერა“ და „სიმღერა საშობლოზე“ მკაფიოდ ჩანს სოციალისტური ქვეყნის სილამაზე.

ორივე ლექსის შინაარსი ცხადად გამოხატავს საშობლოს ერთგული შეილების სურვილებსა და განწყობილებებს. საინტერესო სიუჟეტის მქონეა ლექსი „წერილი მამას — გმირ მფრინავს“. ლექსი რეალურ სინამდვილეს ეურდნობა, ამიტომ იგი საზოვანი და მიმზიდველია. ამ ლექსში ეფექტს ცალკეული სიტყვები და წინადადებები კი არ ქმნის, არამედ ნათელი აზრი, იდეა, რომელიც ორგანიულ კავშირშია ლექსის წყობასთან. საერთოდ, საშობლოს სიყვარულზე დაწერილ ლექსებში („სიმღერა საშობლოზე“, „წერილი მამას — გმირ მფრინავს“ და სხვა) შინაარსი და ფორმა ერთ მთლიანობაშია მოცემული. ასეთებია აგრეთვე ლექსები: „გმირები“, „გამარჯვება სექტემბერო“, „მერტი ახლა მოსწავლეა“, „წიგნები“, „ვაიზარდე დიდი ქალი“ და სხვა. ცნობილია, რომ ბავშვს არ უყვარს ზედმეტი დიდ-აქტიურობით დატვირთული ნაწარმოები. მის გულს ღრმად არ წედება ისეთი წიგნი, რომელიც მარტო მშრალ რჩევა-დარაგებაზე აგებული. როდესაც მ. გორკი საბავშვო მწერლობაზე ლაპარაკობდა აღნიშნავდა, რომ ჩვენ გვიწდა ისეთი საბავშვო წიგნი, რომელიც ბავშვს სახეებით ელაპარაკება. მ. გორკი საბავშვო მწერლისაგან მაღალ მხატვრულობას მოითხოვდა. ზემოჩამოთვლილი ლექსები განათავსებულნი იმ მიზეველ, უბემ ტენდენციურობისაგან, რომლის შესახებ მ. გორკი ლაპარაკობდა. მაგალითად, ლექსში „წიგნები“ ჩვენ გარკვეულ ტენდენციასთან გვაქვს სამეც, მაგრამ პოეტს ეს ტენდენცია მხატვრულ სახეებში აქვს გაშლილი. ამ ლექსის ღირსება მის მხატვრულ დამაჯერებლობაშია.

საბჭოთა სკოლის პირდაპირი დანიშნულებაა კომუნისტური საზოვადობისათვის აქტიური, ყოველმხრივ განვითარებულ წევრების მოზოდება. ს. მ. კობოვი ამბობდა: „უნდა ვიცოდეთ, რომ სკოლის საკითხი — ეს არის ჩვენი შემდგომი წინსვლის საკითხი“. პოეტმა ამ მეტისმეტად მნიშვნელოვან საკითხს რამდენიმე ლექსი უძღვნა. ლექსებში „მერტი ახლა მოსწავლეა“, „გამარჯვება, სექტემბერო“ და სხვა, იგი იმ ბავშვებს უმღერს, ვინც სკოლისაყენ მის-

რადგის. როდესაც ბავშვი წაიკითხავს შემდეგ სტრიქონებს:

„ამ ზაფხულზე შეიღა წელი  
შეუბრუნდა კვლავ მერის:  
— მე სკოლაში წასვლა მინდა! —  
სულ ამ სიტყვებს ვამბერის“

არ შეიძლება მას არ დაეხადოს სკოლის კარების შეღწევის სურვილი. ამის მომდევნო სტრიქონებიდან ვგებულობთ, თუ რა დიდი სიხარული განიცადა მერამ სკოლაში, როდესაც დაიწყო მშობლიური ანბანის შესწავლა. იმ-მარჯვენა, სექტემბერი“ იწყება ბუნების აღწერით. პოეტრი ვაღმორგევეს, თუ ქალაქელმა მოსწავლემ როგორ გაატარა ზაფხული სოფლად, შემდეგ თანდათანობით იხსენება ლექსის მთავარი იდეა:

„ახლა აქ ვარ... დედა-ქალაქს  
რა საამოდ ამკობს დარი;  
დღეს ზემოთ მხიარულით  
დაიბრუნა სკოლის ზარი!  
და ამბერდა კვლავ დღევამ:  
— კერო ბევრ...

სკოლა...

სწავლა...

შემოდგომის მობრძანებამ  
კვლავ გმირული გვატარს ძალა“...

აქვე პოეტი გვიხატავს იმ სიხარულს, რომელსაც ბავშვი შემოდგომაზე, სწავლის დაწყების წინ, განიცდის. სკოლის თემზე დაწერილი ლექსები ამის აშკარა მაჩვენებელია, რომ პოეტს სკოლის გარეშე ბავშვის ფსიქიკაზე კარგად აქვს შესწავლილი. საბავშვო ნაწარმოები, რომელიც მტკიცედ არ არის დაკავშირებული პედაგოგიურ იდეებთან, არ შეიძლება სრულყოფილ ქმნილებად ჩაითვალოს. საბავშვო მწერალი ფართოდ უნდა იყენებდეს საშუალო სკოლის მდიდარ ვაზოკლიტებს. ა. ონელის ლექსები ამ პრინციპზეა აგებული. პედაგოგიურ პრინციპებზე აგებულ მის ლექსებში აშკარად ჩანს მოსწავლის დადებითი და უარყოფითი თვისებები, კარგი და ცუდი მხარე. მართალია ა. ონელი კონტრასტების მწერალი არ არის, მაგრამ ლექსში „თქვენ რას იტყვიან?“ კონტრასტები დავიხატავ. ზურა სკოლაში ყოველთვის მიდის უხალისოდ, ზანტად, თავის დროზე არ სწავლობს ვაკეითილებს, ცუდობს და ცუდობს. მოწინააღმდეგე თვისებების მატარებელია გოგი. იგი წესიერად ბავშვია, ბეჯითი მოსწავლეა. მისთვის უცხოა გაკეთილზე დავიხატავ ან სკოლიდან ვაპარვა, ქუჩა-ქ-ჩა ხეტიალი. მართალია, ზურა არ არის ტიპური მოკლენა, მაგრამ მისი მსგავსი, უწესო ქვეყის ბავშვები, ჯერ კიდევ გვხვდებიან. საჭიროა მათ აღზრდას განსაკუთრებული

ურაღილება მიეცეს. საბავშვო მატერული ლიტერატურაც ამ საქმეს უნდა უწყობდეს. როდესაც ბავშვი წაიკითხავს „თქვენ რას იტყვიან?“, იგი ზურას კი არ მიბაძავს, არამედ გივისს. გივისს ჩვეულები საბავშვო ლითია, იგი უსათუოდ მოხიბლავს პატარა მკითხველს და ყოველთვის შეეცდება იყოს გივისს მსგავსი ყმაწვილი. ხასიათების დაპირისპირების ზურა უსათუოდ მოსაწონია, თუ იგი მხატვრულად სწორად არის განვითარებული. ლექსი „თქვენ რას იტყვიან?“ დასრულებული, აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოებია. ლექსში „სკოლაში და სკოლის გარეთ“ საქმე გვაქვს ისეთ მოსწავლესთან, რომელიც ზეთოსანია, სწავლის ოსტატია, მაგრამ სკოლის გარეთ ცუდი ქცევებისაა. მართალია, გელა კარგი მოსწავლეა, მაგრამ ოჯახის წესებს არ ემორჩილება. მშობლების უკეთხადად მიდის სახლიდან, იპარება, ხშირად პატარებს ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს.

პოეტს არ აკმაყოფილებს გელას ზეთოსანობა. იგი სამართლიანად მოითხოვს „ერთნაირად კარგი ვიყოთ სკოლაში და სკოლის გარეთ“. ლექსი იმ ბავშვებს უმდერის, რომელნიც კარგნი არიან, როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ. ლექსის კომპოზიცია და ფორმა შეუფერება იმ იდეას, რომელიც მასში არის ჩაქსოვილი. სულ სხვა ხასიათისაა ლექსი „ნოდარი“. აქ კონტრასტებს აღვივოთ არა აქვს. „სად ვაგონილა, სად თქმულა ცუდად სწავლობდეს ნოდარი, სკოლაშია თუ შინ არის, საქმე ქვენს დასაგმობარი“.

საბჭოთა პედაგოგიკის მიერ დიდი ხანია აღიარებულია, რომ სწავლა იგივე შრომაა. ზემთარში, სწავლის პერიოდში ნოდარს „ხელია ქეონდა მოუშორებელი კალამი, წიგნი, რვეული, სულ ყოხნულია, სულ წერდა, სულ შრომას იყო ჩვეული“. როგორც ვხედავთ, ნოდარმა სწავლაში გაატარა მთელი ზამთარი „და აი დადვა ზაფხული, დღევამ სიცხათ მშფოთავრა, სად ვაგონილა, სად თქმულა, ქალაქად დარჩენს ნოდარი“. ამის შემდეგ ჩვენ ნოდარს სოფელში ვხვდებით. ნოდარის ხასიათის ჩვენთვის ყველა საკმოდ ვარკვეულია. „სად ვაგონილა, სად თქმულა არ მუშაობდეს ნოდარი“. მან სოფელში თავის ტოლები დარჩნა... „თბილენ, შიან, ლუწავენ, ქვეყენ თავთავს და ჩალსა და მხიარული ხმაურით აღხუნენ მინდორ-ქალას“. ნოდარისათვის დამახასიათებელია არა მარტო სწავლა, რომელსაც ჩვენ იგივე შრომა ვუწოდებთ, არამედ ფიზიკური შრომა. მისთვის, როგორც ვხედავთ არც ფიზიკური შრომაა უცხო. ფიზიკური შრომა ხელს უწყობს ნოდარის გაკეთილშობილებას, მის ზნობრივ განსკუთვნებას, გონებრივ ზრდის საქმეს. უნდა ითქვას

რომ ნოდარის ხასიათის ჩამოყალიბების ორივე მხარე მხატვრულ დამაჯერებლობას მოკლებული არ არის. ამ ლექსს სხვა მხარეც აქვს საინტერესო. აქ ბუნების მარტო გარეგნული სილამაზის აღწერასთან ერთად გვაქვს საქმე-ბუნება, რომელსაც ყოველწილიერად იმორჩილებს საბჭოთა ადამიანი, ხელს უწყობს განცდათა და გრძობათა განვითარებას, გაღრმავებას, აყვარებს მშობლიურ მიწა-წყალს და უღვიძებს სურვილს მასში დაფარულ „საიდუმლოებს“ გაცემისას. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, რომ ნოდარს უყვარს „უსმინოს ნიავს და ნაყადულს საამო ზმით რომ მღერიან: — სამშობლოს მთა და ბარიო ლაყვარდებს დაუფერია“.

შრომის თემაზეა დაწერილი ლექსი „ვივის დღე“. ამ საკმაოდ მოზრდილ ლექსშიც მხატვრულად კარგად არის დაკავშირებული შრომისა და სწავლის საკითხები. ვივის მოქმედება დამაჯერებელია. მისი სახე რეალისტურია. საერთოდ, ამ ლექსს ახასიათებს კარგი კომპოზიცია და სურათების სიმკვეთრე. ლექსში „ჩვენ ახალი სახლი“ პოეტი, უპირისპირებს რა ძველსა და ახალ სახლს, სრულ უპირატესობას ახალს ანიჭებს. პოეტი ძველი სახლის აღწერისას ხელოვნურად არ ამტკებს ფერებს. წარსული თვით იძლევა მასალას დახატოს ისეთი სახლი, რომელიც შეითხველში გამოიწვევს ზიზის ძველი წყობილებისადმი, იმ წყობილებისადმი, რომლის დროსაც მშრომელ კაცს არ ჰქონდა სამუდამო დადგა ისეთი სახლი, რომელშიც შეინათება შვის სხივები. ახალი სახლი, რომლის ყოველი აგური ახალ სიცოცხლეს მღერის და ბრწყინავს ვით ძილის ცისკარი, სოციალისტური შრომის შედეგია. მაღალია საბჭოთა ადამიანის შეგნება, იგი თავის ბედნიერებას სამშობლოს ბედნიერებაში ხედვს. მან ისიც კარგად იცის, რომ მშრომელი ადამიანების ბედნიერება დაკავშირებულია მშრტნეული შამის გენიასთან. ამიტომ უმღერის იგი თავის საყვარელ ბელადს:

„თამარა ფანდურს ჩამოკრა,  
თვალით ანიშნა დაღის,  
სიმღერა უბოხა ოჯახმა,  
ღღღ სამშობლოს და სტალინს...“

თუ ძველად მშრომელი კაცის სახლიდან გვესმოდა გულშემწარავი ექნეს-აგოდება, დღეს ახალი სახლიდან სამშობლოსა და სტალინისადმი სიყვარული გამოხატავი სიტყვები გაისმის. პოეტმა ახალი ოჯახის დახატეში მხატვრული სიმართლე შეიტანა. ა. ონელის ლექსების გამოცემის განწყობილება კეთილშობილურია. ავი-

ლოთ, მაგალითად, ლექსების ციკლი „ექს-კურსია“. პირველ სტრიქონებშივე ვხვდებით, რომ ჩვენ საქმე გვაქვს უბედურებისა და ვიღაცისა, იმ გოგო-ბიჭებთან, რომელთა სახე ბრწყინავს ჩვენი ბედნიერი ცხოვრების სხივით. ამ ციკლში მოთავსებული ლექსები: „გამგზავრება“, „რამდენი ეიმზარულეთ“, „კრელი პეპლა“, „წყარის სიმღერა“, „მანათა“ და „რა არ ვნახებ“ იმაზე ლაპარაკობენ, თუ სოციალისტურ ქვეყანაში ბავშვები რა დიდ სიზარულს განიცდიან. ციკლში მოცემული პეიზაჟი ჩვენი ქვეყნის სილამაზეს გვიხატავს. ამ ციკლში ნათლად არის გამოხატული ის ბედნიერება, რომელიც დაამყარა საბჭოთა ბავშვებისათვის სოციალისტურმა სახელმწიფომ. მიუხედავად ციკლში მოთავსებულ ლექსების მხატვრულ ღირსებისა, მასში მაინც გვხვდება ზოგიერთი ნაკლი. მაგალითად, აქ ბუნების სიმშვენიერის აღწერას უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი, ვიდრე ჩვენი ბავშვების მოქმედებას ამ ბუნებაში. ავტორი უფრო ვატყობოდა წყაროს „ლაპარაკით“, ვიდრე ბავშვების საქმიანობით. ლექსები: „ტყის მეგობრები“ და „პატარა ტრიფის ჩივილი“ კარგი ხერხით დაწერილი ნაწარმოებებია. მათი წამკითხავი ბავშვი ეცნობა ტყის საზოგადოებრივ მნიშვნელობას და მის მოვლას ამბებს.

კონკრეტულ მასალაზეა აგებული სხვა ლექსებიც. სახელდობრ: „პირველი თვითმფრინავი ცაში“, „ნოდარის ოცნება“ და სხვა. მაგრამ წიგნში მოთავსებულია ისეთი ლექსებიც, რომელიც ზოგადი ხასიათისაა, მაგ.: „მადრევეანთან“, „ყუვილები... ვევილები“, „მრავალ მაისს დაესწარა“, „მერხალი“, და სხვა. აქ, ასტრაქტულ მსჯელობასა და განყენებულ სახეებთან გვაქვს საქმე. მაგრამ, მთლიანად კი ა. ონელის ლექსებს ბუნებრიობა და სისადავე ახასიათებს. მისი ლექსები, რომელშიაც სომართლით არის ასახული ბავშვთა შინაგანი სამყარო, საბჭოთა ეპოქის სულთააა გაქლენილი. ვივი, ლილი, ნოდარი — საბჭოთა ბავშვების წარმომადგენლები არიან.

საბავშვო ნაწარმოებს არ უყვარს გრძელსიტყვაობა და განშორება. ა. ონელის ლექსები ამ მხრივაცაა აღსანიშნავი. მართალია, ავტორი ფსიქოლოგიურ მხარეს მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე მოქმედებას, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას თითქმის ბავშვის ხასიათის ეს მხარეც მას ყურადღების გარეშე დარჩენოღეს და არ აესახოს. ა. ონელის საბავშვო ლექსების წიგნი საბჭოთა ქართული საბავშვო პოეზიის ძვირფასი შენაძენია.



## მავალა მკვილიშვილი — „ქართლის უბეში“

„საბჭოთა შერალი“, 1950 წ.



„ქართლის უბეში“, ასე ეწოდება მავალა მკვილიშვილის ლექსების წიგნი. ამ ლექსების თემატიკა მრავალფეროვანი და მდიდარია. პოეტი დღევანდელი დღის ღრმა ცოდნით გვიხატავს კომუნისმის გზაზე შემდგარი ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

წიგნში ვკითხულობთ ლექსებს ლენინსა და სტალინზე, ხალხთა მეგობრობაზე, საბჭოთა ადამიანის პატრიოტულ გრძნობებზე, სოციალისტურ შრომაზე, სპორტზე, სიყვარულზე, ქალაქისა და სოფლის მშენებლობაზე.

დღევანდელი ჩვენი ცხოვრება იმდენად შინაარსიანი და მრავალმხრივია, რომ თუ პოეტს არ გააჩნია მხატვრული ასახვის თავისებური საშუალება, თუ იგი ოსტატურად არ ჰქვამს ლექსის ფორმას, კომპოზიციას, — ვერ დაგვიხატავს ჩვენი ცხოვრების დიდ შინაარსსა და სილამაზეს, ვერ დაგვიანახებს მის ფერებს, ვერ აგვისახავს კომუნისმის მშენებელ ადამიანის ჭეშმარიტ სახეს.

ჩვენი ქვეყანა ისე სწრაფად იზრდება და მიდის წინ, რომ ხშირად დღევანდელი დღე გუშინდელს არა ჰგავს. ის, რაც გუშინ ახალი იყო, დღეს მოძველებულად გვეჩვენება. ყოფილი დღე ახალ ადამიანს, ახალ ნოვატორს და შემოქმედს ავლენს, ყოველ დღეს ახალი მიღწევები მოაქვს სოფლის მეურნეობაში, წარმოებაში, მეცნიერებაში და ტექნიკაში, ლიტერატურაში და ხელოვნებაში. დღითიდღე იცვლება ქალაქისა და სოფლის სახე.

წინათ ამ უბნის უჩვევი გზის სატყეველი მოგორავს, სადღაა ძველი ქუჩები, — იყო, და არა იყო რა.

კაცის სიმაღლე კარებით მომცროს ქოხები მდგარიყო, ბინით-ბინამდე მტკაველი გზის ასაქციევი არ იყო ეშველა, როგორ ეშველა! ფართო მკლავები მოეხა: ამ ქუჩას თვალი ეჩვევა, ახლა სხვა გვეყვიროვება. („ახალი ქუჩა“).

ეშველა არა მარტო ქალაქებს, სახე იცვალა სოფელშიც. „ფართო მკლავები მოიხა“, სოფლის გზებში და ქუჩებში. მომდევნო ლექს-

ში, „დიდ სახლში“ პოეტი ამბობს: „მეგრამ ვახედე, ბეჭობზე უნდა ავიღოთ ეს დიდი სახლიც. შემოეცალა გარს წვრილფეხობა და შედიდურად დამკურებს მაღლით“.

წვრილფეხობის ადგილს, როგორც ქალაქად, ისე სოფლადღე დიდი სახლები და დიდი ქუჩები იკავებს. ერთდება წვრილი და პატარა კოლმეურნეობები, ქრება სოფლად მიწური იატაკი, უსარკმელო ოთახი, კიბი. საკოლმეურნეო წუობილებამ არა მარტო სოფლის სულიერი ცხოვრება შესცვალა, შეიცვალა მისი გარეგანი სახეც, მისი ელფერი.

„ქრება ძველი სოფელი თავისი საყდრით ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილას, ურიანდის, ხუცებისა და კულაკის საუკეთესო სახლებით პირველ რიგზე, თავისი ნახევრად დანგრეული გლეხური ქოხებით უკანა რიგზე. მის ადგილას ჩნდება ახალი სოფელი. თავისი საზოგადოებრივ-სამეურნეო ნაგებობებით, თავისი კლუბებით, რადიოთი, კინოთი, სკოლებით, ბიბლიოთეკებით, და ბავებით, ტრაქტორებითა და კომბაინებით, სალწი მანქანებით, ფტომობილებით“ — ასე ამბობდა აშხანაგი სტალინი პარტიის მე-17 ყრილობაზე.

დღეს კიდევ უფრო შორს წავიდა ჩვენი სოფელი, წინ წავიდა კოლმეურნე, იგი არაფრით არა ჰგავს წინანდელ გლეხს.

ღრო იყო საფარს ექებდა  
ტუეში გასული ხიზანი,  
განენის დღენი იყველა  
წელში გამწყდარიმა ხალხმა:  
სათესლე ვისლა ახსოვდა, —  
დამყნობა, ცდების მიზანი, —  
რამდენი ვენახ-ბაღნარი  
უპატრონობით ვახმა... („ოცნება“)

გლეხი შეიქნა თავის ქვეყნის ბატონ-პატრონი. იგი დღეს მუშაობს საზოგადოებრივი დოვლათისა და სიმდიდრის ასამაღლებლად. აღარ ჯერდება დღევანდელ გამარჯვებას და ხვალონდელ დღეზე ფიქრობს, ახალ მიღწევებზე ოცნებობს. „ოცნებაში“ პოეტი უმღერის კოლმეურნე ნოვატორს, შემოქმედს, მკვლევარს, გლეხს, შეიარაღებულს აგრო-ბიოლოგიურ მეცნიერებით. სასწაილია, რომელიც დღეს ჩვენს ვიგანტურ მეურნეობაში ხდება, მხოლოდ საბ-

ჭოთა ადამიანს შეუძლია მოიმოქმედოს. ჩვენი მეურნეობის ზრდა-განვითარება ხომ უშუალოდ კოლმეურნის იდეურ-ტექნიკურ ზრდასთან არის დაკავშირებული.

„მეურნე, მიწის მეშვიკი, ჩვეულ გზას აღარ სჯერდება, ხორბალს აუღლებს, აჯვარებს, შვილივით თბილად ნახარღს; ხე შექმნას მრავალწლოვანი, თავთავი ესხას ღერებად, ავღრთო და ყინვის სუსხებით არ ირხეოდეს ნახად.“

კოლმეურნის ეს მისწრაფება, ეს ზრახვები ნაკარნახევია საბჭოთა ადამიანის მოქალაქეობრივი ვრწმუნებით. ქართველი, უკრაინელი, უზბეკი, თუ ბელორუსი კოლმეურნი მარტო თავისთავზე როდი ფიქრობს, როცა უხვი მოსავლისთვის იბოძვას. ის ფიქრობს და მუშაობს მთელი საბჭოთა ხალხისათვის. აი, ეს საერთო და საზოგადო საქმისათვის ბრძოლა ამოძრავებს კოლმეურნე გლეხს გვირგვინ შრომისათვის.

შრომა და ეკეკაცობა, გვირობა ბრძოლაა და გარეაში ეს ქართველი ერის საეკეთესო თვისებები იყო ყოველთვის. ჩვენში, ბავუვი რომ დაბადდებოდა, ერთ ხელს სატყერის ეადანუ მოაკიდებდნენ, მეორეს კავის ვრქვანზე, კარგი მუნა და გულადი მეომარი დადგებოდა.

ახლაც ასევე დარწმუნულია ქართველი ხალხი სხვა მოძმე რესპუბლიკების ერებთან ერთად, როგორც შრომისათვის, ისე ბრძოლისათვის. „ამ მშველიობის ცალი ზელი სახნისს თუ ძვერ-რამ, ცალსაც მუნადა აქვს საომარი ძველი აბჯარი“. („პირიმზე“).

პოეტი მშვენივრად გვიხატავს საბჭოთა ყოფის იმ ახალ, განსაკუთრებულ და დამახასიათებელ თვისებებს, რომელიც ჯერ არც ერთ სხვა საზოგადოებას არ ვაანია. თვისებებს, რომელიც უცხოა კამიტალისტურ ქვეყნებისათვის. ლექსში „თავისიანი“, დაჭრილი მებრძოლები ახლა პასივტილადან, ხილის საყიდლად, ერთ ერის მოადგენენ. დედებს მათ დანახვანუ „შორს მყოფი შვილის იერი ეცნით“.

ხე დარხივს ნაყოფით მშვენი, გამოწვდილ ხელში სავსე ჯამია; — აიღე ფული არ მიწადა შენი, ეითომც იმ ჩემ ბიუს შეუქამია.

ვის არ ახსოვს ომის წლები! ყველა დღვას თავის შვილად მიანდა დაჭრილი, თუ ომში მიმავალი.

აი მეორე ლექსი „ფიქრები“. ქალი დაემშვიდობა საყვარელ ადამიანს, ფრონტზე ვაკიოლა, იგი ფიქრობს და ოცნებობს მის გა-

მარჯვენაზე, გვირად დაბრუნებაზე... მეცარიე სამთარია, ახალწლის ლექსე დასახლები თეთრედს კერავენ ფრონტულენისათვის არ გრძნობენ დილას. ამნათენს აწმადებენ და ეს ყველას ახარებს. — „მალე მიერთავს მშობლიურ მებრძოლს, — არ შეაწუხოს ყინვამ, ნამქრამა... ერთი პერანგიც ნეტავ მას ერგოს, გული გაუთბოს ჩემმა ნაკერმა“.

ღიახ, გული ქონდათ გამთარა ჩვენს სახელოვან მებრძოლებს დედისაგან, დებისა და მეუღლეებისაგან. გული ქონდათ გამთარა მათი თავდადებული შრომითა და სიყვარულით. ომის წარიშვლიან დღეებში ღვბი და დღეები კვალდაკვალ მიევიზოდნენ ჩვენ ჯარს. არ ერთდებოდათ ტყეისა და ცეცხლის, ბრძოლის ველზე უხვევდნენ დაჭრილთ პრილობებს, ცეცხლის ხაზიდან გამოყავდათ ისინი. არასოდეს არ დაავიწყდება ჩვენს საშობლოს საბჭოთა ქალის ამაგი და თავდადება.

თქვენს ამავს შვილზე ცრემლით მოისმენს. მოხუცი დედა, დაგლოცავთ გულით. — ომის ამხავს რომ იტყვის როდესმე ვაკეცი სახლში დაბრუნებულთ. იტყვის: დავიქვრ, დავეცი, დედა. ყინვა იყო და არა მეთოდა, მავ შენი სახის შარავანდელი იმ უცხო ქალის მადლში სჭვიოდა.

მეყვალა მრველიშვილის სამამულო ომზე დაჭრილ ყველა ლექსში ნაჩვენებია ხალხის უსაზღვრო სიყვარული და თავდადება საშობლონადმი, ომის დღეებში კაცი და ქალი ერთსულოვნად იბრძოდა როგორც ფრონტზე, ისე შურგზშიაც. მამულია განსაცდელის ეამს უკან დაბრუნდნენ საშობლორიდან გასული მოხუცი პენსიონერები. მათ ომში წასულთა ადგილი დაიკავეს მინდერად და ქარხანებში, მალარებში და სამეცნიერო დაწესებულებებში, ტრანსპორტზე, სხვადასხვა წარმოებებზე.

პოეტი ლექსში „ძველი ოსტატი“ მშვენივრად გვიხატავს ძველი მეშის სახეს. მან უმცროსი ვაჟიც გააკილა ფრონტზე, თითქოს უანასკნელი ვალი მოიხადა მამულის წინაშე. მაგრამ თვითონ რა გააჩერებს სახლში, როცა საშობლო განსაცდელშია. ოსტატი მუნა თავის დაზგას უბრუნდება. „რკინაზე აღდგეს არტახებს, გავარვარებულ ალიანს, ხელი თუ ოდნე ცაბცახებს დღეს, მღელვარების ბრალია კიდევ უმატე ხალისსა, ჩარბო, ნულარა გვიანობ, თქმულა: ბებერი ხარისა ტქანიე კი ეწვეიანი“.

სიამაფი ეღერს საბჭოთა მეშის ეს მგზნებარე სიტყვები. დღითი-დღე იზრდება ჩვენი ქვეყნის ადამიანის ვრწმუნობის არე. იმალება ახალ-ახალი შემოქმედებითი აზრი, ვლინდება დან



ინერგება ახალი დამოკიდებულება შრომისადმი. იცლება რა ადამიანი, იგი ცვლის ბუნების სახეს.

სულ ორი წელიწადი გავიდა, რაც საბჭოთა მთავრობამ და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა იმხანაგ სტალინის ინიციატივით შეიმუშავა ველებისა და ტყე-ველიანი რაიონების ბუნების გარდაქმნის გეგმა. დასახული იქნა გრანდიოზული ამოცანა — რამდენიმე წელიწადში გარდაიქმნას ბუნება, რომელიც თავისი სივრცით ერთად აღბეჭდვას რამდენიმე ევროპულ ქვეყანასე დიდი.

ასეთი უდიდესი სამუშაოების ჩატარება მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანას შეუძლია. მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ მისცა ჩვენ ხალხს ამის ძალა და საშუალება, და ამ დღეს იქ, სადაც ზორბაი წავიდა მიწას, ეწყობა ანადგურებად ხალხს და სოფლებს, „უწყლო ადგილის შადრევნებს ეხედავ, შესმის შრიალი სამგორის ხეთა ხშირი ფოთლების საპრდილობელი“. პოეტო, გეიხატავს რა სახეშეცვლილ სამგორს, სიხარულითა და აღტაცებით კითხულობს:

- ვინა თქვა: სამგორზე ქარი იცისო,
- ვინა თქვა: გარეჯა გვალვით იწვისო!

გაივლის სულ მცირე ხანი და დაიწყებას მიიქცემა ქველი სამგორი ვადარუჯულ ველებით და გატირებულ მთა-გორებით. განახლებულ მიწას ეხება ლექსი „ნორჩი ზე რუსთავში“. ეს ლირიული ლექსი გამსჭვალულია ოპტიმიზმითა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით.

მაყვალა მრველიშვილი თავის ლექსებში არა მარტო გვარწმუნებს, რომ „ახალი ეზო უკვე შზად არის...“ არამედ გეიქვენებს, თუ როგორ ქმნის საბჭოთა ადამიანი თავის ბედნიერებას, ახალ ცხოვრებას.

მთუხედავად ციკლთა სხვადასხვაგვარობისა და შინაარსისა, პოეტის ახალი წიგნი „ქართ-

ლის უბეში“ არ კარგავს მთლიანობას. დაეცხრომელი სიყვარული სამშობლოსადმი, ქრომისა და მომავლისადმი შეადგენს პათოსს წიგნის საუკეთესო ლექსებისას: „პირიზე“, „ოცნება“, „ბელადს პასუხად“, „ისმენს ლენინი“, „კავკასიის დამცველებს“, „საქართველოს აჯადობია“, „ზუბოვკელ ქალიშვილს — ლ. ოდიშელიძეს“.

ყოველგვარ მაღალფარდოვანების გარეშე, უბრალოდ, ემოციურ სახეებში და შვენიერად დანახულ მეტაფორებით გადმოცეკვს პოეტი თავის გრძნობებს. გრძნობებს გამთბარს ჩვენი ხალხისა და ჩვენი ღრის ოპტიმიზმით. პოეტი მკითხველის სიყვარულს და ყურადღებას იმსახურებს თავის ინტონაციის ბუნებრივობით, სისადივით, იმით, რომ გველპარაკება უბრალო და გულწრფელი სიტყვებით.

პოეტის ნათელ და ზუსტ სიტყვაში აქაიქ გვხვდება ბუნდოვანი და გაკეთებული სტრიქონები, დაძველებული სახეები და შედარებები.

ლექსი „სარკმელი“ ასე იწყება: „ბრწყინავს, სხივები მისწვდა ყვლამდე, ერთი ცინცხალის ალით ინთება“. ვის მოსწვდა სხივები ყვლამდე, — სარკმელს?! კარგია მომდევნო სტრიქონები: „დაბლით ქადრები თუ ახედავენ სარკმელი შწანეთ დაბინდება“. მაგრამ შემდეგ ისევ ბუნდოვანი სტრიქონები მოსდევს: „მზის სხივს გაივლებს, ღრუბლებს გაივლებს, სულ რად იცინის სუფთა მინებით, ქუჩის გადამოთ უმზერს აიენებს; იქაც ახალი სურდათ ბინები?!“

სუსტია „მეუღლენის“ ეს სტრიქონებიც: „ახალ თჯახნი, ერთ უღელში ახლად შემბულნა იგერ, ახლახან შემოასახლეს, ერთმანეთისთვის მეოცნებედ დაბადებულნი, რით ააგებენ ასეთ სასახლეს?!“.

მაყვალა მრველიშვილის ზმა წიგნიდან-წიგნამდე მტკილდება და მაგრდება, ზდება დამოუკიდებელი.

ბი. ჩიქოვანი.

დავით გვრიტიშვილი — „ივანე ჯავახიშვილი“. „საბლიტგამი“, 1949 წ.



ივ. ჯავახიშვილის მრავალშობილი და წაყოფიერი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა და შეფასება უარესად რთული ამოცანაა, რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებას, იგი თითქმის შეუძწავლელია. ცალკე მონოგ-

რაფია ამ დიდი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენ დღემდე არ გვექონია, მისი საქმიანობა კი დიდი ხანია არსებობს. ყოველივე ამის გამო დ. გვრიტიშვილის ნაშრომის გამოხედა მისასაღებელია.

ეს ნაშრომი უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობისათვისაა განკუთვნილი, რაც ავტორის აიძულებდა მოეთხოვა მხოლოდ ძირითად საკითხებზე და ისიც იმგვარ ფორმებში, რომ შრომა გასაგებია ყოფილყო მათთვის.

ნაშრომის ამგვარი მიზანდასახულება ავტორის მეტად რთული ამოცანის წინაშე აყენებს: დიდი მეცნიერის გამოკვლევებისა და მოსაზრებების გასაგები მეცნიერული ენით გადმოცემა თავისებურ სტილს მოითხოვს. დ. გვრიტიშვილის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მას რთული მეცნიერული საკითხების გასაგები ენით გადმოცემა ემარჯვება.

პირველ თავში ავტორმა საკმაო სისრულით და დამაჯერებლობით უჩვენა თუ როგორ თანდათან იზრდებოდა და მწიფდებოდა მომავალი დიდი მეცნიერი პროფინაზის წლებიდან პეტერბურგის უნივერსიტეტამდე. კარგად არის აღწერილი აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის სტუდენტობის წლები, მისი დატოვება უნივერსიტეტთან საპროფესოროდ მოსამზადებლად, მისი სამეცნიერო მივლინებები და სხვ. მოცემულია აგრეთვე ივ. ჯავახიშვილთან შემოკრებილი ქართული სტუდენტობის მუშაობა ქართული კულტურის წარსულის შესწავლისა და პროპაგანდის საქმეში.

სპეციალურ ქვეთავში ავტორი საგანგებოდ ჩერდება პეტერბურგის უნივერსიტეტის „ქართულ სტუდენტთა სამეცნიერო წრეზე“, რომელსაც სათავეში ივ. ჯავახიშვილი ედგა. „სტუდენტთა ასეთი სამეცნიერო წრის დაარსება არ იყო შემთხვევითი; იგი ივ. ჯავახიშვილის დიდი სამოქმედო პროგრამიდან გამომდინარეობდა“ (გვ. 22). „ივ. ჯავახიშვილი იმედოვნებდა, — განაცხადებს ავტორი, — რომ სტუდენტთა სამეცნიერო წრე შექმნიდა სათანადო პირობებს მეცნიერული მუშაობის ცენტრის პეტერბურგიდან თბილისში გადმოსატანად“ (გვ. 24) და მართლაც, როგორც ენობილა, სტუდენტთა ამ წრემ დიდი მუშაობა ჩაატარა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისათვის წინასწარი პირობების შექმნის საქმეში.

ავტორი სამართლიანად ჩერდება აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის მიერ თბილისში წაკითხულ საჯარო ლექციებზე. ივ. ჯავახიშვილი არ კმეყოფილდებოდა სამეცნიერო მუშაობის წარმატებით პეტერბურგის უნივერსიტეტში და სპირიტუალ მიიწინებდა მიღწეულს ფართო პროპაგანდას, კიდევ უფრო მეტი ძალების შემოკრებას ქართული კულტურის აღდგენა — აღორძინებისათვის. ბევრ ახალგაზრდას ივ. ჯავახიშვილმა თბილისში წაკითხულ საჯარო ლექციებით გარკვეული სამოღვაწეო გზა დაუხატა. სამართლიანად აღინიშნავს ავტორი, რომ „სტოლიბინის“ შეგნული რეაქციის მრისხანე

წლებში იგი (ივ. ჯავახიშვილი, შ. 3.) არაფერს ეპუებოდა და ხალხის თვითმწყობის გამოკვლევას ყოველმხრივ ხელს უწყობდა: ივ. ჯავახიშვილის ლექციებზე ქართული ხალხის უმეტესობა არწმუნის, აყვარებდა სამშობლოს, უნერგავდა უცუთესი მომავლისათვის ბრძოლის აუცილებლობას. ივ. ჯავახიშვილი აჯერებდა თავის მსმენელებს, რომ თუ ერთბაშად და ორგანიზებულად არსებობს, არავითარი რეაქტია საშინო არ არის“ (გვ. 31 — 32).

შრომის მესამე თავი მოკლედ მოხაზავს ივ. ჯავახიშვილის ცხოვრების ძირითად მომენტებს 1917 წლიდან 1940 წლამდე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თავში ავტორის მოთხოვნა ისე სრული ვერ არის, როგორც წინა თავებში. მაგრამ, ამ ნაკლებ ნაწილობრივ ავსებს უკანასკნელი მე-5 თავი, სადაც ივ. ჯავახიშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზეა საგანგებოდ საუბარი (იხ. გვ. 127 — 147).

ყველაზე დიდი ნაწილი შეიძლება თავს უქირავს (გვ. 45 — 127). ამ განხილულია „ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა“. ამ თავში ავტორი შეეხო ივ. ჯავახიშვილის ყველა ძირითად შრომებსა და ამ წამოჭრილ ძირითად საკითხებს. პირველ რიგში განხილულია ქართული წყაროთმცოდნეობის საკითხები, საქართველოს ისტორიის, ქართული ისტორიული გეოგრაფიის, ქართული არქეოლოგიის, საქართველოს ეკონომიური ისტორიისა და ქართული სამართლის ისტორიის საკითხები ივ. ჯავახიშვილის შრომებში.

პირველ ქვეთავში — „ივ. ჯავახიშვილი და ქართული წყაროთმცოდნეობა“, განხილულია ივ. ჯავახიშვილის ძირითადი შრომები, რომლებშიც საფუძველი დაუდგეს ქართული წყაროების მეცნიერულ შესწავლას. მზღველობაში გვაქვს „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“, „ქართული პალეოგრაფია“, „ქართული დიპლომატია“ და „ქართული საფასისათმომცოდნეობა“. ამავე თავში მოკლედ აღინიშნულია აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მოღვაწეობაც წყაროთმცნიერული ბუბლიკაციის საქმეში.

დ. გვრიტიშვილის ნაშრომი უსათუოდ ხელს შეუწყობს მოსწავლე ახალგაზრდობას ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში. მაშასადამე, ნაშრომი თავის მიზანს ამართლებს. მაგრამ ეს იმას რიდი ნიშნავს, რომ იგი საყვებით უნაღლო იყოს და ყველა იმ წამოჭრილი საკითხი სათანადო სისრულით იყოს განხილულია.

ვერ ვართი, უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ჯავახიშვილის ცხოვრება ნაშრომში მთელი სისრულით ვერ არის მოცემული. მაგ., ძალიან მცირეა მასალები ივ. ჯავახიშვილის მოწაფეობის





წლების შესახებ; თითქმის არაფერი არ არის ნათქვამი (თუმცა ცალკე ქვეთავადაც არის გამოყოფილი) ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოგზაურობის შესახებ სინას მთაზე (გვ. 19). დამკვეთიდან აღსანიშნავია, რომ იგი არ მიგვანია ამ სამეცნიერო მოგზაურობის შესახებ ავტორის შემდეგი განცხადება: „სინას მთაზე მარისა და ჯავახიშვილის შემთხვევაში არა ერთი მაღალი ღირსების ძეგლი გამოავლინა. მეცნიერებისათვის ძვირფასია ივ. ჯავახიშვილის მიერ გადაწერილი ორთქი-ხისიშის „ქრებად თითქმის წელიწადისათა“ და სხვა ძეგლები“ (გვ. 19). განა საჭირო არ იყო ავტორს ერთი სიტყვით მაინც მოეხსენებინა 1947 წ. დაბეჭდილი ივ. ჯავახიშვილის ერთადერთი ნაშრომი — „სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ — ერთი წელიწადი მისი მეცნიერული მოგზაურობისა.

ავტორი ვრცლად ზეირდება ივ. ჯავახიშვილის ნაშრომზე — „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“. ნაწევრება ივ. ჯავახიშვილის ამ კაპიტალური ნაშრომის მნიშვნელობა ქართული საისტორიო წყაროების კრიტიკულ-მეცნიერული შესწავლის საქმეში. ავტორი სამართლიანად დასკვნას: „ამოივად, ივ. ჯავახიშვილმა ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მეცნიერული შესწავლის შედეგად ნათელყო ქართული ისტორიული აზროვნების მაღალი დონე და ქართულ ისტორიოგრაფიას მსოფლიო ისტორიულ მეცნიერებაში შესაფერისი ადგილი მიიჩნია“ (გვ. 50 — 51). ეს და ამგვარი დასკვნები ავტორს ვაკეთებელი აქვს ცალკეულ თხზულებათა განხილვის შედეგად. ასე მაგ. განხილულია იაკობ ცურტაველის ნაშრომი, ორანე საბანისის თხზულება, ვესტათე მცხეთელის მარტილობა, „ცხრა ურმათა კოლაელია წამება“ და სხვა. იგი განსაკუთრებით ვრცლად ზეირდება ვიორჯი მთაწინდელზე, ვფერე მთარეზე და შემდეგ ერთბაშად გადადის ეამთა-აღწერელის თხზულების განხილვაზე (გვ. 61). მოთხრობა მთავრდება ვახუშტის თხზულების შესახებ საღბრით. თუ კი მეტწილად მნიშვნელოვანი ისტორიკოსებისა და მარტილობა ცხოვრების ავტორთა მოხსენება იყო საჭირო, რატომ არ შევრბდა, ან არ მოხსენია ავტორმა IX — XIII ს. ს. საისტორიო მწერლობის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორც იყენენ „ქართლის მოქცევის“ ავტორი, სუმბატ დავითის ძე, „ქართლის მატიაანის“ ავტორი, დავითის ისტორიკოსი, თამარის ისტორიკოსები და სხვა. ეს უკანასკნელი ზომ ქართული ისტორიული აზროვნების მაღალი საფეხურის წარმომადგენლები იყენენ?

მეოთხე თავის მეორე ქვეთავი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს შეეხება — ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ისტორია“. ეს იყო

ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობის ქვაკუთხედი. მრავალი პირობა წამოაყენა და დასაბუთდა ივ. ჯავახიშვილმა თავის მწერლობაში ივ. ჯავახიშვილის დეაქონის წარმოშობის ცდილობს „ქართული ერის ისტორიის“ ცალკეული წიგნების განხილვით. უმჯობესი კი იქნებოდა ივ. ჯავახიშვილის მიერ ნატარებული მუშაობის ჩვენება არა წიგნების ძირითადი აზრებისა და შინაარსის გადმოცემით, არამედ ცალკეულ პირობებთან მიხედვით, რომელზედაც აგებულია თვითველი მისი ნაშრომი.

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობის განხილვის ამგვარი ცდის კვალი ჩანს ნაშრომში, მაგრამ იგი ზოლომდე ვერ არის განვითარებული. ასე მაგ., ავტორი „ქართული ერის ისტორიის“ I წიგნში წამოჭრილ პირობებებს შემდეგ ვეღვად ჰყოფს: „I პოლიტიკური ისტორია; II. სოციალური ურთიერთობის ფორმები; III. ქართული ხალხის ვინაობისა და მიგრაციის საკითხები; IV. სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები, V. მატერიალური კულტურა; VI. იდეოლოგია-სარწმუნოება; VIII. კულტურა“ (გვ. 75). აქ წამოჭრილ ზოგ პირობებზე ნაშრომში პასუხი არის გაცემული, ზოგ კიდევ (სოციალური ურთიერთობის ფორმები, სახელმწიფოებრივი წყობილების ფორმები და სხვა) პასუხი არ მოგვიბება.

კარგად არის შედგენილი შემდეგი ქვეთავები: ივ. ჯავახიშვილი და ქართული ისტორიული გეოგრაფია, ივ. ჯავახიშვილი და ქართული არქეოლოგია, ივ. ჯავახიშვილი და ქართული სამართლის ისტორია და სხვ. მეოთხე თავის უკანასკნელ ქვეთავში ავტორი ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ზოგად დახასიათებას იძლევა. მკითხველი მოელოდა, რომ აქ თავმოყრილი იქნებოდა, დასკვნის სახით, ყველაფერი ის, რაც განსაზღვრავდა ამ მაღალ სადებურს, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. ასევე განსაზღვრული იქნებოდა ივ. ჯავახიშვილის ადგილი ქართული ისტორიული აზროვნების განვითარებაში, მაგრამ ავტორი ამ შემთხვევაში მხოლოდ იმის თქმით დამკვეთიდან, რომ „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ივ. ჯავახიშვილი ახალი ეტაპის შემქნელია“ (გვ. 127). ეს საკვებით სწორია და მართებული, მაგრამ მაინც გასარკვევი რჩება, თუ რით განსხვავდებოდა ეს ახალი ეტაპი მის წინამორბედ თაობათა მიერ შექმნილ სხვა ეტაპისაგან (მაგ., ვახუშტი ბატონიშვილი და სხვ.).

ნაშრომში არ არის რაიმე პრინციპულად სადაო ან კიდევ მცდარი მოსაზრებები, მაგრამ საჭიროდ მიგვანია ავტორის ყურადღება გაამახვილოთ ცალკეულ საკითხებზე, რომელნიც,

ჩვენი აზრით, ან შესწორებას ან კიდევ დაზუსტებას მოითხოვენ.

ავტორი XIV ს. ისტორიკოსის, ეპითალიმწერლის, შესახებ წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ისტორიკოსი ყოველგვარ „სასწაულებს“ გულუბრყვილოდ იმეორებს და ყველაფერი საგრაო, რაც დამახასიათებელი არ იყო მე-11-12 საუკუნე. ქართველი ისტორიკოსებისათვის, მიმნიჭვეყნის დაკინებების ამბებებს სწორად ხსენის და ამ მოვლენის მიზეზად მიანიჩა, როგორც წარმოების ფეოდალური წესი, ისე საგარეო პირობების გავრცელება (გვარაზმელებისა და მონღოლების ბატონობა)“ (გვ. 61). რა თქმა უნდა, ეპითალიმწერელი, XIV ს. ისტორიკოსი, რომელიც „ყოველგვარ „სასწაულებს“ გულუბრყვილოდ იმეორებდა“, ქვეყნის დაკინების მიზეზებს სწორად, ე. ი. ფეოდალური წარმოების წესითა და საგარეო ურთიერთობის გართულებული პირობებით, ვერ ახსნიდა. იგი, ჯავახიშვილი ამ ისტორიკოსის შესახებ წერდა: ეპითალიმწერლის მიხედვით, ქვეყნის დაკინება „იყო უზუნაესი განკების სასჯელი, ზოლო მიზეზად, მამასადამე, ჩვენს ავტორს ამ შემთხვევაშიაც მთელი ერის ზნეობრივი დაცემა მიანდა“ (ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართ. საისტორიო მწერლობა, გვ. 253).

ავტორი შენიშნავს: „ლეონტი მროველის აზრით, ქართული „მწიგნობრობა“ ფარნავაზს გამოუგონია“ (გვ. 63). ლეონტი მროველის მითითება, „ამან (ფარნავაზ, შ. მ.) განაგრძო ენა ქართლისა და არაბა იზრბებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თენიერ ქართლისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“ (ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლის ნუსხა, გვ. 19), არ გვაძლევს უფლებას, რომ, მროველის აზრით, ფარნავაზი ქართული მწიგნობრობის გამოგონებლად მივიჩნიოთ.

სრულიად სამართლიანად ნაშრომში ცალკე გამოყოფილია საკითხი — ქართველთა პირვანდელი საცხოვრებელი, ქართველთა ენათობის საკითხი ივ. ჯავახიშვილის მიხედვით“ (გვ. 76). მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი, ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ, თითქმის არაფერს ლაპარაკობს. საჭირო კი იყო ავტორს ვრცლად მოეხაზა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი საკითხთან დაკავშირებით და ეხეებინა მის მიერ მოტანილი საბუთები ამ საკითხის ვადანაწყვეტად.

ცალკეა განილული აგრეთვე „ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების საკითხი ივ. ჯავახიშვილის მიხედვით“. ჯერ ერთი, ამ ქვესათაურის ქვეშ, ტექნიკურ გაუგებრობათა გამო, მოქცეულია არა მარტო გვაროვნული წყობილების საკითხი, არამედ ივ. ჯავახიშვილის ყველა ნაშრომი — „ქართველი ერის ისტორიის“ ყველა წიგნები, ე. ი. I—XVI სს. ისტორიის საკითხები, რაც ერთგვარად შექმნა მას აზრით (გვ. 77—91) უმასალა ცენტრალურად აღბრუნ საკითხის გარკვევაშიც სათანადო სიზუსტე ვერ არის დაუღლი. ავტორი წერს: „მისი (ივ. ჯავახიშვილის, შ. მ.) დამახასიათებელი, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ მან პირველი განვითარების ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების პროცესის შევნიშნული ახსნა, აღნიშნა, რა, რომ ქართველი ტომების საზოგადოებრივი წყობილების პირველი ფორმა გვაროვნული წყობილება იყო“. „ივ. ჯავახიშვილმა სწორად გაიყო ისტორიული პროცესი, ოფიციალური ისტორიოგრაფიის რისხვას არ შეუშინდა და გვაროვნული წყობილების არსებობა რეალურ ფაქტად აღიარა, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ოფიციალურად უარყოფდა გვაროვნული წყობილების არსებობას და სასტიკი დევნა-შევიწროებით უმასპინძლებოდა იმ ისტორიკოსებს, რომლებიც ვაბედადენენ გვაროვნული წყობილების არსებობის მტკიცებას“ (გვ. 78).

არ არის მართებული, რომ ითქვას ივანე ჯავახიშვილამდე ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში არ ყოფილიყოს მითითებული ქართველ ტომებში გვაროვნული წყობილების, ანუ, როგორც მამის იტყოდნენ, „საზოგადოერის მართველობის“, „მამასახლისობის ხანის“ არსებობის შესახებ.

ამ საკითხზე სათანადო მითითებანი მოეპოებათ, სხვებზე რომ არაფერი ეთქვათ, დავით მაგრატიონის თავის „საქართველოს ისტორიაში“ და თვითმუხარ მაგრატიონის თავის „ივერიის ისტორიაში“.

ამგვარადვე, ვერ იქნებოდა მართებული გვეთქვა, რომ XX ს-ში ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია „უარყოფდა გვაროვნული წყობილების არსებობას და სასტიკი დევნა-შევიწროებით უმასპინძლებოდა იმ ისტორიკოსებს, რომლებიც ვაბედადენენ გვაროვნული წყობილების არსებობის მტკიცებას“.

ავტორის მიერ თქმული იშვიათად, მაგრამ მინიცი, ყოველგვარი შენიშვნების გარეშე, ივ. ჯავახიშვილის ისეთი მოსაზრებებიც არის გამოტანილი, რომელნიც თავის დროზე გარკვეულ მიღწევას წარმოადგენდნენ, მაგრამ ამჟამად შესწორებას ან კიდევ დაზუსტებას მოითხოვენ.

ასე მაგ., ამჟამად არ შეიძლება გათარბებულ იქნას ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ „ჩვენამდე მოღწეული მთელი ქართული საისტორიო მწერლობა წარმოიშვა მარტვილობათა და წმინდათა ცხოვრებიდან“ (გვ. 53); ან კიდევ ისეთი მოსაზრება, რომლის მიხედვით „იდა-მიანთა ღარსებისა და დემოკრატიულ



მიმართულ ბიზნის წინა პლანზე წამოწევა გიორგი მთაწმინდელმა (XI ს.) იქადაგა" (გვ. 89)

ყოველგვარი შენიშვნის გარეშე მოტანილია ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიიდან“ შემდეგი ადგილი: „გეოპოლიტიკური და ეკონომიური ფაქტორების ზეგავლენით ქართველთა ტომობრივი ნათესაობის ნაიდაგზე უპირველესად სწორედ მესხეთი და ქართლი... ჩამოინაკეთნენ ერთ სახელმწიფოებრივ სხეულად და ერთ სამეფოდ იქნენ და მხოლოდ შემდეგში დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოც გაერთიანდა“ (გვ. 111).

აუცილებელი იყო, თუ კი ავტორი ივ. ჯავახიშვილის ამგვარ მოსაზრებათა გამოტანას სა-

ჭიროდ მიიჩნევდა, მათთვის სათანადო შენიშვნებიც დაერთო.

დ. გვრიტიშვილის ნაშრომში *ქვემოქვეყნის* შტრუქტურულიდან უკანასკნელ სტრუქტურამდე შეუნღებელი ინტერესით იკითხება, მნიშვნელოვან საზუსტურს გაუწეეს ჩვენს ახალგაზრდობას. იგი არა მარტო ხელს შეუწყობს „მოსწავლე ახალგაზრდობას გულდასმით შეისწავლოს მეცნიერის მდიდარი შეგვიდრეობა, არამედ მყარ სფეროებს უქმნის ივ. ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდგომ სრულ მეცნიერულ შესწავლას.

შოთა მუსხიბი

И. АРДЖЕВАНИДЗЕ. ВОЕННО-ГУРУЗИНСКАЯ ДОРОГА. „ТЕХНИКА ДА ШРОМА“ 1950 Г.



სარეცენზიო წიგნის ავტორს დიდი გულმოდგინებით დაუბრუნებია, შეუსწავლია და სისტემაში მოუყვანია საქ. სამხედრო გზის შესახებ არსებული მდიდარი მასალები, რომლებიც დღემდე გაზრეული და ხელმიუწვდომელი იყო მკითხველისათვის.

ი. არჯევანიძე პირველ რიგში იძლევა საქ. სამხ. გზის გეოგრაფიული ზოლის ბუნებრივი პირობების დახასიათებას.

იგი წერს, რომ ოდესღაც თოვლიან მწვერვალებს — ყაზბეგის მთას, იალბუჯს, ჯიშარათხობს და სხვებს, სოფლიდნენ, აღამიანისათვის მიუვალ წმინდანებად (გვ. 7) და ამ დებულების დასაბუთებას ცდილობს ა. პუშკინის ლექსით („Кавказ. пленник“). პუშკინის ლექსში გამოხატულია პოეტის პირადი აღტაცება კავკასიის ბუნების გრანდიოზულობით და მოცემულია კავკასიის ბუნებრივი მწვერვალების სურათი მხატვრულ ასპექტში. აქ არ არის დაპარაკი მწვერვალების გალმერთებაზე.

მომდევნო თავში მდიდარი ისტორიული წყაროების საფუძველზე ავტორი ვეოყვება საქ. სამხედრო გზის ისტორიას.

მცხეთაში წარმოებულ არქეოლოგიური გათხარების მიმოხილვის დროს ავტორი არ ემყოფილდება ფაქტების მშრალი აღწერებით და სამართლიანად აკრიტიკებს გერმანელი არქეოლოგის ფრ. ზაიერნის მდდარ შეხედულებებს.

საინტერესოდა აღწერილი მუხრანის ველისა, სოფ. ტინელისა, სოფ. ანანურისა და ქ. დუშეთის საყურადღებო ამაგები. დოკუმენტ-

ლერ მასალას ამდიდრებს ხალხური თქმულებებიც, რომელიც ასე უხვად აქვს გამოყენებული ი. არჯევანიძეს და რომელსაც ძალიან ხშირად გადაწყვეტი მიიშენელობა ენიჭება ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში ისტორიულ წყაროების უქონლობის შემთხვევაში.

ს. ანანურის ისტორიის მიმოხილვისას ი. არჯევანიძე ეხება ერისთავების მოძალადეობრივ პოლიტიკას თავისუფალი მთიულეთისა და ხევის მიმართ, მაგრამ გაუგებარი რჩება რომელმა ერისთავმა შესძლო ხევის დამორჩილება. არჯევანიძე წერს: „Но могущественный эристави снова покорил эту область (1619 — 1620), распространив свои владения на Хевн вплоть до Дарьяльского ущелья“ (გვ. 84). აქ აუცილებელი იყო ავტორის აღენიშნა, რომ ხევის დამორჩილება შესძლო მოუსყენარმა ზურაბ ერისთავმა, რომელმაც 1619 — 1620 წლებში იბატონა ხევში და მოხევეებს საბევრო ხარკებით აწუხებდა.

მთიულეთის ისტორია და საზოგადოებრივი ყაფა ნაკლებად დამუშავებულია ჩვენი მკვლევარების მიერ. მართალია, ჯერ კიდევ 1930 წ. ს. შაკალათიამ გამოსცა სპეციალური ნარკვევი „მთიულეთი“, სადაც იგი შეეცადა მოეყო მთიულეთის ეთნოგრაფიისა და ისტორიის მთლიანი სურათი, მაგრამ მისი ნაშრომი ავტორულია ზოგადობის პრინციპზე და ფაქტურად არც ერთი საკითხი სრულყოფილად არ წარმოგვისახა. მაგ. ხევისმებრების იმპატიტების შესწავლისათვის ს. შაკალათია ემყოფილდება

მხოლოდ და მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის „ძველის დადებით“, სადაც ნათქვამია: „ხევის-ბერს დაბახით ლაშქართ თავადობა ამოქმედა“—ო. შეიძლება: „მოსახლეობა იყოფოდა ხევე-ბად და თითოეული ხევის სათავეში ხევისბერი მდგარა“ (გვ. 26) „ხევისბერს ებარა ხევის დროშა და ციხე. მასვე ეკითხებოდა აგრეთვე ქურდობის საქმეც და სისხლის სამართალიც. თუ ხევისბერი ორგულობას გამოიჩენდა და უმისზეოთ ჯარში არ გაეიდოდა, მაშინ მას მამული და ეს ხელისუფლებაც ერთობოდა“ (გვ. 26-27). ამის გარდა მაკალათის წიგნში ხევის-ბერობაზე სხვას ევრაელის შეხედებით და მკითხველისათვის სრულად გაურკვეველია ზევისბერის ფუნქციები. სამწუხაროდ ხევისბერის ფუნქციებზე ი. არჯევანიძეც ს. მაკალათის მსგავსად არაფერს ამბობს.

აგილოთ 1804 წ. აჯანყება მთიულეთში. ეს შეტად საინტერესო ფურცელია საქართველოს ისტორიისა. როგორ აქვს ი. არჯევანიძეს ეს ამბები გარკვეული? მკითხველი მხოლოდ იმას გაიგებს, რომ აჯანყება მოხდა მეფის თითო-მყარბელობის წინააღმდეგ, მაგრამ როგორი ხასიათი მიიღო აჯანყებამ, ვისი ინტერესები შეეჯახნენ ერთმანეთს აჯანყების მსვლელობაში, როგორი ორიენტაციისა იყვნენ ქართველი ბატონიშვილები, ეს ყველაფერი გაურკვეველია.

ასევე შეიძლება ითქვას მთიულეთის ისტორიის სხვა მხარეებზედაც. არც ერთი მომენტი კუთხის ისტორიიდან ვერ არის სიძხადით წარმოდგენილი, რაც შეეხება ყოფის დამახასიათებელ რეალებს, ავტორი ცმყოფილდება მხოლოდ რამდენიმე რელიგიური დღესასწაულის აღწერებით, ხოლო უღრესად საინტერესო და საჭირო ეთნოგრაფიული საკითხების გაშტქმას ეცდებოდა უფლის.

ი. არჯევანიძე გულმოდგინებით არჩევს მტბთვის საარქიტექტურო ძეგლებს, იმ ძეგლებს, რომლის შესახებაც ბევრი სიტყვს გამოიჩინებდა მეცნიერებმა. ხოლო რაც შეეხება არავეის ხეობის საერო არქიტექტურის ძეგლებს (არავეის ერისთავების ციხე-სიმაგრე, ანანურის დიდი ამსამბლი, რომელიც შეიციეს სხვადასხვა პერიოდის ნაგებობებს, შუადიჯერის კომპლექსი, რომლის ციხე-ვალიანი აგებულია 1746 წ. მუხრანისა და ქსნის ციხეების ამკვებ კონსტანტინე სახლთუხუცესის მიერ, ყინვლის ციხე და სხვა)—შეუსწავლეოდა და უფრო მართებული იქნებოდა ი. არჯევანიძეს ეს გაეხადა მსჯელობის საგნად.

საქმარისა საქართველოს ისტორიულ რუკას დახედოთ, რათა დაარწმუნდეთ, რომ ხევი, საჭარბელოს სხვა მთიან ადგილებთან ერთად, მაკარ საფარს წარმოადგენდა მარის მოსახლეობისათვის მტრისაგან შექმნილი საშიშროების

შემთხვევაში. მაგრამ ამით იმის ტქმ არ შეიძლება, რომ ხევის შესწავლა ქართველმცოდნეებს მხოლოდ სტრატეგიული ფუნქციონირებისთვის შეეხებოდა ხევის ეთნოგრაფიული ათვისებაც, ვინაიდან მთაში უფრო დიდხანს შემორჩა თემური ყოფა-ცხოვრების ნაშთები, რომლის მეშვეობით მკვლევარს შესაძლებლობა აქვს შეისწავლოს ქართველთა ცხოვრების ძველი ნორმები. ი. არჯევანიძე, პირველ რიგში ლამაზაკობის გათხრების შედეგად ხევიში მოპოვებულ არქეოლოგიური ნივთების შესახებ, მოკლედ მიმოიხილავს გათხრების ისტორიას, რომლის შედეგად 1874, 1877, 1879 წლებში მოპოვებული ნივთები სამეცნიერო-საისტორიო ლიტერატურაში შევიდა „ყაზბეგის განძის“ სახელწოდებით.

მაგრამ ავტორის აუცილებლად უნდა მოეხსენებინა, რომ იქ სადაც გ. ფილიპონოვი მუშაობდა, 1879 წ. გათხრებს აწარმოებდნენ: ანტონოვი, უვაროვეტი, ოლშევსკი და ფრიდრიხ ბაიერნი.

ფრ. ბაიერნის ცნობით ყაზბეგთან ეზოში წარმოებული გათხრების დროს წყაროში ამოხეოქა 1/2 მეტრის სიღრმიდან, საიდანაც მან მრავალმხრივ საინტერესო ნივთები ამოკრიბა (ქალის სამკაულები დაუზიანებელი, ხოლო ბრინჯაოს სამარე იარაღები დამტვრეული) და ამის საფუძველზე გამოითქვა მისსაზრება, რომ ამ წყაროს მოსახლეობა ძველად ხმარობდა, მაგრამ შემდეგში მთაყუროდან წამოსულმა მეწყერმა დაფარა. ფრ. ბაიერნს ეს წყარო ეკუთვნება პრიაპის (ნაყოფიერების) წმინდა წყაროდ მიაჩნდა, სადაც მოლოცვლები სხვადასხვა საჭირით მიდიოდნენ. მისივე მტყიცებით საქირი წყაროში ყრადნენ, რომ არვის წყალო, ხოლო ყუროდან წამოსულ მეწყერს ბრინჯაოს იარაღები დაუმტვრევია და ოქროს სამკაულები კი გადაჩრენილა. სამწუხაროდ ფრ. ბაიერნის ეს უხერხემლო ვერსია უწყობანოდ ვიზიარა მკვლევარმა ს. მაკალათმა (იხ. ხევი“, გვ. 27).

ივ. არჯევანიძეს მართებლად მიეთითებინა ბაიერნისა და მისი ზოგიერთი თანამკრძნობის შეცდომებზე და ზალბური მასალების მეშვეობით მოეხდნა ამ შეკოწმებული მითების გაბნევა, მაგრამ მან ნაბუკდი ლიტერატურადან პირდაპირ გადმოიტანა ეს მცდარი მოსაზრებები.

მოთხვეული არქეოლოგიური მასალა პირდაპირ გველაპარაკება, რომ იგი ადგილობრივი, მოხვედრი ხასიათისაა, იგი პირდაპირ მოხვედურ ცხოვრების დამახასიათებელი რეალების ანარეკლს წარმოადგენს და მეცნიერულად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ დღევანდელი ხევის ტერიტორიაზე მოხვეების წინაპრებს უცხოვრიათ ჯერ ვიდრე ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე. ამიტომ უნდა დღეობის გამახვილება სა-

პირო, რათა ამ მასალის ღრმა გაანალიზებისა და გაშიფრვის საფუძველზე საბოლოოდ მოვახდინოთ ამ მითებისა და ლეგენდების ლიკვიდაცია რომელნიც „საბუთებზე“ თითქოს მოხვევთა ყველაზე ძველი გვარები მოსულნი არიან სხვადასხვა მხრიდან 180—200 წლის წინათ.

ფ. არჯევანიძე როგორც კი ამთავრებს საუბარს არქეოლოგიურ გათხრების შესახებ — პირდაპირ გადადის ვრცელ II-ის მეფობის დროინდელი ამების თხრობაზე, რის შედეგადაც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს ზევის იატორია 18 საუკუნიდან იწყება, ხოლო ამ ეპოქამდე ხვეს საკუთარი ისტორია არ ჰქონდეს. ან და ყოველ შემთხვევაში მასზე მსჯელობა არც ღირდეს. რა თქმა უნდა სინამდვილეში ეს ასე არ არის.

ქორწილის შესახებ მოტანილი ციტატა პროფ. ა. ხახანაიის (ა. ხახანაშვილის) ნაშრომიდან და „მანდილის“ როლის ახსნა ჩუბების ეთნოგრაფიაში არ არის საკმარისი, რომ ამ კუთხის ეთნოგრაფიული ნორმები ცნობილი გახდეს მკითხველსათვის. შეიძლება კიდევ ბევრი საინტერესო მოვლენის გარკვევა, რითაც სარეცენზო წიგნის ღირებულება უდავოდ გაიზარდებოდა.

თერგის ზეობაში მრავალი შესანიშნავი ძეგლია შემორჩენილი. ამ ძეგლებს მეტწილად ღირებულება გააჩნდათ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. დიდი სიმაგრეებიდან აღსანიშნავია მრავალჯერ ომგადახდილი და სახეცელი არსის ციხე, დარიალის კლდეკარის ჩამქვტი ციხე (ე. წ. „თამარის ციხე“) და სხვ. ცალკეული კოშკებიდან უნდა აღინიშნოს იშვიათი გემოვნების მქონე ოსტატების მიერ შექმნილი სიონისა და ფანშეთის კოშკები. არანაკლებ საინტერესოა ე. წ. „შურვიანის კოშკები“, როგორცაა გერკეთის, ზურთოსის, სნოს და სხვ. თერგისა და სნოს ზეობაში გავრცელებულია აგრეთვე საგვარეულო კოშკები და საომრად გამაგრებული საცხოვრებელი სახლები. მგ. სოფ. ყანაში არის 3 სართულიანი სახლი, რომელიც რეკონსტრუქციამდე 4 სართულიანი იყო და ყოველ სართულზე დატანებული ჰქონდა სათოფრები. დროთა განმავლობაში რეკონსტრუქციის შედეგად სათოფრები შემორჩა მხოლოდ მეორე სართულს და დღესაც ინარჩუნებს თავის პირვანდელ სახეს. აშენებულია დაახლოებით 350 წ. წინათ. ციხე-კოშკების სტილით (საძირველიდან ზემოთ თანდათანობით ვიწროვდება) და კედლები ადგილობრივი ქვითა და დუღობითა ამოყვანილი.

ასე რომ თერგის ზეობის საარქეოლოგიური ძეგლები გვიჩვენებენ საამშენებლო ტელეფონების მაღალ დონესა და დიდ კულტურულ ზედმეტი არ იქნებოდა ყურადღებით შეესწავლა ი. არჯევანიძეს ეს მეტად საინტერესო საკითხი და ტურისტ-მოგზაურებისათვის ნათელი გაეხადა თითოეული ძეგლის დანიშნულება და მისი ისტორიული მნიშვნელობა.

ი. არჯევანიძე საინტერესო ცნობებს იძლევა მყინვარწყვრზე ამსვლელთა შესახებ, რომელთაგანაც ჩვენთვის ყველაზე საყურადღებო იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ II ტომიდან მოტანილი ცნობა იმის შესახებ, რომ მყინვარწყვრზე პირველად ახელა მღვდელი იოსებ მოხვეე 18 ს-ში (გვ. 131).

ეს ფაქტი ერთგვარად ფანტაზს მითს მოხვევთა რელიგიური ქედმოდრეკის შესახებ მყინვარწყვრის ლეთიერი ძაღვანებისა და სიღიადის წინაშე, რომლის შემთხვევებზე გვევლინება ს. შაკალათია, ფ. არჯევანიძე და სხვები.

თუ კი მართლა აღმერთებდნენ მყინვარწყვრის მოხვეეები, მაშ როგორ გაეხადა სისულიერი პირმა ამ „წმინდანის“ შელახვა? უნდა ვფიქროთ, რომ რელიგიური არტაბებისაგან ნაკლებად შეზღუდული მონადირე კიდევ უფრო აღბე გადალახავდა მყინვარწყვრის და შტკიცება იმისა, თითქოს პირველი სიძნელეების დაძლევა ინგლისელების (ფრეშვილი, ტუყერი, მური) სახელთან არის დაკავშირებული, როგორც ამბობს ს. შაკალათია, — აშკარა სიყალბეა.

წიგნის საერთო ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გზის გაყოლებაზე მდებარე ყველა სოფლისა და მნიშვნელოვანი ისტორიული ადგილის დასახელება არ არის მოცემული. ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს იმ მოგზაურისათვის, რომელიც ტერიტორიას ახლად ეცნობა.

წიგნს ბოლოში დართული აქვს კარგი ბიბლიოგრაფია და შენიშვნები. აგრეთვე მოთავსებულია 32 სურათი, რომელსაც ერთგვარი სიზარისე და სინათლე შეაქვს სარეცენზო ნაშრომში ზოგიერთის გამოკლებით. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის ღირებულება საკმაოდ მნიშვნელოვანია და კარგი მგზობრივი არის ჩვენს ქვეყნის ტურისტ-მოგზაურებისათვის საქ. სამხედრო გზაზე მიმოსვლის დროს. კარგი იქნებოდა ამ წიგნის ქართულ ენაზე გამოცემა.

შალვაკიან ნიქონიშვილი.

სამართალის ურთიერთობის დოკუმენტები შერეული  
ბიბლიოგრაფია



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ცალკე წიგნად გამოცემა უახლოესი პერიოდის „საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები“. წიგნი იხსნება პოლონეთში 1947 წლის სექტემბრის დამლევს ზოგიერთი კომპარტიის წარმომადგენელთა საინფორმაციო თათბირზე ა. უდნაოვის მიერ გაკეთებული მოხსენებითა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. იქვეა მოცემული მასალები გ. მაღენკოვის მიერ გაკეთებულ მოხსენებიდან. შემდეგ იწყება დოკუმენტები, რომლის № 1 ეხება რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას (1783 წლის გვირგვინის ტრაქტატი). მანიფესტი რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ წარმოდგენილია № 2 დოკუმენტად. რომელიც 1801 წლის 12 სექტემბერს გამოცემა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა და ზომელსად წამოყვარებული აქვს საქართველოს ისტორიის პირველ ნაწილიდან საგულისხმო კომენტარო მუცის რუსეთის კოლონიად საქართველოს გადაქცევის შესახებ, რომ ეს „იყო ბოროტება, რომელსაც ქართველი ხალხი დაუღალავად ებრძოდა ვიდრე შან, დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, თავისუფლება, არ მოიპოვა, მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში ეს იყო მთავრად უმცირესი ბოროტება: სამი მოქიშპე სახელმწიფოდან (რუსეთი, ირანი, ოსმალეთი) მხოლოდ რუსეთი, საქართველოსთვის მახლობელი რელიგიითა და კულტურით, იყო ის ერთადერთი პროგრესული ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა“.

№№ 3 და 4 დოკუმენტებად წარმოდგენილია მონროეს დოქტრინა (ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მონროეს წერილი კონგრესისადმი) და პარიზის დეკლარაცია საზღვაო ომის შესახებ, რომელიც იმით არის დამახასიათებელი, რომ შან გაუქმდა კაბერობა (შეკრობა). დოკუმენტი № 5 ეხება დრაგოს დოქტრინას (არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრის დრაგოს დეპუტა არგენტინის დესპანსადმი ვაშინგტონში), რაც გამოწვეული იყო ვენესუელას ინციდენტით, რომლის საფუძველიც ის იყო, რომ 1902—3 წლებში კონფლიქტი მოხდა ერთი მხრივ ინგლისსა, გერმანიასა და იტალიას, ხოლო მეორე მხრივ ვენესუელას შორის

„იმის გამო, რომ ვენესუელას მოაკრობამ ვადაზე ვერ გადაიხადა სახელმწიფო სახელმწიფო-ლებო ვალები და უარი უთხრა ზემოხსენებულ სახელმწიფოების მოქალაქეებს ვენესუელაში მომხდარ სამოქალაქო ომით მიყენებულ ზარალის ანაზღაურებაზე“. № 6 დოკუმენტი ეხება მე-2 საერთაშორისო საშვილობო კონფერენციის კონვენციებს, სახელდობრ, საიშორი მოქმედების დაწყებისა და სახმელეთო ომის განხილვისა და აღიარის შესახებ. აქვეა წარმოდგენილი კონვენციის დამატება. დოკუმენტი № 7-ში მოცემულია ლონდონის დეკლარაცია საზღვაო ომის სამართლის შესახებ. დოკუმენტი № 8 ეხება დეკრეტს ზავის შესახებ, რომელიც დაწერილია ვ. ა. ლენინის მიერ და რომელიც „მთლილ საშუალებას მთავრად ყრბლობამ პეტროგრადში 1917 წლის 8 ნოემბერს“. დოკუმენტი № 9 ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის 14 პუნქტიდან შესდგება, რაც მიმართული იყო ამერიკის კონგრესისადმი 1918 წ. 8 იანვარს, რომელშიაც ჩამოყალიბებული იყო მომავალი ზავის პირობები და წამოყვანებული იყო ზავის შესახებ ვ. ა. ლენინის ცნობილი დეკრეტის საპასუხოდ. ამ 14 პუნქტიდან განხორციელდა მხოლოდ მე-14 პუნქტი, რაც ეხებოდა ერთა ლიგის შექმნის საკითხს და რაც შეიქმნა კიდევ 1919 წლის 18 აპრილს. სხვა მნიშვნელოვან კომენტარიებთან ერთად სარეველნო წიგნის შემდგენელი დ. ვნუქიძე საფუძვლიან კომენტარს უყუთებს ერთა ლიგის ორგანიზაციის საკითხებსაც.

44-ე გვერდზე მოთავსებულია „მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ“ (დოკუმ. № 2), რომელიც პირველად გამოქვეყნებული იყო 1801 წლის 12 სექტემბერს და რომელსაც პლატონ ოსელიანი იმდენად „სერიოზისით“ და „პირუთვნელად“ მოხუცრა, რომ მხოლოდ მცირეოდენი შესწორებით შეიტანა იგი თავის „ცხოვრება ვიორგი მეცამეტისა“-ში, ვ. ა. აღნიშნულმა მანიფესტმა ვიარა ისეთი კაცის ხელში, რომელიც მამა-პაპით ვეთუენოდა საქართველოს მეფეთა სასახლეს, მას კარგად იცნობდა და მომწირებ იყო მანიფესტის დროინდელი ცოცხალი ადამიანებისა, მიუხედავად ამისა, ასეთ პირს მინც დასჭირდა კიდევ შეესწავლა „მეფეთა საუბარი, რისხვა მათი და აღერისა“ და შემდეგ ისე „აშუბა წერა ცხოვრებისა ამის“. უფრო მეტი, ეს მანიფესტი გრიგოლ ორბელიანმა და ილია შავვაძემაც გადასინჯეს

და მხოლოდ ამის შემდეგ დაიბეჭდა იგი. მიუხედავად ამისა, სარეცენზოო წიგნის შემდგენელმა მაინც საჭიროდ დაინახა „შეესწორებინა“ იგი. დასახელებულ წყაროში აღნიშნული მანიფესტი ასე იწყება: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ აღუქსანდრე პირველი“ (გვ. 234, ხაზი ვეღვან ჩვენია 5. კ.) სარეცენზოო წიგნში კი ასეა ნათქვამი: „ღვთის წყალობით ჩვენ აღუქსანდრე პირველი“ (გვ. 144) ვ. ი. რუსული ტექსტი გადათარგმნა სიტყვა-სიტყვით „пожизно милостиво мы Александр первый“ (გვ. 234) ქართული სასულიერო წესდებით არასოდეს არ ითქმება „ღვთის წყალობით“, ყოველთვის იწყება „წყალობითა ღვთისათა“ და სხვ. იმავე წყაროში ნათქვამია: „განუტყაბდებთ ყოველთა საქართველოსა სამეფოსა შინა მყოფთა ვისდამცა სათანადო არს ცნობად მისთვის“ (იქვე), სარეცენზოო წიგნში კი ასეა: „უცხადებთ საქართველოს ყველა მცხოვრებთ ვისაც ამის ცნობა ეება“ (იქვე), მანიფესტი ლაპარაკობ მეფის დროინდელ საქართველოზე „საქართველოსა სამეფოსა“, ასეა რუსულ წყაროშიც: „Обязываем всем обитателям царства Грузинскаго, кому о том ведать належит“ (იქვე), რაც უგულვებელყოფილია შემდგენელის მიერ და სიტყვა „სამეფო“ ამოღებულია.

წიგნში ნათქვამია: „უახლოესმა გამოცევემ სამოლოდ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ ქართველი ხალხის სხვადასხვა ნაწილს თანასწორად ძვირფასს ჩვენთვის სამართლიანად ეშინათ დევნისა და შურისძიებისა, იმასვეც ვინც შესილებდა მეფის ღირსების ტახტში მიეღწია მონისათვის, რამდენადაც მათ წინააღმდეგ მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა გამოავლინა თავიბი თავი“ (გვ. 45). წყაროში კი ვითხოვლობთ: „გარნა უახლოესმან გამოძიებამან ამისმან შიგვიზიდნეს ჩვენ, ვითარმედ პირად პირადი ნაწილი საქართველოს ერისა, თანასწორ უძვირფასესი ჩვენთვის კაცობრიობისა ძალით, იმიშვის სამართლად დევნულებისა და ნაცვალეებისა მის, რომელიც მჭებებელი მეფობისა ღირსებისა შეიძლებდაცა მინდობისა ხელშეიფებისა მისისასა; ვინაიდგან პირისპირ ყოველთა მათ უფროსმან ნაწილმან ერთაგან ესოდენ ცხადყო თავი თავისი“. ასევეა რუსულ წყაროში: „ближайшим по сему исследованию наконец убедили нас, что разные части народа Грузинскаго, равно драгоценныя нам по человечеству, праведно страдают гонения и мести того, кто из искателей достоинства царскаго мог бы достигнуть его власти. поелику против всех их большая часть в народе столь явно себя обнаружила“ (იქვე) ორივე წყაროთა ამ ტექ-

სტებში ხაზი აქვს გასული ქართველი ხალხის სხვა და სხვა ნაწილის თანასწორად ძვირფასს კაცობრიობის ძალადუფლებად; რაც შემდგენელის მიერ გამოტოვებულია. უფრო მეტი, შემდგენელს მოლიანად გამოუტოვებია, ზოგიერთი სტრიქონებიც კი. ასე მაგალითად, წყაროების ქართულ და რუსულ ტექსტში ვითხოვლობთ: „მხოლოდ მან ექვმან და შიშმან შესადგომელთა ამთა მშენა განსუვენებლობა და უცილებლად იქმნებოდაცა წყაროდ ურთიერთისა შრომის სისხლთ მთხველობისა“. რუსული რედაქცია: „Одно сомнение и страх сих последствий возродив беспокойства, не мнущемо была бы источником междуусобий и кровопролития“. სარეცენზოო წიგნში ეს ორივე სტრიქონი გამოტოვებულია ყოველგვარი კომენტარების გარეშე. შემდეგ წყაროში ნათქვამია: „პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღრმოსა ვალსა-მსმენელმან ვებულთა ვედრებისა განსაღვენელად შევირცხებათა მათთა დავაწესს საქართველოსა შინა მმართველობა, რომელსაცა ეძღოსცა დამყარება მართლმსაჯულებისა, ნიუთისა და საქონლისა უშიშროებისა, და მიცემად თვითთუელისა დაცვა სჯულისა“, ასევეა რუსულ წყაროშიც: „единое достоинство, единая честь и человечество налагают на нас священный долг, вывзя молению страждущих; в отвращение их скорбей учредить в Грузии правление, которое могло бы утвердить правосудие личную и имущественную безопасность, и дать каждому защиту за коном“, მაგრამ ორიგორ აქვს გადაცემული ეს აზრი სარეცენზოო წიგნის შემდგენელს: „ერთიანი ღირსება, ერთიანი პატივი და აღმაინობა გვაკისრებენ ჩვენ საღრმოს ვალს, მოუხსინოთ კრებულთა ვედრებას, მათ შევირცხებათა განსაღვენად დაავარსოთ საქართველოში მართველობა, რომელსაც შეეძლება დაამკვიდროს პირადი მართლმსაჯულება და ქონებრივი უშიშროება და მისცეს თვითთულს კანონით დაცვა“ (გვ. 46) როგორც წყაროებიდან ვხედავთ, ლაპარაკია ისეთ მართლმსაჯულების შექმნაზე, რა დროსაც გარანტირებულ იქნება თვით მოქალაქის მიერ კანონის დაცვა, ვ. ი. კანონის დამუხიმუნებლად გატარება, სრული კანონიერება და სამართლიანობა—„дать каждому защиту законом“, ქართული წყაროც ამას გადმოგვეცხადებდა: „თვითთულისა დაცვა სჯულისა“. შემდგენელ დენქიძეს კი სულ სხვა აზრი გამოუვლია, იგი ლაპარაკობს მოქალაქების მიერ კანონის არა დაცვაზე, არამედ კანონით თვით მოქალაქეთა დაცვაზე — „მიეცეს თითოულს კანონით დაცვა“. აქ ნაგულისხმებია აგ-



რთვე მოქალაქის მიერ დაცვის უფლებით სარგებლობაც, რაც სულ სხვა საკითხს წარმოადგენს, რადგან მოქალაქის მიერ კანონის დაცვის საკითხი სხვა არის და თვითღული მოქალაქის დაცვა კანონით კი სულ სხვა.

გარდა ამისა შემდგენელს აღნიშნული მინიფესტი დამახინჯებული აქვს კუთხური და პროვინციალური გამოთქმებით. ასე მაგალითად: „თქვენ ყველანაშა ერთსულოვნად და საზეიმოდ მოიწიეთ“-ო (გვ. 45), „თქვენ ახლაც ს დ გ ა ხ ა რ თ“-ო (იქვე), „ყველა მოსაზრებებით თქვენ უნდა ჩასციინდეთ“-ო (იქვე). უმჯობესი იქნებოდა ქართული წყაროს ხელნაწილად დატოვება, სადაც სისუსტესა და შინაარსობრივ თანამიმდევრობასთან ერთად, უფრო უკეთ არის დატული მართლწერა. არის მაგალითები და დოკუმენტების რუსულიდან ქართულად არა სწორი თარგმანისაც. 71-ე გვერდზე ვკითხულობთ: „მუხლი 1 — 12. გადაქცეული გემი უნდა იმყრებოდეს სათანადო სახელმწიფოს პირდაპირ გამგებლობაში“ ან „უშუალო კონტროლისა და პასუხისმგებლობაში“ (დოკუმ. № 6 „პაავის მე-2 საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენციის კონვენციები“). შთაბეჭდილება ისეთი რჩება თითქოს ლაპარაკია გადაბრუნებულ ან გადაყვრებულ გემზე იმ დროს, როდესაც ორიგინალში სულ სხვა ნათქვამი: „Ст. 1-12. Обращенное судно должно находиться „под прямым властью“ или „непосредственным контролем и ответственность соответствующей державы“. როგორც ვხედავთ, ორიგინალში ლაპარაკია იმ საეპროს გემებზე, რომლებიც გადაქცეულნი არიან საშხედრო გემებად, მაგრამ რადგან შემდგენელს მიუშართვს მხოლოდ სიტყვა-სიტყვით თარგმნისათვის, ამიტომ მოსვლია აღნიშნული შეუსაბამობა. ლაპარაკია რა იმ ოქმზე, რომლის ხელის მომწერი სახელმწიფოთნი უარს ამბობენ გამოიყენონ „მხარჩობელი, შხამიანი ან სხვა აირი და ყოველივე ანალოგიური სითხენი, მასალები და შემადგენლობანი“ ნათქვამია: „საბჭოთა მთავრობამ საკიროდ დაინახა სპეციალურ ოქმში გაეცათები და დათქმა, რომლის თანახმად ხსენებული, 1925 წლის ენევის ოქმში: 1) „ავალდებულებს სსრკ მთავრობას მხოლოდ იმ სახელმწიფოების

მიმართ, რომელთაც მის ხელი მოაწერეს ან რატონიცირება უყვეს, ან მას სამართლებრივად თვითღენ“ 2) „სსრკ ეტს რეონ სავალდებულო სსრკ მთავრობისათვის ყოველივე მტრული სახელმწიფოს მიმართ, რომლის შეიარაღებული ძალები და აგრეთვე რომლის ფორმალური თუ ფაქტური მოყავნირები ანგარიშს არ გაუწივენ არაქალვას, რომელიც ამ ოქმის სიგანს შეადგენს“ (გვ. 97) ამ თარგმნის მიხედვით ვაუგებარია მოყავნილი ორი მუხლის დისპონიცია. რუსულ ტექსტში ნათქვამია „რომელთაც მის ხელი მოაწერეს და რატონიციკია უყვეს („и ратицишировеали“), შემდგენელს „И“ უთარგმნია „ან“-ით იმ დროს, როდესაც იგი „და“-ს ნიშნავს, იმავე ორიგინალის მე-2 მუხლში ნათქვამი „დასახლებული ოქმი“ შესწვეტს იყოს სავალდებულო სსრკ მთავრობისათვის“, სარეცენზიო წიგნში ასეა თარგმნილი: „სწვეტს იყოს სავალდებულო“, გამოდის თითქოს სსრკ გადაწყვიტა მისი ვალდებულების საკითხი და სხვ. სინამდვილეში შეწყვეტა წეა ლაპარაკი და არა ვაღწყვეტაზე. ვხედავთ სხვა დოკუმენტების ასეთ შეუსაბამო თარგმანსაც: ა) საშველი საშხაზური, საშველი ნავების ჩათვლით“-ო ვკითხულობთ სარეცენზიო წიგნში (გვ. 168), რაც თარგმნილია ტექსტიდან: „с) спасательная служба, включая спасательные лодки“ (იქვე: გვ. 149), უნდა იყოს საშველი საშხაზური, საშველი ნავების ჩათვლით — და სხვ.

ერთგულს ხელშეკრულების ტექსტის ზოგიერთი სიტყვების შესწორების ნაცვლად, უმჯობესი იქნებოდა თუ წიგნის სქოლიოში დაერთვოდა ლექსიკონი. საჭირო იყო აგრეთვე გამოქვეყნებული დოკუმენტების წინწლებით გახსნა და დახურვა, რათა გასაგებო ყოფილიყო სახელური იმისა, თუ სად თავდება დოკუმენტა და სად იწყება შემდგენის ტექსტი.

სარეცენზიო წიგნი, რომელიც წარმოადგენს პირველ ცდას საერთაშორისო სამართლის კურსის შექმნისას, აღნიშნულ ნაკლოვანებათა მხედველობაში მიღებით, დაეხმარება და შეუწყობს ხელს სტუდენტებს, რომლებიც დიდ სიძნელეს განიცდიან ისეთი სახის სახელმწიფოთნის უქონლობის გამო.

ნიკოლოზ კავლიშვილი



**შინაარსი**

სერბო კლდიაშვილი — რთველი, მოთხრობა, პირველი ნაწილის დასასრული . . . . .	33
ილო მოსაშვილი — რა დახრის ქვეყნად მშვიდობის დროშას, ლექსი . . . . .	18
სიმონ მთვარაძე — ჩაშლილი ქორწილი, მოთხრობა . . . . .	22
ალიო ალაშვილი — ხემაღლის ვაზი, ნაწვევები მოთხრობიდან . . . . .	45
ნაზიმ ჰიმმათი — თბი ლექსი, თარგმანი თურქულიდან ვახტანგ კეკელიძისა . . . . .	61
ლალო ავალიანი — იმედი, მოთხრობა . . . . .	64
ანტონ ჩხიშვილი — ორი მოთხრობა, თარგმანი პაპუნა წერეთლისა . . . . .	79
—	
ლ. ბორბილაძე — ბოლშევიზმის მეცნიერული ისტორია, წერილი . . . . .	83
პაპული ინგოროშვილი — გიორგი შერჩულე, წერილი, გავრცელება . . . . .	92
—	
ხოლარ კუპარაძე, ბრიგოლ ხიზარაძე — ოთარ ჩხეიძე — „ხალხთა მშვიდობი- სათვის ბრძოლის თემა ქართულ საბჭოთა მწერლობაში“, ბიბლიოგრაფია . . . . .	150
მ. ჯინგვლაშვილი — ზ. ორჯონიკიძე — „ბოლშევიკის გზა“, ბიბლიოგრაფია . . . . .	152
ვლ. არტემიძე — ა. ონელი — „ჩიორას სიბლერა“, ბიბლიოგრაფია . . . . .	156
ბრ. ჩიქოვანი — მაყვალა მრეველიშვილი — „ქართლის უბეში“, ბიბლიოგრაფია . . . . .	159
შოთა მესხია — დავით გვრიტიშვილი — „ივანე ჯავახიშვილი“, ბიბლიოგრაფია . . . . .	161
ვალერიან ითონიშვილი — И. Арджеванидзе — „Военно-грузинская до- рога“, ბიბლიოგრაფია . . . . .	165
ნიკოლოზ კვციანიშვილი — საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები, ბიბლიო- გრაფია . . . . .	168

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი,  
შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსა-  
შვილი, შალვა რადიანი, ლეო ქიაჩელი, სიმონ ჩიქოვანი,  
ოთარ ჩხეიძე, სერბი ჰილანია.

ხელმოწერილია დასაბუთად 28/IX-50 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10<sup>1/2</sup> ფ.  
შე 06201, შეჯ. № 625. ტირაჟი 5.500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქ. პოლიგრაფიაში  
ლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете Министров  
Грузинской ССР, Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილს ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42.

